

**სისსლის საქართლის
ზოგადი და კერძო
ნაწილები**

**სისსლის საქართლის
პროცესი**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადანიშნულებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

სისხლის სამართალი

ზოგადი ნაწილი

ქონების ჩამორთმევა

განჩინება

საქართველოს სახელით

№197აპ-14

17 თებერვალი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),

ზ. მეიშვილი,

მ. ოშხარელი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა გამართლებულების – თ. ქ-ასა და თ. ც-ას და მათი ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ნ-ის საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 14 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 14 ოქტომბრის განაჩენით თ. ც-ა, – ნასამართლობის არმქონე და თ. ქ-ა, – ნასამართლობის არმქონე, დაუსწრებლად ცნობილ იქნენ დამნაშავეებად საქართველოს სსკ-ის 186-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინეს წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენა ჯგუფურად, დიდი ოდენობით.

2. ამავე განაჩენით გ. ჯ-ა, – ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 186-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 372-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 210-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა თაღლითობა, ე.ი. სხვისი ნივთის დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით და ქონებრივი უფლების მიღება მოცულებით წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით, ასევე – წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის გასაღება დიდი ოდენობით, მოწმეებზე ზემოქმედების განხორციელება, კერძოდ: მოწმეებისადმი მი-

მართვა ცრუ ჩვენების მიცემისა და მიცემული ჩვენების შეცვლისათვის; ასევე – ყალბი დოკუმენტისა და ყალბი საანგარიშსწორებო ბარათის გამოყენება, ხოლო ბ. ლ-ა, – ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 372-ე მუხლის მე-2 ნაწილით, მე-19,372-ე მუხლის მე-2 ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა მოწმეებზე ზემოქმედების განხორციელება, კერძოდ; მოწმის იძულება ცრუ ჩვენების მიცემისა და მის მიერ მიცემული ჩვენების შეცვლისათვის, რასაც თან ერთვისოდა მის მიმართ ძალადობის მუქარა; ასევე – მოწმეზე ზემოქმედების განხორციელების მცდელობა, კერძოდ, მოწმის მოსყიდვის მცდელობა ცრუ ჩვენების მიცემისა და მის მიერ მიცემული ჩვენების შეცვლისათვის.

3. განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: გ. ჯ-ამ და ი. ა-ამ წინასწარი შეთანხმებით განიზრახეს, თაღლითური გზით მართლსაწინააღმდეგოდ მიესაკუთრებინათ დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონება, კერძოდ – სახაზინო სანარმო „...“ ქონება. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად 1997 წლის 22 აპრილს ი. ა-ა, რომელიც არ წარმოადგენდა მუნიციპალური სახელმწიფო კომერციული სანარმო „...“ ბაზაზე ზუგდიდის მერიასთან შექმნილი სახაზინო სანარმო „...“ დირექტორს და არ იყო მერიის მიერ დანიშნული, სახაზინო სანარმო „...“ დირექტორის სახით თვითნებურად ეწეოდა აღნიშნულ თანამდებობაზე საქმიანობას. მან სანარმოს კოლექტივის სახელით ზუგდიდის ქონების მართვის სამმართველოს უფროს გ. ფ-ას მიმართა წერილით, რომლითაც ითხოვა სანარმოს გარდაქმნა სააქციო საზოგადოებად. ამის თაობაზე მოცემულ სანარმოში ი. ა-ას, როგორც სანარმოს დირექტორის, ბრძანებით, მისივი თავმჯდომარეობით, წინასწარვე ამავე სანარმოს თანამშრომელთა – გ. ჯ-ას, ბ. ქ-ას, ლ. ნ-ას, ი. ქ-ას, ა. ხ-ასა და ი. ფ-ას მონაწილეობით შეიქმნა საპრივატიზაციო კომისია, რომელსაც უნდა მოეხდინა სანარმოს ქონების შეფასება-აღწერა და საპრივატიზაციო დოკუმენტების წარდგენა შესაბამის ინსტანციაში. მოცემულ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო გაყალბებული ოქმი, კერძოდ, 1996 წლის 13 ნოემბერს ჩატარებული „...“ თანამშრომელთა საერთო კრების ოქმი №1, რომლის მიხედვითაც, სანარმოს მთავარი ბუღალტერი ლ. ნ-ა დასახელებული იყო კრების მდივნად, მაგრამ სინამდვილეში იგი არ მდივნობდა ამ საერთო კრებას და მის ნაცვლად ხელი მოაწერა სხვა თანამშრომელმა – ი. ფ-ამ. ასევე ოქმში მითითებულია, რომ კრებას ესწრებოდა 36 თანამშრომელი, რაც ასევე არ შეესაბამება სინამდვილეს. საპრივატიზაციო კომისიამ მოამზადა დოკუმენტე-

ბი, რომლებშიც აღწერილია საწარმოს ქონება, შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები, ინვენტარი, დაუმთავრებელი კაპიტალური მშენებლობები და მათი შეფასების აქტები, რომელთა მიხედვითაც, საწარმოს ქონების ღირებულება შეადგენს 493434 ლარს, ხოლო საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 425471 ლარით. საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 9 ივნისისა და იმავე წლის 14 ივლისის ბრძანებულებების თანახმად, საპრივატიზაციო კომისიას 1997 წლის განმავლობაში უნდა განეხორციელებინა „...“ ქონების გადაფასება 1997 წლის 1 ივლისის მდგომარეობით.

4. მიუხედავად ამისა, გ. ჯ-ასა და ი. ა-ას მოთხოვნით, აფასების აქტებში არ გაითვალისწინეს ახალი აფასება 1997 წლის მდგომარეობით და მათ აქტში შეიყვანეს 1995 წლის მონაცემები, თუმცა მოცემულ დოკუმენტზე მიუთითეს, რომ აღნიშნული შეფასება შესრულებულია 1997 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით. ამ დროისათვის „...“ ბუღალტერ ლ. წ-ას უკვე შედგენილი ჰქონდა ქონების აფასება 1997 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, რომლის მიხედვითაც ქონების ღირებულება შეადგენდა მილიონ ლარზე მეტს და არა – 493434 ლარს, როგორც ეს დაფიქსირდა პრივატიზებისათვის მომზადებულ დოკუმენტებში, რითიც გ. ჯ-ამ და ი. ა-ამ, შემდგომში ნაკლებ ფასში შესყიდვისა და ქონების გადასახადის შემცირების მიზნით, ხელგაწურად შეამცირეს სახელმწიფო ქონების ღირებულება. ბუღალტერმა ლ. წ-ამ გ. ჯ-ასა და ი. ა-ას, რომლებიც უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ დოკუმენტების შედგენას, აუხსნა, რომ მხოლოდ 1995 წლით მონაცემების აფასების დაფიქსირება არ იყო სწორი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჰქონდათ რა პრივატიზაციის გზით სახელმწიფო ქონების თალღითურად მისაკუთრების განზრახვა, გ. ჯ-ამ მოცემული მასალები, ყალბი დოკუმენტები გამოიყენა და წარადგინა ზუგდიდის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოში, რითიც საფუძველი შექმნა აღნიშნული ქონების საპრივატიზაციოდ გატანისათვის საწარმოს თანამშრომელთა უმეტესი ნაწილის ნების საწინააღმდეგოდ, რომელთაც გამოთქმული ჰქონდათ სურვილი ცალკეული ობიექტების დამოუკიდებელ შესყიდვაზე. გ. ჯ-ამ და ი. ა-ამ შექმნეს ისეთი გარემოება, რომ ს/საზოგადოების პრივატიზებისას თანამშრომელთა სახით არ ჰყოლოდათ კონკურენტები, რათა ნულოვანი აუქციონის გზით მინიმალური ხარჯებით ხელში ჩაეგდოთ მილიონ ლარზე მეტი ღირებულების სახელმწიფო ქონება.

5. ყოველივე აღნიშნულის შემდეგ სამმართველოს უფროსის 1997 წლის 29 დეკემბრის №... ბრძანების საფუძველზე სა-

წარმო „...“ გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად და დამტკიცდა მათ მიერ წარმოდგენილი პრივატიზაციის გეგმა და სხვა დოკუმენტები. ამ მასალებში იყო პრივატიზაციის გეგმა, რომლის შედგენაში მონაწილეობა არ მიუღია ბულალტერ ლ. ნ-ას – იგი არ ეთანხმებოდა გეგმას და მასზე ხელი არ მოუწერია, თუმცა აღნიშნული დოკუმენტი გაყალბდა და მის ნაცვლად ხელი მოაწერა გამოძიებით დაუდგენელმა პირმა. ასევე გაყალბდა 1997 წლის 29 დეკემბრის ს/ს „...“ აქციონერთა კრების ოქმი, კერძოდ, კრების მიმდინარეობისას იხილებოდა ს/ს წესდების მიღებისა და მეთვალყურეთა საბჭოს წევრთა არჩევნების საკითხი. აღნიშნულ კრებას არ ესწრებოდა ნოტარიუსი, თუმცა ოქმში მიეთითა, რომ კრების მიმდინარეობას ოქმში ასახავდა სახელმწიფო ნოტარიუსი, მაგრამ ოქმზე არ არის მისი ხელმოწერა. ასევე ამ ოქმის მე-2 გვერდის უკანა მხარეს დასმულია ნოტარიუსის ბეჭდები და შტამპი, სადაც მითითებულია, რომ ნოტარიუსმა დაამოწმა ხელმოწერის სინამდვილე და არა – კრების მიმდინარეობა, ისიც 1998 წლის 9 თებერვალს – კრების ჩატარებიდან ორი თვის შემდეგ. სინამდვილეში ამ კრების მიმდინარეობას ოქმში ასახავდა კრების მდივანი მ. მ-ა და არა – ნოტარიუსი.

6. მოცემულ ოქმში ასევე აღნიშნულია, რომ კრებას ესწრებოდა საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს სახელმწიფო წარმომადგენელი ს/ს „...“ მეთვალყურეთა საბჭოში ა. ხ-ა, რომელიც ამ დროს არ იყო სახელმწიფოს წარმომადგენელი, ვინაიდან ზუგდიდის ქონების მართვის სამმართველოს მასთან ხელშეკრულება გაფორმებული აქვს 1997 წლის 30 დეკემბერს და ეს დოკუმენტი ოფიციალურად სამინისტროში რეგისტრირებულია 1998 წლის 24 ივლისს, რის გამოც მისი მონაწილეობა იყო უკანონო. უფრო მეტიც, იგი ამავე დროს არჩეულ იქნა სამეთვალყურეთა საბჭოს წევრად და საპრივატიზაციო კომისიაში შეიყვანეს ი. ა-ას 1997 წლის 11 აპრილის ბრძანებით, მაგრამ ა. ხ-ა 1997 წლის 23 ივნისს პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა „...“, რის გამოც მას არ ჰქონდა აფასებაში მონაწილეობის მიღებისა და შეფასების აქტებზე ხელმოწერის უფლება. ამ ყალბი დოკუმენტის მიხედვით, უკანონოდ არჩეული სამეთვალყურეთა საბჭოს წევრებმა 1997 წლის 29 დეკემბერს ს/ს „...“ გენერალურ დირექტორად ასევე უკანონოდ აირჩიეს ი. ა-ა, ხოლო მეთვალყურეთა საბჭოს თავმჯდომარედ – გ. ჯ-ა, რითიც ისინი გახდნენ ხელმძღვანელი პირები და შეეძლოთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება ორგანიზაციის მართვისა და ქონების განკარგვისათვის.

7. ზემოაღნიშნული ყალბი დოკუმენტებისა და კანონის უხე-

ში დარღვევით შედგენილი მასალების საფუძველზე 1998 წლის 16 თებერვალს ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ დაარეგისტრირა საწარმო, რითიც დაირღვა საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, რომლის მიხედვით, სახაზინო საწარმო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით განსხვავდება სხვა ტიპის სახელმწიფო საწარმოებისაგან, რადგან ასეთი საწარმო შეადგენს სამეწარმეო მიზნებისათვის განკუთვნილ სახელმწიფო ან მმართველობის ადგილობრივი ორგანოების განცალკევებულ ქონებას. ამასთან, იგი არის იურიდიული პირი, ურთიერთობებში გამოდის საკუთარი სახელწოდებით და მისი რეორგანიზაცია შეზღუდული პასუხისმგებლობის ან სააქციო საზოგადოებად შეიძლება სახელმწიფო ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებით, რაც ასევე გათვალისწინებული იყო თვით სახაზინო საწარმო „...“ წესდებით (მე-8 კარი, 8.4 პუნქტი). ასევე დაირღვა ამავე კანონის მოთხოვნები აქციონერთა საერთო კრების ჩატარების წესის შესახებ.

8. ქონების მართვის სამმართველომ 1998 წლის 10 მარტს აღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე გაგზავნა ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში, რის შემდეგ, მასზე დაყრდნობით, იმავე წელს 22200 აქცია სახელმწიფომ უსასყიდლოდ გასცა „...“. ეს აქციები უნდა მიეღო 148 თანამშრომელს (აქციონერს), თითოეულს – 150 ცალი, 1 ლარის ნომინალური ღირებულებით, ხოლო დანარჩენი აქციები გაიტანეს სპეციალიზებულ აუქციონზე 1 ლარის ნომინალური ღირებულებით. აუქციონის შედეგების შემაჯამებელი ოქმის მიხედვით, აქციების არც ერთი პროცენტი არ გაყიდულა, რის შემდეგაც სამინისტროს ბრძანებით 1998 წლის 17 ივლისიდან 17 აგვისტოს ჩათვლით მოცემული აქციები გაიტანეს სპეციალიზებულ აუქციონზე ნომინალურ ღირებულებასთან 50%-ის ფასდაკლებით, სადაც, როგორც აუქციონის შედეგების შემაჯამებელი ოქმიდან ჩანს, არც ერთი პროცენტი არ გაყიდულა. ამის შემდეგ 1999 წლის 19 მარტიდან 19 აპრილის ჩათვლით კვლავ გაიტანეს მოცემული აქციები 50%-ის ფასდაკლებით, სადაც, აუქციონის შედეგების შემაჯამებელი ოქმის მიხედვით, შემოვიდა 50 ლარი აქციების შესაძენად და, შესაბამისად, გაიყიდა საწესდებო კაპიტალიდან 0,01387%. 1999 წლის 14 მაისიდან 14 ივნისის ჩათვლით კვლავ გაიტანეს აქციები სპეციალიზებულ აუქციონზე საწყისი გასაყიდი ფასის უკვე ნომინალური ღირებულების 25%-ის ოდენობით, მაგრამ, ოქმის თანახმად, ამჯერად აქციები არ გაყიდულა.

9. ყოველივე აღნიშნულის შემდეგ სამინისტრომ 1999 წლის

30 ივნისს ს/ს „...“ 403271 ცალი აქცია გაიტანა სპეციალიზებულ ფულად აუქციონზე ნულოვანი სანყისი ფასით. 1999 წლის 2 აგვისტოს ს/ს „...“ დირექტორმა ი. ა-ამ ბანკ „რესპუბლიკაში“ შეიტანა 5000 ლარი აქციების შესაძენად, რის სანაცვლოდაც მან მიიღო 374166 ცალი აქცია და ამ გზით მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა სახელმწიფო ქონებას, რაც, წინასწარი შეთანხმებისაშეშე, გაინაწილა გ. ჯ-ასთან ერთად; მან აქციების გარკვეული ნაწილი გაუნაწილა სხვა თანამშრომლებსაც. აღნიშნული ქმედებით სახელმწიფოს მიადგა 1029591,8 ლარის ზიანი. შემოაღნიშნული 5000 ლარი შეგროვდა იყო სანარმოში მომუშავე თანამშრომლებისაგან, თუმცა ი. ა-ამ და გ. ჯ-ამ რამდენიმე თანამშრომელს დადებული თანხის პროპორციულად არ გაუნაწილეს აქციები და თითოეულს გადასცეს 150 აქცია და განუცხადეს, რომ გაღებული თანხის საფასურად მხოლოდ აქციათა ეს რაოდენობა ეკუთვნოდათ, თუმცა აღნიშნული აქციები, საქმეში არსებული დოკუმენტების მიხედვით, მათ ეკუთვნოდათ უფასოდ, ვინაიდან ეს იყო სახელმწიფოს მიერ მათთვის, როგორც სანარმოში მომუშავე თანამშრომლებისათვის, უსასყიდლოდ გადაცემული აქციები. ამდენად, ი. ა-ამ და გ. ჯ-ამ თვითონვე გამოიყენეს საკუთარი ინტერესებისათვის შეგროვილი თანხა.

10. სახელმწიფო ქონების თაღლითურად დაუფლების შემდეგ, ვინაიდან სააქციო საზოგადოებაში იყო 100-ზე მეტი აქციონერი, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ხელშეკრულება უნდა დაედოთ დამოუკიდებელ რეგისტრატორთან, რომელიც აწარმოებდა აქციათა რეესტრს, აღრიცხავდა მათ მოძრაობის და სხვა პროცედურას. როგორც საქმეში არსებული მასალებით ირკვევა, ს/ს „...“ 1999 წელს დადო ხელშეკრულება შპს „...“ (შემდგომში – დამოუკიდებელი რეგისტრატორი), რომელსაც ევალებოდა „...“ აქციათა რეესტრის სისტემის მონესრიგება და წარმოება, აქციათა მოძრაობის აღრიცხვა და სხვა პროცედურები. მოცემული ხელშეკრულება შედგენილი იყო ორ ეგზემპლარად და წარმოადგენდა მხარეთა ურთიერთობის განმსაზღვრელ იურიდიულ საფუძველს. შემოაღნიშნული ხელშეკრულებები არ ყოფილა შედგენილი ორ თანაბარ ეგზემპლარად, ვინაიდან ს/ს „...“ მიერ წარმოადგენილ ხელშეკრულებაში არ არის მითითებული მისი დადებისა და ძალაში შესვლის თარიღი, ხოლო 2007 წლის 19 სექტემბერს საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორიდან ამოღებულ მე-2 ეგზემპლარის ქსეროასლზე არის ხელშეკრულების ნომერი და გაფორმების თარიღი, მაგრამ მასზეც არ არის ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღი. 2007 წლის 9 ოქტომბერს

საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორიდან დამატებით მოპოვებულ იქნა მათგან 2007 წლის 19 სექტემბერს ამოღებული ხელშეკრულების ქსეროასლის დედანი, რა დროსაც ხელშეკრულების ქსეროასლსა და დედანს შორისაც აღმოჩნდა სხვაობა, კერძოდ, მასში უკვე ჩანერილი იყო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღი – 1999 წლის 30 სექტემბერი, რაც ჩანერილია არა 1999 წელს, არამედ – 2007 წლის სექტემბერში შპს საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორის უფროსი სპეციალისტის – თ. ჯის მიერ.

11. მიუხედავად ამისა, ხარვეზებით შევსებული და გაყალბებული დოკუმენტების საფუძველზე უკანონოდ ჩამოყალიბებული სააქციო საზოგადოება ი. ა-ასა და გ. ჯ-ას ხელმძღვანელობით ეწეოდა სავაჭრო და სხვადასხვა სახის საქმიანობას და ასხვისებდა თაღლითურად მოპოვებულ ქონებას, კერძოდ, ი. ა-ამ გ. ჯ-ას დახმარებით, რომელიც ავსებდა დოკუმენტებს, ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით, გადაცემის განკარგულების თანახმად, აქციები გადასცა სხვადასხვა პირს, კერძოდ: ჯ. თ-ას, ზ. ნ-ას, ლ. შ-ას, გ. ჯ-ას – 38000-38000 ცალი; რ. გ-ას – 32000 ცალი; ი. ქ-ას – 10500 ცალი; ნ. გ-ას – 2000 ცალი; რ. ლ-ას – 3300 ცალი, რითიც მათზე გაასაღა წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთი დიდი ოდენობით, მაგრამ დანარჩენილი წილის გასაღება ვეღარ მოასწრო, ვინაიდან 2000 წლის 11 აპრილს ს/ს „...“ დირექტორი ი. ა-ა გარდაიცვალა. ამის შემდეგ აქციების გასხვისება გააგრძელა გ. ჯ-ამ, რომელმაც შეავსო აქციების გადაცემის განკარგულებები, რომლის მიხედვითაც, თითქოსდა ი. ა-ამ 2000 წლის 1 მაისს აქციები აჩუქა: ტ. ჩ-ას – 19150 ცალი; გ. ნ-ას – 19150 ცალი; ვ. ა-ას – 8560 ცალი; პ. ქ-ას – 38000 ცალი; გ. გ-ას – 8560 ცალი, თუმცა ამ განკარგულებებზე არ იყო ი. ა-ას ხელმოწერა, ვინაიდან ამ დროისათვის ის უკვე გარდაცვლილი იყო. გ. ჯ-ამ გააყალბა განკარგულებები და ამ გზით ზემოაღნიშნულ პირებს მიაღებინა აქციები. ი. ა-ას დარჩენილი აქციები მემკვიდრეობით ასევე მიიღო მისმა მეუღლემ – მ. ყ-მა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც არ ყოფილა დაცული აქციათა რეესტრის წარმოების შესახებ დებულების მოთხოვნები, რომლის მიხედვითაც, აქციებზე მემკვიდრეობით საკუთრების უფლებების გადაცემა ხდება ნოტარიუსის მიერ გაცემული მემკვიდრეობის უფლების დამადასტურებელი მოწმობის წარდგენის შემდეგ, რაც დადგენილი წესის თანახმად არ მომხდარა. ი. ა-ას გარდაცვალების შემდეგ, 2000 წლის 7 ივნისს, დირექტორის თანამდებობაზე დაი-

ნიშნა მისი შვილი – ა. ა-ა, რომლის მუშაობის პერიოდში, კერძოდ, 2001 წლის 2 აპრილს, გ. ჯ-ამ გააყალბა მეთვალყურეთა საბჭოს სხდომის ოქმი, რომლის მიხედვით, თითქოსდა მეთვალყურეთა საბჭოს წევრებმა ამავე რიცხვში ჩაატარეს სხდომა, სადაც გადანყვიტეს ქ. ზუგდიდში, თაბუკაშვილის ქ. №...ში არსებული მალაზიის ნაწილის სასარგებლო ფართის გასხვისება ნ. ა-აზე, რაც არ შეესაბამებოდა სინამდვილეს, ვინაიდან მეთვალყურეთა საბჭოს წევრები ასეთ სხდომას არ ესწრებოდნენ და არც არავისთვის მიუციათ ამაზე თანხმობა.

12. ამდენად, გ. ჯ-ამ მოცემულ საკითხზე ერთპიროვნულად მიიღო გადანყვიტელობა, რითიც დაარღვია საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“, რომლის თანახმად, ს/საზოგადოების ქონების გასხვისებაზე გადანყვიტეობას სჭირდება მეთვალყურეთა საბჭოს თანხმობა. ა. ა-ასთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, მოცემული ფართი 2001 წლის 27 სექტემბერს ნ. ა-ამ შეისყიდა 2100 ლარად. მსგავსი ხერხებით „...“ დოკუმენტების გაყალბებასა და სხვის ნაცვლად ხელმოწერების შესრულებას ჰქონდა სისტემატური ხასიათი. კერძოდ, გ. ჯ-ამ 2001 წლის 6 აპრილს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე ნ. ს-ას ს/ს „...“ დირექტორის სახელით გაუგზავნა განცხადება საზოგადოების წესდებამი ცვლილების შეტანის შესახებ, რომელშიც აღნიშნულია, რომ მოცემულ დოკუმენტს ხელს აწერს დირექტორი ა. ა-ა, სინამდვილეში კი ხელმოწერა ეკუთვნის გ. ჯ-ას. ასევე მან 2002 წლის 4 იანვარს ქ. ზუგდიდის მიწით სარგებლობისა და მინათმონყობის სამმართველოს უფროსს ა. კ-ას ს/ს „...“ დირექტორის სახელით გაუგზავნა წერილი ქ. ზუგდიდში, თაბუკაშვილის ქუჩის №...ში არსებული არასაცხოვრებელი ფართის ნაწილებად დაყოფის შესახებ, რომელშიც აღნიშნულია, რომ მოცემულ დოკუმენტს ხელს აწერს დირექტორი ა. ა-ა, სინამდვილეში კი ხელმოწერა ეკუთვნის გ. ჯ-ას.

13. 2002 წლის 4 მარტს ს/ს „...“ დირექტორის თანამდებობაზე ა. ა-ას ნაცვლად დაინიშნა დედამისი – მ. ყი-ა-ა, რომელიც იმ დროისათვის ფლობდა 72330 ცალ აქციას, ანუ კაპიტალის 17%-ს, ხოლო სამეთვალყურეთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ჯ-ა – 37300 ცალ აქციას, ანუ კაპიტალის 8,7%-ს.

14. 2006 წლის დეკემბერში გ. ჯ-ასათვის ცნობილი გახდა, რომ პროკურატურაში მიმდინარეობდა გამოძიება სახელმწიფო ქონების პრივატიზაციასთან დაკავშირებით და ხდებოდა ობიექტების ჩამორთმევა. გ. ჯ-ას გაუჩნდა შიში, რომ მასაც ჩამორთმევდნენ თავის დროზე თაღლითურად დაუფლებულ ქონებას, ამასთან, ს/ს „...“ ჰქონდა სახელმწიფოს ვალი, რომლის გა-

დახდასაც ვერ ახერხებდა უსახსრობის გამო, ამიტომ გადან-
ყვიტა ამ ქონების გაყიდვა. გ. ჯ-ა, ჰქონდა რა წინასწარი შეცნო-
ბით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის გასაღების
განზრახვა, დაუკავშირდა შპს „...“ წარმომადგენელ თ. ქ-ასა და
თ. ც-ას, რომლებსაც შეუთანხმდა, რომ გარკვეული თანხის სა-
ნაცვლოდ მათ გადასცემდა ს/საზოგადოების აქციებს და სხვა
აქციონერებსაც მათ სასარგებლოდ დაათმობინებდა აქციებს.
ამ შეთავაზების შემდეგ თ. ქ-ა და თ. ც-ა შეხვდნენ სხვა აქციო-
ნერებსაც. შეხვედრის დროს მათ შეატყობინეს, რომ პროკურა-
ტურაში მიმდინარეობდა წინასწარი გამოძიება და ეს ქონება თა-
ვის დროზე არასწორად და უკანონოდ იყო პრივატიზებული. აქ-
ციების შექენამდე თ. ქ-ა და თ. ც-ა საქმის გასარკვევად მივიდ-
ნენ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ზუგდიდის სა-
რეგისტრაციო სამსახურში, სადაც მათ განუცხადეს, რომ ამ ქო-
ნებასთან დაკავშირებით პროკურატურაში მიმდინარეობდა გა-
მოძიება, რის შემდეგ ისინი ასევე მივიდნენ ზუგდიდის სახელ-
მწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო-
ში, სადაც უთხრეს, რომ გაყიდული სახელმწიფო ქონების, მათ
შორის – „...“ დაკავშირებით – პროკურატურაში მიმდინარეობ-
და გამოძიება და თავის დროზე ეს ქონება არასწორად და უკა-
ნონოდ იყო პრივატიზებული. მიუხედავად ამისა, თ. ქ-ა და თ. ც-
ასთან ერთად ჰქონდა წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი
გზით მოპოვებული ნივთის – აქციების შექენის განზრახვა. აღ-
ნიშნულის შემდეგ გ. ჯ-ამ ზემოთ დასახელებულ პირებს 2006
წლის 26 დეკემბერს საბროკერო კომპანიის მეშვეობით გადას-
ცა თავისი კუთვნილი 37000 აქცია 112850 ლარად. ვინაიდან იგი
უშუალოდ ხელმძღვანელობდა და ორგანიზებას უკეთებდა ქო-
ნების გასხვისებას, სხვა აქციონერებისაგანაც ჰქონდა მინიჭე-
ბული რწმუნებები, რის საფუძველზეც მ. ყ-ის, ი. ქ-ასა და სხვა-
თა აქციებიც გადასცა თ. ქ-ასა და თ. ც-ას, რომლებიც გახდნენ
ს/ს „...“ აქციების 65%-ის მფლობელები, კერძოდ: შპს „...“, თ. ქ-
ა – 43,7%-ის, ხოლო თ. ც-ა – 22%-ის. ამის შემდეგ წინასწარი
განზრახვით, 2007 წლის 23 მარტს გ. ჯ-ას თავმჯდომარეობით
შედგა აქციონერთა საერთო კრება, სადაც გ. ჯ-ამ კრებას გააც-
ნო შპს „...“ და თ. ც-ას განცხადება. გ. ჯ-ამ განაცხადა, რომ ისინი
ფლობენ საერთო კაპიტალის 65,8%-ს (280000 ცალ აქციას)
და ითხოვენ საზოგადოების რეორგანიზაციას – ნატურით გა-
მოყოფას, კერძოდ: ქ. ზუგდიდში, გამსახურდიას ქ. №...-ში არ-
სებული სამსართულიანი კაპიტალური შენობის (უნივერსალ „...“)
გამოყოფას ცალკე ერთეულის სახით, რომლის საფუძველზეც
ისინი ჩამოაყალიბდნენ ახალ შეზღუდული პასუხისმგებლო-

ბის საზოგადოებას. აღნიშნულ მოთხოვნას მხარი დაუჭირეს გ. ჯ-ამ და დამსწრე აქციონერებმა, რითიც გ. ჯ-ამ საბოლოოდ მი-აღწია თალთითურად დაუფლებული სახელმწიფო ქონების დი-დი ოდენობით გასაღებას, ხოლო თ. ქ-ამ და თ. ც-ამ ერთად, წი-ნასწარი შეცნობით, შეიძინეს დანაშაულებრივი გზით მოპოვე-ბული ნივთი დიდი ოდენობით. ყოველივე ამის შემდეგ, წინასწა-რი შეთანხმებისამებრ, მათ რეორგანიზაციის შედეგად მიღე-ბული ქონების საფუძველზე დააფუძნეს შპს „...“, რომელიც სა-გადასახადო ინსპექციაში რეგისტრირებულია 2007 წლის 3 მა-ისს და წარმოადგენს ს/ს „...“ რეორგანიზაციის (ნატურით გამო-ყოფის) შედეგად გამოყოფილ საწარმოს, რომელიც სოლიდარუ-ლად აგებს პასუხს დარჩენილ, საწარმოს გამოყოფამდე არსე-ბულ ვალდებულებებზე. აღნიშნული ქმედებით თ. ქ-ა და თ. ც-ა მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლნენ დიდი ოდენობით სახელ-მწიფო ქონებას, ხოლო ამ გამოყოფით ს/ს „...“ კაპიტალი შემ-ცირდა 145471 ლარამდე.

15. ქ. ზუგდიდში, კოსტავას ქ. №..., ბინა №...ში მცხოვრები, გ. ჯ-ა 2007 წლის 12 ოქტომბერს მიეცა პასუხისგებაში საქართვე-ლოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათ-ვის და დააკავეს ბრალდებულის სახით. იმავე დღეს მას ზუგდი-დის რაიონული სასამართლოს ბრძანებით აღკვეთის ღონისძი-ებად შეეფარდა პატიმრობა. მასვე შემდგომში ბრალდების შევ-სების მიზნით წარედგინა ახალი ბრალდება საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნ-ქტებით და 186-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათ-ვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენისათვის. 2007 წლის 3 დე-კემბერს ბრალდებულ გ. ჯ-ას ადრე შერჩეული აღკვეთის ღო-ნისძიება შეეცვალა გირაოთი და გათავისუფლდა პატიმრობი-დან. 2008 წლის 29 იანვარს გ. ჯ-ას ბრალდების სისხლის სამარ-თლის საქმე საბრალდებო დასკვნით განსახილველად წარიმარ-თა სასამართლოში. მოცემულ საქმეზე გ. ჯ-ას ბრალდების მამ-ხილებელ და დამადასტურებელ მტკიცებულებად სხვა მტკი-ცებულებებთან ერთად წარმოდგენილი იყო მონაშენების – ლ. ნ-ასა და ი. შ-ას ჩვენებები. ბრალდებულის შვილმა ბ. ლ-ამ, დედის – გ. ჯ-ასათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის არიდების მიზნით, განიზრახა, მოსყიდვისა და იძულების გზით დაეყოლიებინა სისხლის სამართლის საქმეზე დაკითხული მონ-მე ლ. ნ-ა ცრუ ჩვენების მისაცემად. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ბ. ლ-ა გ. ჯ-ას პატიმრობაში ყოფნის პერიოდში, 2007 წლის 12 ოქტომბრისა და 3 დეკემბრის შუალედში, ზუსტი რიც-

ხვი დაუდგენელია, ზუგდიდში, „...“ შენობაში შეხვდა მონმე ლ. წ-ას, რომელსაც ზემოქმედების მოხდენის მიზნით დაემუქრა ძალადობით, კერძოდ – ციხეში ჩასმითა და განადგურებით. ამასთან, მოსთხოვა და აიძულებდა, დედამისის სასარგებლოდ შეეცვალა ადრე მიცემული ჩვენება და მიეცა ცრუ ჩვენება იმ მიზეზით, რომ, თითქოსდა გ. ჯ-ას საწინააღმდეგო ჩვენება პროკურატურაში იძულებით მიაცემინეს. სანაცვლოდ ლ. წ-ას დაჰპირდა შემდგომში პატივისცემასა და თავისი ხარჯით ადვოკატის აყვანას. მიუხედავად განხორციელებული უკანონო ზემოქმედებისა, ბ. ლ-ამ ვერ დაიყოლია მონმე ლ. წ-ა შეეცვალა ჩვენება და მიეცა ცრუ ჩვენება.

16. პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ გ. ჯ-ამ, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად, განიზრახა, მათზე ზემოქმედების განხორციელების გზით დაეყოლიებინა თავისი ბრალდების საქმეზე დაკითხული მონმეები – ლ. წ-ა და ი. შ-ა შეეცვალა ჩვენებები და მიეცათ ცრუ ჩვენებები.

17. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად გ. ჯ-ა დაუკავშირდა თავისი ბრალდების საქმეზე დაკითხულ მონმე ი. ქ-ას, რომელსაც გადასცა 2008 წლის 23 თებერვლის თარიღით პროკურორის სახელზე შედგენილი განცხადება, სადაც აღნიშნული იყო, რომ, თითქოსდა ლ. წ-ას გამოძიებამ გამოსძალა ცრუ ჩვენება, რომლის საფუძველზე წარედგინა ბრალდება გ. ჯ-ას, რომლის დაპატიმრების შემდეგ ლ. წ-ამ თითქოსდა აღიარა, რომ გამოძიებელმა აიძულა ცრუ ჩვენების მიცემა. გ. ჯ-ას ჩანაფიქრის მიხედვით, ი. ქ-ას განცხადება უნდა ეჩვენებინა ლ. წ-ასათვის და ეთქვა, რომ აპირებდა პროკურატურაში განცხადების შეტანას და ჩივილს. ამ გზით დააშინებდა და ზემოქმედებას მოახდენდა ლ. წ-ზე. ი. ქ-ა, გ. ჯ-ას მითითებისამებრ, 2008 წლის იანვარში, ზუსტი რიცხვი დაუდგენელია, ქ. ზუგდიდში შეხვდა ლ. წ-ას, რომელსაც აჩვენა განცხადება და გადასცა გ. ჯ-ას დანაბარები. მიუხედავად ამისა, მონმე ლ. წ-ამ ი. ქ-ას განუცხადა, რომ გამოძიებისათვის მიცემული ჩვენება იყო სწორი და მას არ შეცვლიდა.

18. გ. ჯ-ამ ვერ დაიყოლია მონმე ლ. წ-ა ჩვენების შეცვლასა და ცრუ ჩვენების მიცემაზე, ამიტომ სხვა ხერხებით შეეცადა მასზე გავლენის მოხდენას. კერძოდ, ბეჭდვით მედიაში – გაზეთებში ბ. ლ-ასთან ერთად პერიოდულად აქვეყნებდა სტატიებს, სადაც აღნიშნავდა, რომ გ. ჯ-ას დაპატიმრებას საფუძველად ედო მონმე ლ. წ-ას მიერ მიცემული ცრუ ჩვენება.

19. შემდგომში, 2008 წლის 8 თებერვალს, გ. ჯ-ა მობილური

ტელეფონით რამდენჯერმე დაუკავშირდა ასევე მის საქმეზე დაკითხულ ი. შ-ას და შეუთანხმდა შეხვედრაზე, რომლის დროსაც მიმართა, შეეცვალა მის მიერ წინასწარი გამოძიებისათვის მიცემული ჩვენება გ. ჯ-ას სასარგებლოდ და მიეცა ცრუ ჩვენება, ასევე – დახმარებოდა მის საქმესთან დაკავშირებით დოკუმენტების მოძიებაში.

20. 2004 წლის 25 მაისს გ. ჯ-ა საგადასახადო ინსპექციაში აიყვანეს აღრიცხვაზე გამამხდელად, როგორც ინდემნარმე და მიანიჭეს საიდენტიფიკაციო ნომერი ...-. სამენარმეო საქმიანობის დროს, 2006 წლის დასაწყისში, ინდემნარმე გ. ჯ-ამ შპს „...“ დაიქირავა ზუგდიდში, კოსტავას ქ. №...-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართი, რასთან დაკავშირებითაც ინდემნარმე გ. ჯ-ასა და შპს „...“ დირექტორ ა. გ-ას შორის 2006 წლის 3 იანვარს გაფორმდა ხელშეკრულება ერთი წლის ვადით ბინის ქირავნობის შესახებ. ხელშეკრულების მიხედვით, ქირავნობის თანხის ოდენობა განისაზღვრა 500 ლარით. ხელშეკრულება მხარეებმა დაამოწმეს თავიანთი ხელმოწერებითა და შპს „...“ ბეჭდით. იმ მიზნით, რომ ხარჯის გაზრდის გზით არასწორად აესახა დასაბეგრი ბრუნვა და დაემალა გადასახადები, გ. ჯ-ამ და ა. გ-ამ ინდემნარმის სახელით იმავე დღეს ერთსა და იმავე ფართზე განმეორებით გააფორმეს ყალბი ქირავნობის ხელშეკრულება, რომლითაც ქირავნობის თანხის ოდენობა განისაზღვრა ასევე 500 ლარით. ხელშეკრულება მხარეებმა დაამოწმეს თავიანთი ხელმოწერებითა და გ. ჯ-ას მხრიდან – ინდემნარმის ბეჭდით, ხოლო ა. გ-ას ხელშეკრულება ინდემნარმის ბეჭდით არ დაუმოწმებია, ვინაიდან იგი საგადასახადო ორგანოებში ინდემნარმედ არ იყო რეგისტრირებული და ამ ფორმით ვერ დადებდა ხელშეკრულებას.

21. ა. გ-ას გარდაცვალების შემდეგ შპს „...“ დირექტორად დაინიშნა მისი შვილი – პ. გ-ა. ქირავნობის ხელშეკრულების ვადის ამონურვის შემდეგ წარმოიშვა ხელშეკრულების გაგრძელების აუცილებლობა. გ. ჯ-ამ, იმისათვის, რომ შპს „...“ დახმარებოდა გადასახადის გადახდისაგან თავის არიდებაში, 2007 წლის 3 იანვარს შპს „...“ კუთვნილი ზემოაღნიშნული ფართის ქირავნობის შესახებ გააფორმა ყალბი ხელშეკრულება პ. გ-ას ოჯახთან მეგობრულ ურთიერთობაში მყოფ ნ. შ-ასთან, რომელსაც არ ჰქონდა არანაირი კანონიერი რწმუნება შპს „...“ კუთვნილ ქონებასთან დაკავშირებით ხელშეკრულების გაფორმებაზე; ამასთან, ნ. შ-ა საგადასახადო ორგანოებში ინდემნარმედ არ იყო რეგისტრირებული. ამ ყალბი ხელშეკრულების საფუძველზე შპს „...“, რომელიც ფართის გაქირავებით ფაქტობრივად იღებდა შემოსავალს,

არ ახდენდა ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას.

22. 2008 წლის 14 თებერვალს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ფოთის რეგიონალური ცენტრის თანამშრომლებმა ქ. ზუგდიდში დაინყეს ინდემნარმე გ. ჯ-ას საგადასახადო შემონმება. შემონმების პროცესში გ. ჯ-ამ იმ მიზნით, რომ არასწორად აესახა დასაბეგრი ბრუნვა და დაემალა გადასახადები, საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლებს სხვა დოკუმენტებთან ერთად წარუდგინა და ამ გზით გამოიყენა ყალბი დოკუმენტები: 2006 წლის 3 იანვარს არარსებულ ინდემნარმე ა. გ-ასთან გაფორმებული ხელშეკრულება ზუგდიდში, კოსტავას ქ. №...-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართის ქირავნობის შესახებ და არარსებულ ინდემნარმე ნ. შ-ასთან 2007 წლის 3 იანვარს გაფორმებული ხელშეკრულება იმავე ფართის ქირავნობის შესახებ.

23. 2008 წლის თებერვალში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ფოთის რეგიონალური ცენტრის თანამშრომლებმა ინდემნარმე გ. ჯ-ას საგადასახადო შემონმების პროცესში მის კუთვნილ სავაჭრო ჯიხურში აღმოაჩინეს 94 დასახელების ალურიცხავი საქონელი, მათ შორის – კერამიკული ჭურჭელი, რომელიც 2007 წლის 14 აპრილს თვითონვე შეიძინა თბილისში, ინდემნარმე მ. მ-ისაგან, მაგრამ, დასაბეგრი ბრუნვის არასწორად ასახვისა და გადასახადების დამალვის მიზნით, თანხის გადახდა საკასო-სალარო აპარატში დაფიქსირებული არ ყოფილა.

24. გ. ჯ-ამ საგადასახადო ინსპექციაში წარადგინა 495 ლარის ღირებულების კერამიკული ჭურჭლის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, კერძოდ, 2007 წლის 14 აპრილით დათარიღებული სასაქონლო ზედნადები, რომელსაც არ ერთვოდა ნაღდი ანგარიშსწორების საკასო-სალარო აპარატის ჩეკი. ვინაიდან ზედნადებში ყველა აუცილებელი რეკვიზიტი არ იყო სრულყოფილად ასახული და არ აკმაყოფილებდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნებს, საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლებმა არ მიიღეს იგი და გ. ჯ-ას მოსთხოვეს თანხის გადახდის დამადასტურებელი შესაბამისი ჩეკის წარმოდგენა, რაზეც გ. ჯ-ამ მათ განუცხადა, რომ საქონელი კონსიგნაციის წესით ჰქონდა შეძენილი და მოგვიანებით წარადგენდა თანხის გადახდის დამადასტურებელ საკასო-სალარო აპარატის ჩეკს. აღნიშნულის შემდეგ გ. ჯ-ამ, თავისი ინტერესების დასაცავად და მასთან აღმოჩენილი ალურიცხავი საქონლის ნაწილის – კერამიკული ნაწარმის – გამო დაჯარიმების თავიდან ასაცილებლად, განიზრახა საკასო-სალარო აპარატის ყალბი ჩე-

კის შექენა. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად 2008 წლის თებერვალში იგი დაუკავშირდა თბილისში თავის ნაცნობ ინდმე-წარმე მ. მ-ეს და სთხოვა 2008 წლის თებერვლის თარიღით მისთვის გადასაცემად ყალბი საკასო-სალარო აპარატის ჩეკის დამზადება იმის დასადასტურებლად, რომ, თითქოსდა ერთი წლის წინ კონსიგნაციის წესით ნაყიდი კერამიკული ჭურჭლის ღირებულება ამჟამად გადაიხადა. აღნიშნულზე მ. მ-ე დაეთანხმა და გ. ჯ-ას გადასცა 2008 წლის 21 თებერვლით დათარიღებული ყალბი ჩეკი, რომელიც გ. ჯ-ამ წარუდგინა მასთან შემონმებაზე მყოფ შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებს და ამ გზით გამოიყენა აღნიშნული ყალბი საანგარიშსწორებო ბარათი.

25. აღნიშნული ქმედებისათვის თ. ქ-ასა და თ. ც-ას საქართველოს სსკ-ის 186-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით განესაზღვრათ 5-5 წლით თავისუფლების აღკვეთა; გ. ჯ-ას საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიესაჯა 6 წლით, 186-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით – 3 წლით, 372-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 2 წლით, 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 1 წლით, 210-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა; საბოლოოდ გ. ჯ-ს განესაზღვრა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა; მასვე სასჯელის მოხდაში ჩაეთვალა დაკავებისა და წინასწარ პატიმრობაში ყოფნის დრო – 2007 წლის 12 ოქტომბრიდან 2007 წლის 3 დეკემბრის ჩათვლით, სულ – 1 თვე, 21 დღე და მოსახდელად დარჩა 13 წლით, 10 თვითა და 9 დღით თავისუფლების აღკვეთა. დაკმაყოფილდა შემცირებული სამოქალაქო სარჩელი და სამოქალაქო მოპასუხე გ. ჯ-ას სახელმწიფოს სასარგებლოდ დაეკისრა 428007.78 ლარის გადახდა.

26. დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის განყოფილების უფროს რ. ს-ასა და განსასჯელ ბ. ლ-ას შორის, რომლის თანახმად, ბ. ლ-ას საქართველოს სსკ-ის 372-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიესაჯა 3 წლით, ხოლო მე-19, 372-ე მუხლის მე-2 ნაწილით, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა; საბოლოოდ მას განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით, 5 წლის გამოსაცდელი ვადით; მასვე დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა – 2000 ლარი.

27. საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლისა და სსსკ-ის 124-ე მუხლის თანახმად, საქმეზე ნივთმტკიცებებად ცნობილი ს/ს „...“ და შპს „...“ ობიექტები, კერძოდ:

- შენობა-ნაგებობა, მდებარე ზუგდიდში, აღმაშენებლის ქუჩაზე, სექტორი – ..., კოდი ..., კვარტალი ..., ნაკვეთის №..., ფარ-

თობი 36კვ.მ. (ბულვარი-შადრევანი);

- შენობა-ნაგებობა, მდებარე ზუგდიდში, რუსთაველის ქუჩის №...-ში, სექტორი – ოდიში, კოდი ..., კვარტალი ..., ნაკვეთის №035 (14), ფართობი 1180კვ.მ. (ნილობრივად – 58,6);

- შენობა-ნაგებობა, მდებარე ზუგდიდში, რუსთაველის ქუჩის №...-ში, სექტორი – ..., კოდი ..., კვარტალი ..., ნაკვეთის №... (15), ფართობი 1180კვ.მ. (ნილობრივად – 17,3);

- შენობა-ნაგებობა და მიწის ნაკვეთი, მდებარე ზუგდიდში, ზ. გამსახურდიას გამზირის №...-ში, სექტორი – ..., კოდი ..., კვარტალი ..., ნაკვეთის №... (2), ფართობი 832კვ.მ. (შპს „...“, თ. ქ-ა, თ. ც-ა);

- შენობა-ნაგებობა, მდებარე ზუგდიდში, თაბუკაშვილის ქუჩის №...-ში, სექტორი – ..., კოდი ..., კვარტალი ..., ნაკვეთის №... (7), ფართობი 1285კვ.მ. (ნილობრივად – 55,2);

- შენობა-ნაგებობა, მდებარე ზუგდიდში, რუსთაველის ქუჩის №...-ში, სექტორი – -, კოდი ..., კვარტალი ..., ნაკვეთის №..., ფართობი 338.70კვ.მ.;

- შენობა-ნაგებობა, მდებარე ზუგდიდში, პუშკინის ქუჩაზე, სექტორი – ..., კოდი ..., კვარტალი ..., ნაკვეთის №..., ფართობი 622კვ.მ. (ლუდის ბარი საჯვაროში);

- შენობა-ნაგებობა, მდებარე ზუგდიდში, მარცხენა სანაპიროს ქუჩაზე, სექტორი – ..., კოდი ..., კვარტალი ..., ნაკვეთის №..., ფართობი 144.88კვ.მ.;

- შენობა-ნაგებობა, მდებარე ზუგდიდში, ნინოშვილის შესახვევში (მაღაზია №...), სექტორი – ..., კოდი ..., კვარტალი ..., ნაკვეთის №..., ფართობი 142.10კვ.მ.;

- შენობა-ნაგებობა, მდებარე ზუგდიდში, წერეთლის ქუჩის №...-ში, სექტორი – ..., კოდი ..., კვარტალი ..., ნაკვეთის №..., ფართობი 862.40კვ.მ.;

- შენობა-ნაგებობა, მდებარე ზუგდიდში, თეთრი გიორგის ქუჩაზე (მაღაზია №...), სექტორი – ..., კოდი ..., კვარტალი ..., ნაკვეთის №...-, ფართობი 39.60კვ.მ.;

- შენობა-ნაგებობა, მდებარე ზუგდიდში, აღმაშენებლის ქუჩის №...-ში (...), სექტორი – ..., კოდი ..., კვარტალი ..., ნაკვეთის №..., ფართობი 100.40კვ.მ.;

- შენობა-ნაგებობა, მდებარე ზუგდიდში, კრილოვის მე-2 შესახვევში, სექტორი – ..., კოდი ..., კვარტალი ..., ნაკვეთის №..., ფართობი 14700.00კვ.მ.;

- ს/ს „...“ საკუთრებაში არსებული სასადილო-მაღაზია №..., მდებარე ზუგდიდში, გ. გ-ას ქუჩაზე;

- ს/ს „...“ საკუთრებაში არსებული ჯიხური №..., მდებარე

ზუგდიდში, კ-ის ქუჩაზე;

- ს/ს „...“ საკუთრებაში არსებული ჯიხური №..., მდებარე

ზუგდიდში, მ-ის ქუჩაზე;

- ს/ს „...“ საკუთრებაში არსებული ჯიხური №..., მდებარე

ზუგდიდში, ქ-ს ქუჩაზე;

- ს/ს „...“ საკუთრებაში არსებული ავტომანქანა „კამაზი“,

გამოშვებული 1984 წელს, როგორც დანაშაულებრივი გზით მოპოვებული და დანაშაულის საგნები, ჩამოერთვათ უსასყიდლოდ და გადაეცა სახელმწიფოს საკუთრებაში.

28. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა – გ. ჯ-ამ, თ. ქ-ამ და თ. ც-ამ. მათ მოითხოვეს განაჩენის გაუქმება და გამართლება.

29. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 26 ივლისის განაჩენით გ. ჯ-ას „ამნისტიის შესახებ“ კანონის საფუძველზე გაუნახევრდა სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისთვის დანიშნული სასჯელი. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 14 ოქტომბრის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

30. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 8 დეკემბრის განჩინებით მსჯავრდებულ გ. ჯ-ას საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 26 ივლისის განაჩენზე არ იქნა დაშვებული განსახილველად.

31. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 18 იანვრის განჩინებებით „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე თ. ც-ა და თ. ქ-ა გათავისუფლდნენ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 14 ოქტომბრის განაჩენით დანიშნული სასჯელების მოხდისაგან.

32. საქართველოს სსკ-ის 523-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნათა დარღვევის გამო, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ხელახლა განიხილა მსჯავრდებულების – თ. ც-ასა და თ. ქ-ას სააპელაციო საჩივრები.

33. ქუთაისის სააპელაციო 2014 წლის 14 აპრილის განაჩენით თ. ქ-ა და თ. ც-ა გამართლდნენ საქართველოს სსკ-ის 186-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში; დავა ნივთიერ მტკიცებულებებზე (შენობა-ნაგებობა და მიწის ნაკვეთი, მდებარე ზუგდიდში, ზ. გამსახურდიას გამზ. №...-ში, სექტორი – ..., კოდი ..., კვარტალი ..., ნაკვეთი ... (2), ფართობი 832 კვ.მ.) მათი კუთვნილების გამო გადაწყდეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

34. კასატორები – გამართლებულები: თ. ქ-ა და თ. ც-ა და მათი ადვოკატი მ. ნ-ე საკასაციო საჩივრებით ითხოვენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 14 აპრილის განაჩენის გაუქმებას ნივთმტკიცებების ნაწილში და შპს „...“ უკანონოდ ჩამორთმეული და ნივთმტკიცებად ცნობილი შენობა-ნაგებობისა და მიწის ნაკვეთის, ქონების ჩამორთმევის პერიოდისათვის არსებული მონაცემებით: მდებარე ზუგდიდში, გამსახურდიას გამზ. №...-ში, ზონა – ..., სექტორი – ქ. ზუგდიდი, კვარტალი – ..., ნაკვეთის №..., კოდი №..., დაზუსტებული ფართობი – 797კვ.მ., ამჟამინდელი მონაცემებით: მდებარე ზუგდიდში, აის ქუჩაზე, სექტორი – ..., კოდი – ..., კვარტალი – ..., ნაკვეთის №... (2), ფართობი – 832კვ.მ. დაბრუნებას კანონიერი მფლობელებისათვის – თ. ქ-ასა და თ. ც-ასათვის.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის განყოფილების უფროსმა – რ. ს-ამ 2007 წლის 1 დეკემბერს გამოიტანა დადგენილება, რომლის თანახმად, სს „...“ რიცხული ქონება – ობიექტები და სხვა ნივთები, მათ შორის – ქ. ზუგდიდში, ზ. გამსახურდიას გამზირის №...-ში მდებარე უნივერსალ „...“ კაპიტალური შენობა ცნობილ იქნა ნივთმტკიცებად სისხლის სამართლის საქმეზე გ. ჯ-ას, ბ. ლ-ას, თ. ც-ასა და თ. ქ-ას მიმართ.

3. პროკურორმა რ. ს-ამ 2007 წლის 30 ნოემბრის დადგენილებით საქმეზე დაზარალებულად ცნო სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამსარეო სამმართველო.

4. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 14 ოქტომბრის განაჩენით სისხლის სამართლის საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი ქონება – შენობა-ნაგებობა და მიწის ნაკვეთი, მდებარე ზუგდიდში, ზ. გამსახურდიას გამზირის №...-ში, სექტორი – ..., კოდი – ..., კვარტალი – ..., ნაკვეთის №... (2), ფართობი – 832კვ.მ. -როგორც დანაშაულებრივი გზით მოპოვებული, მიექცა სახელმწიფო საკუთრებაში.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 26 ივლისის განაჩენით გ. ჯ-ას „ამინსტიის შესახებ“ კანონის საფუძველზე გაუნახვერდა სსკ-ის

362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის-თვის დანიშნული სასჯელი. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 14 ოქტომბრის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 8 დეკემბრის განჩინებით მსჯავრდებულ გ. ჯ-ას საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 26 ივლისის განაჩენზე არ იქნა დაშვებული განსახილველად.

7. 2013 წლის 8 ნოემბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას ლიკვიდირებული სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოს ნაცვლად დაზარალებულად ჩაერთო სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“.

8. სხდომაზე დაზარალებული ორგანიზაციის – სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“ წარმომადგენელმა მ. კ-ემ აღნიშნა, რომ სადავო ქონება დარეგისტრირდა რეესტრში 2009 წლის 18 დეკემბერს, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 14 ოქტომბრის განაჩენის საფუძველზე, როგორც დანაშაულებრივი გზით მოპოვებული. ამდენად, მას მიაჩნია, რომ რეგისტრაცია სწორია, დაცვის მხარის შუამდგომლობა ქონების თ. ც-ასა და თ. ქ-ასთვის დაბრუნების თაობაზე უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

9. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის შესაბამისად, ქონება იმ შემთხვევაში ექვემდებარება ჩამორთმევას, თუ იგი დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული. მართალია, მოცემულ შემთხვევაში თ. ქ-ა და თ. ც-ა გამართლდნენ მათთვის წარდგენილ ბრალდებაში, მაგრამ სასამართლო ამ ეტაპზე კანონისმიერად მოკლებულია შესაძლებლობას, დაუბრუნოს მათ ჩამორთმეული მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობა, ვინაიდან სისხლის სამართლის საქმეში არსებული, კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით დადგენილია, რომ სადავო ქონება გ. ჯ-ამ მოიპოვა თაღლითური გზით, ხოლო შემდეგ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონება ასევე უკანონოდ განკარგა თ. ც-სა და თ. ქ-აზე, რითიც ზიანი მიაყენა სახელმწიფოს, რის გამოც ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 14 ოქტომბრის განაჩენით აღნიშნული ქონება სრულიად კანონიერად დაუბრუნდა სახელმწიფოს. პალატას მიაჩნია, რომ ვინაიდან საქმე ეხება ერთსა და იმავე ქონებას, სადავოა ნივთმტკიცების კუთვნილების საკითხი, რის გამოც საქართველოს სსკ-ის 124-ე მუხლის მე-3 ნაწი-

ლის შესაბამისად, იგი უნდა გადაწყდეს სამოქალაქო სამართალ-
წარმოების წესით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის
561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. გამართლებულების – თ. ქ-ას, თ. ც-ასა და მათი ინტერესე-
ბის დამცველის, ადვოკატ მ. ნ-ის საკასაციო საჩივრები არ დაკ-
მაყოფილდეს.
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატის 2014 წლის 14 აპრილის განაჩენი დარჩეს უც-
ვლელად.
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სასჯელის საკითხის გადაწყვეტიასა
გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობის
მხედველობაში მიღების დაუშვებლობა**

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№322აპ-14

25 თებერვალი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ო-ის
ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. მ-ის საკასაციო საჩივა-
რი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 29 ივლი-
სის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 11 ივნისის განაჩენით გ. ო-ე ცნო-

ბილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2014 წლის 8 თებერვლიდან.

2. განაჩენის მიხედვით, გ. ო-ეს მსჯავრი დაედო სხვისი მოძრაობის ნივთის ფარულ დაუფლებაში მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

2014 წლის 3 თებერვალს ქ. თბილისში, მ-ის ქუჩის №...-ში გ. ო-ე მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა კ. ნ-ის კუთვნილ „DELL“-ის ფირმის კომპიუტერს, ე.წ. „ლექტოპს“, ღირებულს 1500 ლარად.

3. აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 29 ივლისის განაჩენით დარჩა უცვლელად.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 29 ივლისის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ გ. ო-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. მ-მა.

კასატორი ითხოვს სააპელაციო სასამართლოს განაჩენის შეცვლას სასჯელის ნაწილში, კერძოდ: სსკ-ის 63-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მსჯავრდებულისათვის დანიშნული მინიმალური სასჯელის პირობით მსჯავრდებულს ჩათვლას, ხოლო უარყოფით შემთხვევაში – ალტერნატივის სახით, სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელის ნაწილის პირობით მსჯავრდებულს ჩათვლას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს კასატორების მითითებაზე, რომ გ. ო-ე აღიარებს და იწინააღმდეგებს ჩადენილ დანაშაულს, აქვს ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა (ჰემოროიდული დაავადება, მე-4 ხარისხი), ასევე მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა – მისი ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, რის გამოც ითხოვს დანიშნული სასჯელის სრულად/ნაწილობრივ პირობითად ჩათვლას. აღნიშნულთან მიმართებით საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულს სწორედ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით შე-

უმსუბუქედა სასჯელი და განესაზღვრა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის სანქციით გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმი – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. რაც შეეხება დანიშნული სასჯელის მთლიანად ან ნაწილობრივ პირობით ჩათვლას, პალატას ეს მიზანშეუწონლად მიაჩნია, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ჩადენილი დანაშაულისა და მსჯავრდებულის პიროვნების ურთიერთმიმართების გათვალისწინებით, ვერ იქნება უზრუნველყოფილი სასჯელის მიზნები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 29 ივლისის განაჩენი გ. ო-ის მიმართ სასჯელის ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

3. ამასთან, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მსჯელობაზე, რომ სასჯელის დანიშვნის დროს სრულად გაითვალისწინეს მსჯავრდებულის პიროვნება, კერძოდ: გ. ო-ე წარსულში ორჯერ იყო ნასამართლევნი ქურდობისათვის, ხოლო სასჯელის სახით გამოყენებული იყო თავისუფლების აღკვეთა, რომელიც პირობით მსჯავრად ჰქონდა ჩათვლილი, თუმცა დღეის მდგომარეობით არსებული ნასამართლობა ამნისტიითა და შეწყალების აქტით გაქარწყლებულია. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ აღნიშნული მსჯელობა ეწინააღმდეგება საქართველოს სსკ-ის 79-ე მუხლის მე-6 ნაწილის მოთხოვნას, რომლის თანახმად, გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, აკრძალულია სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების (მათ შორის) – სასჯელის საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში იქნეს მიღებული გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა. შესაბამისად, დაუშვებელია მოსამართლემ რაიმე ფორმით განაჩენში ასახოს გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა, თუნდაც მსჯავრდებულის პიროვნებისა და წარსული ცხოვრების ზოგადად შეფასების კონტექსტში, ვინაიდან იგი სწორედ სასჯელის საკითხის შეფასებას უკავშირდება და აღნიშნულზე განაჩენში ხაზგასმა, თუნდაც ირიბად, სსკ-ის 79-ე მუხლის მე-6 ნაწილს ერთმნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება.

4. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 29 ივლისის განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ გ. ო-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. მ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 29 ივლისის განაჩენი გ. ო-ის მიმართ დარჩეს უცვლელად.

3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელის შემსუბუქება

განაჩენი

საქართველოს სასჯელით

№294აპ-14

6 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების – რ. ს-ის, რ. ს-ისა და ს. ლ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ. მ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 25 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. საჩხერის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 17 მარტის განაჩენით რ. ს-ე, –ნასამართლობის არმქონე, – და რ. ს-ე, –ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნენ დამნაშავეებად საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინეს ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუ-

ფის მიერ, სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

2. ამავე განაჩენით ს. ლ-ე, – ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინა დანაშაულის შეუტყობინებლობა.

3. განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ქიათურის რაიონის სოფელ ... მცხოვრები რ. ს-ე ძმასთან – რ. ს-ესთან ერთად 2013 წლის 17 ოქტომბერს, დაახლოებით 24 საათზე, ქ. ქიათურაში, დეკანოზიშვილების ქუჩიდან მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა ზ. ჭ-ის კუთვნილ „ვაზ-21213“ მარკის ავტომანქანას, სახ. ნომრით ...-, რითიც დაზარალებულს მიადგა 5000 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

4. ს. ლ-ისათვის ცნობილი გახდა რ. და რ. ს-ების მიერ აღნიშნული მძიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტი, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ ჰქონდა რეალური შესაძლებლობა, არ აცნობა სამართალდამცავ ორგანოებს მომხდარის შესახებ.

5. აღნიშნული ქმედებისათვის რ. ს-ეს მიესაჯა 4 წლითა და 9 თვით, რ. ს-ეს – 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ს. ლ-ეს – 4000 ლარი ჯარიმა, რაც სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით (2013 წლის 19 ოქტომბრიდან იმავე წლის 24 ოქტომბრის ჩათვლით), შეუმსუბუქდა და საბოლოოდ განესაზღვრა ჯარიმა – 3000 ლარი. გაუქმდა ს. ლ-ის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული გირაო; ყადაღა მოეხსნა თბილისში, მ. და გ. ს-ის თანასაკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ ბინას, რომლის საკადასტრო მონაცემებია: სარეგისტრაციო ზონა – თბილისი ..., სექტორი – საბურთალო ..., კვარტალი – ..., ნაკვეთი – ...-, კოდი – ...-, ნაკვეთის საკუთრების ტიპი – თანასაკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი – 10845 კვ.მეტრი, მისამართი: თბილისი, დიდი დილომი, მე...- მიკრორაიონი, მე... კორპუსი, მე-2 სადარბაზო, 1-ლი სართული, ფართი – 47.26 კვ. მეტრი.

6. მსჯავრდებულებს – რ. ს-ესა და რ. ს-ეს სასჯელის მოხდა დაეწყოთ 2013 წლის 19 ოქტომბრიდან.

7. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა. რ. ს-ე და ს. ლ-ე ითხოვენ განაჩენის გაუქმებას და გამართლებას, ხოლო რ. ს-ე – სასჯელის შემსუბუქებას.

8. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 25 ივნისის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

9. კასატორი – ადვოკატი თ. მ-ე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ საქმეში არ მოიპოვება უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც დადასტურდებოდა რ. ს-ისა და ს. ლ-ის მიერ დანაშაულის ჩადენა; წინასწარ გამოძიებაში მიცემული მათი ჩვენებები არის გამოძიების მხრიდან მათზე განხორციელებული ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგი.

10. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი თ. მ-ე ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 25 ივნისის განაჩენის გაუქმებას, რ. ს-ისა და ს. ლ-ის გამართლებას, ხოლო რ. ს-ისათვის – საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის ამორიცხვას და დანიშნული სასჯელის შემსუბუქებას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ მსჯავრდებულებმა – რ. ს-ემ, რ. ს-ემ და ს. ლ-ემ ნამდვილად ჩაიდინეს გასაჩივრებული განაჩენით მათთვის ბრალად შერაცხული ქმედებები. მათი ბრალეულობა დადასტურებულია მხარეთა შეთანხმებით უდავოდ მიჩნეულ შემდეგ მტკიცებულებათა ერთობლიობით: ბრალდებულების – რ. ს-ის, რ. ს-ისა და ს. ლ-ის, დაზარალებულ ზ. ჭ-ის, მონმე კ. ჩ-ის ჩვენებებით, დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნით, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმებითა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით.

3. საკასაციო პალატა არ იზიარებს დაცვის მხარის საჩივარში მითითებულ პოზიციას, რომ თითქოს მათ მიერ მიცემული ჩვენებები არის გამოძიების მხრიდან მათზე განხორციელებული ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგი, ვინაიდან ამის დამადასტურებელი მტკიცებულება არც დაცვის მხარეს წარმოუდგენია და არც საქმის მასალებში მოიპოვება.

4. ამასთან, საკასაციო პალატა საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის შესაბამისად, მხედველობაში იღებს რ. ს-ის, რ. ს-ისა და ს. ლ-ის მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათსა და სიმძიმეს, მათ წარსულ ცხოვრებას, მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას – მათი ოჯახები დარეგისტრირებული არიან სოციალურად დაუც-

ველთა ბაზაში და მიაჩნია, რომ სამართლიანი იქნება მათთვის დანიშნული სასჯელების შემსუბუქება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულების – რ. ს-ის, რ. ს-ისა და ს. ლ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 25 ივნისის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

3. მსჯავრდებულ რ. ს-ეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის სასჯელის სახით განესაზღვროს 4 წლით თავისუფლები აღკვეთა, რომლის მოხდაც აეთვალოს 2013 წლის 19 ოქტომბრიდან.

4. მსჯავრდებულ რ. ს-ეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის სასჯელის სახით განესაზღვროს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდაც აეთვალოს 2013 წლის 19 ოქტომბრიდან.

5. მსჯავრდებულ ს. ლ-ეს საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით სასჯელის სახით განესაზღვროს ჯარიმა – 3000 ლარი, რაც სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით, შეუმსუბუქდეს და საბოლოოდ სასჯელის სახით განესაზღვროს ჯარიმა – 2000 ლარი.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 25 ივნისის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

7. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

კერძო ნაწილი

განზრახ მკვლელობის მცდელობა

განაჩენი საქართველოს სასჯელსახლით

№399აპ-14

8 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ომხარელი (თავმჯდომარე),
პ. სილაგაძე,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ ა. ი-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ჯ-ა და მსჯავრდებულ ზ. კ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ჯ. კ-ს საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 17 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, ზ. კ-ს ბრალი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა განზრახ მკვლელობის მცდელობა, კერძოდ: მან 2013 წლის 19 სექტემბერს, დაახლოებით 01.10 საათზე, ქ. ქ-ი, ყ-ს ქუჩის № საცხოვრებელი სახლის მოპირდაპირე მხარეს, თანნაქონი მჩხვლეტავ-მჭრელი საგნის გამოყენებით, განზრახ მოკვლის მიზნით, გ. ჯ-ს მიაყენა სხეულის მრავლობითი ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობები, შემავალი მარცხენა პლევრის ღრუში. დაჭრილი გ. ჯ-ე განუული სამედიცინო დახმარების შედეგად სიკვდილს გადაარჩა;

2. იმავე ბრალდების შესახებ დადგენილებით ა. ი-ს ბრალი დაედო განზრახ მკვლელობის მცდელობაში, კერძოდ: 2013 წლის 19 სექტემბერს, დაახლოებით 01.10 საათზე, ქ. ქ-ი, ყ-ს ქუჩის № საცხოვრებელი სახლის მოპირდაპირე მხარეს, წინათ არსებული უთანხმოების ნიადაგზე, ა. ი-მ, თანნაქონი მჩხვლეტავ-მჭრელი საგნის გამოყენებით, განზრახ მოკვლის მიზნით, ზ. მ-ს მიაყენა გულმკერდის ღრუში შემავალი ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობა, ხოლო წელის არეში – ნაკვეთი ჭრილობა. დაჭრილი ზ. მ-ე განუული სამედიცინო დახმარების შედეგად სიკვდილს გადაარჩა.

3. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 20 ივნისის

განაჩენით:

ზ. კ-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 122-ე მუხლზე. ზ. კ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 122-ე მუხლით და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2013 წლის 4 ოქტომბრიდან.

4. ა. ი-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 122-ე მუხლზე. ა. ი-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 122-ე მუხლით და მიესაჯა 6 თვითა და 13 დღით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2013 წლის 7 დეკემბრიდან. მის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმდა და დანიშნული სასჯელის მოხდის გამო გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

5. საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი: სისხლის ნიმუშები და დანა უნდა განადგურდეს, გ. ჯ-ა და ზ. მ-ს ტანსაცმელი უნდა დაუბრუნდეს მესაკუთრეებს, ხოლო დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი ვიდეოჩანაწერი ერთ ცალ CD დისკზე უნდა დაერთოს საქმეს შენახვის ვადით.

6. მსჯავრდებულების – ა. ი-ა და ზ. კ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

ზ. კ-მ ჩაიდინა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით, კერძოდ: 2013 წლის 19 სექტემბერს, დაახლოებით 01.10 საათზე, ქ. ქ-ი, ყ-ს ქუჩის № საცხოვრებელი სახლის მოპირდაპირე მხარეს, ზ. კ-მ გადააცილა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს და თანაქონი მჩხვლეტავ-მჭრელი საგნის გამოყენებით გ. ჯ-ს მიაყენა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება – სხეულის მრავლობითი ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობები, შემავალი მარცხენა პლევრის ღრუში.

7. ა. ი-მ ჩაიდინა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით, კერძოდ: 2013 წლის 19 სექტემბერს, დაახლოებით 01.10 საათზე, ქ. ქ-ი, ყ-ს ქუჩის № საცხოვრებელი სახლის მოპირდაპირე მხარეს, ა. ი-მ გადააცილა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს და მჩხვლეტავ-მჭრელი საგნის გამოყენებით ზ. მ-ს მიაყენა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება – გულმკერდის ღრუში შემავალი ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობა, ხოლო წელის არეში – ნაკვეთი ჭრილობა.

8. აღნიშნულ განაჩენში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 17 სექტემბრის განაჩენით კვალიფიკაციისა და სასჯელის ნაწილში შევი-

და საუარესო ცვლილება, კერძოდ: ზ. კ-ა და ა. ი-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 122-ე მუხლიდან გადაკვალიფიცირდა 19,108-ე მუხლზე.

9. ზ. კ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლით და მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაენყო 2013 წლის 4 ოქტომბრიდან.

10. ა. ი-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლით და მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე სასჯელის ვადაში მოხდილად ჩაეთვალა დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის დრო – 2013 წლის 7 დეკემბრიდან 2014 წლის 20 ივნისის ჩათვლით, ანუ 6 თვე და 13 დღე. ა. ი-ს სასჯელის მოხდის ვადა უნდა აეთვალოს დაკავების დღიდან. მის მიმართ განაჩენის აღსრულება უნდა დაევალოს საქართველოს შსს აჭარის მთავარ სამმართველოს.

11. ნივთმტკიცებები: სისხლის ნიმუშები და დანა უნდა განადგურდეს, გ. ჯ-ა და ზ. მ-ს ტანსაცმელი უნდა დაუბრუნდეს მესაკუთრეებს, ხოლო დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი ვიდეორჩანაწერი ერთ ცალ CD დისკზე უნდა დაერთოს საქმეს მისი შენახვის ვადით.

12. მსჯავრდებულ ა. ი-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი დ. ჯ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 17 სექტემბრის განაჩენის გაუქმებასა და ა. ი-ს გამართლებას.

13. მსჯავრდებულ ზ. კ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი ჯ. კ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 17 სექტემბრის განაჩენში ცვლილების შეტანას და ზ. კ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 122-ე მუხლით.

14. საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულ ა. ი-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა დ. ჯ-მ ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები. მან მხარი დაუჭირა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლა მისი დაკმაყოფილება.

15. საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულ ზ. კ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ჯ. კ-მ ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები. მან მხარი დაუჭირა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლა მისი დაკმაყოფილება, რასაც დაეთანხმა მსჯავრდებული ზ. კ-ე.

16. საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორებმა – რ. შ-მ და ვ. თ-მ ვრცლად მიმოიხილეს საქმის მასალები და იშუამდგომლეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის

საქმეთა პალატის 2014 წლის 17 სექტემბრის განაჩენის უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ ა. ი-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ჯ-ა და მსჯავრდებულ ზ. კ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ჯ. კ-ს საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს არგუმენტებს ა. ი-ა და ზ. კ-ს მიერ ზ. მ-ა და გ. ჯ-ს განზრახ მკვლელობის მცდელობის თაობაზე და მიაჩნია, რომ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეულ, ურთიერთშეჯერებულ და საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობით დასტურდება ა. ი-ა და ზ. კ-ს ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა, რაც გამოიხატა იმაში, რომ 2013 წლის 19 სექტემბერს, დაახლოებით 01 საათზე, ქ. ქ-ი, ყ-ს ქუჩის № საცხოვრებელი სახლის მოპირდაპირედ, წინათ არსებული უთანხმოების ნიადაგზე, ურთიერთშელაპარაკებისას, ა. ი-მ, თანნაქონი დანის გამოყენებით, განზრახ მოკვლის მიზნით ზ. მ-ს გულმკერდის არეში მიაყენა შემავალი ჭრილობა, ხოლო ა. ი-ს თანმხლებმა ზ. კ-მ, თანნაქონი დანის გამოყენებით, განზრახ მოკვლის მიზნით ზ. მ-ს თანმხლებ გ. ჯ-ს მიაყენა გულმკერდის ღრუში ჭრილობები, კერძოდ:

3. პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხვისას მსჯავრდებულმა ა. ი-მ თავი არ ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში. მან უარყო ზ. მ-ა და გ. ჯ-ს ჩხუბში მონაწილეობა და ზ. მ-ს დანით დაჭრის ფაქტი. მისი ჩვენებით, 2013 წლის 19 სექტემბერს, ღამის პირველ საათზე, სახლში იყვნენ ის და ი. მ-ე. მათთან მივიდა ზ. კ-ე, სვამდნენ ყავას, შესასვლელის კარი იყო ღია. 10 წუთი იქნებოდა გასული ზ. კ-ს მისვლიდან, რომ შემოესმათ ხმა – ი-ო, გარეთ გამოდითო, იგინებოდნენ. ა-ი გავიდა გარეთ და იცნო მანქანა, იყვნენ მ-ე და ჯ-ე. იგი მობრუნდა კარიდან და შეაგინა მათ. ამ დროს გარეთ გავიდა ზ-ი, ა-ა უთხრა, არ გახვიდე გარეთ ჩემს გასალახად არიანო. ზ-მ უპასუხა, რომ ის აუხსნიდა ყველაფერს. ზ-მ მათ მიმართა, აქ ხალხი ცხოვრობს და რატომ იგინებთო. მას უთხრეს, შენ რაღა გინდაო და დაუნყეს ცემა. მას სცემდნენ მ-ე, ჯ-ე და კი-დეე ორი. ა-ა ყვავილის ქოთანს ისროლა ეზოდან გარეთ იმ დროს, როდესაც სცემდნენ ზ-ს. გარეთ გავიდნენ მამა, ბებია, დედა,

რომლებიც აშველებდნენ მათ. ბებიამ – მ. ი-მ მოჰკიდა მ-ს ხელი გამოსანევად, ზ-მ მოუქნია ხელი, დაარტყა თავში და მიახეთქა ბოძს. ამ დროს ზ-მ დაარტყა დანა ზ-ს და მობრუნდა, წავიდა ა-ნ. ა-ს განმარტებით, იგი ოთახიდან გამოვიდა გამოსასვლელთან, მთელი ჩხუბის განმავლობაში იყო ეზოში, გარეთ არ გასულა. ზ-ი გავიდა ჭიშკრის გარეთ.

4. მსჯავრდებულმა ზ. კ-მ თავი ნაწილობრივ ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში. მან არ უარყო გ. ჯ-ს დაჭრის ფაქტი, ასევე დაადასტურა ის გარემოება, რომ მან დაჭრა ზ. მ-ე. ზ. კ-მ მათი დაჭრის ფაქტი ახსნა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების დროს ჩადენილად და შესაბამისად, მოითხოვა მისი მოქმედების დაკვალიფიცირება ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებად აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით. მისი ჩვენებით, იგი არის ა. ი-ს მეგობარი, ზ. მ-ნ არ აქვს არანაირი ურთიერთობა, გ. ჯ-ს არ იცნობს. 2013 წლის 18 სექტემბერს, საღამოს, მივიდა ა-ნ, სახლში ისხდნენ და საუბრობდნენ. გვიანი იყო, როცა ა. ი-ს სახლიდან გამოვიდა და მიდიოდა თავის სახლში, ძალი უნდა მოეხსნა. მას ვინმეს ოჯახის მისამართით გინება არ გაუგია. გარეთ შეხვდა ზ. მ-ე, რომელიც მანქანიდან გადმოხტა, უმისამართო და უცენზურო სიტყვებით და გაურკვეველ ვითარებაში მას დაესია ყველა, ვინც მანქანაში იყო. თვითონაც ადგა და იმოქმედა. ა-ნ სახლში იყვნენ თვითონ და ა-ი. ა. არ გამოუცილებია, გამოვიდა მარტო. მანქანიდან გადმოხტა ოთხი პირი. იცნობდა მარტო ზ. მ-ს. ამოიღო დანა და იხმარა, თავს ხომ არ მოაკვლევინებდა. დაჭრილი ყოფილა ორი, თავადაც იყო გამწარებული. მას ა. ჩხუბის დროს არ დაუნახავს, თვალში ჰქონდა დაბნელებული, ჩხუბი გაგრძელდა 5-6 წუთი. მისი თქმით, როგორც მომენტი ნახა და წამოხტა, დანა დაარტყა, გაგჟეებული იყო. მერე წავიდა სოფელში დეიდასთან. მას მოუყვა, რომ იჩხუბა. დედას შეხვდა ერთი კვირის შემდეგ, მასაც უთხრა, რომ იჩხუბა და შემოეჭრა ხალხი. იგი იყო თ-ი და შეხვდა ა-ს ძმას, შეხვდა მეგობარს. იგივე უთხრა, რომ დაესივნენ და დანა დაარტყა. როცა გამომძიებელმა დაკითხა, მასაც იგივე უთხარა, დანა თან ჰქონდა, არ გადაუგდია და ამოუღეს. დანა მხოლოდ მან იხმარა. მანვე დაარტყა ორივეს, ოთხივე მას ეჩხუბებოდა და დაარტყამდა, აბა რას იზამდა. მას ჰქონდა მათი მოცილების განზრახვა.

5. დაზარალებულ ზ. მ-ს ჩვენებით, 2013 წლის 18 სექტემბერს მორიგეობის მერე მივიდა სახლში და დაიძინა. დაახლოებით 4 საათზე გაიღვიძა და 19 საათამდე სახლში იყო. ამ დროს დაურეკა გ. ჯ-მ და უთხრა, გამოგივლი და სადმე გავერთოთ.

20 საათზე მიაკითხა და წავიდნენ ქ-ს პარკში, ხიდთან და ითვე-ზავეს 23 საათამდე. მერე პარკში შეიარეს, სადაც შეხვდნენ მეგობრები – გ-ე და მ-ე, ისაუბრეს. ამ დროს შეხვდნენ კაფე-ბარ „ს-ს“ მფლობელები და უთხრეს რომ ჰქონდათ სეზონის ბოლო დღე და მიიპატიჟეს სადილად. მივიდნენ, დალიეს, გ-ს არ დაუღევია, იცეკვეს და წამოვიდნენ. მან და ჯ-მ დატოვეს ყველა სახლში და როცა სახლში მიდიოდნენ, ა-ს მხრიდან შეუხვიეს ყ-ე, ნელა მიდიოდნენ, ჯ. ი-ს სახლის წინ იდგა 4 პირი. მიუახლოვდნენ, ეს პირები იყვნენ – ა. ი-ე, დ-ი, ი-ი და კ-ე. ა. ი-მ დაიწყო გინება. ერთ-ერთმა მანქანას ესროლა ქოთანნი, მათ გაიარეს, გააჩერეს მანქანა და გადმოვიდნენ. მან უთხრა გ-ს, რომ გაარკვევდა სიტუაციას. ისინი უფრო აგრესიულები გახდნენ, დაიწყეს გინება და გადავიდნენ ფიზიკურ შეურაცხყოფაზე. მას ფიზიკურად გაუსწორდნენ ი. დ-ი და ა. ი-ე. ჯ-ე ნელ-ნელა დაშორდა 10 მეტრამდე, რამდენიმე წამში დაინახა, რომ ა. ი-მ ჯიბიდან ამოიღო დანა და დაარტყა ორჯერ ზურგში, იგრძნო ტკივილი, ვეღარ გააგრძელა წინააღმდეგობის განევა და დაეცა. ისინი მოშორდნენ და გაემართნენ ჯ-ს. მან დაინახა, თუ როგორ დაარტყა კ-მ დანა ზურგში ჯ-ს, შემდეგ დავარდა, ოთხივემ დაუწყო ცემა და უყვიროდნენ, რომ მოკვდი შენი დედაო... ამ დროს იქ მივიდნენ მისი მშობლები. როცა მამამ ნახა, მან უთხრა, რომ მიხმარებოდა გ-ს. ი-ი და დ-ი გაიქცნენ, ხოლო კ-ე და ი-ე შევარდნენ სახლში. იმ დროს იქ კარგად ახსოვს, რომ იყვნენ ა-ს მამა და ბებიან. მათ ეს კარგად ნახეს. ამის შემდეგ საავადმყოფოში წავიდნენ და არაფერი აღარ ახსოვს. ი-ი არიან მისი მეზობლები, მათთან ძალიან კარგი დამოკიდებულება ჰქონდა აგვისტომდე. მათ შორის ასაკში სხვაობა დიდია. 2009 წლის აგვისტოში დაიძაბა ურთიერთობა ა-ს. ამ თვეში დაურეკა თანამშრომელმა, მოდი დისკოთეკასთან, შენი მეზობელი ი-ე მთვრალია, ჩხუბობს და წაიყვანეო. როცა მივიდა, დაინახა ა. იგინებოდა აგრესიულად და ითხოვდა, რომ შეეშვათ ბარში. მივიდა და სთხოვა დაწყნარება, ა. გახდა აგრესიული და იძულებული გახდა დაერეკა მამისთვის, რომელიც მალე მოვიდა, ახლდა რ. უთხრა, რომ ა. წაეყვანათ, წაიყვანეს. მეორე დღეს მან გაიგო, რომ პარკში ი-ე აგრესიული იყო მის მიმართ, ამბობდა, რომ გალახა ზ. და ამიტომ გამოვჭრი ყელსო, შეუთვალა ჯ-ს პირით. მან არ მიაქცია ყურადღება. შემდეგ გავიდა ხანი და დაჭრამდე 4 დღით ადრე იყო სახლში და ა-ს ქუჩაზე წავიდა გაზეთებზე. როცა მიუახლოვდა ი-ს სახლს, იქ გაჩერებული იყო მანქანა, რომელიც ეკუთვნოდა ი-ს, დადგა მის წინ და უთხრა, ეხლა მიცანი შენი დედაო. დაარტყა, მოვიდა რ. და მანაც დაარტყა და ორივემ ავინა. იგი

მობრუნდა სახლში და უთხრა მეზობელს, რომ დაუკავშირდით ჯ-ს, ჩემთან მოვიდესო. საღამოს მივიდა ჯ. ი-ე, მოუხადა ბო-დიში და უთხრა, მე მაგათ ვერ ვაკავებ და მაპატიეო. მან უთ-ხრა, რომ ეს იყოს ბოლო, თორემ არ გაითვალისწინებდა არა-ფერს და მოიქცეოდა კანონის ფარგლებში.

6. დაზარალებულ გ. ჯ-ს ჩვენებით, 2013 წლის 18 სექტემ-ბერს იყო სახლში, საღამოს დაურეკა ზ. მ-ს და სთხოვა გასუ-ლიყვნენ ხიდზე და იგი დათანხმდა. მანქანით 20 საათზე წავიდ-ნენ სათევზაოდ. როცა უკან ბრუნდებოდნენ, კაფე „ს-ს“ მეპატ-რონებმა შეიპატიჟეს, ერთად ვისადილოთო. ისინიც დასთან-ხმდნენ და ივასშემეს. ზ. დალია არაყი, მან – არა და დაბრუნ-დნენ მისი მანქანით. როცა გადმოუხვიეს ა-ნ ყ-ე, ი-ს სახლთან იდგა 4 პირი – ი-ე, კ-ე, დ-ი და ი-ი. მათ ჩაუარეს ნელი სვლით, მათ გამოჩენაზე დაიწყეს გინება, იგი არ აპირებდა მანქანის გა-ჩერებას, ჩაუარა, მაგრამ მათ ისროლეს ქოთანნი, რის შემდეგაც გაჩერდნენ 9 ა-ს ქუჩის კვეთაზე. მ-მ უთხრა, ჩემი მეზობლები არიან და დაველაპარაკებო. როცა გადავიდა, არ დაალაპარა-კეს, მივარდა 4 პირი და დაუწყეს სიტყვიერი და ფიზიკური შეუ-რაცხყოფა. ამის შემდეგ თვითონაც გადავიდა. ზ-ნ დარჩნენ ი-ე და დ-ი, ხოლო მისკენ წამოვიდნენ კ-ე და ი-ი. მან დაიწია უკან 10 მეტრით. ჩხუბის დროს დაინახა, თუ როგორ მოუქნია რამ-დენჯერმე დანა ი-მ მ-ს ზურგის არეში. ამის შემდეგ ზ. დაეცა, ხოლო ი-ე და დ-ი გაემართნენ მისკენ. მაგრამ სანამ მასთან მი-ვიდოდნენ, კ-მ 3-ჯერ დაარტყა ორივე მხარეს ბეჭებში დანა და ერთხელ – მარცხენა ფეხის არეში – დუნდულოში. აღნიშნული დანა მან ამოიღო შარვლის ჯიბიდან, გაშალა, დანას ჰქონდა ვერ-ცხლისფერი პირი. ამის შემდეგ იგი დაეცა, არ ახსოვს, როდის მივიდნენ მ-ს მშობლები. ი-ს სახლიდან მარტო გამოვიდა ჯ. ი-ე. იგი რომ გამოვიდა სახლიდან, უკვე დამთავრებული იყო ყველა-ფერი. პროცესი გრძელდებოდა დაახლოებით 5-ნ წუთი. იქ არ შეგროვებულა არავინ – არც მეზობელი და არც სხვა პირი. იქ არ შეუმჩნევია არც რ. ი-ე, მხოლოდ გამოვიდა ჯ. ი-ე, ნასვამი და გაკვირვებული იყურებოდა, თუ რა მოხდა და ამის შემდეგ და-კარგა გონება. აღარ ახსოვს, ვინ გადაიყვანა საავადმყოფოში. როცა მიიყვანეს, გადასხმის შემდეგ, აზრზე რომ მოვიდა, რე-გისტრატურაში ჰკითხეს, რა მოხდაო. მან უპასუხა, რომ დაჭ-რეს ი-ა, რადგან კონფლიქტი ჰქონდათ ი-ნ. მას რ. ი-ე შემთხვე-ვის ადგილზე არ შეუმჩნევია.

7. მოწმე მ. მ-ს ჩვენებით, ზ-ს და ა-ს თავიდან ჰქონდათ ძა-ლიან კარგი დამოკიდებულება. როცა ა. ი-ს ყვირილის ხმა შემო-ესმა, იგი გაიქცა, დახვდა ა. დაჭრილი, მარცხენა ტროტუარზე

იყო მიყუდებული რაფს და უთხრა, თუ ვინ და როგორ დაჭრა. მას ღონე ეცლებოდა. ა-ს სახელი უთხრა, ღობეს მოკიდა ხელი და ჩაიკეცა ძირს. მან არ იცის, ვინ იყო იქით ტროტუარზე მოკუნტული, რომელსაც სცემდა 4-5 ბიჭი და იძახდნენ, შენ კიდევ ხმას იღებო. იქ იყო ა., რომელიც გაიქცა ი-ს სახლისკენ, მ-ც გაეკიდა. გაიქცა 2 პიროვნება, მას ეგონა მეორე ძმაც იყო, გამოეკიდა. გადაუდგა ჯ. ი-ე, რომელმაც შეუშალა ხელი და მისცა შვილს გაქცევის საშუალება. მისი შვილი იყო დაჭრილი. აღელვებისგან გამომძიებელს თავიდან უთხრა, რომ იყო ორივე ძმა. ზ-მ ა-ე უთხრა, დამჭრესო.

8. მოწმე თ. მ-ს ჩვენებით, 14 სექტემბერს, დღის 2 საათზე, გავიდა ზ. და ჩაუარა მეზობელ ი-ს სახლს, რომლის წინაც იდგა ი-ს მანქანა და შიგ მჯდომმა ა. ი-მ უთხრა, მიცანი ბიჭო და თვალში დაარტყა. იგივე გააკეთა მისმა ძმამ – რ-მ. სახლში დაბრუნდა ზ. და ჰკითხა, რა გჭირსო და უთხრა, რაც მოხდა. აქედან იწყება ყველაფერი. იგი წავიდა იმათ საძებნელად, მაგრამ არ იყვნენ არსად, დაბრუნდა სახლში და მოაკითხა ჯ. ი-მ. მან ჭიშკრიდან დაიწყო ბოდიშის მოხდა, მაგათ მე ვერ ვთოკავო. ამის შემდეგ 18 სექტემბერს სახლში იყო და ა. ი-ე მისი შვილის მისამართით იძახდა, ვის უნდა შეურიგდე ბიჭოო. ა. ი-ს ყვირილზე გავიდნენ გარეთ ის და მისი ცოლი. მისვლისას ხედავს, რომ 4 ახალგაზრდა ურტყამს წიხლებს ძირს დაგდებულ კაცს. როცა მივიდა, სახლის გზაზე გადაელობა ჯ. და ყვიროდა, რას მიშვრებიო. ი-ს სახლის მოპირდაპირე მხარეს ეგდო ზ. და უთხრა, დამჭრეს მა-მიკოო. მან მიიღო შოკი. ზ-მ უთხრა, იმას მიხედეთ. ცოლის კივილზე ყველა გაცვივდა. გაეკიდა ბიჭებს, მაგრამ მერე არ გაუშვა დ-ს ბიჭმა, არ წახვიდე დაგჭრიანო. მობრუნდნენ, ჩასვეს მანქანაში დაჭრილი და წავიდნენ. ზ-მ უთხრა მას საავადმყოფოში, რომ დაჭრა ა. ი-მ, მეორე დღეს გ-მ უთხრა, კ-მ დამჭრაო. მან არ იცის, რა უთანხმოება ჰქონდათ ზ-ს და ი-ს 14 სექტემბრამდე.

9. მოწმე ჯ. ი-ს ჩვენებით, ზ. მ-ნ ჰქონდათ მეზობლური ურთიერთობა ინციდენტამდე, კერძოდ, ბარიდან გამოდიოდა ა-ი შეყვარებულთან ერთად. გამოსვლის დროს, როგორც მისგან იცის, ზ-მ მიაყენა შეურაცხყოფა. მათ მოუვიდათ ჩხუბი და გალახეს ა. ამის მერე დაიძაბა მათ შორის ურთიერთობა. ზ. ეძებდა საბაბს, რომ შეურაცხყოფა მიეყენებინა ა-ს იმიტომ, რომ ა-მ უთხრა – ადრე „პლანს“ ყიდდი და ეხლა პოლიციელი ხარო. ჯ. ი-ს ჩვენებით, 14 სექტემბერს იყო სამუშაოზე, როცა მეზობელმა ბიჭებმა მიაკითხეს და უთხრეს, რომ ა-მ ზ-ს ხელი დაარტყა და მიხედეთ. პირდაპირ მივიდა მ-ნ სახლში. იქ იყვნენ ზ. მ-ე და მისი მამა. მან უთხრა თ-ს და ზ-ს გიხდით ბოდიშსო, ვინაიდან

პოლიციელია და არ უნდოდა საქმის გამწვავება. 18 სექტემბერს იყო სახლში დასასვენებლად, მოესმა გინების ხმა ოჯახის მისამართით, ა. გამოდი გარეთო. წამოხტა და ნახა მანქანაში მჯდომებს მიმართეს, რა გაღრიალებთო. მანქანიდან გადმოხტა 4 პირი, რომლებმაც კ-ე სცემეს ფეხებით. ეზოში რომ ჩავიდა, ა. იყო ქვევით, ჰკითხა, რა ხდებოდა და ა-მ უპასუხა – ნახე, რა ქნაო. მან დაინახა, რომ ჯ-ს ხელი ჰქონდა ანეული და მირბოდა მანქანისკენ. კ-ს ცემის დროს ქოთანი ესროლა ა-მ. ა-ს ბებიაც დავარდა და შუბლი აქვს გახეთქილი. ა-ს დედაც მივიდა. ჯ. ეცა ზ-ს და აღარ უშვებდა. ჭიშკარში შემოვარდა ვიღაც და ფეხი მოუქნია, დაინახა ჭიშკრის წინ ზ-ს მამა. გაალო ჭიშკარი, ეცა მას და უთხრა, რას მიკეთებთო. გაიგო, ვიღაცამ თქვა ზ-ა დაჭრილიო. ამან ძალიან იმოქმედა მასზე და მობრუნდა. შევიდა ეზოში. ა. იყო სახლში, არც სურვილი ჰქონდა გარეთ გასულიყო, იცოდა, რომ დაჭერას უპირებდნენ. ა-ს ძმაც გაიქცა თ-ი ადრე, იცოდა მასაც დაიჭერდნენ. კ-ე იყო მასთან ეზოში. ი-ი არ იყო, არც დ-ი. სახლში იყო ი. მ-ე, რომელიც მათთან ღამეს ათევდა. კ-ე და ი-ე ყვირილის ხმაზე გავიდნენ გარეთ. კ-მ უთხრა, რას იგინებითო. 4 პირი სცემდა კ-ს. ჯ-მ არ იცის, როდის მოხდა დაჭრა. ნახა, მირბოდა დაჭრილი ჯ-ე. მან არ იცის, ვინ დაჭრა ეს პირები, ეგ მომენტში არ უნახავს. იცის, რომ კ-მ თქვა, ორი პოლიციელი დავ-ჭერიო.

10. მოწმე ლ. ბ-ს ჩვენებით, იგი არის ა. ი-ს დედა. საღამოს იყო სახლში, დასაწოლად ასული. ქუჩაში მოესმა გინების ხმა მისი ოჯახისა და შვილების მისამართით. ქმარი წამოხტა და გაიქცა საცვლების ამარა, ფანჯარაში იცნო მეზობელი ზ. მ-ე, ხმაური ესმოდა პირველი სართულიდან – ა. ეუბნებოდა კ-ს, არ გახვიდე გარეთ ჩემს დასაჭერად არიან მოსულიო. კ-ე 15 წუთის მოსული იყო ალბათ, გავარდა გარეთ, დაიწყო მისი ცემა ოთხმა კაცმა. მან ა-ს დაუძახა, არ გახვიდე გარეთო. ამ დროს საერთო ჭიშკრიდან შემოვიდა მეზობელი გ. ბ-ე, შეიყვანა ა. ოთახში და არ უშვებდა. იქ ისეთი სურათი იყო, თითქოს მათ ოჯახზე იყო თავდასხმა, ცდილობდა ჭიშკრები დაეკავებინა მომხვედურებისაგან. დიდ ჭიშკარს თვითონ აკავებდა, ხოლო პატარა ჭიშკართან იდგა მისი მეუღლე – ჯ. ი-ე. დედამთილმა დაიწყო ზ-ს შეჩერება, ამ დროს ვიღაც მობრუნდა, ხელი დაარტყა შუბლზე და წააქცია. თავად ჯერ ეზოში იყო და არ უშვებდნენ ამ მომხვედურებს. ჯ-ე დაინახა, მირბოდა, ზ-ც მოსცილდა კ-ს, კ-ე გაეკიდა ჯ-ს, ჯ-ე წაიქცა, არ იცის სიმთვრალით თუ ფეხი წამოკრა რამეს, კ-ე დაენია, ჯ-ს დანა დაარტყა და მან დაიძახა, ვაი, დამჭრესო. ისინი დაჭრა ზ. კ-მ, ა. გარეთ არ გასულა. ჯერ დაიჭრა ჯ-

ე და გაიქცა მანქანისკენ, დანა დაინახა, ზ-ს რომ დაარტყა. ისინი გვერდიგვერდ იდგნენ, როცა დაჭრეს. ამ დროს ზ. იყო მის ჭიშკართან ახლოს და ცდილობდა ეზოში შემოსვლას, რა დროსაც დაარტყა კ-მ დანა, ასევე გაახსენდა ის ფაქტი, რომ ჯ-ს დაჭრის შემდეგ ერთმა მეზობელმა გამოათრია კ-ე, დანა იყო ვერცხლისფერი, ბრუნავდა, მ-ე რომ დაიჭრა, არ უგრძვნია, მე-რე მოიკიდა თვალზე ხელი, ცუდად ვარო. მათ სახლში ზ. კ-ე მივიდა ღამის 12.20 საათზე დაახლოებით. დაჭრამდე რამდენიმე დღით ადრე ა-ს ჰქონდა დაპირისპირება ზ-ნ მთელი აგვისტო. ზ. მ-მ ა-ს შესთავაზა, გ-ს წამალი ჩავუდოთ და დამეხმარეო. ა. გაბრაზდა, რას კადრულობ, შენ თვითონ ეგეთი იყავიო. ამის მერე გადაეკიდა ა-ს. ზ. სულ შეურაცხყოფას აყენებდა ა-ს, რასაც მოუყვა მისი დამსვენებელი, რომელიც შეესწრო. ა. იძახდა, კ-მ დამღუპა, ზ-ს ისე დავეჭირე თუ ჩემი დაჭერა უნდოდაო. მათ ისაუბრეს კ-ს დედასთან, კ-ე იყო ძალიან ნაცემი, სულ სისხლიანი. ლ-მ შესთავაზა ჟ-ს, წაიყვანე შვილი რენტგენზეო და ასე უთხრა, რად მინდა, მე ისეთი პატრონი მყავს, შენ უპატრონო არ გეგონოო. მერე კ-ს ოჯახიც იყო მათთან. რა ვქნათო, ჰკითხეს. ლ-მ უთხრა, რას გადიოდა გარეთო, მაშინ რ. ჯ-ნ წავალთო. მ-ს მამა იდგა ქვით ხელში და უყურებდა, იცის ვინ დაჭრა მისი შვილი. კ-ე გარეთ რომ გავიდა, ზ-მ ფეხი დაარტყა და ის წაიქცა, სასტიკად სცემდნენ ფეხებით ძირს დაგდეზულს. მან დანა რომ იხმარა ზ-ს მიმართ, ამ დროს სცემდნენ.

11. მოწმე მ. ი-ს ჩვენებით, 2013 წლის 18 სექტემბერს, ღამით ის დანვა დასაძინებლად. ამ დროს მოესმა გარედან ყვირილი – ი-ო, გამოდით გარეთო. ფანჯრიდან დაინახა, რომ ქუჩაში დავარდნილ კაცს კლავდნენ. ის გამოვარდა სახლიდან და გაიქცა მათკენ. ვილაცას მოქაჩა, მობრუნებული პირი აღმოჩნდა ზ. მ-ე. ზ-ა მას მოარტყა სახეში, რის გამოც თავი მიარტყა ბოძს. ამ დროს ვილაცა ქალი მივიდა მასთან, წამოაყენა და შეიყვანა ეზოში. მისი შვილიშვილი ა-ი არ გასულა გარეთ. როცა ის ეზოში შეიყვანეს, იქ დახვდნენ რძალი ლ, მ. და ა. ლ. უყვიროდა ა-ს, ასულიყო ზევით დასამალად.

12. მოწმე ნ. ბ-ს ჩვენებით, ის არის ა. ი-ს მეზობელი. ზ. მ-ს ოჯახთან აქვს ნორმალური ურთიერთობა, ეკუთვნის ნათესავად. იმ დღეს გარეთ გასულს დაჭრილები წაყვანილი დახვდნენ საავადმყოფოში. რომ მივიდა, ა. ეკავა ხელით დედას, ნახა ბეზია, რომელსაც თავი ჰქონდა გატეხილი, ა. ნერვიულობდა, კანკალებდა, რომ დამღუპესო. ნ. ბ-ს უთხრეს, რომ ა. იყო სახლში, არ გასულა გარეთ დაჭრის დროს. ნ. ბ-ე წავიდა საავადმყოფოში მ-ნ, ნახა მ. და დაუდგა გვერდით. მ. იძახდა, ძმებმა ი-ა დაჭრეს

ჩემი შვილიო, რაც ძალიან გაუკვირდა, ვინაიდან ერთი ძმა ი-ე იყო თ-ი. მ-მ თქვა, სულ ვეუბნებოდი დაანებე თავი, ი-ს ნუ დას-დევო. ნ. ბ-ე საავადმყოფოდან მივიდა ი-ნ და უთხარა ი-ს დე-დას, რომ შენს ორივე შვილს აჭერინებენო, ლ. გაგიჟდა და სთხო-ვა მისულიყო მ-ნ და ეთქვა, რომ მისი შვილი არ იყო დამნაშავე და თავი დაანებოსო.

13. მონმე რ. ც-ს ჩვენებით, 2013 წლის 19 სექტემბერს, ლა-მით იგი გააღვიძა ქუჩის მხრიდან შემოსულმა ხმაურმა. გარეთ გამოსულმა დაინახა, რომ მათი მეზობლის – ჯ. ი-ს სახლის წინ ზ. მ-ე თანმხლებ სამ, მისთვის უცხო პირთან ერთად სცემდა ახალგაზრდა მამაკაცს. იმ ახალგაზრდის დასახმარებლად სახ-ლიდან გამოვარდა ა. ი-ს ბებია – მ. ი-ე, რომელსაც ხელი ჰკრეს და ნააქციეს. ნაქცეულმა ბიჭმა, რომელსაც სცემდნენ, შეძლო ადგომა და დაიწყო ხელის ქნევა, რა დროსაც ხელში დაუნახა რალაც ბრჭყვიალა საგანი, სავარაუდოდ, დანა. ამ დროს ა. ი-ე იმყოფებოდა თავის საცხოვრებელ სახლში და მას ესმოდა ა. ი-ს მშობლების ხმა, ისინი არ უშვებდნენ ა-ს სახლიდან. მას ზ. მ-ს დაჭრის მომენტი არ დაუნახავს, იგი შევიდა სახლში მეუღლის დასაძახებლად, ხოლო როდესაც ქუჩაში ხელახლა გამოვიდა მე-უღლესთან ერთად, ნახა დაჭრილი ზ. მ-ე. მან ასევე დაინახა, რომ ყვავილის ქოთანის ისროლეს ი-ს ეზოდან, თუ ვინ ისროლა, არ იცის.

14. მონმის სახით დაკითხულ ექსპერტ ლ. უ-ს ჩვენებითა და მის მიერ გაცემული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნების თანახმად, ზ. მ-ს სხეულზე აღენიშნებოდა ზურგის არეში მარცხნივ მე-5 ნეკნთაშუა არეში ხერხემლიდან 3-4 სმ-ში ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობა სწორი კიდეებით, მახვილი კუთ-ხეები ზომებით 2,5x1სმ, ზომიერი სისხლდენით, ასეთივე ხასი-ათის და ზომის ჭრილობა წელის არეში მენჯის ძვლის ზემოთ 4-5 სმ-ში, ჭრილობა – ილიის უკანა ხაზის პროექციაში, ზომიე-რად სისხლმდენი. დიაგნოზი: ბასრი იარაღით მიყენებული შე-მავალი ჭრილობა გულმკერდის ღრუში მარცხნივ ფილტვის და ნეკნთაშუა არტერიის დაზიანებით, ჰემოთორაქსი, ტრავმულ-ჰემორაგიული შოკი II-III ხ.

15. გ. ჯ-ს აღენიშნებოდა სხეულის მრავლობითი ნაკვეთ-ნაჩ-ხვლეტი ჭრილობები. სულ ჰქონდა ოთხი ჭრილობა: 1) გულმკერ-დის მარცხენა ნახევარში ბეჭის ზედა კიდესთან – ზომით დაახ-ლოებით 2 სმ-მდე ჭრილობა; 2) გულმკერდის მარცხენა ნახე-ვარში, მე-4 ნეკნის დონეზე ბეჭის შუა ხაზზე – ზომით დაახლო-ებით 1 სმ-მდე; 3) მარჯვენა მხრის სახსრის უკანა ზედაპირზე – ზომით დაახლოებით 1 სმ-მდე; 4) მარცხენა ბარძაყის ზედა მე-

სამედში ლატერალურ ზედაპირზე – ზომით 1 სმ-მდე. დიაგნოზი: სხეულის მრავლობითი ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ქრილობები, შემაგალი მარცხენა პლევრის ღრუში, მარცხენამხრივი პნევმოთორაქსი, კანქვეშა ემფიზემა.

16. ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, გამოკვლევაზე წარმოდგენილი გ. ჯ-ს მოკლესახელოებიანი მაისურის, ბრეტელებიანი მაისურისა და სპორტული შარვლის ზედაპირზე არსებული გამჭოლი დაზიანებები წარმოქმნილია რაიმე მჩხვლეტავ-მჭრელი თვისებების მქონე საგნის ზემოქმედების შედეგად და შესაძლებელია, მიყენებულიყო წარმოდგენილი დანით და თავისი ადგილმდებარეობით დაახლოებით შეესაბამება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულ გ. ჯ-ს სხეულზე არსებულ დაზიანებებს; გამოკვლევაზე წარმოდგენილი ზ. მ-ს უსახელო ყილეტისა და მოკლესახელოებიანი მაისურის ზედაპირზე არსებული გამჭოლი დაზიანებები შესაძლებელია, მიყენებულიყო წარმოდგენილი დანით ან სხვა დანით, რომლის პირის სიგანის ერთ-ერთი მონაკვეთი შეადგენს დაახლოებით 16მმ-ს და თავისი ადგილმდებარეობით დაახლოებით შეესაბამება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულ ზ. მ-ს სხეულზე არსებულ დაზიანებებს.

17. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს ა. ი-ს, ზ. კ-ა და მათი ადვოკატების არგუმენტებს, რომ მათ არ ჩაუდენიათ ბრალად შერაცხული დანაშაული და მიაჩნია, რომ მათი პოზიცია მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს და მოგონილია ა. ი-ა და ზ. კ-ს პასუხისმგებლობის არიდების მიზნით, კერძოდ:

18. საქმეზე წარმოდგენილი ბრალდებისა და დაცვის მხარეების ზემოაღნიშნული მტკიცებულებებით დადგენილია ის გარემოება, რომ მსჯავრდებულ ა. ი-ა და დაზარალებულ ზ. მ-ს შორის იყო კონფლიქტური ურთიერთობა, რასაც არც მხარეები ხდიან სადავოდ.

19. დაზარალებულები – ზ. მ-ე და გ. ჯ-ე სასამართლო სხდომაზე დაკითხვისას თანმიმდევრულად აღწერენ მათი დაჭრის მომენტს. დაზარალებული ზ. მ-ე მიუთითებს, რომ ა. ი-მ დაიწყო გინება და გადავიდა ფიზიკურ შეურაცხყოფაზე. გ. ჯ-ე მას ნელ-ნელა დაშორდა 10 მეტრამდე. რამდენიმე წამში დაინახა, რომ ა. ი-მ ჯიბიდან ამოიღო დანა და ორჯერ დაარტყა ზურგში. მან იგრძნო ტკივილი, ვეღარ გააგრძელა წინააღმდეგობის გაწევა და დაეცა. შემდეგ დაინახა, თუ როგორ დაარტყა ზ. კ-მ დანა ზურგში გ. ჯ-ს.

20. დაზარალებული გ. ჯ-ე სასამართლო სხდომაზე მოწმის

სახით დაკითხვისას ასევე ცალსახად მიუთითებს, რომ ჩხუბის დროს დაინახა, თუ როგორ მოუქნია რამდენჯერმე დანა ა. ი-მ ზ. მ-ს ზურგის არეში. ამის შემდეგ ზ. მ-ე დაეცა, ხოლო ზ. კ-მ ვ-ჯერ დაარტყა ორივე მხარეს ბეჭებში დანა და ერთხელ – მარცხენა ფეხის არეში, დუნდულოში. აღნიშნული დანა მან ამოიღო შარვლის ჯიბიდან, გაშალა, დანას ჰქონდა ვერცხლისფერი პირი. ამის შემდეგ იგი დაეცა, მას არ ახსოვს, როდის მივიდნენ ზ. მ-ს მშობლები.

21. დაზარალებულ ზ. მ-ს მშობლებმა – მ. მ-მ და თ. მ-მ ცალსახად მიუთითეს, რომ შემთხვევის ადგილზე დაინახეს ა. ი-ე, თუმცა უშუალოდ შვილის – ზ. მ-ა და გ. ჯ-ს დაჭრის მომენტი მათ არ დაუნახავთ. რაც შეეხება მათი ჩვენებების იმ ნაწილს, თუ რა უთხრეს დაჭრის თაობაზე დაზარალებულებმა – ზ. მ-მ და გ. ჯ-მ, საკასაციო პალატა ვერ იმსჯელებს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილების (ირიბ ჩვენებათა გამოყენების შესახებ) გათვალისწინებით.

22. მოწმის სახით დაკითხული ექსპერტ ღ. უ-ს ჩვენებითა და მის მიერ გაცემული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებით მთლიანად დადასტურებულია დაზარალებულების ჩვენებები მათთვის მიყენებული ჭრილობების რაოდენობისა და ადგილმდებარეობის შესახებ. კერძოდ, ზ. მ-ს სხეულზე აღენიშნებოდა: ზურგის არეში მარცხნივ, მე-5 ნეკნთაშუა არეში ხერხემლიდან 3-4 სმ-ში – ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობა სწორი კიდეებით, მახვილი კუთხეები ზომებით 2,5x1სმ, ზომიერი სისხლდენით, ასეთივე ხასიათის და ზომის ჭრილობა – წელის არეში მენჯის ძვლის ზემოთ 4-5 სმ-ში, ჭრილობა – ილღის უკანა ხაზის პროექციაში, ზომიერად სისხლმდენი. დიაგნოზი: ბასრი იარაღით მიყენებული შემავალი ჭრილობა გულმკერდის ღრუში მარცხნივ ფილტვის და ნეკნთაშუა არტერიის დაზიანებით, ჰემოთორაქსი, ტრავმულ-ჰემორაგიული შოკი II-III ხ.

23. გ. ჯ-ს აღენიშნებოდა სხეულის მრავლობითი ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობები. სულ ჰქონდა ოთხი ჭრილობა: 1) გულმკერდის მარცხენა ნახევარში ბეჭის ზედა კიდედსთან – ზომით დაახლოებით 2 სმ-მდე ჭრილობა; 2) გულმკერდის მარცხენა ნახევარში, მე-4 ნეკნის დონეზე ბეჭის შუა ხაზზე – ზომით დაახლოებით 1 სმ-მდე; 3) მარჯვენა მხრის სახსრის უკანა ზედაპირზე – ზომით დაახლოებით 1 სმ-მდე; 4) მარცხენა ბარძაყის ზედა მე-სამედში ლატერალურ ზედაპირზე – ზომით 1 სმ-მდე. დიაგნოზი: სხეულის მრავლობითი ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობები, შე-

მავალი მარცხენა პლევრის ღრუში, მარცხენამხრივი პნევმო-
თორაქსი, კანქვეშა ემფიზემა.

24. საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება დაცვის მხარის მო-
საზრებას, რომ ტრასოლოგიური ექსპერტის დასკვნა ამტკი-
ცებს ა. ი-ს უდანაშაულობას. საკასაციო პალატა განმარტავს,
რომ, მართალია, ტრასოლოგიური ექსპერტის დასკვნით, ზ. მ-ს
უსახელო ჟილეტისა და მოკლესახელოებიანი მაისურის ზედა-
პირზე არსებული გამჭოლი დაზიანებების მიყენება შესაძლე-
ბელად იქნა მიჩნეული საქმეში წარმოდგენილი დანით, თუმცა
ამავე ექსპერტის დასკვნით არ არის გამორიცხული ასევე სხვა
დანით ზ. მ-ს მიყენებული დაზიანებების მიყენების ფაქტი. ამას-
თან, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაპყრობს სასამართლო-
სამედიცინო ექსპერტის დასკვნაში აღნიშნულ გარემოებას, რომ
ზ. მ-ს აღნიშნებოდა ერთნაირი ხასიათისა და ზომის ჭრილობე-
ბი, ხოლო გ. ჯ-ს, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის დას-
კვნის მიხედვით, მიყენებული ჰქონდა სხვა ზომის ჭრილობები.

25. საკასაციო პალატა ასევე ვერ დაეთანხმება დაცვის მხა-
რის მოსაზრებას და ვერ დაუდებს საფუძვლად ა. ი-ს უდანაშა-
ულობას, ხოლო ბ. კ-ს ქმედების გადაკვალიფიცირებას სისხლის
სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლიდან 122-ე მუხლზე ბრალ-
დებულების – ა. ი-ა და ზ. კ-ს, მონშეების – ლ. ბ-ს, ჯ. ი-ს, .მ. ი-ა
და რ. ც-ს ჩვენებებს. აღნიშნული ჩვენებები ურთიერთსაწინა-
აღმდეგო და არათანმიმდევრულია მთელ რიგ ფაქტობრივ გა-
რემოებებთან მიმართებით, რაც მათ სარწმუნოებას ეჭვქვეშ
აყენებს. კერძოდ, სასამართლო სხდომაზე მონშის სახით და-
კითხვისას ა. ი-მ თავისუფალი თხრობის დროს ჯერ უჩვენა, რომ
ლამის პირველი საათი იყო. სახლში იყვნენ ის და ი. მ-ე, ამ დროს
მოვიდა ზ. კ-ე, სვამდნენ ყავას, შესასვლელის კარი იყო ღია. 10
წუთი იქნებოდა გასული, მოისმა ხმა „ი-ო, გარეთ გამოდით“-ო
და იგინებოდნენ. ის გავიდა გარეთ, გახედა და იცნო მანქანა,
იყვნენ მ-ე და ჯ-ე. იგი მობრუნდა კარიდან და შეაგინა მათ. ამ
დროს გამოვიდა ზ, ა-ა უთხრა მას, არ გახვიდე გარეთ ჩემს გა-
სალახად არიანო. ზ-მ უთხრა, მე ავუხსნი ყველაფერსო. ზ. გავი-
და გარეთ და უთხრა აქ ხალხი ცხოვრობს და რატო იგინებითო.
მას უთხრეს, შენ რაღა გინდაო და დაუწყეს ცემა, ხოლო შემ-
დეგ, ა. ი-მ შეკითხვებზე პასუხების გაცემისას უარყო მისი ეზო-
დან გარეთ გასვლა და უჩვენა, რომ ის ოთახის გამოსასვლელ-
თან გამოვიდა და იქიდან შეაგინა დაზარალებულებს. ის მთელი
ჩხუბის განმავლობაში იყო ეზოში.

26. საკასაციო პალატა აღნიშნავს: გარდა იმისა, რომ ა. ი-ე თა-
ვადვე მოვიდა წინააღმდეგობაში მის მიერ თავისუფალი თხრო-

ბის დროს მიცემულ ჩვენებასთან, ჯერ უჩვენა, რომ გინების ხმაზე ის გამოვიდა გარეთ, იცნო მ-ე და ჯ-ე, რომლებიც იყვნენ მანქანით და მან შეაგინა მათ, რის შემდეგაც გამოვიდა ზ. ადვოკატის შეკითხვებზე კი უპასუხა, რომ ის გარეთ არ გასულა, არავისთვის არ შეუგინებია და ჩხუბის განმავლობაში იყო ეზოში.

27. ურთიერთსაწინააღმდეგოა ა. ი-ა და მისი ოჯახის წევრების – ლ. ბ-ს, ჯ. ი-ა და მ. ი-ს ჩვენებები ზ. კ-ს ჩვენებებთან ზ. მ-ა და გ. ჯ-ს გინების დანყების მომენტთან და ზ. კ-ს გარეთ გასვლასთან მიმართებით. როგორც ა. ი-ე, ასევე მისი ოჯახის წევრები უჩვენებენ, რომ მათ გარედან მოესმათ გინების ხმა ოჯახისა და შვილების მისამართით. ა. ეუბნებოდა ზ. კ-ს, არ გახვიდე გარეთ, ჩემს დასაჭერად არიან მოსულიო. ზ. კ-ე 15 წუთის მოსული იყო, ის გავარდა გარეთ და დაიწყო მისი ცემა ოთხმა კაცმა.

28. ზ. კ-მ სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაკითხვისას არ დაადასტურა დაზარალებულების მხრიდან გარედან გინების ფაქტი მანამ, სანამ ის არ გავიდა გარეთ. ასევე არ უჩვენა იმის შესახებ, რომ ა. მას არ უშვებდა გარეთ. მან უჩვენა, რომ 2013 წლის 18 სექტემბერს, საღამოს მივიდა ა-ნ, სახლში ისხდნენ და საუბრობდნენ. შემდეგ გამოვიდა და მიიღოდა თავის სახლში, რადგან გვიანი იყო. ა-ს ის არ გაუცილებია, მარტო იყო. ეზოდან გასვლამდე მას ვინმეს ოჯახის მისამართით გინება არ გაუგია. გარეთ გასვლის დროს შეხვდა ზ. მ-ე, რომელიც მანქანიდან გადმოხტა, უმისამართოდ და უცნაურ სიტყვებით მიმართა და გაურკვეველ ვითარებაში მას დაესია ყველა, ვინც მანქანაში იყო. თვითონაც ადგა და იმოქმედა, ამოიღო დანა და იხმარა. ა-ნ სახლში იყვნენ თვითონ და ა-ი.

29. ასევე შეუსაბამოა ა. ი-ა და ჯ. ი-ს ჩვენებები ზ. კ-ს ჩვენებაში მითითებულ იმ გარემოებასთან დაკავშირებით, თუ ვინ იყვნენ ი-ს სახლის ეზოში გარეთ ჩხუბის დანყებამდე. ა. და ჯ. ი-ს ჩვენებით, ეზოში იყვნენ ა. ი-ე და ი. მ-ე და ყავას სვამდნენ, ხოლო ზ. კ-ს ჩვენებით, ეზოში იყვნენ ის და ა. ი-ე და საუბრობდნენ.

30. წინააღმდეგობრივია ა. ი-ს ჩვენებები რიგ ფაქტობრივ გარემოებებთან – მეზობელ რ. ც-ა და დედის – ლ. ბ-ს ჩვენებებთან. ა. ი-ს ჩვენებით, ის ჩხუბის განმავლობაში იმყოფებოდა ეზოში. ზ-ს დაუნყეს ცემა. მათ აშველებდნენ მამა – ჯ. ი-ე, დედა – ლ. ბ-ე და ბებია – მ. ი-ე. ამ დროს ბებია მოვიდა ზ. მ-ს ხელი და გამოსწია, რა დროსაც ზ-მ მოუქნია ხელის იდაყვი, დაარტყა თავში და მიახეთქა „სტოლბას“. მონმე ლ. ბ-მ დაადასტურა მხოლოდ ბებიის – მ. ი-ს გარეთ ყოფნის ფაქტი, თუმცა სხვაგვარად

აღწერა მისი დაზიანების მომენტი. მისი ჩვენებით, მ. ი-ს ვილა-
ცამ ხელი მიარტყა და წააქცია.

31. მონმე ლ. ბ-ს ჩვენებით, იმ დროს, როცა ზ-ს გარეთ სცემ-
და ოთხი კაცი, ის და ჯ. ი-ე გარეთ კი არ იყვნენ გასულები გასაშ-
ველებლად, რასაც ა. ი-ე უჩვენებს თავის ჩვენებაში, – არამედ
ის იცავდა თავის ოჯახს თავდამსხმელებისაგან და არ უშვებდა
ჭიმკარში მომხვედურებს. მან დაინახა, რომ გ. ჯ-ე მირობდა, ზ-ც
მოსცილდა ზ. კ-ს, გ. ჯ-ე ნაიქცა, მან არ იცის, სიმთვრალის გამო
ნაიქცა თუ ფეხი რამეს წამოჰკრა. ზ. კ-ე დაენია, გ. ჯ-ს დაარტყა
დანა და მან დაიძახა ვაი, დამჭრესო. ისინი დაჭრა ზ. კ-მ, ა. გა-
რეთ არ გასულა. ჯერ დაიჭრა გ. ჯ-ე და გაიქცა მანქანისკენ. მან
ასევე დაინახა, თუ როგორ დაარტყა დანა ზ-ს. ზ. იყო მის ჭიმ-
კართან ახლოს და ცდილობდა ეზოში შესვლას, ამ დროს დაარ-
ტყა ზ. კ-მ დანა. ასევე გაახსენდა ის ფაქტი, რომ გ. ჯ-ს დაჭრის
შემდეგ ერთმა მეზობელმა „გამოათრია“ ზ. კ-ე, დანა იყო ვერ-
ცხლისფერი, ბრუნავდა, ზ. მ-ე რომ დაიჭრა, არ უგრძნია, მერე
მიიღო თვალზე ხელი, ცუდად ვარო.

32. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოე-
ბას, რომ ალოგიკურია თავად მონმე ლ. ბ-ს ჩვენებაში მითითე-
ბული ფაქტობრივი გარემოებები, რადგან თუ გ. ჯ-ს დაჭრის შემ-
დეგ მეზობელმა გამოიყვანა ზ. კ-ე, მაშინ დამაჯერებლობას
მოკლებულია ზ. კ-ს მიერ ზ. მ-ს დაჭრის ფაქტი.

33. ამასთან, ა. ი-ს ჩვენებით, ის ჩხუბის განმავლობაში იყო
ეზოში, მას არ უხსენებია, რომ მშობლები ან მეზობელი გ. ბ-ე
იჭერდნენ და გარეთ არ უშვებდნენ, მაშინ, როდესაც მეზობელ-
მა, მონმე რ. ც-მ და დედამ – ლ. ბ-მ სრულიად საპირისპირო
უჩვენეს ამ გარემოებასთან დაკავშირებით: მონმე რ. ც-ს გან-
მარტებით, ა. ი-ს არ უშვებდნენ მშობლები, რაც მას ესმოდა
მეორე სართულიდან, ხოლო ლ. ბ-ს ჩვენებით, საერთო ჭიმკრი-
დან შემოვიდა მეზობელი გ. ბ-ე, რომელმაც ა. შეიყვანა ოთახში
და გარეთ არ უშვებდა, ის კი იჭერდა ჭიმკარს, რომ არავინ შე-
სულიყო ეზოში.

34. ასევე წინააღმდეგობრივია ა. ი-ა და მონმე რ. ც-ს ჩვენებე-
ბი ყვავილის ქოთნის სროლის ნაწილში. ა. ი-ე უჩვენებს, რომ მან
ქოთანი ისროლა ეზოდან გარეთ იმ დროს, როდესაც სცემდნენ
ზ. კ-ს. მონმე რ. ც-ს ჩვენებით, ა. ი-ს ხმა ესმოდა სახლის მეორე
სართულიდან, მას არ უშვებდნენ მშობლები, ასევე დაინახა, რომ
ქოთანი ისროლეს ი-ს ეზოდან, თუ ვინ ისროლა, არ იცის.

35. აღნიშნული ჩვენებებით, ა. ი-ე და მონმე რ. ც-ე წინააღ-
მდეგობაში მოვიდნენ ქოთნის სროლის ნაწილში დაზარალებუ-
ლების – ზ. მ-ა და გ. ჯ-ს მიერ სასამართლო პროცესზე მიცე-

მულ თანმიმდევრულ ჩვენებებთან. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით დადასტურებულია, რომ ქუჩაში ეგდო გატეხილი ყვავილის ქოთანნი. თავად დაზარალებულ ზ. მ-ს განმარტებით, როცა სახლში მიდიოდნენ, ა-ს მხრიდან შეუხვიეს ყ-ე, ნელა მიდიოდნენ, ჯ. ი-ს სახლის წინ იდგა 4 პირი. მიუახლოვდნენ, მათგან ა. ი-მ დაიწყო გინება. მათ გაიარეს, რა დროსაც უკანა მხრიდან ერთ-ერთმა მანქანას ესროლა ქოთანნი, გააჩერეს მანქანა და გადმოვიდნენ. მან უთხრა გ-ს, რომ გაარკვევდა სიტუაციას. ისინი უფრო აგრესიულები გახდნენ, დაიწყეს გინება და გადავიდნენ ფიზიკურ შეურაცხყოფაზე. დაზარალებულ გ. ჯ-ს განმარტებით, მათ ნელი სვლით ჩაუარეს ა. ი-ს სახლს, სადაც იდგნენ ა. ი-ე, ზ. კ-ე და კიდევ ორი პირი. მათ დაიწყეს მათი მისამართით გინება. ის არ აპირებდა მანქანის გაჩერებას, ჩაუარა, მაგრამ უკანა მხრიდან ისროლეს ქოთანნი, ვინ – კონკრეტულად არ იცის და გაჩერდნენ ა-ს ქუჩის კვეთაზე. გადმოვიდნენ მანქანიდან მეზობელ ა. ი-ს დასალაპარაკებლად. ისინი უფრო აგრესიულები გახდნენ, მათ დაუწყეს გინება და გადავიდნენ ფიზიკურ შეურაცხყოფაზე.

36. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ა. ი-ს ოჯახის წევრებისა და მონმე რ. ც-ს ზემოაღნიშნული ურთიერთსაინააღმდეგო და არათანმიმდევრული ჩვენებები ყოველგვარ დამაჯერებლობას არის მოკლებული და მათ საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს იმ გარემოების დასადასტურებლად, რომ ა. ი-ე ეზოდან არ გამოსულა, ჩხუბში მონაწილეობა არ მიუღია და დანით არ დაუჭრია ზ. მ-ე.

37. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს ასევე დაცვის მხარის მოსაზრებას, რომ ა. ი-ს ბრალეულობას საფუძვლად ვერ დაედება დაზარალებულების ჩვენებები, რადგან მონმე თ. ვ-ს გამოძიებაში მიცემული ჩვენებით გ. ჯ-მ და ზ. მ-მ ქ-ს საავადმყოფოში მიყვანისთანავე განაცხადეს, რომ მათ დანით დაზიანებები მიაყენეს ტყუპმა ძმებმა ი-ა. ხოლო მონმე ნ. ბ-ს ჩვენებით, ის წავიდა საავადმყოფოში მ-ნ, ნახა მ. და დაუდგა გვერდით. მ. იძახდა, ძმებმა ი-ა დაჭრეს ჩემი შვილიო. ბ-ე საავადმყოფოდან მივიდა ი-ნ და უთხრა ი-ს დედას, რომ შენს ორივე შვილს აჭერინებენო. ლ. გაგიჟდა და სთხოვა მისულიყო მ-ნ და ეთქვა, რომ მისი შვილი არაა დამნაშავე და თავი დაანებოსო. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მონმეების – თ. ვ-ა და ნ. ბ-ს ჩვენებებზე სასამართლო ვერ იმსჯელებს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილების (ირიბ ჩვენებათა გამოყენების შესახებ) გათვალისწინებით.

38. ამასთანავე, პირველი ინსტანციის სასამართლო სხდო-

მაზე გ. ჯ-ს მიერ მიცემული ჩვენებით განმარტებულია აღნიშნული გარემოება, რომ საავადმყოფოში მიყვანისას ის იყო ძალიან ცუდ მდგომარეობაში და უთხრა, რომ დაჭრეს ი-ა, რადგან კონფლიქტი ჰქონდათ ი-ნ. მას რ. ი-ე შემთხვევის ადგილზე არ შეუძინებია.

39. საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო პალატას და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულები – ა. ი-ე და ზ. კ-ე იყვნენ კონფლიქტის ინიციატორები, მათ ისროლეს ყვავილის ქოთანი დაზარალებულთა მანქანის მიმართულებით, ხოლო შემდეგ, მათ შორის გამართული ჩხუბის დროს, დანის გამოყენებით ზურგის მხრიდან მრავლობითი ჭრილობები მიაყენეს სრულიად შეუიარაღებელ პირებს – ზ. მ-ა და გ. ჯ-ს.

40. საკასაციო პალატა ალოგიკურად მიიჩნევს ზ. კ-ა და მისი ადვოკატის მოთხოვნას ზ. კ-ს ქმედების სამართლებრივი კვალიფიკაციის თაობაზე საქართველოს სსკ-ის 122-ე მუხლით. თუ დაცვის მხარის მტკიცებით, ზ. კ-ს სცემდა 4 ადამიანი და მან დანა იხმარა ჯგუფური თავდასხმისაგან საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად, მაშინ უსაფუძვლოა დაცვის მხარის მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ ზ. კ-ე იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების მდგომარეობაში.

41. საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება დაცვის მხარის პოზიციას, რომ ზ. კ-ე იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების მდგომარეობაში, რადგან მას სცემდნენ. საკასაციო პალატა განმარტავს: როგორც მონშეა ჩვენებებით, ასევე საქმეში არსებული დაზარალებულთა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებით საკასაციო პალატას დადასტურებულად მიაჩნია ის გარემოება, რომ იმ დროს, როდესაც ზ. კ-მ დანა დაარტყა გ. ჯ-ს, ის იმყოფებოდა არა თავდაცვის, არამედ – თავდამსხმელის მდგომარეობაში, რადგან ექსპერტის დასკვნით, გ. ჯ-ს მრავლობითი ჭრილობები მიყენებული აქვს ზურგის არეში, რომელთაგან, ექსპერტ ლ. უ-ს განმარტებით, ერთი ჭრილობა არის შემავალი და დაზარალებულ გ. ჯ-ს ჩვენებით მას ზ. კ-მ 3-ჯერ დაარტყა ორივე მხარეს ბეჭებში დანა და ერთხელ – მარცხენა ფეხის არეში – დუნდულოში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მან განზრახ მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო ჭრილობა ჩარტყმით და არა – დანის უმისამართო ქნევით.

42. საკასაციო პალატას დადასტურებულად მიაჩნია ის გარემოება, რომ იმ დროს, როდესაც ა. ი-მ დანით მიაყენა ზ. მ-ს ჭრილობები, ის იმყოფებოდა ასევე თავდამსხმელის მდგომარეობაში, რადგან ექსპერტის დასკვნით, ზ. მ-ს ჭრილობები მიყენებული აქვს ზურგის მხრიდან, რომელთაგან ექსპერტ ლ. უ-

ს განმარტებით, მარცხნივ, გულმკერდის ღრუში მიყენებული ჭრილობა არის შემავალი და დაზარალებულ ზ. მ-ს ჩვენებით ა. ი-მ ჯიბიდან ამოიღო დანა და დაარტყა ორჯერ ზურგში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მან განზრახ მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო ჭრილობა ჩარტყმით.

43. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულების – ა. ი-ა და ზ. კ-ს მიერ დანაშაულის ჩადენის ხერხისა და საშუალების (დანის მრავალჯერადი დარტყმა სიცოცხლისათვის სახიფათო მიდამოებში ზურგის მხრიდან), დაზარალებულებისთვის მიყენებული დაზიანების ხასიათის, ლოკალიზაციისა და ხარისხის, ასევე საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლივი ანალიზის მხედველობაში მიღებით, უდავოდ დასტურდება ის გარემოება, რომ ზ. კ-ე და ა. ი-ე ქმედების განხორციელებისას მოქმედებდნენ პირდაპირი განზრახვით და არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ზ. კ-ე და ა. ი-ე ქმედების განხორციელებისას, სულ მცირე, უშეებდნენ და გულგრილად ეკიდებოდნენ გ. ჯ-ა და ზ. მ-ს სიკვდილს, რაც არ დადგა მათგან დამოუკიდებელი მიზეზების – გადაუდებელი და კვალიფიციური სამედიცინო ჩარევის გამო.

44. საკასაციო პალატა გასაჩივრებულ განაჩენს ამ ნაწილში ტოვებს უცვლელად, რადგან განაჩენი გასაჩივრებულია დაცვის მხარის მიერ და საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, მიიღოს მსჯავრდებულებისათვის არასასიკეთო გადაწყვეტილება.

45. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითა და ასევე, საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, საკასაციო პალატას გონივრულ ეჭვს მიღმა დადასტურებულად მიაჩნია, რომ მსჯავრდებულებმა – ა. ი-მ და ზ. კ-მ ჩაიდინეს ზ. მ-ა და გ. ჯ-ს განზრახ მკვლელობის მცდელობა, შესაბამისად, მათი ქმედება სწორად არის დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლით და განსაზღვრული აქვთ სამართლიანი სასჯელები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ა. ი-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ

დ. ჯ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. მსჯავრდებულ ზ. კ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ჯ. კ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 17 სექტემბრის განაჩენი დარჩეს უცვლელად.

4. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

განზრახ მკვლელობა ჯგუფურად

განაჩენი

საქართველოს სახელით

№291აპ-14

6 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ კ. დ-ისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატების – ი. ა-ისა და ს. კ-ის საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 25 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 19 მარტის განაჩენით კ. დ-ე, –ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „ე“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინა განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში, უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ, ჯგუფურად და ანგარებით.

2. ამავე განაჩენით ცნობილ იქნენ დამნაშავეებად: ა. დ-ე, – ნასამართლობის არმქონე, – საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინა დანაშაულის შეუტყობინებლობა იმის მიერ, ვინც ნამდვილად იცის, რომ ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული; ხ. რ-ი, – საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“, მე-2 ნაწილის „ბ“, „ე“, მე-3 ნაწილის „გ“ ქვე-

პუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინა განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში, სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით, უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ, ჯგუფურად, ანგარებით; ნ. რ-ა, – საქართველოს სსკ-ის 143¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2 ეპიზოდი), 143¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“, მე-2 ნაწილის „ბ“, „ე“, მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინა ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), ადამიანის მიმართ უკანონო გარიგების განხორციელება მუქარით, შანტაჟით, მოტყუებით, გადაბირება ექსპლოატაციის მიზნით (2 ეპიზოდი); ასევე – ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), ადამიანის მიმართ უკანონო გარიგების განხორციელება მუქარით, შანტაჟით, მოტყუებით, გადაბირება ექსპლოატაციის მიზნით, ჩადენილი დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ; ასევე – ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), ადამიანის მიმართ უკანონო გარიგების განხორციელება მუქარით, შანტაჟით, მოტყუებით, გადაბირება ექსპლოატაციის მიზნით, ჩადენილი ორი პირის მიმართ; ასევე – განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში, სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით, დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ, ჯგუფურად და შეკვეთით.

3. განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: უზბეკეთის რესპუბლიკის მოქალაქე ნ. რ-ა 2012 წლის 2 მარტს ჩამოვიდა ქალაქ ბათუმში და ეწეოდა პროსტიტუციას. იგი ტრეფიკინგის, ადამიანის მიმართ უკანონო გარიგების განზრახვით 2012 წლის ივნისში მობილური ტელეფონით დაუკავშირდა უზბეკეთის მოქალაქე მ. რ-ას, მოატყუა, რომ თურქეთის რესპუბლიკაში დაასაქმებდა მაღალანაზღაურებად სამუშაოზე. ამ მიზნით ნ. რ-ამ საკუთარი ხარჯებით 2012 წლის 24 ივლისს უზრუნველყო მ. რ-ას ჩამოყვანა ბათუმში და საცხოვრებლად მიიყვანა ნაქირავებ, ხიმშიაშვილის ქ. №...-ის ...-ე ბინაში, სადაც მას ჩამოართვა უზბეკეთის მოქალაქის პასპორტი, შეუზღუდა თავისუფლად გადაადგილების უფლება, ჩააყენა მონობის თანამედროვე პირობებში, ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარით, შანტაჟითა და იძულებით გადაიბირა იგი და 2013 წლის 31 მაისამდე ეწეოდა მის ექსპლოატაციას, ხოლო ამ გზით გამომუშავებულ თანხებს მართლსაწინააღმდეგოდ ითვისებდა.

4. ნ. რ-ა ტრეფიკინგის, ადამიანის მიმართ უკანონო გარიგების განზრახვით, 2013 წლის თებერვალში დაუკავშირდა უზბეკეთის მოქალაქე შ. ჯ-ას, მოატყუა, რომ თურქეთის რესპუბლი-

კაში დაასაქმებდა მაღალანაზღაურებად სამუშაოზე. ამ მიზნით ნ. რ-ამ საკუთარი ხარჯებით 2013 წლის 9 მარტს უზრუნველყო შ. ჯ-ას ჩამოყვანა ბათუმში და საცხოვრებლად მიიყვანა ნაქირავებ, ხიმშიაშვილის ქ. №...-ის ...-ე ბინაში, სადაც მას ჩამოართვა უზბეკეთის მოქალაქის პასპორტი, შეუზღუდა თავისუფლად გადაადგილების უფლება, ჩააყენა მონობის თანამედროვე პირობებში, ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარით, შანტაჟითა და იძულებით გადაიბირა იგი და 2013 წლის 31 მაისამდე ეწეოდა მის ექსპლუატაციას, ხოლო ამ გზით გამომუშავებულ თანხებს მართლსაწინააღმდეგოდ ითვისებდა.

5. ნ. რ-ა ტრეფიკინგის, ადამიანის მიმართ უკანონო გარიგების განზრახვით, უზბეკეთის მოქალაქე რ. კ-ა მოატყუა, რომ თურქეთის რესპუბლიკაში დაასაქმებდა მაღალანაზღაურებად სამუშაოზე. ნ. რ-ამ გაიღო ხარჯები, 2013 წლის 5 აპრილს რ. კ-ა ჩამოიყვანა ბათუმში და საცხოვრებლად მიიყვანა ნაქირავებ, ხიმშიაშვილის ქ. №...-ის ...-ე ბინაში, სადაც მას ჩამოართვა უზბეკეთის მოქალაქის პასპორტი, შეუზღუდა თავისუფლად გადაადგილების უფლება, ჩააყენა მონობის თანამედროვე პირობებში, სისტემატურად ახორციელებდა ფიზიკურ ანგარიშსწორებას, შანტაჟითა და იძულებით გადაიბირა იგი, რის შედეგადაც რ. კ-ას შეექმნა ფსიქიკური პრობლემები; მიუხედავად ამისა, ნ. რ-ა წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფ რ. კ-ას 2013 წლის 22 მაისამდე უწევდა ექსპლუატაციას, ხოლო ამ გზით გამომუშავებულ თანხებს მართლსაწინააღმდეგოდ ითვისებდა.

6. ნ. რ-ამ ორი პირის მიმართ ტრეფიკინგის, ადამიანის მიმართ უკანონო გარიგების განზრახვით, უზბეკეთის მოქალაქეები – ფ. ი-ა და დ. რ-ა მოატყუა, რომ თურქეთის რესპუბლიკაში დაასაქმებდა მაღალანაზღაურებად სამუშაოზე, გაიღო ხარჯები, 2013 წლის 19 მაისს ისინი ჩამოიყვანა ბათუმში და საცხოვრებლად მიიყვანა ნაქირავებ, ხიმშიაშვილის ქ. №...-ის ...-ე ბინაში, სადაც მათ ჩამოართვა უზბეკეთის მოქალაქის პასპორტები, შეუზღუდა თავისუფლად გადაადგილების უფლება, ჩააყენა მონობის თანამედროვე პირობებში, ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარით, შანტაჟითა და იძულებით გადაიბირა ისინი და 2013 წლის 31 მაისამდე ეწეოდა მათ ექსპლუატაციას, ხოლო ამ გზით გამომუშავებულ თანხებს მართლსაწინააღმდეგოდ ითვისებდა.

7. ნ. რ-ას მიერ რ. კ-ას მიმართ განხორციელებული ტრეფიკინგის პროცესში, 2013 წლის მაისში, რ. კ-ას შეექმნა ფსიქიკური პრობლემები და ცდილობდა საქართველოდან გამგზავრე-

ბას. იგი ემუქრებოდა ნ. რ-ას, რომ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ უკანონო საქმიანობის შესახებ მას ამხელდა სამართალ-დამცავ ორგანოებში. ნ. რ-ამ, შეექმნა რა დანაშაულის ჩადენა-ში მხილების საფრთხე, სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით, განიზრახა, შეეკვეთა უმწეო მდგომარეობაში მყოფი რ. კ-ას მკვლელობა. ამ მიზნით იგი დაუკავშირდა ბათუმში მყოფ უზ-ბეკეთის მოქალაქე ხ. რ-ს და კ. დ-ეს, რომლებსაც 2000 აშშ დო-ლარის გადახდის სანაცვლოდ შეუკვეთა რ. კ-ას განზრახ მკვლე-ლობა, რაზეც ისინი დათანხმდნენ, გამოართვეს 2000 აშშ დო-ლარი და განზრახვის სისრულეში მოსაყვანად 2013 წლის 22 მა-ისს, კ. დ-ის ბიძაშვილის – ა. დ-ის კუთვნილი, „მერსედეს-ბენ-ცის“ მარკის, ...- სახელმწიფო ნომრის მქონე ავტომანქანით თბი-ლისის აეროპორტიდან სამშობლოში გამგზავრების ცრუ დაპი-რებით რ. კ-ა ბათუმიდან ქობულეთის გავლით წაიყვანეს თბი-ლისის მიმართულებით ისე, რომ თავიანთი განზრახვა ა. დ-ისათ-ვის არ გაუმხელიათ. ქ. ხაშურში ჩასვლის შემდეგ, კ. დ-ის მითი-თებით, ა. დ-ემ გადაუხვია ახალციხის მიმართულებით, გაემ-გზავრნენ უკან და 2013 წლის 23 მაისს, დაახლოებით 2 საათზე, ხულოს რაიონის კურორტ ბეშუმში, ე.წ. „შქერნალის“ მიმდება-რე დაუსახლებელ ტერიტორიაზე კ. დ-ემ და ხ. რ-მა ჯგუფუ-რად, თავის არეში ქვის ჩარტყმით მოკლეს რ. კ-ა, გვამი იქვე გადამაღეს, ხოლო მისი პირადი ნივთები მიიტანეს ქედის რაიო-ნის სოფელ ...-, ა. დ-ის საკარმიდამო მიწის ნაკვეთთან და დაწ-ვეს.

8. ა. დ-ემ, რომელიც გახდა კ. დ-ისა და ხ. რ-ის მიერ განსა-კუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის მოწმე, არ შეატყობინა სამართალდამცავ ორგანოებს განსაკუთრებით მძიმე დანაშა-ულის ჩადენის ფაქტი.

9. აღნიშნული ქმედებისათვის კ. დ-ეს მიესაჯა 17 წლით თა-ვისუფლების აღკვეთა, ხ. რ-ს – 18 წლით თავისუფლების აღ-კვეთა, ა. დ-ეს – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, 1 წლისა და 6 თვის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 6 თვე – ჩაეთვალა პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით, ხოლო ნ. რ-ას საქართველოს სსკ-ის 143¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2 ეპიზოდი) განესაზღვრა 11-11 წლით, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 14 წლით, მე-3 ნაწილის „ბ“ ქვე-პუნქტით – 15 წლით, ხოლო 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, მე-2 ნაწილის „ბ“, „ე“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვე-პუნქტებით – უვადო თავისუფლების აღკვეთა; დანაშაულთა ერთობლიობით ნ. რ-ას საბოლოოდ მიესაჯა უვადო თავისუფ-ლების აღკვეთა; მასვე 3 წლით ჩამოერთვა საჯარო სამსახურში

თანამდებობის დაკავებისა და საქმიანობის უფლება.

10. მსჯავრდებულებს – კ. დ-ეს, ა. დ-ესა და ხ. რ-ს სასჯელის მოხდა დაენციოთ 2013 წლის 12 ივლისიდან, ხოლო ნ. რ-ას – დაკავების დღიდან.

11. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა კ. დ-ემ და მისმა ადვოკატმა ს. კ-ემ, ასევე – მსჯავრდებულმა ხ. რ-მა. მსჯავრდებულმა კ. დ-ემ და ადვოკატმა ს. კ-ემ სააპელაციო საჩივრით ითხოვეს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება, კ. დ-ის გამართლება საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „ე“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით ჩადენილ დანაშაულში და მისი ქმედების დაკვალიფიცირება საქართველოს სსკ-ის 375-ე და 376-ე მუხლებით. მსჯავრდებულმა ხ. რ-მა ითხოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 19 მარტის განაჩენის გაუქმება, მისი ქმედების საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“, მე-2 ნაწილის „ბ“, „ე“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებიდან 108-ე მუხლზე გადაკვალიფიცირება და შესაბამისი სასჯელის განსაზღვრა.

12. პროკურორმა რ. შ-ემ შესაგებლით ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვება.

13. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 25 ივნისის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

14. კასატორები: მსჯავრდებული კ. დ-ე და მისი ადვოკატები – ი. ა-ე და ს. კ-ე საკასაციო საჩივრებში აღნიშნავენ, რომ განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია და იგი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

15. საქმეში არ არსებობს არც ერთი მტკიცებულება, რომელიც უტყუარად დაადასტურებდა კ. დ-ის მიერ მისთვის ინკრიმინირებული დანაშაულის ჩადენას; ხ. რ-თან მას აკავშირებდა მეგობრული ურთიერთობა; მან სთხოვა, მიესწავლებინა ისეთი ადგილი, სადაც შეიძლებოდა დალაპარაკება და უთხრა, რომ პირადი მოტივით უნდოდა ერთ-ერთი უზბეკი ქალბატონის მოკვლა; იმის გამო, რომ კ. დ-ემ ხ. რ-ს ვერ გადააფიქრებინა განზრახვა, გადანყვიტა, გაჰყოლოდა და გზაში რაიმე მოეფიქრებინა, რათა გაეპარებინა ხსენებული ქალბატონი. კ. დ-ე დაუკავშირდა თავის ბიძაშვილს და მისი მანქანით გაემგზავრნენ თბილისისაკენ, შემდეგ გადაუხვიეს ახალციხის მიმართულე-ბით. გზაში რ. კ-ა არაადეკვატურად იქცეოდა. ერთ-ერთი გაჩერების დროს ხ. რ-მა უეცრად დიდი ქვა ჩაარტყა მას თავში და მოკლა; დაბნეულებმა მხოლოდ ის მოიფიქრეს, რომ მოკლული ქალბატონის ნივთები დაენვათ.

16. კასატორების აზრით, კ. დ-ე თავს ცნობს დამნაშავედ იმაში, რომ მომხდარის შესახებ დროულად არ განაცხადა სამართალდამცავ ორგანოებში და დაფარა ხ. რ-ის მიერ ჩადენილი დანაშაული. საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დადგენილა კ. დ-ის მონაწილეობა დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ მკვლელობაში, წინასწარი განზრახვით, შეკვეთით და ანგარებით, ყოველგვარი ეჭვი კი უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ; რაც შეეხება მის მიერ 1000 აშშ დოლარის აღებას, ეს თანხა იყო სესხი, რასაც ადასტურებენ კ. დ-ეც და ხ. რ-იც; 1000 აშშ დოლარი ძალზე მცირეა შეკვეთით განზრახი მკვლელობის ჩასადენად. კ. დ-ეს რ. კ-ას მოსაკლავად არანაირი ინტერესი, მოტივი და მიზანი არ ამოძრავებდა, მას საერთოდ არ იცნობდა.

17. სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რომ კ. დ-ემ ითანამშრომლა გამოძიებასთან და სასამართლოს მიაწოდა ობიექტური ინფორმაცია; არ არის ნასამართლევი; წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების სპეცდანიშნულების დანაყოფებში, წვრთნიდა ჯარისკაცებს, რომელთა მიმართ გამოირჩეოდა თავიზიანობითა და პატივისცემით; მონაწილეობდა 2008 წლის აგვისტოს ომში; მიღებული აქვს მრავალი სამხედრო ჯილდო და მადლობა; მისი მამა იყო აჭარის ა/რ-ის შს სამინისტროს განყოფილების უფროსი და ერთგულად ასრულებდა თავის მოვალეობას; ხასიათდება დადებითად; ჰყავს მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და პენსიონერი დედა, რომელთა ერთადერთი მარჩენალია.

18. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული კ. დ-ე და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატები ითხოვენ კ. დ-ის გამართლებას საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „ე“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში და მისი ქმედების საქართველოს სსკ-ის 375-ე და 376-ე მუხლებით დაკვალიფიცირებას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ კ. დ-ისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატების – ი. ა-ისა და ს. კ-ის საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასა-

მართლოს არგუმენტებს კ. დ-ის მიერ ჯგუფურად რ. კ-ას განზრახ მკვლელობის თაობაზე და მიაჩნია, რომ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეულ, უტყუარ, ურთიერთშეჯერებულ და საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობით დასტურდება კ. დ-ისთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა, კერძოდ:

3. მოწმე ა. დ-ემ აჩვენა, რომ საკუთრებაში ჰყავს „მერსედეს-ბენცის“ მარკის ავტომანქანა, სახელმწიფო ნომრით ..., რომლითაც, როგორც ტაქსის მძღოლი, ეწევა მოქალაქეთა მომსახურებას. 2013 წლის მაისის შუა რიცხვებში, დაახლოებით 12 საათზე, მას ტელეფონით დაუკავშირდა ნათესავი კ. დ-ე და სთხოვა 200 ლარის სანაცვლოდ უზბეკი ცოლ-ქმრის თბილისში ჩაყვანა. აღნიშნულ წინადადებაზე იგი დათანხმდა და იმავე დღეს კ. დ-ე და ა. დ-ე, ამ უკანასკნელის ავტომანქანით, ხსენებულ კლიენტებს ელოდებოდნენ ბათუმში, პორტის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც „ფორდ სიერას“ მარკის ავტომანქანით მივიდნენ უზბეკი ეროვნების ქალი – რ. კ-ა და მამაკაცი – ბ. რ-ი. კ. დ-ემ ა. დ-ეს გადაუხადა მგ ზავრობის საფასური – 200 ლარი და ისინი გაემართნენ თბილისის მიმართულებით. ქალაქ ხაშურში გაჩერდნენ სავანშემოდ, რა დროსაც კ. დ-ე და ბ. რ-ი ერთმანეთს ესაუბრებოდნენ. შემდეგ კ-მ მას მოსთხოვა უკან ბათუმში დაბრუნება ახალციხის გავლით და გამოემგზავრნენ კ. დ-ის მიერ მითითებული მარშრუტით. როდესაც გამოსცდნენ ადიგენის რაიონს, კ. დ-ე და ბ. რ-ი ხშირად აჩერებინებდნენ ავტომანქანას, ჩამოდიოდნენ და ათვალეერებდნენ ადგილმდებარეობას. გოდერძის უღელტეხილთან მისვლისას კ. დ-ემ მოსთხოვა წასულიყვნენ არა ბათუმის, არამედ ბეშუმის მიმართულებით, ამასთან შეახსენა, რომ იგი იყო მძღოლი და უნდა მომსახურებოდა ისე, როგორც მოსთხოვდნენ, რის გამოც ა. დ-ე, კ. დ-ის მითითებით, იძულებული გახდა გადაეხვია ე.წ. „შქერნალის“ ტერიტორიაზე. იქ მისვლის შემდეგ, კ-ს მოთხოვნით, ხიდის სიახლოვეს გააჩერა ავტომანქანა, საიდანაც მგ ზავრები – კ. დ-ე, ბ. რ-ი და რ. კ-ა გადავიდნენ და ფეხით გაემართნენ ე.წ. „შქერნალის“ რესტორნის მიმართულებით. 10-15 წუთის შემდეგ, ვინაიდან მგ ზავრები არ დაბრუნდნენ, იგი გაემართა მათ მოსაძებნად და შენიშნა, რომ რესტორნის მიმდებარე ტერიტორიაზე, მიწაზე იყო სისხლის გუბე, ხოლო იქვე, ფერდობზე ესვენა რ. კ-ას გვამი. იქვე იყვნენ კ. დ-ე და ბ. რ-ი. აღნიშნულის დანახვისას ა. დ-ემ დაიწყო ყვირილი, თუმცა კ. დ-ემ უთხრა, რომ ეს მისი საქმე არ იყო, მოსთხოვა დაბრუნებულიყო მანქანაში და დაელოდებოდა მათ. კ. დ-ემ და ბ. რ-მა იქვე გადამალეს გვამი და

ხულოს გავლით გაემართნენ ბათუმის მიმართულებით. შუახვე-ში, ბენზინგასამართ სადგურზე, კ. დ-ემ შეიძინა 2 ლიტრი ბენ-ზინი, რის შემდეგაც ისინი ავიდნენ ქედის რაიონის სოფელ ...-, სადაც ა. დ-ის კუთვნილ საკარმიდამო მიწის ნაკვეთთან კ. დ-ემ და ხ. რ-მა დაწვეს ავტომანქანაში დარჩენილი რ. კ-ას პირადი ნივთები.

4. ბრალდებულმა კ. დ-ემ თავი არ ცნო დამნაშავედ წარდგე-ნილ ბრალდებაში, თუმცა სასამართლოში ჩვენების მიცემისას დაადასტურა ა. დ-ის ჩვენებაში მითითებული ფაქტობრივი გა-რემოებები და განმარტა, რომ 2013 წლის 22 მაისს, დაახლოე-ბით 12:00 საათზე, მასთან მივიდა ხ. რ-ი და სთხოვა ეჩვენებინა ის ადგილი, სადაც შეძლებდა რ. კ-ას მოკვლას, რაზეც მან სცა-და გადაეფიქრებინებინა ხ-ისთვის განზრახვა. მცდელობის მი-უხედავად, ვერ აღებინა ხელი განზრახვაზე და გადაწყვიტა დათანხმებოდა და გაჰყოლოდა, თან გზაში რამეს მოიფიქრებ-და და გადააფიქრებინებდა. 2013 წლის 23 მაისს ა. დ-ეს, რო-გორც ნათესავსა და სანდო პირს, სთხოვა ავტომანქანით მომ-სახურება. რ. კ-ა კურორტ ბეშუმში, შემთხვევის ადგილამდე, ა. დ-ემ მიიყვანა სწორედ მისი მითითებით. მას შემდეგ, რაც იგი, რ-ი და კ-ა გადავიდნენ მანქანიდან და გაემართნენ რესტორნის მიმართულებით, მან უეცრად შებოჭა რ. კ-ა და დაანგინა მიწა-ზე, რათა დარწმუნებულიყო იყო თუ არა იგი ნამდვილად ფსიქი-კურად დაავადებული. სწორედ იმ დროს, როდესაც მას შებოჭი-ლი და მიწაზე დაგდებული ჰყავდა რ. კ-ა, ხ. რ-მა ქვის თავის არეში ორჯერ ჩართყმით განზრახ მოკლა იგი. ამის შემდეგ მან და ხ. რ-მა გადამალეს კ-ას გვამი, შემდგომში კი შუახვეის რაი-ონში, ბენზინგასამართ სადგურზე, შეიძინა ბენზინი და ქედის რაიონის სოფელ ...-, ა. დ-ის საკარმიდამო მიწის ნაკვეთთან, ხ. რ-თან ერთად გაანადგურა კ-ას ნივთები. კ. დ-ემ მოწმის სახით დაკითხვისას ასევე განმარტა, რომ მას სურდა უკან – ბათუმში დაბრუნება, თუმცა სიბნელეში გზა აერია და შეცდომით გადა-ახვევინა ა. დ-ეს ბეშუმის მიმართულებით.

5. ბრალდებულმა ხ. რ-მა დაადასტურა ა. დ-ისა და კ. დ-ის ჩვენებებში მითითებული საქმის ფაქტობრივი გარემოებები. მან თავი დამნაშავედ ცნო დამამძიმებელი გარემოებების გარეშე რ. კ-ას მკვლელობაში. მოტივად კი მიუთითა შურისძიება, რისი მიზეზიც თითქოს წარსულში რ. კ-ას მიერ მისი 4 წლის შვილის გატაცება იყო.

6. სასამართლო არ იზიარებს კ. დ-ისა და მისი ადვოკატების არგუმენტებს, რომ კ. დ-ეს არ ჰქონდა რ. კ-ას მოკვლის გან-ზრახვა და მიაჩნია, რომ მათი პოზიცია – თითქოს კ. დ-ე იმიტომ

გაჰყვა ხ. რ-ს, რომ ხელი შეეშალა რ. კ-ას მკვლევლობაში – მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს და მოგონილია კ. დ-ისთვის პასუხისმგებლობის არიდების მიზნით, კერძოდ:

7. ა. დ-ის ჩვენებით უტყუარად არის დადგენილი, რომ კ. დ-ემ სთხოვა უზბეკი ცოლ-ქმრის თბილისში ჩაყვანა 200 ლარის სანაცვლოდ და რომ ხაშურში მანვე მოსთხოვა დაბრუნებულიყო ბათუმში ახალციხის გავლით. ხულოს რაიონის კურორტ ბეშუმში შესვლის შემდეგ კი ისევ კ-ს მოთხოვნით გადაუხვია ე.წ. „შქერნალის“ ტერიტორიაზე.

8. პალატა აღნიშნავს, რომ დაცვის მხარის ვერსია – თითქოს კ. დ-ემ შებოჭა და ძირს დააგდო კ-ა მისი ფსიქიკური მდგომარეობის შემონახვის მიზნით -ყოველგვარ საღ აზრსაა მოკლებული. დაუჯერებელია და ვერც კ. დ-ე ხსნის, თუ რა საჭირო იყო რ-ის ფსიქიკური მდგომარეობის შესამოწმებლად ამხელა მანძილის გავლა, ბეშუმში ჩასვლა, რ-ის შებოჭვა და ძირს დაგდება. პალატას მიაჩნია, რომ აღნიშნული ქმედებით კ. დ-ემ მოუსპო კ-ას თავის დაცვის საშუალება და რ-ს გაუადვილა შემდგომი მოქმედება – თავის არეში ქვის ჩარტყმა. შესაბამისად, მათ ერთობლივად განახორციელეს განზრახ მკვლევლობის შემადგენლობა.

9. არადაამაჯერებელია კ. დ-ის ჩვენების ის ნაწილიც, რომ თითქოს მას უკან დაბრუნებისას შეეშალა გზა და ბათუმის ნაცვლად ბეშუმისკენ გადაახვევინა ა. დ-ეს, არადა სურდა რაიხონი ისევ ბათუმში დაებრუნებინა, ვინაიდან თავად კ. დ-ემ მიუთითა ჩვენებაში, რომ იგი მესაზღვრედ მუშაობდა და ძალიან კარგად იცოდა აჭარის ტერიტორია. პალატას მიაჩნია, რომ კ. დ-ემ, კარგად იცოდა რა აჭარის ტერიტორია, შეგნებულად დაგეგმა აღნიშნული მარშრუტი და შეარჩია ისეთი ადგილი, სადაც მონმეების გარეშე შეძლებდნენ დაგეგმილი დანაშაულის განხორციელებას. აღნიშნულს ადასტურებს ა. დ-ის ჩვენების ის ნაწილიც, რომ კ. ხშირად აჩერებინებდა მანქანას და ათვალიერებდა ტერიტორიას.

10. პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ მსჯავრდებული ხ. რ-ი საერთოდ უარყოფს კ. დ-ის ჩვენების იმ ნაწილს, სადაც იგი მიუთითებს, რომ 22 მაისს რ-ი მივიდა მასთან და სთხოვა კ-ას მოსაკლავად ადგილი ეჩვენებინა, ხოლო მან სცადა გადაეფიქრებინებინა განზრახვა და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეს ვერ მოახერხა, დათანხმდა წაყოლაზე. რ-მა ჩვენების მიცემისას განმარტა, რომ მას კ-სთვის საერთოდ არ უთქვამს, რომ კ-ას მოკვლას აპირებდა. პალატას მიაჩნია, რომ აღნიშნული შეუსაბამობა განპირობებულია მსჯავრდებულთა არა-

გულწრფელობითა და მისწრაფებით, თავიდან აირიდონ პასუხისმგებლობა.

11. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითა და ასევე, საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა – სასამართლო-სამედიცინო, ბიოლოგიურ-გენეტიკური, ნავთობპროდუქტების, ნივთიერებათა, მასალათა, ნაკეთობათა და მცენარეთა ექსპერტიზების დასკვნები, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი – შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, საკასაციო პალატას გონივრულ ეჭვს მიღმა დადასტურებულად მიაჩნია, რომ ხ. რ-ი და კ. დ-ე არიან რ. კ-ას მკვლელობის თანაამსრულებელი, მათ ერთობლივად დაგეგმეს და განახორციელეს მკვლელობის ობიექტური შემადგენლობა. სწორედ მათი ერთობლივი ქმედებით დადგა დაზარალებულ კ-ას სიკვდილი. შესაბამისად, მსჯავრდებულ კ. დ-ის ქმედება სწორად არის დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით.

12. რაც შეეხება მსჯავრდებულ კ. დ-ისთვის საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტების (განზრახ მკვლელობა, ჩადენილი დამნაშავეისათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარობაში მყოფისა და ანგარებით) ბრალად შერაცხვას, პალატა აღნიშნავს, რომ ბრალდების ამ ნაწილებში მსჯავრდებული კ. დ-ე უნდა გამართლდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

13. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირისთვის სიცოცხლის მოსპობა გულისხმობს სიცოცხლის მოსპობას ისეთი ადამიანისთვის, რომელსაც თავისი ფიზიკური თუ ფსიქიკური მდგომარეობის გამო არ გააჩნია დამნაშავეის ქმედებაზე რეაგირებისა და წინააღმდეგობის გაწევის უნარი. ამასთან, პალატა განმარტავს, რომ აღნიშნული მაკვალიფიცირებული გარემოება პირს შეიძლება შეერაცხოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა როგორც დამნაშავეის სუბიექტური აღქმა დაზარალებულის უმწეობისა, ისე დაზარალებულის ობიექტური მდგომარეობა უმწეო მდგომარეობაში ყოფნისა. ერთ-ერთი კრიტერიუმის არარსებობა გამორიცხავს დამნაშავეისთვის ზემოაღნიშნული მაკვალიფიცირებული გარემოების შერაცხვის სამართლებრივ შესაძლებლობას.

14. პალატა მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ რ. კ-ას უმწეო მდგომარეობაში ყოფნა გასაჩივრებული განაჩენით დადგენილად მიჩნეულია მოწმეების – შ. ჯ-ას, ფ. ი-ას, დ. რ-ასა და ა. დ-ის ჩვენებებით, რომლებიც მიუთითებენ, რომ კ-ა არაადეკვატურად იქცეოდა ხოლმე. პალატა არ იზიარებს სააპელა-

ციო სასამართლოს აღნიშნულ დასკვნას და მიუთითებს, რომ მხოლოდ მონმეთა ჩვენებები რ. კ-ას იმგვარი ფსიქიკური მდგომარეობის დასადასტურებლად, რაც მის უმწეობას განაპირობებდა, არ არის საკმარისი და გონივრულ ეჭვს მიღმა ვერ ადასტურებს ამ ნაწილში კ. დ-ის ბრალეულობას, მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ თავად კ. დ-ე აღნიშნავს, რომ მას ეჭვი ეპარებოდა, მართლა იყო თუ არა ფსიქიკურად დაავადებული რ. კ-ა, ხოლო ხ. რ-მა კი ჩვენების მიცემისას განმარტა, რომ კ-ა თვალთმაქცობდა და არანაირი ფსიქიკური დაავადება არ ჰქონდა. აღნიშნული მტკიცებულებების ურთიერთშეჯერებისა და შეფასების შედეგად პალატას მიაჩნია, რომ უტყუარად არ დგინდება არც კ-ას ობიექტურად უმწეო მდგომარეობაში ყოფნა და არც დ-ის მხრიდან აღნიშნული ვითარების სუბიექტური აღქმა, რაც გამოორიცხავს კ. დ-ის საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მსჯავრდების შესაძლებლობას.

15. რაც შეეხება მსჯავრდებულ კ. დ-ის მიერ რ. კ-ას განზრახ მკვლელობას ანგარებით, რაც გასაჩივრებული განაჩენით გამოიხატა იმაში, რომ კ. დ-ე რ. კ-ას მკვლელობაში მონაწილეობდა 1000 აშშ დოლარის სანაცვლოდ, პალატა მიუთითებს, რომ გამოკვლევული მტკიცებულებებით არ დასტურდება სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული დასკვნა, ვინაიდან, მართალია, კ. დ-ე ადასტურებს, რომ მართლაც მიიღო ხ. რ-ისგან ხსენებული თანხა, თუმცა კატეგორიულად უარყო მისი მიღება კ-ას მოკვლის სანაცვლოდ. მან განმარტა, რომ ხ. რ-ს ჰქონდა მისი ვალი და სწორედ ეს ვალი დაუბრუნა რ-მა. თავის მხრივ, ხ. რ-მაც უარყო ჩვენებაში კ-სთვის ფულის გადაცემა კ-ას მოკვლის სანაცვლოდ. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია სხვა რაიმე მტკიცებულება იმის დასადასტურებლად, რომ კ. დ-ემ 1000 აშშ დოლარი მიიღო რ-ისგან კ-ას მოკვლის სანაცვლოდ, კ. დ-ე ბრალდების ამ ეპიზოდშიც უნდა გამართლდეს.

16. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ რ. კ-ას უმწეო მდგომარეობაში ყოფნის ფაქტის დაუდგენლობა, საქართველოს სსსკ-ის 309-ე მუხლის შესაბამისად, განაპირობებს ხ. რ-ის შესაბამისი ქმედების (საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი) კვალიფიკაციის სარევიზიო საწყისით გადასინჯვას, ვინაიდან ზემოაღნიშნული სამართლებრივი მოცემულობა საერთოა როგორც კ. დ-ის, ისე ხ. რ-ისათვის (აღსანიშნავია, რომ ამ კონტექსტში საკასაციო პალატა ვერ იმსჯელებს ძეზნილი მსჯავრდებულის – ნ. რ-ას მიმართაც, ვინაიდან საქართველოს სსსკ-ის 292-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით,

მას ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 19 მარტის განაჩენი სააპელაციო წესით არ გაუსაჩივრებია), რის გამოც ხ. რ-იც უნდა გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა დამნაშავე-სათვის წინასწარ შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფისა) წარდგენილ ბრალდებაში.

17. რაც შეეხება კ. დ-ისათვის ბრალდებიდან ანგარების მოტივის ამორიცხვას, საკასაციო პალატა აღნიშნულ დასკვნამდე მივიდა მსჯავრდებულ კ. დ-ის საკასაციო საჩივრის საფუძველზე სააპელაციო სასამართლოს განაჩენის კანონიერების შემოწმების შედეგად. შესაბამისად, პალატამ შეაფასა მხოლოდ ის გარემოება, კ. დ-ემ 1000 აშშ დოლარი ხ. რ-ისაგან განზრახი მკვლელობის საფასურად მიიღო თუ არა, მაშინ, როდესაც გასაჩივრებული (მსჯავრდებულ კ. დ-ის მიერ) განაჩენით დადგენილია, რომ ხ. რ-მა ნ. რ-ისაგან მიიღო 2000 აშშ დოლარი კ-ას განზრახ მკვლელობისათვის.

18. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კ. დ-ისა და ხ. რ-ისთვის ბრალად შერაცხული, ანგარებით ჩადენილი განზრახი მკვლელობის კვალიფიკაცია ანგარებასთან მიმართებით ეფუძნება სხვადასხვა ფაქტობრივ გარემოებებს, რაც გამოიხატება ერთი მხრივ, ნ. რ-ას მიერ ხ. რ-ისთვის 2000 აშშ დოლარის (ანგარებით მკვლელობის ჩასადენად) გადაცემაში, ხოლო, მეორე მხრივ, ამ უკანასკნელის მიერ კ. დ-ისათვის იმავე მიზნით 1000 აშშ დოლარის გადაცემაში და, ვინაიდან, აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები არ ემთხვევა ერთმანეთს, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, ხ. რ-ის მიმართ ანგარების ნაწილშიც იმსჯელოს საქართველოს სსკ-ის 309-ე მუხლის საფუძველზე, ვინაიდან ამ უკანასკნელს საკასაციო საჩივარი არ წარმოუდგენია.

19. კ. დ-ისთვის დანიშნულ სასჯელთან დაკავშირებით პალატა მიუთითებს: მართალია, კ. დ-ისთვის სააპელაციო სასამართლოს განაჩენით დანიშნული სასჯელი – 17 წლით თავისუფლების აღკვეთა – საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის სანქციის ფარგლებშია (მაქსიმუმია), მაგრამ საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ კ. დ-ის პასუხისმგებლობის შემამსუშუებელი გარემოებების გათვალისწინებით, რომ იგი წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების სპეცდანიშნულების დანაყოფებში, წვრთნიდა ჯარისკაცებს, მონაწილეობდა 2008 წლის აგვისტოს ომში, მიღებული აქვს მრავალი სამხედრო ჯილდო და მადლო-

ბა, ხასიათდება დადებითად, ჰყავს მეუღლე და არასრულწლოვანი შვილი – არასამართლიანია მისთვის სანქციის მაქსიმუმის განსაზღვრა. ამავდროულად, პალატა მხედველობაში იღებს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესა და ხასიათს, ქმედებაში გამოვლენილ უკიდურესად საშიშ მართლსაწინააღმდეგო ნებას და ისე განუსაზღვრავს მსჯავრდებულ კ. დ-ეს სამართლიან სასჯელს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ კ. დ-ისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატების – ი. ა-ისა და ს. კ-ის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 25 ივნისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

4. მსჯავრდებული კ. დ-ე გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში.

5. მსჯავრდებულ კ. დ-ეს საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით მიესაჯოს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდაც აეთვალოს 2013 წლის 12 ივლისიდან.

6. მსჯავრდებული ხ. რ-ი გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

7. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 25 ივნისის განაჩენი სხვა ნაწილში – მათ შორის ხ. რ-ისთვის დანიშნული სასჯელი – დარჩეს უცვლელად.

8. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება,
ჩადენილი არაერთგზის**

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№384აპ-14

22 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე**

განიხილა მსჯავრდებულ გ. ფ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ჭ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 16 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 18 ივნისის განაჩენით გ. ფ-ა, – ნასამართლევი, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება ორი პირის მიმართ და არაერთგზის, რაც გამოიხატა შემდეგში:

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 1998 წლის 24 თებერვლის განაჩენით განზრახ მკვლელობისათვის ნასამართლევა გ. ფ-მ 2014 წლის 7 იანვარს ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭითანყარში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის ეზოში გ. თ-სა და გ. გ-ს მუცლის არეში დანით განზრახ მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე დაზიანება.

3. აღნიშნული ქმედებისათვის გ. ფ-ს განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2014 წლის 17 იანვრიდან.

4. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა გ. ფ-მ და მისმა ადვოკატმა მ. ჭ-მ. აპელანტებმა ითხოვეს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 18 ივნისის განაჩენის გაუქმება და გ. ფ-ს გამართლება.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 16 სექტემბრის განაჩენით საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

6. კასატორები – მსჯავრდებული გ. ფ-ა და მისი ინტერესე-

ბის დამცველი, ადვოკატი მ. ჭ-ა საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ განაჩენი უკანონოა და იგი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

7. გ. ფ-ს განმარტებით, შობის დღესასწაულის აღსანიშნავ სუფრაზე დალიეს არაყი. ამ დროს ცუდად გახდა ნ. პ-ი, რომელიც გარეთ გაიყვანა. იქ ყოფნისას გაიგო ჩოჩქოლი და კივილი; თვითონ კონფლიქტი და ჩხუბი არავეისთან ჰქონია, არც დანა ჰქონდა; გ. თ-სა და გ. გ-ს დაჭრის შესახებ მოგვიანებით გაიგო გამომძიებელ ჯ. ზ-საგან.

8. კასატორთა აზრით, სასამართლომ მოწმეების – ქ. თ-სა და ი. კ-ს ჩვენებები განმარტა დამახინჯებულად; მოწმე ქ. თ-მ თვითონ კი არ დანახა დაჭრის ფაქტი, არამედ პოლიციის სამმართველოში უთხრეს, რომ მისი შვილი დაჭრა გ. ფ-მ, რომლის ამოცნობა ჩატარდა მეტად უცნაურ ფორმებში – გ. ფ-ს ადმინისტრაციული წესით დაკავებიდან მეათე დღეს, ხოლო მ იანვარს ამოცნობის ჩატარებაზე გ. ფ-მ უარი განაცხადა, რაც დაფიქსირდა ოქმში, რადგან ქ. თ-ს იგი წინასწარ აჩვენეს, ამიტომ ამოცნობის ჩატარებას აზრი არ ჰქონდა; მოწმეები – ზ. ტ-ა, ნ. შ-ე, ბ. ნ-ა, მ. ს-ა და მ. კ-ა გ. ფ-ს არ ასახელებენ, რადგან იგი საერთოდ არ უნახავთ, არც ის უნახავთ, თუ რა ვითარებში დაიჭრნენ გ. თ-ა და გ. გ-ა.

9. გ. ფ-ას უდანაშაულობას ადასტურებენ მოწმეები – ა. ფ-ა, ნ. პ-ი და ვ. ქ-ე, ხოლო ბრალდების ერთ-ერთი მოწმე – არასწრულწლოვანი ბ. ც-ა დაკითხულია მშობლისა და ფსიქოლოგის დასწრების გარეშე, მის დაკითხვას ესწრებოდა მხოლოდ პედაგოგი ა. ჩ-ა; მიუხედავად დაცვის მხარის მოთხოვნისა, ბრალდების მხარე სასტიკი წინააღმდეგი იყო მისი სასამართლოში გამოცხადების ან თუნდაც დისტანციურად დაკითხვისა, რასაც სასამართლოც უყოყმანოდ დაეთანხმა; მოწმე ბ. ც-ზე რომ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზენოლა ხდებოდა, დასტურდება იმითაც, რომ მისი დაკითხვის დროს შს სამმართველოში გამოიძახეს სასწრაფო სამედიცინო დახმარების მუშაკები, რომლებმაც შეამოწმეს მოწმის ჯანმრთელობის მდგომარეობა; გამომძიებამ არ მიიღო ზომები ბ. ც-ს, როგორც ბრალდების მთავარი მოწმის, საქართველოს ტერიტორიაზე დასარჩენად; ბრალდებამ და სასამართლომ გაიზიარეს მისი ჩვენების ერთი ნაწილი, ხოლო მეორე ნაწილი უსაფუძვლოდ უარყვეს; არ დაადგინეს გ. თ-სთან მყოფი პირების ვინაობა, დაზარალებულებმა კი დაადასტურეს, რომ გ. ფ-ს დანა არ ეჭირა.

10. მსჯავრდებულ გ. ფ-ს მიერ დანაშაულის ჩადენის გამომრიცხავ გარემოებას წარმოადგენს ქიმიური და ფიზიკო-ტექნი-

კური ექსპერტიზების დასკვნები, რომელთა თანახმად, გ. ფ-სა და დაზარალებულების ტანსაცმელზე ერთმანეთის მიკრონა-ნილაკები არ აღმოჩნდა; დაზარალებულ გ. გ-ს ჩვენებით, მას გ. ფ-ს ხელში დანა არ უნახავს, მასთან რაიმე კონფლიქტი არ ჰქონია, ხოლო გამოძიებაში ჩვენება მისცა ჯერ კიდევ ნარკოზის ზემოქმედებაში მყოფმა, სწორია სასამართლოში მიცემული ჩვენება; ანალოგიური ჩვენება მისცა დაზარალებულმა გ. თ-მაც; სწორედ ამის მერე დაიწყო მათზე შურისძიება და პროკურატურამ ორივე დაზარალებული დააკავა.

11. ბრალდების მხარემ შეგნებულად აარიდა თავი სრულყოფილი ექსპერტიზების ჩატარებას, დღემდე დაუდგენელია დანის ფორმა, ორლესური იყო იგი თუ არა, ორივე დაზარალებულს ერთი და იმავე დანით მიაყენეს თუ არა ჭრილობები; გამოძიებაში არ ამოიღო კონფლიქტში ჩართული სხვა პირების – ბ. ც-ს, ნ. პ-სა და ფ-ს ტანსაცმელი; თუკი მათ ტანსაცმელზე აღმოჩნდებოდა დანაშაულის კვალი, მაშინ საქმე სხვაგვარად შეტრიალდებოდა, რადგან გ. ფ-ს ტანსაცმელზე სისხლი ან დანაშაულის მიმანიშნებელი რაიმე კვალი არ აღმოჩნდა.

12. დაზარალებულმა გ. თ-მ სასამართლოს სწორი ჩვენება მისცა 2014 წლის 18 თებერვალს, ამიტომ მას სასამართლოში განმეორებით ვეღარ დაკითხავდნენ; იმავე დღეს ზენოლის შედეგად ბრალდებამ მისგან მიიღო სასურველი ჩვენება წერილობით, რომელიც სასამართლოში წარადგინეს 28 მაისს და მოითხოვეს მისი მტკიცებულებად ცნობა, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა; იმავე დღეს გამოქვეყნდა საქმეში არსებული მასალები, რაც ფაქტობრივად მტკიცებულებათა გამოკვლევის დამთავრებას ნიშნავდა, ე.ი. ბრალდების მხარემ 2014 წლის 18 თებერვლიდან 28 მაისამდე გადამალა გ. თ-საგან კანონდარღვევით მიღებული ჩვენება, რათა დაცვის მხარეს იგი ვერ გაექარწყლებინა.

13. 2014 წლის 4 აპრილის სასამართლო სხდომაზე პროკურორმა ვ. ს-მ იშუამდგომლა მონმე ბ. ც-ს ჩვენების გამოქვეყნების თაობაზე, მაგრამ ეს საკითხი არ გადაწყვეტილა; მომდევნო – 28 მაისის სხდომაზე პროკურორმა კვლავ წარმოადგინა ანალოგიური შუამდგომლობა, დათარიღებული უკვე 2014 წლის 28 მაისით; სასამართლომ ეს შუამდგომლობაც მიიღო; მაშინ ჩნდება კითხვა: რატომ მისცეს მთავარ მონმე ბ. ც-ს საქართველოს ტერიტორიის დატოვების საშუალება? მონმედ დაკითხულმა გამომძიებელმა ჯ. ზ-მ დაცვის მხარის მიერ დასმულ შეკითხვებზე განაცხადა, რომ რიგი საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარება სავალდებულოდ არ მიიჩნია; ამის შემდეგ გამოძიების სრულ-

ყოფილად ჩატარებაზე საუბარი ზედმეტი.

14. კასატორები არ ეთანხმებიან პროკურორ გ. ს-ს დასკვნით სიტყვაში გამოთქმულ ზოგიერთ მოსაზრებას, კერძოდ იმას, რომ მოწმე ქ. თ-ს არ მიუცია ჩვენება, რომ მისი შვილი დაჭრა გ. ფ-მ, ასევე იმას, რომ გ. ფ-მ ტანსაცმელი დაიხია დაზარალებულთან ჩხუბის დროს და რომ, ბ. ც-ს ჩვენებით, მას ხელში სწორედ ის დანა ეჭირა, რომლითაც დაჭრეს გ. თ-ა და გ. გ-ა; დაცვის მხარეს არ ჰქონდა სხვა პირთა ტანსაცმლის ამოღებისა და მათზე ექსპერტიზების ჩატარების უფლება, როგორც ეს პროკურორმა განაცხადა, რადგან გ. ფ-ა ადმინისტრაციულ სახდელს იხდიდა, ხოლო მოწმე ბ. ც-ა 7-8 იანვარს მიიმალა; სააპელაციო სასამართლოს წარედგინა დაზარალებულ გ. თ-ს გამოკითხვის ოქმი, რომელშიც იგი აცხადებდა, რომ გ. ფ-ს ის არ დაუჭრია, და განცხადება, რომლითაც იგი ითხოვდა დაკითხვას, რათა ეთქვა სიმართლე, მაგრამ სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა საქმის არსებითად განხილვისა და გ. თ-ს დაკითხვის შესახებ; შემთხვევის ადგილზე მყოფთა განცხადებით, მათ არ გაუგიათ გ. ფ-ს სახელი, იგი არავის უხსენებია, ხოლო ტაქსის მძღოლ მ. ქ-ს ჩვენებით, გ. ფ-ს ხელში დანა არ დაუნახავს, იგი იჯდა მშვიდად და ჩხუბი ან კონფლიქტი არ უხსენებია.

15. ამდენად, ბრალდების მხარემ ვერ წარმოადგინა გ. ფ-ს მიერ დანაშაულის ჩადენის რაიმე მტკიცებულება, რის გამოც კასატორები ითხოვენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 16 სექტემბრის უკანონო განაჩენის გაუქმებას და გ. ფ-ს გამართლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ მოუსმინა მხარეებს, შეისწავლა საქმის მასალები და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეყრდნობოდეს ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რაც გონივრულ ეჭვს მიღმა დაადასტურებს პირის ბრალეულობას. ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებების შეფასების შედეგად საკასაციო პალატას დადგენილად მიაჩნია გ. ფ-ს მიერ გ. თ-სთვის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების მიყენების ფაქტი, კერძოდ:

3. სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა, და-

ზარალებულ გ. თ-ს დედამ – ქ. თ-მ აჩვენა, რომ 2014 წლის 7 იანვარს მის შვილს – გ. თ-ს დაურეკა მანამდე უცნობმა პირმა, რომელსაც გ. თ-მ უპასუხა, რომ ის არ იცნობდა ვინმე გ. ფ-ს და თუ ვინმეს საქმე ჰქონდა, მისულიყვნენ მასთან სახლში; დაახლოებით 19 საათზე მისი შვილი ჩავიდა ეზოში. ქ. თ-ა მას 10 წუთში უკან გაჰყვა, ვინაიდან შეეშინდა ჩხუბი არ მომხდარიყო. რომ ჩავიდა, იყო ჩოჩქოლი და ხმამალალი ლაპარაკი; ერთი იყო შუახნის კაცი, ჩაფსკენილი და წვერიანი, დანარჩენები სულ ახალგაზრდა – 16-17 წლის ბიჭები იყვნენ. მოწმემ განმარტა, რომ კარგად დაინახა, თუ როგორ მოუქნია ამ წვერიანმა კაცმა ხელი მის შვილს, რა დროსაც გ-მ იყვირა დამჭრესო; ქ. თ-მ დაადასტურა, რომ გამწარებულმა ხელი გაარტყა და თვალებში ჩახედა იმ კაცს, რომელმაც შვილი დაუჭრა. მოწმემ ასევე დაადასტურა, რომ ფოტოსურათით ამოიცნო გ. ფ-ა.

4. ფოტოსურათით პირის ამოცნობის ოქმით დადგენილია, რომ 2014 წლის 17 იანვარს ქ. თ-ს ამოსაცნობად წარედგინა ოთხი ფოტოსურათი, რა დროსაც მან ამოიცნო გ. ფ-ა და მიუთითა, რომ სწორედ მან დაჭრა მისი შვილი 2014 წლის 7 იანვარს.

5. დაზარალებულ გ. თ-ს ჩვენებიდან ირკვევა, რომ მან ბ. ც-ს მისცა გოგოს ტელეფონის ნომერი, რომელსაც იმ გოგოსთან უხსენებია გ. თ-ს სახელი, რის გამოც მან უსაყვედურა ც-ს. 2014 წლის 7 იანვარს დაურეკა უცნობმა პირმა, ესაუბრა გ. ფ-ს სახელით და ჰკითხა, სად შეიძლებოდა მისი ნახვა. გ. თ-მ უთხრა, რომ ის თავის უბანში იმყოფებოდა და შეეძლო იქ მისულიყო; მივიდა ოთხი კაცი, ერთ-ერთი იყო ბ., დანარჩენ სამს არ იცნობდა. სამიდან ერთ-ერთი გამოირჩეოდა ასაკით და წვერით. დაახლოებით სამ წუთში მოვიდა გ. გ-ა. გ-ა და მოსულები „ჯიკაობდნენ“; იგი მივიდა გასაშვებლად, რა დროსაც ვილაცამ მასაც „ნაუჯიკავა“ და რამდენიმე წუთში იგრძნო, რომ დაჭრილი იყო; მაშინვე გაიქცა სახლის მიმართულებით და ითხოვდა შველას. ამ დროს გ-ც გამოობოდა, რომელიც ასევე დაჭრილი იყო. გ. თ-მ განმარტა, რომ მუცლის ღრუში ჭრილობა ვინ და რა დროს მიაცენა, არ იცის. ის ფაქტი, რომ თურმე გ. ფ-ს დაუჭრია, მოგვიანებით შეიტყო საავადმყოფოში.

6. სასამართლო სხდომაზე კანონით დადგენილი წესით გამოქვეყნდა მოწმე ბ. ც-ს ჩვენება, საიდანაც ირკვევა, რომ 2013 წლის დეკემბერში გაიცნო გ. თ-ა და მას სთხოვა გოგოს ტელეფონის ნომერი, რომელთანაც შეიძლებოდა ახლო მეგობრულ ურთიერთობას. მან მისცა თ-ს ნომერი, რომელსაც დაუკავშირდა ტელეფონით და შემდეგ სახლშიც ეწვია. 2014 წლის 7 იანვარს დაურეკა გ. თ-მ და უსაყვედურა თ-სთან მისი სახელის ხსენე-

ბის გამო და შეთანხმდნენ, რომ შეხვედებოდნენ ერთმანეთს სოფელ ჭითანყარში. იმავე საღამოს ის, გ. ფ-ა, ა. ფ-ა და ნ. პ-ი ტაქსით წავიდნენ სოფელ ჭითანყარში. ავტომანქანაში გ. ფ-ა ხელში ათამაშებდა ჯიბის საკეც დანას, რომელსაც ხან დაკეცავდა ხან კი – გახსნიდა. სხვების ხელში დანა არ უნახავს. მეფრინველეობის ბინებთან შეხვდნენ გ. თ-ს, რომელსაც გ. ფ-ა დაახლოებით 10 წუთს ესაუბრებოდა, რის შემდეგაც ერთმანეთს გაართყვეს ხელი. ჩხუბში თვითონ და გ-ს მეგობრებიც ჩაერთვნენ, რის შემდეგაც ტაქსით დაბრუნდნენ კომბინატში.

7. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასავლეთ საქართველოს რეგიონალური ექსპერტიზის სამსახურის 2014 წლის 15 იანვრის ექსპერტიზის №...- დასკვნით გ. თ-ს მიყენებული აქვს ბასრი საგნით შემდნევი ჭრილობა მუცლის ღრუში, მლივი ნაწლავის და ჯორჯლის დაზიანებით; დაზიანება მიყენებულია მჩხვლეტავ-მჭრელი თვისების საგნის ზემოქმედებით და მიეკუთვნება სიცოცხლისთვის სახიფათო სხეულის დაზიანებათა მძიმე ხარისხს.

8. პალატა ყურადღებას ამახვილებს მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების სახით დართულ და სასამართლოში გამოკვლეულ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 15 აპრილის განაჩენზეც, რომლითაც დადგინდა, რომ გ. თ-მ, რომელმაც გამოძიებაში დეტალურად აღწერა და მიუთითა შუახნის წვერიანი მამაკაცის – გ. ფ-ს მიერ მისი დაჭრის ფაქტზე, სასამართლოს გ. ფ-სთვის პასუხისმგებლობის თავიდან არიდების მიზნით განზრახ მისცა არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენება, რომ თითქოს არ იცოდა, ვინ დაჭრა იგი, რის გამოც მას აღნიშნული განაჩენით მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ის 371¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

9. ზემოაღნიშნული უტყუარი და ურთიერთშეთავსებადი მტკიცებულებები პალატას საკმარისად მიაჩნია დასკვნისთვის, რომ გ. ფ-მ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება მიაყენა გ. თ-ს.

10. პალატა არ იზიარებს კასატორის პოზიციას, რომ თითქოს იგი საერთოდ არ იმყოფებოდა შემთხვევის ადგილზე და მიუთითებს, რომ გარდა ზემომითითებული მტკიცებულებებისა, გ. ფ-ს შემთხვევის ადგილზე ყოფნის ფაქტი ასევე დასტურდება მისი თანმხლები პირების – ნ. პ-სა და ა. ფ-ს ჩვენებებით. ასევე მოწმე ვ. ქ-ც დაადასტურა, რომ შემთხვევის დღეს მან გ. ფ-ა და სამი ახალგაზრდა თავისი მანქანით წაიყვანა სოფელ ჭითანყარში.

11. უსაფუძვლოა კასატორის მითითება გამომძიებლის ვალ-

დებულებაზე – მოეპოვებინა რიგი მტკიცებულებები, ვინაიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, მტკიცებულებების მოპოვება მხარეთა პრეროგატივაა. ისინი თავიანთი შეხედულებისამებრ მოიპოვებენ და წარადგენენ მტკიცებულებებს. შესაბამისად, დაცვის მხარე უფლებამოსილი იყო, საჭიროების შემთხვევაში თავად მოეპოვებინა ის მტკიცებულებები, რომელთაც საჭიროდ მიიჩნევდა თავისი პოზიციის დასადასტურებლად.

12. პალატა არ იზიარებს ასევე დაცვის მხარის მოსაზრებებს იმის თაობაზე, რომ დაზარალებულებზე გამოძიებაში ხორციელდებოდა ზენოლა, ხოლო მონმე ქ. თ-ს წინასწარ აჩვენეს გ. ფ-ა და უთხრეს, რომ მან დაჭრა მისი შვილი, ვინაიდან ამის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება დაცვის მხარეს არ წარმოუდგენია. მეტიც, აღნიშნული ფაქტი უარყო მონმე ქ. თ-მ; დაზარალებულებმაც სასამართლო სხდომაზე ჩვენების მიცემისას განმარტეს, რომ დაკითხვა მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა და მათზე ზენოლა არავის მოუხდენია. აღნიშნული გარემოება სასამართლოში მონმის სახით დაკითხულმა გამოძიებელმა ჯ. ზ-ც დაადასტურა.

13. რაც შეეხება გ. ფ-სთვის გ. გ-ს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების მიყენების ფაქტის ბრალად შერაცხვას, პალატას მიაჩნია, რომ აღნიშნული ეწინააღმდეგება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს, კერძოდ:

14. საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის, 259-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 273-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს. გამამტყუნებელ განაჩენში უნდა აღინიშნოს უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა. საქართველოს სსსკ-ის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა. გასაჩივრებული განაჩენი კი გ. გ-სთვის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ნაწილში აგებულია ეჭვებსა და ვარაუდებზე, ვინაიდან საქმეში არ არის წარმოდგენილი არც ერთი პირდაპირი მტკიცებულება, რომელიც მიუთითებდა გ. ფ-ს მიერ გ. გ-ს დაჭრის ფაქტზე (თავად დაზარალებულმა გ-ც სასამართლო სხდომაზე უარყო აღნიშნული ფაქტი და მიუთითა, რომ სიმთვრალის გამო არ ახსოვს, თუ ვინ და რა ვითარებაში დაჭრა), რის გამოც ბრალდების ამ ნაწილში (გ. გ-ს ჯანმრთელობის განზრახ

მძიმე დაზიანება) მსჯავრდებული უნდა გამართლდეს.

15. პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს მითითება გ. ფ-ს მიერ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების არაერთგზის ჩადენის თაობაზე და მსჯავრდებული ბრალდების ამ ნაწილშიც უნდა გამართლდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

16. საქართველოს სსკ-ის მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, არაერთგზისი დანაშაული ნიშნავს წინათ ნასამართლევი პირის მიერ ამ კოდექსის იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. ამ კოდექსის სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაული მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არაერთგზის დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია ამ კოდექსის შესაბამის მუხლში. საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლზე კანონმდებელს ამგვარი დათქმა არ გაუეკთვებია, შესაბამისად, საქართველოს სსკ-ის მე-15 მუხლის შინაარსი გამორიცხავს საქართველოს სსკ-ის 104-ე (1960 წლის რედ.) მუხლით ნასამართლევი გ. ფ-სთვის საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ბრალად შერაცხვის სამართლებრივ შესაძლებლობას.

17. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ გ. ფ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე.

18. რაც შეეხება სასჯელს, საკასაციო პალატამ, საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის შესაბამისად, მხედველობაში მიიღო გ. ფ-ს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, კერძოდ: გ. ფ-ს არ აქვს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, ხოლო მისი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებაა მისი პიროვნება და წარსული ცხოვრება: იგი ნასამართლევი არაერთი განზრახი მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის, მათ შორის – განზრახ მკვლელობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში; პალატამ მხედველობაში მიიღო ასევე ჩადენილი ქმედების სიმძიმე და ხასიათი, მისი მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროება და მიიჩნია, რომ სამართლიანი იქნება გ. ფ-სთვის სასჯელის სახით მოცემული მუხლისთვის გათვალისწინებული სანქციის მაქსიმუმის განსაზღვრა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-

ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ გ. ფ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ჭ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 16 სექტემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. გ. ფ-ა ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს გ. გ-ს ჯანმრთელობის განზრახ მიძიმე დაზიანების ეპიზოდში.

4. გ. ფ-ს მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებიდან გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე (გ. თ-ს ეპიზოდი), რისთვისაც სასჯელის სახით განესაზღვროს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

5. მსჯავრდებულ გ. ფ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაენწყოს 2014 წლის 17 იანვრიდან.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 16 სექტემბრის განაჩენი ნივთმტკიცებათა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

7. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ჯანმრთელობის განზრახ მქიმა დაზიანება,
ჩადენილი სულიბნური ძვანაბრქნობით**

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№76აპ-15

30 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
პ. სილაგაძე,
გ. შავლიაშვილი**

განიხილა მსჯავრდებულ გ. ხ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ნ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 17 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 3 ოქტომბრის განაჩენით: დაკმაყოფილდა თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორ გ. მ-ს შუამდგომლობა. დამტკიცდა პროკურორსა და განსასჯელ ა. ა-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება. ა. ა-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 88-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელი შეუმცირდა ერთი მეოთხედით და მოსახდელად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის საფუძველზე სასჯელის ნაწილი – 6 თვე უნდა მოიხადოს სასჯელალსრულების დაწესებულებაში, ხოლო 2 წელი და 6 თვე სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების გამოყენებით ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით, 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის საფუძველზე სასჯელის ნაწილი – 6 თვე უნდა მოიხადოს სასჯელალსრულების დაწესებულებაში, ხოლო 2 წელი და 6 თვე სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების გამოყენებით ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვე-

თა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის საფუძველზე სასჯელის ნაწილი – 1 წელი უნდა მოიხადოს სასჯელალსრულების დაწესებულებაში, ხოლო 5 წელი სსკ-ის 63-ე–64-ე მუხლების გამოყენებით ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით. მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 10000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. ა. ა-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 13 ივნისიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა 2006 წლის 14 სექტემბრიდან 2006 წლის 17 სექტემბრის ჩათვლით დაკავებაში ყოფნის პერიოდი. მის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – დაპატიმრება გაუქმდა. გაუქმდა ასევე თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 17 სექტემბრის ბრძანებით მის მიმართ შეფარდებული გირაო – 5000 ლარი და გირაოს სახით გადახდილი თანხა უნდა გადაირიცხოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

2. გ. ხ ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 88-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელი შეუმცირდა ერთი მესამედით და მოსახდელად განესაზღვრა 9 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდის ვადის ათვლა უნდა დაეწყო ფაქტობრივი დაკავების მომენტიდან.

3. ნივთმტკიცება – რ. ვ-ს ტანსაცმელი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ კანონმდებლობით დადგენილი წესით უნდა დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს – დაზარალებულ რ. ვ-ს.

4. განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ გ. ხ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2008 წლის 2 იანვარს, დაახლოებით 21.00 საათზე, გ. ხ-ა მეგობარ ლ. ჭ-ნ, ძმებ გ. და ა. ა-ნ ერთად მივიდა თბილისში, მეტრო „ისნის“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ლომბარდში, საიდანაც უნდა წამოეღო მისი კუთვნილი „სონი ერიქსონის“ ფირმის მობილური ტელეფონი, რომელიც 50 ლარად ჰქონდა დალომბარდებული გ. ა-ს სახელით. ამ დროს ლომბარდში იმყოფებოდნენ დარაჯი რ. მ-ე და მისი მეგობარი რ. ვ-ე. გ. ხ-ა და მისი მეგობრების მისვლის მომენტში რ. მ-ე კეტავდა ლომბარდს, რასთან დაკავშირებითაც განუცხადა გ. ხ-ა და მის მეგობრებს, რომ მობილური ტელეფონის წასაღებად მისულიყვნენ მეორე დღეს. აღნიშნულზე განაწყენებულებმა გ. ხ-მ, ლ. ჭ-მ, გ. და ა. ა-ა რ. ვ-ს დაუწყეს სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება. შექმნილი სი-

ტუაცის განმუხტვის მიზნით, რ. მ-ე მოუწოდებდა გ. ხ-ს და მის მეგობრებს სიმშვიდისაკენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი კვლავ განაგრძობდნენ ხულიგნურ ქმედებას. რ. მ-ე კვლავ მოუწოდებდა წესრიგისა და სიმშვიდისაკენ, მაგრამ გ. ხ-ა და მისი თანმხლები პირები მეტი აგრესიით, გინებითა და ძალადობით განაგრძობდნენ რ. ვ-ს მიმართ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებას, კერძოდ, რ. ვ-ს მიაყენეს ჯანმრთელობის დაზიანებები. ა. ა-ს, ლ. ჭ-ს, გ. ხ-ა და გ. ა-ს ხულიგნური ქმედება გრძელდებოდა დაახლოებით 10–15 წუთს. რ. ვ-ს ცემის დროს გ. ხ-მ ხულიგნური ქვენაგრძობით, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე განიზრახა მისი მოკვლა. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით გ. ხ-მ თანაქონი დანა რ. ვ-ს რამდენჯერმე დაარტყა სხეულის სხვადასხვა არეში, რა დროსაც გულმკერდის მარცხენა ნახევარში მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო, მძიმე ხარისხის ნაკვეთ-ნაჩხვლეტი დაზიანება, რის შემდეგაც გ. ხ-ა და მისი თანმხლები პირები შემთხვევის ადგილიდან მიიძალნენ. რ. მ-მ და იქ მყოფმა პირებმა რ. ვ-ე მიღებული დაზიანებებით გადაიყვანეს №1 კლინიკურ საავადმყოფოში, სადაც მას შეუნარჩუნდა სიცოცხლე. მსჯავრდებულ გ. ხ-ა დააკავეს 2014 წლის 23 აპრილს.

5. აღნიშნულ განაჩენში თბილისის საპატრულო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 17 დეკემბრის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ: გ. ხ-ა ცნობილ იქნა უდანაშაულოდ საქართველოს სსკ-ის 19,109-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და ბრალდების ამ ნაწილში გამართლდა. გ. ხ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 88-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, შეუმცირდა ერთი მესამედით და განესაზღვრა 5 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, გაუნახევრდა და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 2 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა. გ. ხ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2014 წლის 23 აპრილიდან.

6. ნივთმტკიცება – რ. ვ-ს ტანსაცმელი საქმეზე საბოლოო გადანყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს დაზარალებულს.

7. მსჯავრდებულ გ. ხ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი გ. ნ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის საპატრულო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის

17 დეკემბრის განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: მსჯავრდებულ გ. ხ-ს გამართლებას საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და მის დამნაშავედ ცნობას სსკ-ის 120-ე მუხლით.

8. საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულ გ. ხ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. ნ-ა ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები. მან მხარი დაუჭირა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლა მისი დაკმაყოფილება, რასაც დაეთანხმა მსჯავრდებული გ. ხ-ა.

9. საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა მ. ჯ-ამ ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები და იშუამდგომლა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 17 დეკემბრის განაჩენის უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს არგუმენტებს გ. ხ-ს მიერ ხულიგნური ქვენაგრძნობით ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების თაობაზე და მიაჩნია, რომ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეულ, უტყუარ, ურთიერთშეჯერებულ და საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობით დასტურდება გ. ხ-ს შერაცხული ქმედების ჩადენა, კერძოდ:

3. მსჯავრდებულმა გ. ხ-მ აჩვენა, რომ ვინაიდან არასრულწლოვანი იყო და არ ჰქონდა პირადობის მონიშვნა, ა. ა-ს ძმის სახელით დაალომბარდა ტელეფონი, დაახლოებით 30 დეკემბერს. 2008 წლის 2 იანვარს შეხვდა ძმებს – გ. და ა. ა-ს და მივიდა ტელეფონის გამოსატანად. იქნებოდა დაახლოებით 01:00 ან 02:00 საათი, როდესაც მივიდნენ ლომბარდში. იქ მომუშავე პირმა განუცხადა, რომ ტელეფონი იდო სეიფში, ხოლო მისი გასაღები ჰქონდა უფროსს, რომელიც იქ არ იყო და უთხრა, მოგვინებოდა მისულიყვნენ. მეორედ მისვლის დროს მათთან ერთად იმყოფებოდა ლ. ჭ-ც. მეორედ მისვლისას იმ ბიჭმა ისევ უთხრა, რომ უფროსი კიდევ არ იყო მოსული და ხვალ მისულიყვნენ. მათგან ერთ-ერთმა უთხრა, „პირდაპირ გეთქვა, თუ არ მოდიოდა უფროსი, შენი უფროსია და არ იცოდი, რომ დღეს არ მოვიდო-

დაო?“ ამ დროს კი მეორე პირმა მათ დაუნყო უხეშად ლაპარაკი – „არ გესმით, წადით და ხვალე მოეთრიეთ“, რასაც მოჰყვა შელაპარაკება და ურთიერთშეურაცხყოფის მიყენება. კამათი გადაიზარდა ჩხუბში. ჩხუბის დროს იმ პირმა მას ყელზე გაკეთებულ კაშნეში მოუჭირა ხელი, რის გამოც უკვე ველარ სუნთქავდა, რამდენჯერმე უთხრა, რომ გაეშვა ხელი, მაგრამ ის არ უშვებდა, იყო ნასვამი და იგინებოდა. ხელი რომ აღარ გაუშვა, მან ჯიბიდან ამოიღო პატარა დანა და ერთხელ უჩხვლიტა საჯდომში. მიუხედავად ამისა, მან ხელი მაინც არ გაუშვა, რის გამოც რამდენჯერმე კიდევ უჩხვლიტა ერთსა და იმავე ადგილზე, რის შედეგადაც გაუშვა ხელი. ამ დროს ვილაცამ დაიძახა „პატრული მოდისო“, „თუ დაიშალეთო“ და ყველანი გაიქცნენ. „ისნის“ მეტროსთან რომ მივიდნენ, უკვე აღარ გარბოდნენ, მიდიოდნენ ნელა-ნელა და ბიჭებს უთხრა, კაცი დაეჭერიო. უბანში რომ მივიდნენ, ა-მ ჰკითხა, სად დაეჭერიო და მან უპასუხა, რომ კაშნეზე რომ მექაჩებოდა, მაგ დროს დაეჭერი საჯდომშიო. ამ დროს ყველა ერთად იყო და მან მეგობრებს დანა აჩვენა. მას სხვების ხელში დანა არ დაუნახავს. ის დანას საერთოდ არ ატარებდა. ეს დანა 30 თუ 31 დეკემბერს აჩუქა მეგობარმა გოგომ სუვენირად, ხოლო იმ დღის შემდეგ გადააგდო, რადგან შეეშინდა. დანა იყო „ვიქტორ ინოქსის“ ფირმის, რომელზედაც გამოსახული იყო ჯვარი.

4. დაზარალებულ რ. ვ-ს ჩვენებით, 2008 წლის 2 იანვარს, როდესაც მოხდა ეს უსიამოვნო ფაქტი, იქნებოდა დაახლოებით 9 საათი. უკვე ბნელოდა, იმყოფებოდა „ისნის“ მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე, ერთ-ერთ კომერციულ ფართში, ლომბარდში, მისი მეგობრის – რ. მ-ს სამუშაო ადგილას. ლომბარდის დაკეტვის დროს მათთან მივიდა რამდენიმე პირი, სავარაუდოდ, ტელეფონის წასაღებად და რ. მ-ს მოსთხოვეს დაკეტილი ლომბარდის გაღება. უარის მიუხედავად, ისინი მაინც ითხოვდნენ ლომბარდის გაღებას. მან სცადა სიტუაციის განმუხტვა, რასაც მათი მხრიდან მოჰყვა აგრესია, რაც გადაიზარდა ფიზიკურ შეხლა-შემოხლაში, რა დროსაც იგი დაიჭრა სხეულის სხვადასხვა ადგილას. ჩხუბის დროს გამოყენებული იყო ყველაფერი – მუშტი, ქვა. მისთვის უცნობია, თუ ვინ დაჭრა, თვითონ დაჭრის მომენტიც კი არ შეუნიშნავს. მისივე ჩვენებით, დღეს არავის ამოცნობა არ შეუძლია, მაგრამ იმ დროს შეიძლება ამოეცნო კიდევ. ლ. ჭ-ე იმიტომ დაამახსოვრდა, რომ განსაკუთრებით აქტიურობდა, თავის სახელსა და გვარს ახსენებდა, ამავე დროს ტანითაც ყველაზე დიდი იყო.

5. მონწე რ. მ-ს ჩვენებით, იგი დარაჯად მუშაობდა თბილის-

ში, მეტრო „ისნის“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ლომბარდში. 2008 წლის 2 იანვარს მასთან ლომბარდში იმყოფებოდა მისი მეგობარი, დაზარალებული რ. ვ-ე. ლომბარდის დაკეტვის დროს მათთან მივიდნენ ა. ა-ი, გ. ხ-ა, ასევე მათი თანმხლები პირები. მათ მოსთხოვეს ლომბარდის გახსნა და დალომბარდებული ტელეფონის გატანა, რაზეც რ. მ-მ მოსულებს აუხსნა, რომ ლომბარდი იკეტებოდა და თანაც მას არ ჰქონდა სეიფის გასაღები, რის გამოც ტელეფონს ვერ მისცემდა. გარდა ამისა, რ. მ-ს განმარტებით, ლომბარდიდან ნივთის გატანა ხდებოდა ზეპირი განცხადების მიღებიდან 24 საათის განმავლობაში. აღნიშნულზე მათ პროტესტი გამოთქვეს და დაიწყეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება. სიტუაციის განმუხტვა სცადა რ. ვ-მ, რომელიც კონფლიქტის დროს მძიმედ დაიჭრა სხეულის სხვადასხვა არეში. მისივე ჩვენებით, მას არ დაუნახავს რ. ვ-ს დაჭრის მომენტი, არც დანა არ დაუნახავს არავის ხელში. მან დაინახა ქვა, რომელიც ჩხუბის ერთ-ერთ მონაწილეს უნდა ჩაერტყა რ-ს, რაზეც ხელი აუკრა. თუ ვის ეჭირა ქვა, არ ახსოვს.

6. მოწმე ლ. ჭ-ს ჩვენებით, 2008 წლის 2 იანვარს მეგობრებთან – ა. ა-ნ, გ. ა-ა და გ. ხ-ნ ერთად იმყოფებოდა თ-ი, მეტრო „ისნის“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ლომბარდში, რათა გ. ხ-ს გამოეთქანა ლომბარდში ჩაბარებული ტელეფონი, მაგრამ ლომბარდის თანამშრომელმა რ. მ-მ მასთან მყოფმა რ. ვ-მ უარი განუცხადეს, რამაც გააღიზიანა ლ. ჭ-ე და მისი თანმხლები პირები. აღნიშნული გახდა ორმხრივი ჩხუბისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის საფუძველი. მისი განმარტებით, ისინი (ოთხივე) ეჩხუბებოდნენ მხოლოდ რ. ვ-ს, მეორე პირი, ვინც ლომბარდში იყო, მათ აშველებდა. დანა მას არ ჰქონია, მათ შორის დანა ჰქონდა მხოლოდ გ. ხ-ს. დანა იყო დასაკეცი, მუქი ლურჯი ფერის, 10-15 სმ სიგრძის. მომხდარის გამო ლ. ჭ-ე და მისი თანმხლები პირები შემთხვევის ადგილიდან გაიქცნენ. მისივე ჩვენებით, ჩხუბამდე და ჩხუბის დროს დანა არავის ხელში არ დაუნახავს, თუმცა შემთხვევის ადგილიდან წამოსვლის შემდეგ „ისნის“ მეტროსთან გ. ხ-მ უთხრა, რომ „კაცი დაეჭერიო“ და აჩვენა დანა, რომელიც იყო ფიქსატორიანი, დასაკეცი. მიუხედავად იმისა, რომ ადგილი, სადაც დანა აჩვენა, განათებული იყო, მას დანაზე სისხლი არ შეუნიშნავს.

7. მოწმე გ. ა-ს ჩვენებით, 2008 წლის 2 იანვარს ა. ა-ს, ლ. ჭ-ა და გ. ხ-ს გაჰყვა ლომბარდში გ. ხ-ს დალომბარდებული მობილური ტელეფონის გამოსატანად. ლომბარდის თანამშრომელმა რ. მ-მ და მასთან მყოფმა რ. ვ-მ, ვინაიდან ლომბარდი იკეტებოდა, უარი უთხრეს ტელეფონის გატანაზე. აღნიშნულზე გ. ხ-

ა და რ. ვ-ს შორის, რომელსაც ეცვა „დუბლიონკა“, მოხდა სიტყვიერი შელაპარაკება, რაც გადაიზარდა ხელჩართულ ჩხუბში, რომელშიც ჩაერთვნენ თავად გ. ა-ი, ა. ა-ი და ლ. ქ-ე. შემდეგ ისინი შემთხვევის ადგილიდან გაიქცნენ და „ისნის“ მეტროს უკან გ. ხ-მ მათ უთხრა „მგონი, დავჭერიო“. ამის შემდეგ ისინი მივიდნენ ე.წ. „გარადოკში“. უბანში გ. ხ-მ ტირილი დაიწყო და იქაც გაიმეორა, დავჭერიო, ფეხში დავჭერიო, იმიტომ, რომ კისერში დამაჭირა მაგრად ხელი და ველარ ვსუნთქავდიო“. მან შემთხვევის დღეს ნახა დანა, „ისნის“ მეტროს უკან თუ „გარადოკში“, ზუსტად არ ახსოვს. მან გ. ხ-ს დანა, რომელიც გასაღებზე ეკიდა, შემთხვევამდე ორი დღით ადრეც ნახა. მისივე განმარტებით, მას გ. ხ-ს დანა გაშლილ მდგომარეობაში არ უნახავს.

8. მოწმე ა. ა-ს ჩვენებით, 2008 წლის 2 იანვარს ძმასთან – გ. ა-ნ, მეგობრებთან – ლ. ქ-ა და გ. ხ-ნ ერთად იმყოფებოდა თ-ი, მეტრო „ისნის“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ლომბარდში გ. ხ-ს დალომბარდებული მობილური ტელეფონის გამოსატანად. ლომბარდის თანამშრომელმა რ. მ-მ, ვინაიდან ლომბარდი იკეტებოდა, უარი განუცხადა მათ მობილური ტელეფონის იმ დღეს გატანაზე. აღნიშნულს მოჰყვა მათსა და ლომბარდში მყოფ პირებს შორის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება, რის შემდეგაც ა. ა-ი და მისი თანმხლები პირები შემთხვევის ადგილიდან გაიქცნენ. „ისნის“ მეტროსთან გ. ხ-ა ტიროდა და გაიგო, გ-მ ლ-ს რომ უთხრა „მგონი, დავჭერიო“. ხოლო როდესაც მის საცხოვრებელ ადგილას ე.წ. „გარადოკში“ მივიდნენ, მის შეკითხვაზე გ. ხ-მ უპასუხა, რომ დაჭრა საჯდომში. მისივე ჩვენებიდან ირკვევა, რომ მას დანა არ დაუნახავს, არც ის დაუნახავს, რომელი იყო დაჭრილი.

9. მოწმე გ. თ-ს ჩვენებით, 2008 წლის 2 იანვარს, კერძო ტაქსით მოძრაობისას, მეტრო „ისნის“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ლომბარდთან შენიშნა ხალხმრავლობა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ა/მანქანა. შემთხვევის ადგილზე მისვლისას მისთვის ცნობილი გახდა, რომ ლომბარდთან ადგილი ჰქონდა ფიზიკურ შეხლა-შემოხლას, რა დროსაც მძიმედ დაიჭრა ერთ-ერთი პირი, რომელიც სასწრაფოს გადაჰყავდა საავადმყოფოში.

10. მოწმე მ. დ-ს ჩვენებით, მას ლ. ქ-ს დედასთან, ან გარდაცვლილ მ. მ-ნ ჰქონდა მეგობრული ურთიერთობა. მას დაურეკა მ-მ, რომელიც იყო ძალიან აღელვებული და სთხოვა მასთან მისვლა. როდესაც მივიდა, მაიასთან დახვდა ვინმე „ლ“, რომელიც სთხოვდა, რომ ლ-ს თავის თავზე აეღო ყველაფერი. რო-

გორც მისთვის გახდა ცნობილი, ლომბარდში მოხდა ჩხუბი, სადაც ლ-ნ ერთად იყვნენ სხვებიც და ჩხუბში გამოყენებული იყო დანა. ის პირი მ-ს ეუბნებოდა, რომ თუ გაქვთ შესაძლებლობა, ლ-მ დანაშაული თავის თავზე აილოსო. ჩვენ გადავიყვანთ საგიჟეთში და მერე მივხედავთ და გამოვიყვანთო. მ. იყო ძალიან აღელვებული, მან იქვე გადარეკა გამომძიებელთან და მეორე დღეს განყოფილებაშიც მივედით, სადაც იგივე გაიმეორა. მ. მ-ე ამბობდა, რატომ უნდა იჯდეს ჩემი შვილი ციხეში სხვის მაგივრადო. მისივე ჩვენებით, ის კაცი ერთ-ერთის მშობლისგან იყო გამოგზავნილი. მან არ იცის, ვინ იყო, თუმცა იფიქრა, რომ იგი იყო იმ პირის მიერ გამოგზავნილი, რომელმაც გამოიყენა დანა.

11. მონმე ლ. ჟ-ს ჩვენებით იგი მუშაობდა „ისინს“ ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე, ლომბარდის გვერდით. 2008 წლის 3 იანვარს, დილით, მისთვის ცნობილი გახდა, რომ წინა დღეს ლომბარდში დაჭრეს დაზარალებული რ. ვ-ე, მაგრამ ვინ დაჭრა, არ იცის.

12. სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მონმის – მ. მ-ს კანონის დაცვით გამოქვეყნებული ჩვენებით დადგენილია, რომ იგი არის მონმე ლ. ჭ-ს დედა. 2008 წლის 3 იანვარს მისი შვილი დააკავეს ლომბარდში მომხდარი ფაქტის გამო. რამდენიმე დღის შემდეგ დაზარალებულ რ. ვ-ა და გ. ხ-ს ახლობლებისაგან მისთვის ცნობილი გახდა, რომ რ. ვ-ე დაჭრა გ. ხ-მ. მონმის ჩვენებით, მასთან ურთიერთობა ჰქონდა ა. ა-ს დის ქმარს – ლ-ს, რომელიც ერთ დღეს მასთან მივიდა გ. ხ-ს ახლობელთან ერთად. ლ-მ შესთავაზა, რომ რაიმეზე შეთანხმებულიყვნენ. აღნიშნულზე მან უპასუხა, რომ ყველასათვის ცნობილი იყო, რომ გ. ხ-მ დაჭრა კაცი, მაგრამ მისი შვილი იყო დაკავებული. ამის შემდეგ ისინი წავიდნენ და თქვეს, რომ რალაცას მოიფიქრებდნენ. სამი დღის შემდეგ მასთან მივიდა მხოლოდ ლ. და გადასცა დანაბარები, რომ ლ. უკვე დაჭერილია და ბიჭების გადარჩენა კი შეუძლებელია, ლ-მ დანაშაული თავის თავზე უნდა აილოს და შემდეგ საგიჟეთიდან გამოვიყვანთო. აღნიშნულზე მან უარი უთხრა და კატეგორიულად მოსთხოვა, გ. ხ-ა პოლიციაში მიეყვანათ.

13. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, რ. ვ-ს აღენიშნებოდა ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობა გულმკერდის მარცხენა ნახევარში, შემავალი გულმკერდისა და მუცლის ღრუში, მარცხენამხრივი ჰემოპნევმოთორაქსი, ელენთვის, პანკრეასის კაფსულის, განივი კოლინჯის ჯორჯლის, კუჭის სერომესკულარული შრის დაზიანებით. თავის და მარცხენა დუნდულოს არეში – მრავლობით ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობები. ყველა ეს დაზიანება მიყენებულია რაიმე მჩხვლეტავ-

მჭრელი საგნის მოქმედებით. აქედან გულმკერდის მარცხენა ნახევრის ჭრილობა, ვინაიდან იგი შემავალია გულმკერდისა და მუცლის ღრუებში და აზიანებს შინაგან ორგანოებს, ეკუთვნის სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხს. სხვა დაზიანებები, როგორც ერთად ასევე ცალ-ცალკე, ეკუთვნიან მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლის ნიშნით. გულმკერდის მარცხენა ნახევარში არსებული ჭრილობის არხის მიმართულებაა ზემოდან ქვემოთ, წინიდან უკან.

14. კომპლექსური სასამართლო-სამედიცინო და ფიზიკო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, 2008 წლის 2 იანვრის ტრავმასთან დაკავშირებით, რ. ვ-ს სხეულზე აღენიშნებოდა დაზიანებები ნაკვეთი ჭრილობების სახით, განლაგებული თავზე, თხემის არეში (ორი ჭრილობა), მარცხენა დუნდულოზე (სამი ჭრილობა) და გულმკერდის მარცხენა გვერდითი ზედაპირის უკანა ილღის ხაზზე, მე-9, მე-10 ნეკნების დონეზე – შემავალი გულმკერდის და მუცლის ღრუში შინაგანი ორგანოების (ელენთის, პანკრეასის, განივი კოლინჯის ჯორჯლის, კუჭის) დაზიანებით, ჭრილობის არხის მიმართულებით – მარცხნიდან მარჯვნივ და ზემოდან ქვემოთ. გულმკერდის და მუცლის ღრუში შემავალი ჭრილობა მიეკუთვნება სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხს, ხოლო ყველა სხვა დანარჩენი ჭრილობები მსუბუქი ხარისხისაა ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლის ნიშნით. დაზიანებები განვითარებულია რაიმე მჩხვლეტავ-მჭრელი საგნის (საგნების) მოქმედებით. რ. ვ-ს სხეულზე არსებული ნაკვეთი ჭრილობები ქირურგიულად დამუშავებულია, რითაც დაკარგულია მათი სანყისი მორფოლოგიური სურათი და ამდენად, აღნიშნული მონაცემების მიხედვით შეუძლებელია დამზიანებელი მჩხვლეტავ-მჭრელი იარაღის ჯგუფური კუთვნილების დადგენა. აღნიშნული საკითხის დასადგენად საჭიროა ჩატარდეს რ. ვ-ს ტანსაცმლის ტრასოლოგიური გამოკვლევა. რ. ვ-ს თავზე მკვრივი-ბლავი საგნის მოქმედებით განვითარებული რაიმე დაზიანება არ აღენიშნებოდა. გულმკერდის მარცხენა გვერდით ზედაპირზე არსებული ნაკვეთი ჭრილობის ლოკალიზაციის არხის მიმართულებისა და დაზიანებული შინაგანი ორგანოების ანატომიური განლაგების გათვალისწინებით, დაზიანების მიმყენებელი მჩხვლეტავ-მჭრელი საგნის – დანის პირის სიგრძე უნდა ყოფილიყო არანაკლებ 10 სმ-ისა.

15. 1-ლი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მონმეების ჩვენებების, სხვა მტკიცებულებების ურთიერთანალიზისა და საქმის გარემოებების მხედველობაში მიღებით, საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება კასატორის მოთხოვნას,

რომ მსჯავრდებულ გ. ხ-ს ქმედება შეიცავს მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს უსაფუძვლოდ გამო. საკასაციო პალატა არ იზიარებს და მიაჩნია, რომ ყოველგვარ დამაჯერებლობას არის მოკლებული გ. ხ-ს ჩვენება, რომ მან დაზარალებული რ. ვ-ე პატარა დანით დაჭრა მისი თავიდან მოცილების მიზნით მხოლოდ დუნდულოს არეში იმ დროს, როდესაც მას ყელზე გაკეთებულ კაშნეში რ. ვ-მ მოუჭირა ხელი და ველარ სუნთქავდა, ხოლო დაზარალებულისათვის დანარჩენი ჭრილობები მას არ მიუყენებია.

16. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქმის მასალებით უდავოდ დადგენილია ჩხუბის დროს გ. ხ-ს მიერ დანის ქონა და მისი გამოყენების ფაქტი, კერძოდ: მონმეების – ლ. ჭ-ს, გ. და ა. ა-ს ჩვენებებით დადგენილია, რომ ჩხუბის დროს მათ დანა არ ჰქონიათ. აღნიშნულ გარემოებას ადასტურებს მსჯავრდებულის გ. ხ-ა. მისი ჩვენებით, მას სხვების ხელში დანა არ დაუნახავს. თავად გ. ხ-ა არ უარყოფს დანის ქონას და დანით დაზარალებულ რ. ვ-ს მსუბუქი დაზიანებების მიყენებას მისგან თავის დაღწევის მიზნით. თუმცა, გ. ხ-ა აცხადებს, რომ ჰქონდა პატარა ზომის „ვიქტორ ინოქსის“ ფირმის დანა ჯვრის გამოსახულებით და ის ამ პატარა დანით ვერ მიაყენებდა რ. ვ-ს დანარჩენ ჭრილობებს.

17. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქმის მასალებით დადგენილია ის გარემოება, რასაც არც მხარეები ხდიან სადავოდ, რომ ჩხუბის დროს ერთ მხარეს მონაწილეობდა ოთხი პირი – ა. ა-ი, ლ. ჭ-ე, გ. ხ-ა და გ. ა-ი, ხოლო მეორე მხარეს – რ. მ-ე და რ. ვ-ე. რ. მ-ს თანმიმდევრული ჩვენებით მათ ეჩხუბებოდა გ. ხ-ა თავის თანმხლებ პირებთან ერთად. წარმოშობილი კონფლიქტის განმუხტვა სცადა რ. ვ-მ, რის გამოც დაინყო ჩხუბი ოთხ პირსა და რ. ვ-ს შორის, ისინი სცემდნენ რ. ვ-ს, თვითონ ცდილობდა მათ გაშველებას. მან დაინახა ქვა, რომელიც ჩხუბის ერთ-ერთ მონაწილეს უნდა ჩაერტყა რ. ვ-ს, რაზეც ხელი აუკრა. რ. მ-ს აღნიშნულ ჩვენებას ადასტურებს გ. ხ-ს თანმხლები პირი – მოწმე ლ. ჭ-ე. მისი ჩვენებით, ისინი ეჩხუბებოდნენ დაზარალებულ რ. ვ-ს, ხოლო რ. მ-ე მათ აშველებდა. ამდენად, გ. ხ-ს ზემოაღნიშნული ჩვენება, რომ მას ყელში კაშნეს უჭერდა რ. ვ-ე, რის გამოც ვერ სუნთქავდა, ვერაფრით ვერ გაითავისუფლა თავი და იძულებული გახდა დანა გამოეყენებინა, მაშინ, როდესაც რ. ვ-ს მის გარდა კიდევ სამი პირი ფიზიკურად ეჩხუბებოდა და დაზარალებულს შესუსტებული ჰქონდა წინააღმდეგობის გაწევის უნარი, არ არის დამაჯერებელი და მოკლებულია სარწმუნო-

ნობას. უფრო მეტიც, თავად მსჯავრდებულ გ. ხ-ს ჩვენება გა-
მორიცხავს მის მიერ რ. ვ-ს მხოლოდ საჯდომის არეში მსუბუქი
ხარისხის დაზიანებების მიყენების ფაქტს და ადასტურებს, რომ
მან დაზარალებულს სხვა ჭრილობებიც მიაყენა. გ. ხ-ს ჩვენე-
ბით, მის მიერ აღწერილი ვითარება, რა დროსაც მან პატარა და-
ნით მსუბუქი ხარისხის დაზიანებები მიაყენა დაზარალებულს,
მიუთითებს იმაზე, რომ ამ დროს დაზარალებულს ჯერ არ ჰქონ-
და მიყენებული სიცოცხლისათვის სახიფათო, სხვა მძიმე ხა-
რისხის ჭრილობები თავისა და გულმკერდის არეში. წინააღმდეგ
შემთხვევაში ის ვერ შეძლებდა გ. ხ-ს ყელზე კაშნეს მოჭერას,
რამაც მას არ მისცა სუნთქვის საშუალება, ხოლო თავად ხ-ა შეძ-
ლებდა ადვილად თავის გათავისუფლებას. ასევე, მსჯავრდე-
ბულ გ. ხ-ს ჩვენებით, მას შემდეგ, რაც მან დანით მიაყენა და-
ზიანებები დაზარალებულს დუნდულოს არეში, გაიგონა ხმა
„პატრული მოდისო“ და ყველანი – ის და მისი თანმხლები პირე-
ბი – გაიქცნენ „ისნის“ მეტროს მიმართულებით. რ. მ-ს ჩვენე-
ბით, გ. ხ-ა და მისი თანმხლები პირების გაქცევის შემდეგ მან
ნახა, რომ რ. ვ-ს მიყენებული ჰქონდა მრავლობითი ჭრილობები.
საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ აღნიშნული გარემოება ცალ-
სახად მიუთითებს იმაზე, რომ მათი გაქცევის შემდეგ დაზარა-
ლებულისათვის სხვა პირს არ მიუყენებია ჭრილობები და ადას-
ტურებს იმ გარემოებას, რომ რ. ვ-ს ჭრილობები დანის გამოყე-
ნებით გ. ხ-მ მიაყენა არა მხოლოდ დუნდულოს არეში, არამედ
როგორც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაშია
მითითებული, ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობა მიყენებულია გულ-
მკერდის მარცხენა ნახევარში, შემავალი გულმკერდისა და
მუცლის ღრუში, მარცხენამხრივი ჰემოპნევმოთორაქსი, ელენ-
თის, პანკრეასის კაფსულის, განივი კოლინჯის ჯორჯლის, კუ-
ჭის სერომესკულარული შრის დაზიანებით, ხოლო თავისა და
მარცხენა დუნდულოს არეში – მრავლობითი ნაკვეთ-ნაჩხვლე-
ტი ჭრილობები.

18. საკასაციო პალატა ასევე ვერ გაიზიარებს დაცვის მხა-
რის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ არასრულწლოვანი გ. ხ-ა
ვერ მიაყენებდა სრულწლოვან რ. ვ-ს ამდენ და ასეთი ხარისხის
ჭრილობებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რ. ვ-ს, გ. ხ-ს გარდა,
ფიზიკურად ეჩხუბებოდა მასთან ერთად მყოფი სამი პირიც, რა
დროსაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მას შესუსტებული ჰქონ-
და მათთვის წინააღმდეგობის განწევის უნარი და სწორედ ამ ფაქ-
ტორით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ არასრულწლოვანმა გ.
ხ-მ შეძლო დაზარალებულ რ. ვ-ს მიყენებინა სასამართლო-სა-
მედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული მრავლობი-

თი ქრილობები თავის, გულმკერდისა და მარცხენა დუნდულოს არეში.

19. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გ. ხ-ს ჩვენებას დანის სიდიდესთან დაკავშირებით ვერ დაეთანხმება საქმეში არსებული მტკიცებულებების ურთიერთანალიზის შედეგად, კერძოდ, აღნიშნული დანა ამოღებული არ არის (მსჯავრდებულმა ის გადაადგო). მოწმეებს – ლ. ჭ-ს, ა. და გ. ა-ს დაჭრის მომენტში დანა არ დაუნახავთ. მათ დანა აჩვენა გ. ხ-მ. ამ მოწმეების ჩვენებები დანის სიგრძესთან დაკავშირებით არის არათანმიმდევრული და წინააღმდეგობრივი, რის გამოც საკასაციო პალატა მათ სარწმუნოებას ეჭვის ქვეშ აყენებს და ვერ გაიზიარებს. კერძოდ: მოწმე ლ. ჭ-მ აჩვენა, რომ დანა იყო 10-15 სმ სიგრძის; მოწმე გ. ა-ა აჩვენა, რომ დანა იყო პატარა, გასახსნელი, ალბათ 5 სმ ზომის, მან ნახა დაკეცილი დანა; მოწმე ა. ა-ა აჩვენა რომ გ. ხ-ს არაფერი უჩვენებია. ამ მოცემულობითა და დაზარალებულისათვის გულმკერდის ღრუში მიყენებული ქრილობების არსების ზომის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას სარწმუნოდ მიაჩნია ექსპერტ კ. ე-ს ჩვენება, რომ რ. ვ-ს ქრილობები შეიძლება მიყენებულიყო გაშლილ მდგომარეობაში მყოფი, არანაკლებ 15 სმ სიგრძის პირის მქონე დანის მეშვეობით გულმკერდის ღრუში.

20. პალატა ასევე ვერ დაეთანხმება დაცვის მხარის მოსაზრებას, რომ იმ შემთხვევაშიც, თუ სასამართლო ჩათვლიდა, რომ გ. ხ-მ ქრილობები მიაყენა რ. ვ-ს, ადგილი არ ჰქონია ხულიგნური ქვენაგრძნობით დანაშაულის ჩადენას. რ. ვ-ა და რ. მ-ს თანმიმდევრული ჩვენებებით უტყუარად არის დადასტურებული ის გარემოება, რომ მათ შორის კონფლიქტის წარმოშობის მიზეზი გახდა ლომბარდის გაღებაზე უარის თქმა, რათა გ. ხ-ს წაეღო ლომბარდში ჩადებული მობილური ტელეფონი. უარის მიუხედავად, ისინი მაინც ითხოვნენ ლომბარდის გაღებას, რა დროსაც რ. ვ-მ სცადა სიტუაციის განმუხტვა, რასაც მოჰყვა მათი მხრიდან მის მიმართ აგრესია, რაც გადაიზარდა ფიზიკურ ჩხუბში და იგი დაიჭრა სხეულის სხვადასხვა ადგილას. ჩხუბის დროს გამოყენებული იყო ყველაფერი – მუშტი, ქვა. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კონფლიქტის წარმოშობის აღნიშნული უმნიშვნელო მიზეზის გამო გ. ხ-ს მოქმედების მაკვალიფიცირებელი გარემოება – ხულიგნური ქვენაგრძნობა – სახეზეა და არ შეიძლება ეს გამხდარიყო მათი მხრიდან შურისძიების საფუძველი – რ. ვ-ს მიმართ ჩხუბის წამოწყებისა და გ. ხ-ს მიერ მისი დაჭრისა. საკასაციო პალატა ცნობის სახით მიუთითებს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 28 თებერვლის

განაჩენით ლ. ჭ-ე და გ. ა-ი ჩადენილი ხულიგნობისათვის ცნობილი არიან დამნაშავედ.

21. რაც შეეხება მოწმეების – ა. ა-ს, ლ. ჭ-ა და გ. ა-ს ჩვენებებს იმის შესახებ, თუ რა უთხრა გ. ხ-მ მათ რ. ვ-ს დაჭრასთან დაკავშირებით გზაში, ამ ჩვენებებზე სასამართლო ვერ იმსჯელებს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილების (ირიბ ჩვენებათა გამოყენების შესახებ) გათვალისწინებით.

22. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითა და ასევე, საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა – 2008 წლის 4 იანვრის ამოღების ოქმის, ბიოლოგიური, ტრასოლოგიური ექსპერტიზების დასკვნების, ასევე მოწმის სახით დაკითხული ექსპერტების – კ. ე-ა და დ. ა-ს ჩვენებების – შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, საკასაციო პალატას გონივრულ ეჭვს მიღმა დადასტურებულად მიაჩნია გ. ხ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა.

23. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ გ. ხ-ს მიმართ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მის პიროვნებასა და ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ გ. ხ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ნ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 17 დეკემბრის განაჩენი დარჩეს უცვლელად.

3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ქმედების გადაკვალიფიცირება კარცვიდან
იკულებაზე**

**განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო**

№391აპ-14

28 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე**

განიხილა მსჯავრდებულ ვ. ხ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 26 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, ბრალი დაედოთ: ვ. ხ-ს, – ნასამართლევს, – საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „დ“ და მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინა ძარცვა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების ან გამოძალვისათვის;

2. თ. მ-ს, – ნასამართლობის არმქონეს, – საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინა ძარცვა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით.

3. გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 20 ნოემბრის განაჩენით თ. მ-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებიდან გადაკვალიფიცირდა 186-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, ხოლო ვ. ხ-ს ამოერიცხა სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი და იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“

და მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით.

4. განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2013 წლის 13 მაისს გურჯაანის რაიონის სოფელ ...-ში მცხოვრები, სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ორჯერ ნასამართლევი ვ. ხ-ი, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის, აშკარად დაეუფლა გ. ჩ-ს კუთვნილ ტყავის ყილეტს, რითიც დაზარალებულს მიაყენა 50 ლარის ღირებულების ზიანი. გატაცებული ყილეტი ვ. ხ-მა იქვე გადასცა თ. მ-ს. მიუხედავად იმისა, რომ თ. მ-ი პირადად შეესწრო ვ. ხ-ს მიერ გ. ჩ-ს გაძარცვის ფაქტს, ის დაეუფლა დანაშაულის შედეგად მოპოვებულ ნივთს, მისაკუთრა იგი და, მიუხედავად დაზარალებულის თხოვნისა, არ დაუბრუნა პატრონს.

5. აღნიშნული ქმედებისათვის თ. მ-ს საქართველოს სსკ-ის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიესაჯა 7 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ვ. ხ-ს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“, მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით განესაზღვრა 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რამაც შთანთქა გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 29 აგვისტოს განაჩენითა და 2013 წლის 11 თებერვლის განჩინებით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ მიესაჯა 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულებს სასჯელის მოხდა დაენციოთ 2013 წლის 13 მაისიდან.

6. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს პროკურორმა ს. გ-მა და მსჯავრდებულმა ვ. ხ-მა.

7. პროკურორმა ითხოვა გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 20 ნოემბრის განაჩენში ცვლილების შეტანა, ვ. ხ-ს დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „დ“, მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით, ხოლო თ. მ-ს – სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით.

8. მსჯავრდებულმა ვ. ხ-მა სააპელაციო საჩივრით ითხოვა განაჩენის გაუქმება და გამართლება.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 26 სექტემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრების მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა და გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 20 ნოემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

10. კასატორი – მსჯავრდებული ვ. ხ-ი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონოა და იგი უნდა გაუქმდეს შემ-

დეგ გარემოებათა გამო:

11. 70 წლის კაცს დაბრალდა 30 წლის ახალგაზრდისათვის ჟილეტის ძალადობით წართმევა, მაშინ, როდესაც ძალადობა არ გამოუყენებია; გ. ჩ-მა შეპირებული ჟილეტი თვითონ გადასცა თ. მ-ს; დარცვის სუბიექტური მხარე გულისხმობს განზრახვისა და მისაკუთრების მიზნის არსებობას, ხოლო ვ. ხ-ს რაიმე სახის მატერიალური გამორჩენა არ მიუღია და არც ჟილეტის მისაკუთრების განზრახვა ჰქონია.

12. აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული ვ. ხ-ი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 26 სექტემბრის განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას.

13. გურჯაანის რაიონული პროკურატურის პროკურორი ს. გ-ი შესაგებლით ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვებას იმ მოტივით, რომ განაჩენი კანონიერია; არსებითად არ დარღვეულა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი; მსჯავრდებულის ქმედება სწორად არის დაკვალიფიცირებული და სასჯელის სახე და ზომა შეესაბამება მის პიროვნებას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ ზეპირი მოსმენით, მხარეთა მონაწილეობით განიხილა საკასაციო საჩივარი, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ვ. ხ-ს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დარცვა არის სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. იმისათვის, რომ პირს ბრალად შეერაცხოს აღნიშნული დანაშაული, აუცილებელია ქმედების შემადგენლობის ყველა ელემენტის არსებობა. მოცემულ შემთხვევაში კი ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლითაც დადასტურდებოდა ვ. ხ-ს ქმედებაში საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნების არსებობა, კერძოდ:

3. დაზარალებულმა გ. ჩ-მა აჩვენა, რომ 2013 წლის 13 მაისს, სოფელ ...-ში ქეიფისას, თ. მ-მა სთხოვა ეჩუქებინა მისი კუთვნილი ჟილეტი, რაზეც მან უარი უთხრა, რის შემდეგაც ვ. ხ-მა მას მოსთხოვა, გაეხადა ჟილეტი და მიეცა თ. მ-სთვის. აღნიშნულის გამო დაიწყო ჩხუბი და ვ. ხ-მა მას ჟილეტი ძალით გახადა, რაც შემდეგ გადასცა თ. მ-ს.

4. ბრალდებულმა ვ. ხ-მა თავი არ ცნო დამნაშავედ და გან-

მარტა, რომ მან უთხრა გ. ჩ-ს, თუ მ-სთვის ჟილეტის ჩუქებას აპირებდა, იმ დღესვე ერუქებინა, რის შემდეგაც ვ. ჩ-მა თავისი ნებით გაიხადა ჟილეტი და დაუტოვა. მის მიმართ არავის არანა-ირი ძალა არ გამოუყენებია.

5. მოწმე ა. ტ-მა სასამართლო სხდომაზე აჩვენა, რომ 2013 წლის 13 მაისს იმყოფებოდა გურჯაანის რაიონის სოფელ ...-ში თ. მ-თან. მასთან ერთად ასევე იმყოფებოდნენ ვ. ხ-ი, გ. ჩ-ი და ა. მ-ი. ისინი ქეიფობდნენ და სვამდნენ სპირტიან სასმელს. ქეიფის დროს ვ. ხ-სა და გ. ჩ-ს შორის მოხდა კამათი ამ უკანასკნელის ჟილეტის გამო, კერძოდ: „ხ-მა უთხრა, მათხოვე ჟილეტით, ჩ-ი კი ეუბნებოდა, ხვალე მოგცემო“. მოწმემ განმარტა, რომ ვ. ხ-მა და გ. ჩ-მა ერთი ორჯერ გაართყეს ერთმანეთს, თუმცა ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ჩ-მა თავისით გაიხადა ჟილეტი და გადასცა ვ. ხ-ს, რომელმაც იქვე, სანოლზე მიაგდო ხსენებული ნივთი.

6. მოწმე ა. მ-მა აჩვენა, რომ 2013 წლის 13 მაისს ქეიფობდა თ. მ-ს საცხოვრებელ სახლში ვ. ხ-თან, გ. ჩ-სა და ა. ტ-თან ერთად. მათთან ერთად იმყოფებოდა სახლის მეპატრონე თ. მ-ი. ვ. ხ-მა და თ. მ-მა გ. ჩ-ს მოსთხოვეს ჟილეტის გახდა. „ვ. ეუბნებოდა, რადგან შეპირდი, მიეცი ჟილეტით“. ამ საკითხზე დაიწყო კამათი. ა. მ-მა განმარტა, რომ სამივენი (მ-ი, ხ-ი და ჩ-ი) ეძიძგილავებოდნენ ერთმანეთს. მანვე განმარტა, რომ არ დაუნახავს და არ იცის, ძალით გახადეს თუ არა ჩ-ს ჟილეტი.

7. ბრალდებულმა თ. მ-მა განმარტა, რომ 2013 წლის 13 მაისს იმყოფებოდა თავის საცხოვრებელ სახლში ვ. ხ-თან, ა. მ-თან, ა. ტ-სა და გ. ჩ-თან ერთად, რა დროსაც ვ. ხ-მა საყელოში ხელი წაავლო გ. ჩ-ს და უთხრა, ახლავე აჩუქე ჟილეტი თ. მ-სო. ჩ-მა ჟილეტი თავისი ნებით გაიხადა, დატოვა და წავიდა.

8. ზემომითითებული მტკიცებულებების ანალიზის შედეგად პალატას დადასტურებულად მიაჩნია, რომ ვ. ხ-ს არ ჰქონია გ. ჩ-ს კუთვნილი ჟილეტის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ სახეზე არ არის დანაშაულის შემადგენლობის ყველა ელემენტი, სამართლებრივად შეუძლებელია ვ. ხ-სთვის საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შერაცხვა.

9. ამასთან, საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მითითებას, რომ მან უბრალოდ სთხოვა დაზარალებულს, ერუქებინა ჟილეტი თ. მ-სთვის და მიუთითებს, რომ მოწმეების – ა. ტ-ს, ა. მ-სა და თ. მ-ს ჩვენებებით უტყუარადაა დადასტურებული, რომ ვ. ხ-მა თავისი მოქმედებებით (ძიძგილაობა, საყელოში ხელის წაღება) აიძულა გ. ჩ-ი, გაეხადა ჟილეტი და ერუქებინა თ.

მ-სთვის, ანუ ფიზიკური იძულებით შესრულებინა მას მოქმედება, რომლის შესრულება/შესრულებისგან თავის შეკავება მისი უფლება იყო.

10. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ვ. ხ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ და იმავე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე.

11. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ვ. ხ-ს ქმედების კვალიფიკაციის შეცვლა ავტომატურად გავლენას არ ახდენს თ. მ-ს ქმედების კვალიფიკაციაზე, რის გამოც საკასაციო პალატა კანონისმიერად მოკლებულია შესაძლებლობას, შეაფასოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 26 სექტემბრის განაჩენის კანონიერება თ. მ-ს მსჯავრდების ნაწილშიც, ვინაიდან მას საკასაციო საჩივრით არ მოუმართავს პალატისთვის.

12. რაც შეეხება სასჯელს, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ვ. ხ-ი ნასამართლევა განზრახი დანაშაულების ჩადენისათვის (ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული არ აქვს); შესაბამისად, მის მიერ ჩადენილი ქმედება წარმოადგენს დანაშაულის რეციდივს, რის გამოც მას სასჯელი უნდა განესაზღვროს საქართველოს სსკ-ის 58-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი წესით.

13. ამასთან, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ გასაჩივრებული განაჩენით ვ. ხ-ს განაჩენთა ერთობლიობით საბოლოო სასჯელი განსაზღვრული აქვს შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, რის გამოც საკასაციო პალატა, საქართველოს სსკ-ის 308-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე (საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობა), ვ. ხ-ს საბოლოო სასჯელს აღნიშნული პრინციპის გამოყენებით დაუნიშნავს, რადგან უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2014 წლის 25 თებერვლის განაჩენით (№227აპ-13) განმარტებულია, რომ სასჯელთა შთანთქმის პრინციპის ნაცვლად სასჯელთა ნაწილობრივი შეკრების პრინციპის გამოყენება (თუ პროკურორს კანონით დადგენილი წესით არ აქვს წარმოდგენილი ასეთი მოთხოვნა) მიიჩნევა საქართველოს სსსკ-ის 308-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნების დარღვევად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-

ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. მსჯავრდებულ ვ. ხ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 26 სექტემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. მსჯავრდებულ ვ. ხ-ს მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ და მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რისთვისაც სასჯელის სახით განესაზღვროს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რამაც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, შთანთქმას გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 29 აგვისტოს განაჩენითა და 2013 წლის 11 თებერვლის განჩინებით განსაზღვრული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ მსჯავრდებულ ვ. ხ-ს მიესაჯოს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

4. მსჯავრდებულ ვ. ხ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწესოს 2013 წლის 13 მაისიდან.

5. მსჯავრდებული ვ. ხ-ი დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 26 სექტემბრის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

7. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ქურდობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით
ჯგუფის მიერ**

**ბანაჩენი
საქართველოს სახელით**

№471აპ-14

23 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე)
მ. ომხარელი,
გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენით განიხილა მსჯავრდებულ ს. ა-ას ინტერესების დამცველის, ადვოკატ ე. გ-ას საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 29 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების არსი:

1.1. 2013 წლის 3 აგვისტოს სიღნაღის რაიონის სოფელ ვ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე ვ. კ-ი, რომელიც ორჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის და ს. ა-ა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით, ფარულად დაეუფლნენ მ. დ-ის კუთვნილ, 5000 ლარად ღირებულ ხუთ სულ პირუტყვს.

1.2. ს. ა-ას ქმედება დაკვალიფიცირდა ქურდობად, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარულ დაუფლებად მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ – საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით.

1.3. ვ. კ-ის ქმედება დაკვალიფიცირდა ქურდობად, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარულ დაუფლებად მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ და იმ პირის მიერ, რომელიც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის – საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „ა“ და მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით.

2. პირველი და სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებები:

2.1. სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 29 აპრილის განაჩენით ს. ა-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2013 წლის 13 აგვისტოდან.

2.2. ამავე განაჩენით ვ. კ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „ა“ და მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2013 წლის 12 აგვისტოდან.

2.3. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა ს. ა-ამ და ვ. კ-მა. ს. ა-ამ ითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა. ვ. კ-მა ასევე ითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა, ხოლო სააპელაციო წესით საქმის განხილვისას დააზუსტა მოთხოვნა, ნაწილობრივ აღიარა ჩადენილი დანაშაული და ითხოვა სასჯელის შემსუბუქება.

2.4. სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 29 აპრილის განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 29 ოქტომბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

3. საკასაციო საჩივრის არსი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 29 ოქტომბრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ს. ა-ამ და ითხოვა მის მიმართ სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი უკანონო და დაუსაბუთებელი გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და გამართლება შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: ს. ა-ას დაკავება და ამოცნობა ჩატარდა კანონის მოთხოვნათა დარღვევით, რის გამოც სასამართლოს დაუშვებლად უნდა ეცნო ეს მტკიცებულებები, თუმცა დაცვის მხარის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა; განაჩენის გამოტანის დროს სასამართლოს არ უნდა გაეზიარებინა კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებები; სააპელაციო სასამართლომ განაჩენის გამოტანისას დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები, რის გამოც განაჩენი არის უკანონო.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შესწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მისი მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. მოწმის სახით დაკითხული დაზარალებულის – მ. დ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ მას სიღნაღის რაიონში, სოფელ ვ-ის ტერიტორიაზე, დაქირავებული აქვს ფერმა, სადაც ჰყავს საქონელი. 2013 წლის 3 აგვისტოს, სალამოს, როდესაც საქონელი საძოვრიდან უკან – ფერმაში მიიყვანეს, აღმოჩნდა, რომ ხუთი სული – სამი მოზვერი და ორი დეკეული აკლდა. მან დაიწყო საქონლის ძებნა. 2013 წლის 9 აგვისტოს საგარეჯოს რაიონის სოფელ ი-ს ბაზარში ნახა მისი კუთვნილი ორი სული მოზვერი, რომელიც გასაყიდად ჰყავდა გაყვანილი მისთვის უცნობ მამაკაცს, სახელად კ-ას. უცნობი მამაკაცის განცხადებით, ეს საქონელი შეიძინა თელავის ბაზარში ვინმე შ-საგან. საუბრისას მათთან მივიდა პიროვნება, რომელიც გაეცნო შ-ას სახელით და განაცხადა, რომ მან ნამდვილად მიჰყიდა ეს საქონელი კ-ას. ამის შემდეგ შეეცადა, დაედგინა მისი კუთვნილი ორი სული საქონლის ბედი და უცნობი ქისტი მამაკაცისაგან შეიტყო, რომ კ-ას გარდა, ორი სული საქონელი იყიდა ვინმე ო-ამ, რომელმაც შემდეგ ეს საქონელი დაკლა. დაზარალებულის განცხადებით, მისი კუთვნილი ხუთი სული საქონლის ღირებულება შეადგენს 5000 ლარს.

3. მოწმე კ. ნ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ 2013 წლის 4 აგვისტოს თელავის ბაზარში შ-ასა და ნ-ასაგან შეიძინა სამი სული (მოზვერი) საქონელი, რაშიც გადაიხადა სულ 2850 ლარი. ნაყიდი საქონელი წაიყვანა ფერმაში. მეორე დღეს, დილით, ნახა, რომ ერთი სული საქონელი მკვდარი იყო. 2013 წლის 9 აგვისტოს ეს ორი სული საქონელი გასაყიდად გაიყვანა საგარეჯოს რაიონის სოფელ ი-ოს ბაზარში, სადაც მასთან მივიდა უცნობი მამაკაცი და განუცხადა, რომ ეს საქონელი იყო მისი. მან ამ კაცს უთხრა, თუ სად და ვისგან შეიძინა ისინი. საუბრისას მათთან მივიდა შ-ა, რომელმაც დაადასტურა, რომ კ. ნ-ს ეს საქონელი მიჰყიდა მან.

4. მოწმეების – ნ. ა-ისა და შ. ა-ის ჩვენებებით დადგენილია, რომ 2013 წლის 4 აგვისტოს თელავის ბაზარში მაშინ მათთვის უცნობი ორი მამაკაცისაგან შეიძინეს სამი სული საქონელი (მოზვერი), თითო – 900 ლარად. შემდგომ გაირკვა, რომ ეს ორი მამაკაცი იყო ვ. კ-ი და ს. ა-ა, რომლებიც ამოიცნეს პოლიციის შენობაში. საქონელი ბაზარში მიყვანილი იყო სატვირთო ავტომობი-

ლით, რომლის ძარაზე, გარდა მათ მიერ შექმნილი საქონლისა, კიდევ ორი სული საქონელი (დეკეული) იყო. ფულის გადახდის შემდეგ სამი სული საქონელი ჩამოიყვანეს ავტომობილის ძარა-დან და გაიყვანეს რამდენიმე მეტრის მოშორებით. მათთან მივიდა ნაცნობი მამაკაცი, სახელად კ-ა და დაინტერესდა ვ. კ-ისა და ს. ა-ასაგან შექმნილი საქონლით. ვაჭრობის შედეგად კ-ამ მათგან ეს საქონელი შეიძინა 2850 ლარად. მეორე დღეს კ-ა დაუკავშირდა მათ და განუცხადა, რომ ერთი სული საქონელი მოკვდა და ითხოვდა თანხის დაბრუნებას. ნ. ა-მა და შ. ა-მა ნაცნობი პირებისაგან გაარკვიეს, რომ აღნიშნული საქონლის ერთ-ერთი გამყიდველი – ვ. კ-ი იმყოფებოდა თელავის რაიონის სოფელ ბ-ის მიმდებარე ფერმაში. ისინი ჩავიდნენ მასთან და განუცხადეს საქონლის სიკვდილის შესახებ და აუხსნეს, რომ მისი საფასური მას უნდა აენაზღაურებინა. ისინი ერთად წამოვიდნენ კ-ასთან, სადაც ვ-ამ ნახა მკვდარი საქონელი და მასში გადახდილი 900 ლარი დაუბრუნა შ. ა-ს. თავის მხრივ, ეს თანხა შ. ა-მა მისცა კ. ნ-ს. რამდენიმე დღის შემდეგ საგარეჯოს რაიონის სოფელ ი-ს ბაზრის ტერიტორიაზე კ. ნ-ს ნ. ა-ისა და შ. ა-ისაგან შექმნილი, დარჩენილი ორი სული საქონელი გაყვანილი ჰყავდა ბაზარში გასაყიდად. კ-ასთან მივიდა უცნობი მამაკაცი, რომელიც დაინტერესდა ამ საქონლით. კ-ამ უთხრა, თუ სად და ვისგან შეიძინა ისინი. საუბრისას მათთან მივიდნენ ნ. ა-ი და შ. ა-ი, რომლებმაც დაადასტურეს საქონლის მიყიდვის ფაქტი.

2013 წლის 13 აგვისტოს პირის ამოცნობის ოქმების მიხედვით დადგენილია, რომ ნ. ა-მა ამოიცნო ს. ა-ა და ვ. კ-ი, ხოლო შ. ა-მა ამოიცნო ვ. კ-ი, რომელთაგანაც 2013 წლის 4 აგვისტოს შეიძინეს სამი სული საქონელი.

5. მოწმე ვ. გ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ საკუთრებაში ჰყავს სატვირთო ავტომობილი, რომლითაც გადააქვს სხვადასხვა ტვირთი გარკვეული საფასურის სანაცვლოდ. 2013 წლის 3 აგვისტოს, შუადღის საათებში, ქ. გურჯაანში, ე.წ. „...-ზე“, მასთან მივიდა ორი, მისთვის უცნობი აზერბაიჯანელი ეროვნების მამაკაცი. ერთ-ერთი მათგანი გაეცნო ა-ად. შემდგომ გაირკვა, რომ ეს ორი მამაკაცი იყო ვ. კ-ი და ს. ა-ა, რომლებიც ამოიცნო პოლიციის შენობაში. გარკვეული საფასურის სანაცვლოდ ისინი შეთანხმდნენ, რომ ვ. გ-ის კუთვნილი ავტომობილით გადაიყვანდნენ საქონელს თელავში, სოფელ ყ-სთან მდებარე საქონლის ბაზარში. მომდევნო დღეს, დილის საათებში, დათქმულ ადგილას ვ. გ-ი მივიდა კუთვნილი ავტომობილით, რომლის ძარაზეც ვ. კ-მა და ს. ა-მა აიყვანეს ხუთი სული საქონელი. შეთანხმებისამებრ – მივიდნენ თელავში, სოფელ ყ-ასთან მდებარე

საქონლის ბაზარში, სადაც ვ. კ-მა და ს. ა-ამ მალევე, ჯერ გაყიდეს სამი სული საქონელი, ხოლო მოგვიანებით – ორი სული.

2013 წლის 2 აგვისტოს პირის ამოცნობის ოქმის თანახმად, ვ. გ-მა ამოიციო ს. ა-ა, რომელიც 2013 წლის 4 აგვისტოს ვ. კ-თან ერთად გადაიყვანა თელავში, სოფელ ყ-ასთან მდებარე საქონლის ბაზარში.

2013 წლის 13 აგვისტოს პირის ამოცნობის ოქმის თანახმად, ვ. გ-მა ამოიციო ვ. კ-ი, რომელიც 2013 წლის 4 აგვისტოს ს. ა-ასთან ერთად გადაიყვანა თელავში, სოფელ ყ-ასთან მდებარე საქონლის ბაზარში.

6. რაც შეეხება კასატორის მითითებას დაკავებისა და ამოცნობისას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევის თაობაზე, საკასაციო პალატა არ იზიარებს და მიუთითებს, რომ სააპელაციო პალატამ არგუმენტირებულად გასცა პასუხი დაცვის მხარის ამ მოთხოვნას, რასაც პალატა სრულად ეთანხმება.

7. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე, გონივრულ ეჭვს მიღმა უტყუარად არის დადასტურებული ბრალდებულ ს. ა-ას მიერ ვ. კ-თან ერთად მ. დ-ის კუთვნილი, 5000 ლარად ღირებული, ხუთი სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქურდობის ფაქტი. მტკიცებულებათა ანალიზით ნათელია, რომ მ. დ-მა კუთვნილი საქონელი დაკარგა 2013 წლის 3 აგვისტოს. სწორედ ამ დროს ს. ა-ამ და ვ. კ-მა ერთად დაიქირავეს ავტომობილი ვ. გ-ისაგან, რათა საქონელი გადაეყვანათ ბაზარში. მათ მეორე დღით 5 სული საქონელი გადაიყვანეს თელავის რაიონში, სოფელ ყ-ასთან ახლომდებარე საქონლის ბაზარში, სადაც სამი სული საქონელი – თითოეული 900 ლარად გაასხვისეს ნ. ა-სა და შ. ა-ზე, ხოლო ორი სული გაასხვისეს სხვა პირზე. სადავო არ არის, რომ მ. დ-ის კუთვნილი საქონელი ამ უკანასკნელის მფლობელობიდან გავიდა მისი ნების გარეშე. დაზარალებულს მისი კუთვნილი საქონელი არ გაუყიდა და არც სხვისთვის გადაუცია განკარგვის მიზნით. საქონელი მესაკუთრის მფლობელობიდან გავიდა მისგან ფარულად. ისინი, როგორც საკუთარი, განკარგეს ბრალდებულებმა – ს. ა-ამ და ვ. კ-მა. ბრალდებულებს საქონლის კანონიერად შექენაზე განმარტება არ გაუკეთებიათ. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას ვ. კ-მა დაადასტურა, რომ საქონელი მოიპარა, თუმცა დამოუკიდებლად და არა – სხვა პირთან ერთად. მტკიცებულებათა ანალიზით ნათელია, რომ ავტომანქანის დაქირავებიდან დაწყებული საქონლის გაყიდვის პრო-

ცესით დამთავრებული, ვ. კ-თან ერთად იმყოფებოდა ს. ა-აც და ისინი ერთად მოქმედებდნენ.

8. ამდენად, საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მთითებას ს. ა-ას უდანაშაულობის თაობაზე და მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 29 ოქტომბრის განაჩენი ს. ა-ას საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით მსჯავრდების თაობაზე უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-2, მე-3 ნაწილებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ს. ა-ას ინტერესების დამცველის, ადვოკატ ე. გ-ას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 29 ოქტომბრის განაჩენი ს. ა-ას მიმართ დარჩეს უცვლელად.
3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქურდობა, ჩადენილი არაპართოზის

განაჩენი საქართველოს სახელით

№283აპ-14

27 თებერვალი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების – ი. ჯ-ასა და ჯ. თ-ას, ასევე – მსჯავრდებულ ი. ჯ-ას ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. ბ-ას საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 20 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 3 თებერვლის განაჩენით ცნობილ იქნენ დამნაშავეებად: ი. ჯ-ა, – საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ; ჯ. თ-ა, – საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, არაერთგზის.

2. განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2013 წლის 8 მაისს თბილისში, ჯავახეთის ქ. №...-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, ი. ჯ-ა ჯ. თ-ასთან წინასწარი შეთანხმებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა ა. ბ-ის კუთვნილ საფულეს, რომელშიც იდო ფულადი თანხა – 55 ლარი და 40 თეთრი. აღნიშნული საფულე მან მაშინვე გადასცა თანმხლებ პირს – ჯ. თ-ას, რის შემდეგაც თბილისის შს სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებლებმა ისინი შემთხვევის ადგილზე დააკავეს.

3. აღნიშნული ქმედებისათვის ი. ჯ-ასა და ჯ. თ-ას განესაზღვრათ 5-5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაენწყით 2013 წლის 8 მაისიდან.

4. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა. მსჯავრდებულმა ჯ. თ-ამ ითხოვა განაჩენის გაუქმება იმ მოტივით, რომ დანაშაული მარტომ ჩაიდინა, ხოლო მსჯავ-

რდებულმა ი. ჯ-ამ ითხოვა განაჩენის გაუქმება და გამართლება იმ მოტივით, რომ დანაშაული არ ჩაუდენია. პროკურორმა მ. ჩ-ემ ითხოვა განაჩენის უცვლელად დატოვება.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 20 ივნისის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 3 თებერვლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

6. კასატორები: მსჯავრდებული ი. ჯ-ა და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი ლ. ბ-ა საკასაციო საჩივრებში აღნიშნავენ, რომ პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა კრიტიკულად არ შეაფასეს საქმისათვის მნიშვნელოვანი დეტალები, არ გააანალიზეს და ობიექტურად არ შეაფასეს იმ მონმეთა ჩვენებები, რომლებიც გამოიყენეს ი. ჯ-ასათვის წაყენებული ბრალის დასადასტურებლად და საქართველოს კონსტიტუციის მე-40, საქართველოს სსკ-ის 259-ე, 269-ე და 273-ე მუხლების დარღვევით გამოიტანეს უკანონო და დაუსაბუთებელი განაჩენი; სასამართლომ არ გაიზიარა მსჯავრდებულ ჯ. თ-ას ჩვენებები და გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა მხოლოდ იმ მონმეთა არაობიექტურ და მიკერძოებულ ჩვენებებზე დაყრდნობით, რომლებიც თბილისის შს სამმართველოს ინსპექტორ-გამომძიებლები არიან.

7. კასატორთა აზრით, ი. ჯ-ას დანაშაული რომ ჩაედინა, აუცილებლად დადასტურდებოდა დანაშაულის ადგილზე დამონტაჟებული კამერებით, მაგრამ სასამართლომ არ გამოითხოვა ჩანაწერი; ასევე არ ჩატარდა დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა ნივთმტკიცებად ცნობილ ტყავის საფულეზე; ბრალდების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს, ხოლო ყოველგვარი ეჭვი უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ; ი. ჯ-ას ბრალეულობა არ დასტურდება არც მონმეთა ჩვენებებით და არც საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით; მისი საქმე განიხილებოდა სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევებით.

8. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული ი. ჯ-ა და ადვოკატი ლ. ბ-ა ითხოვენ განაჩენის გაუქმებას და ი. ჯ-ას გამართლებას.

9. მსჯავრდებული ჯ. თ-ა საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ არასწორად შეფასდა საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებები; აღნიშნულის გათვალისწინებით, მსჯავრდებული ჯ. თ-ა ითხოვს საქმის განხილვას და ობიექტური გადაწყვეტილების მიღებას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამონ-

მა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ ი. ჯ-ასა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. ბ-ას საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მსჯავრდებულ ჯ. თ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს არგუმენტებს ი. ჯ-ასა და ჯ. თ-ას მიერ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად ა. ბ-ის კუთვნილი საფულის ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლების თაობაზე და მიაჩნია, რომ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეულ, უტყუარ, ურთიერთშეჯერებულ და საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობით დასტურდება ი. ჯ-ასა და ჯ. თ-ასთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა, კერძოდ:

3. დაზარალებულ ა. ბ-ის ჩვენებით, ჯ. თ-ას პირადი ჩხრეკის ოქმითა და ნივთის ამოცნობის ოქმით უტყუარად დადგენილია, რომ 2013 წლის 8 მაისს, დაახლოებით 16:30 საათზე, ქ თბილისში, ვარკეთილის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე, ა. ბ-ს ჩანთიდან ფარულად ამოაცალეს წითელი ფერის ტყავის საფულე, რომელიც ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა ჯ. თ-ასგან, ხოლო მოგვიანებით აღნიშნული საფულე ამოიციო დაზარალებულმა ბ-მა.

4. სასამართლო სხდომაზე მოწმე რ. რ-ემ განმარტა, რომ არის შსს-ს თანამშრომელი. 2013 წლის 8 მაისს ჯგუფთან ერთად იმყოფებოდა ვარკეთილის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე. მათი მიზანი იყო ჯიბის ქურდების გამოვლენა. ვარკეთილის მეტროსთან შეამჩნიეს ორი მოქალაქე: ერთი ახალგაზრდა (თ-ა), მეორე უფრო ხანში შესული (ჯ-ა). ისინი საეჭვოდ იქცეოდნენ, კერძოდ: აკვირდებოდნენ მოქალაქეებს ჩანთებსა და ჯიბეებზე. თ-ა ჩამოშორდა ჯ-ას, წინ გაუსწრო ქალბატონს, შემოტრიალდა და ჩანთაზე დაუნყო დაკვირვება. ამ დროს ჯ-ა უკნიდან მიუახლოვდა ქალბატონს და მარცხენა მხრიდან ამოაცალა საფულე. შემდეგ თ-ა უკან დაბრუნდა, მიუახლოვდა ჯ-ას, გამოართვა საფულე, ამოიღო მარცხენა ილღიაში და გზა გააგრძელა, რა დროსაც დააკავეს. მოწმემ განმარტა: „შემთხვევის დროს ისინი (ჯ-ა და თ-ა) კონტაქტობდნენ და ესაუბრებოდნენ ერთმანეთს. რომ ჩამოშორდნენ ერთმანეთს, მაშინაც შემობრუნდა თ-ა და თვალებით ეკონტაქტებოდა“.

5. რ. რ-ის მიერ აღწერილი ფაქტობრივი გარემოებები დადასტურეს მოწმეებმა: დ. დ-იმ, ლ. ზ-ემ, დ. ო-მა და გ. მ-ამ. მათ თანმიმდევრულად და დეტალურად აღწერეს ორივე ბრალდე-

ბულის ქცევა და მიუთითეს მათ არავერბალურ კომუნიკაციაზე (თვალებით კონტაქტი, თავის დაქნევა) როგორც დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის წინ, ისე უშუალოდ მისი ჩადენის მომენტში.

6. ზემოთ ხსენებული მტკიცებულებების შეფასების შედეგად, საკასაციო პალატას გონივრულ ეჭვს მიღმა დადასტურებულიად მიაჩნია ჯ. თ-ასა და ი. ჯ-ას მიერ წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად ქურდობის ჩადენის ფაქტი.

7. მსჯავრდებულ ი. ჯ-ას ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. ბ-ას მიერ საჩივარში აღნიშნულ პოზიციასთან დაკავშირებით, რომ ჯ-ას უდანაშაულობა აუცილებლად დადასტურდებოდა დანაშაულის ადგილზე დამონტაჟებული ვიდეოკამერების ჩანაწერებით, მაგრამ ბრალდების მხარემ არ ისურვა მათი ამოღება, პალატა მიუთითებს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოკვლეულია სს „თელასის“ ტექნიკური დირექტორის – მ. ქ-ას წერილი, საიდანაც ირკვევა, რომ 2013 წლის 8 მაისს, 10:35 სთ-დან 16:45 სთ-მდე, ვარკეთილის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე, მათ შორის ჯავახეთის ქუჩაზე, ელექტროენერგია იყო გამორთული გეგმიური სამუშაოების ჩატარების გამო. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება დადასტურა საქმის არსებითი განხილვის დროს ჯავახეთის ქუჩის № ...-ში მდებარე ვალუტის გადამცვლელ პუნქტში მომუშავე მონწე მ. ჭ-ემ.

8. უსაფუძვლოა ასევე კასატორის მითითება იმის თაობაზე, რომ წითელი ფერის ტყავის საფულეზე ბრალდების მხარეს დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა უნდა ჩატარებინა. აღნიშნულთან დაკავშირებით პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს არგუმენტაციას და მიუთითებს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, მტკიცებულებების მოპოვება მხარეთა პრეროგატივაა. ისინი თავიანთი შეხედულებისამებრ მოიპოვებენ და წარადგენენ მტკიცებულებებს. შესაბამისად, დაცვის მხარე უფლებამოსილი იყო, საჭიროების შემთხვევაში თავად მოეპოვებინა დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნა.

9. რაც შეეხება მსჯავრდებულ ჯ. თ-ასთვის საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის (ქურდობა, ჩადენილი არაერთგზის) ბრალად შერაცხვას, პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს მითითება ჯ. თ-ას მიერ ქურდობის არაერთგზის ჩადენის თაობაზე და ბრალდების ამ ნაწილში მსჯავრდებული უნდა გამართლდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

10. საქართველოს სსკ-ის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაული არაერთგზის ჩადენილად არ ჩაითვლება, თუ კანონით დადგენილი წესით პირი წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის გათავისუფლებული იყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ანდა თუ მას წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული ჰქონდა.

11. საქმეში არსებული და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 5 ივნისის განაჩენიდან ირკვევა, რომ ჯ. თ-ა გასამართლებულია 2005 წლის 10 აპრილს ჩადენილი ჯგუფური ყაჩაღობისათვის, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისიდან მოქმედი რედაქცია), რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე. შესაბამისად, საქართველოს სსკ-ის მე-12 მუხლიდან გამომდინარე, იგი მძიმე კატეგორიის დანაშაულს მიეკუთვნება.

12. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმის მასალების მიხედვით, მსჯავრდებული ჯ. თ-ა დაბადებულია 1987 წლის 24 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 5 ივნისის განაჩენით ბრალად შერაცხული ქმედება კი ჩაიდინა 2005 წლის 10 აპრილს. ამ დროისათვის იგი იყო 18 წელს მიულწეველი; საქართველოს სსკ-ის მე – 100 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, იმას, ვინც დანაშაული 18 წლამდე ჩაიდინა, მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას ნასამართლობა გაუქარწყლდება სასჯელის მოხდიდან 3 წლის შემდეგ. იმის გათვალისწინებით, რომ ჯ. თ-ამ საქმეში წარმოდგენილი ცნობის მიხედვით სასჯელის აღსრულების დაწესებულება დატოვა 2009 წლის 8 აპრილს (სასჯელის კალენდარულად მოხდის გამო), მას ნასამართლობა გაუქარწყლდა 2012 წლის 8 აპრილს; შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 3 თებერვლის განაჩენით ბრალად შერაცხული ქურდობის ჩადენისას – 2013 წლის 8 მაისს – ის უკვე ნასამართლობა გაქარწყლებული იყო, რაც გამორიცხავს ჯ. თ-ასთვის საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის ბრალად შერაცხვის სამართლებრივ შეაძლებლობას.

13. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ბრალდების მოცულობის შემცირების გამო, მსჯავრდებულ ჯ. თ-ას უნდა შეუმსუბუქდეს თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ი. ჯ-ასა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. ბ-ას საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

2. მსჯავრდებულ ჯ. თ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 20 ივნისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

4. ჯ. თ-ა გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

5. ჯ. თ-ას საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიესაჯოს 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდაც აეთვალოს 2013 წლის 8 მაისიდან.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 20 ივნისის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

7. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

თაღლითობა

განაჩენი საქართველოს სახელით

№314აპ-14

10 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე

განიხილა ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ
რ. შ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამარ-
თლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 13 მა-
ისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების შესახებ დადგენილებით გ. ბ-ს, – ნასამართლო-
ბის არმქონეს, – ბრალი დაედო საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხ-
ლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა თაღლი-
თობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვი-
სი ნივთის დაუფლება ან ქონებრივი უფლების მიღება მოტყუე-
ბით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხა-
ტა შემდეგში:

2. 2012 წლის ივნისში გ. ბ-ი თაღლითურად, მართლსაწინააღ-
მდეგო მისაკუთრების მიზნით, მოტყუებით დაეუფლა თ. ა-ის
ავტომანქანას, რითიც დაზარალებულს მიაყენა მნიშვნელოვა-
ნი ზიანი.

3. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 20 იანვრის
განაჩენით გ. ბ-ის ქმედება საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის
მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა საქარ-
თველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე
და განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნის-
ტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანო-
ნის საფუძველზე გაუნახევრდა და საბოლოოდ მიესაჯა 2 წლი-
თა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაენ-
ყო 2013 წლის 19 აგვისტოდან.

4. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა რ.
შ-ემ, რომელმაც ითხოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014
წლის 20 იანვრის განაჩენის შეცვლა და გ. ბ-ის დამნაშავედ ცნო-

ბა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვე-
პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

5. განაჩენი ასევე გაასაჩივრა მსჯავრდებულმა გ. ბ-მა, რო-
მელმაც ითხოვა გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და გა-
მართლება.

6. საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვის დროს
მსჯავრდებულმა დააზუსტა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა
და ითხოვა სასჯელის შემსუბუქება.

7. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 13 მაი-
სის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და
ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 20 იანვრის განა-
ჩენი დარჩა უცვლელად.

8. კასატორი – ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკუ-
რორი რ. შ-ე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ საქმეზე შეკ-
რებილი მტკიცებულებებით დადგენილია, რომ გ. ბ-მა ჩაიდინა
თაღლითობა, რომლის ერთ-ერთი ნიშანია მოტყუება, რაც აშკა-
რად სახეზეა; ასევე სახეზეა დაზარალებულის მხრიდან ქონე-
ბის ნებაყოფლობით გადაცემა; გ. ბ-მა ჭეშმარიტება განზრახ
დაამახინჯა და დაფარა დაზარალებულის შეცდომაში შესაყვა-
ნად, ანუ დანაშაულებრივი განზრახვა თავიდანვე ჰქონდა მო-
ფიქრებული, რაც განახორციელა. კასატორის აზრით, მნიშვნე-
ლოვანია ის გარემოებაც, რომ, მიუხედავად ზეპირი შეთანხმე-
ბისა, დაზარალებულს გ. ბ-ისათვის ავტომანქანა მაშინვე არ გა-
დაუცია, რომელსაც დანაშაულებრივი განზრახვა წარმოეშვა
არა ნივთის გადაცემის შემდეგ, არამედ – შეთანხმების შემდეგ,
ნივთის გადაცემამდე, რადგან გ. ბ-მა ავტომანქანა წამოყვა-
ნისთანავე, მაშინვე ჩააბარა ჯართის მიმღებ პუნქტში, რაც დას-
ტურდება მონმეთა ჩვენებებით; მას თავისი განზრახვის სის-
რულეში მოყვანის გეგმა უკვე შემუშავებული ჰქონდა, რაც გა-
ნახორციელა კიდევ.

9. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორი რ. შ-ე ით-
ხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 13 მაი-
სის განაჩენის შეცვლას, გ. ბ-ის ქმედების დაკვალიფიცირებას
საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნ-
ქტით და შესაბამისი სასჯელის განსაზღვრას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ ზეპირი მოსმენით, მხარეთა მონაწი-
ლეობით განიხილა საკასაციო საჩივარი, გააანალიზა საჩივრის
საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ პროკურორი რ. შ-ის საკასაციო
საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. დაზარალებულ თ. ა-ის ჩვენებით დასტურდება, რომ 2012 წელს გაიცნო გ. ბ-ი, რომელიც იყო მანქანის ხელოსანი. ვინაიდან მას შესაკეთებელი ჰყავდა ავტომანქანა „ფიატი“, სთხოვა ბ-ს შეეკეთებინა იგი. გ. ბ-მა მართლაც შეაკეთა აღნიშნული დაზარალებული ავტომანქანა, რისთვისაც, შეთანხმებისამებრ, გადაუხადა საფასური. დაზარალებულის განმარტებით, გ. ბ-მა ავტომანქანის ხარისხიანად შეეკეთებინა მისი ნდობა მოიპოვა, რის შემდეგაც, 2012 წლის ივნისში, შეუთანხმდა მას შეეკეთებინა მისი მეორე ავტომანქანა „დაევო ლეგანზაც“, რაზეც იგი დათანხმდა. რამდენიმე დღის შემდეგ გ. ბ-მა მას გამოართვა 50 ლარი და უთხრა, რომ ეს თანხა ესაჭიროებოდა მანქანის სახელოსნოში ევაკუატორით გადასატანად.

3. მოწმე ჯ. დ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ იგი მუშაობს შავი ლითონის მიმღებად შპს „მეტალსტარში“. 2013 წლის ივნისში მასთან მოვიდა გ. ბ-ი, რომელსაც ქალაქიდან იცნობდა. მან ევაკუატორით მიიტანა შავი ფერის ავტომანქანა „დაევო ლეგანზა“ და უთხრა, რომ სურდა ამ ავტომანქანის ჯართში ჩაბარება, ასევე განუმარტა, რომ ავტომანქანა გამოუსადეგარი იყო, დედა ჰყავდა ავად და თანხის მიცემა ერქარებოდა, თან გადასცა მანქანის ტექნიკური პასპორტი, გასაღები და დაარწმუნა, რომ მანქანა ნამდვილად მისი იყო. ამის შემდეგ აწონეს მანქანა და მისმა ფასმა შეადგინა 220 ლარი, რაც გადაუხადა გ. ბ-ს.

4. მოწმე თ. ა-ის ჩვენებით დადგენილია, რომ იგი არის თ. ა-ის ბიძაშვილი. თ. ა-ემ მათი სახლის ეზოში გააჩერა თავისი ავტომანქანა „დაევო ლეგანზა“, რომელიც უნდა შეეკეთებინა. 2012 წლის ივნისში მან მიიყვანა ხელოსანი გ. ბ-ი და დაათვალიერებინა ავტომანქანა, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ აღნიშნული პირი მივიდა მათთან ევაკუატორით და ავტომანქანა წაიყვანა.

5. სასაქონლო ექსპერტიზის №ს-141 დასკვნით დადგენილია, რომ ექსპერტიზაზე წარდგენილ ავტომანქანა „დაევო ლეგანზას“ საორიენტაციო ღირებულება, წარდგენის დროს არსებული ფიზიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, შეადგენს 1200 ლარს.

6. ზემოაღნიშნული უტყუარი მტკიცებულებების შეფასების შედეგად საკასაციო პალატას დადასტურებულად მიაჩნია, რომ გ. ბ-ი მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა თ. ა-ის კუთვნილ ავტომანქანას, რითიც დაზარალებულს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა.

7. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ბრალდების მხარის პოზიცია ბ-ის ქმე-

დების საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლით დაკვალიფიცირების თაობაზე იმ მოტივით, რომ მსჯავრდებულს ავტომანქანის ჯართში ჩაბარების განზრახვა წარმოეშვა მას შემდეგ, რაც ავტომანქანა მის კანონიერ მფლობელობაში მოექცა, რის გამოც სახეზეა სხვისი ნივთის მითვისება და არა – თაღლითობა.

8. საკასაციო პალატა არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ მსჯელობას, სრულად იზიარებს ბრალდების მხარის პოზიციას და მიაჩნია, რომ თ. ა-ეს, გ. ბ-თან დანაშაულებრივ ქმედებამდე არსებული ურთიერთობიდან გამომდინარე (1-ლი მანქანის შეკეთება), წარმოეშვა ნდობა მის მიმართ, რითიც ბოროტად ისარგებლა ბ-მა და მოატყუა ა-ე, რომ მეორე მანქანასაც შეუკეთებდა. ის ფაქტი, რომ გ. ბ-ს თავიდანვე დანაშაულებრივი განზრახვა ამოძრავებდა, პალატას დადგენილად მიაჩნია საქმეში არსებული მტკიცებულებების ანალიზიდან გამომდინარე, კერძოდ: თ. ა-ის, თ. ა-ისა და ჯ. დ-ის ჩვენებების ურთიერთმეჯერების საფუძველზე უტყუარად დგინდება, რომ გ. ბ-ი შეთანხმებიდან რამდენიმე დღეში მივიდა დაზარალებულთან და გამოართვა 50 ლარი, რათა ევაკუატორით გადაეყვანა ავტომანქანა შავი ლითონის ჩასაბარებელ პუნქტში, ხოლო მე-საკუთრე მოატყუა, რომ მანქანა მიჰყავდა შესაკეთებლად სახელოსნოში; მივიდა დაზარალებულის ნათესავთან – თ. ა-ესთან, წამოიყვანა ავტომანქანა და ყოველგვარი შუალედისა და დროის გასვლის გარეშე 220 ლარის სანაცვლოდ ჩააბარა ჯართის მიმღებ პუნქტში. პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ბ-ის მიერ თ. ა-ის ეზოდან ავტომანქანის პირდაპირ ჯართის მიმღებ პუნქტში მიყვანის ფაქტი არც დაცვის მხარეს გაუხდია სადავოდ.

9. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გ. ბ-ის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე.

10. საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს გ. ბ-ის მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათსა და სიმძიმეს, მის წარსულ ცხოვრებას და ისე განუსაზღვრავს სამართლიან სასჯელს.

11. ამასთან, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ვინაიდან გ. ბ-ა დანაშაულებრივი ქმედება ჩაიდინა 2012 წლის ზაფხულში, მის მიმართ უნდა გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონი, კერძოდ: ხსენებული კანონის მე-11 მუხლის თანახმად, მსჯავრდებული გ. ბ-ი უნ-

და გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელისგან, ვინაიდან პროკურორმა დ. კ-მა საკასაციო პალატის სხდომაზე წარმოადგინა დაზარალებულ თ. ა-ის განცხადება, რომ მას მსჯავრდებულ გ. ბ-ის მიმართ პრეტენზია არ გააჩნია და თანახმაა, მის მიმართ გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული შეღავათები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. პროკურორ რ. შ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 13 მაისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:
3. გ. ბ-ის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე და სასჯელის სახით განესაზღვროს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.
4. „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-11 მუხლის თანახმად, მსჯავრდებული გ. ბ-ი გათავისუფლდეს დანიშნული სასჯელისგან.
5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 13 მაისის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.
6. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების
უკანონო შექმნა, შენახვა იმის მიერ, ვისაც წინათ
ჩადენილი აქვს ამ კოდექსის ამ თავით
გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული**

**განაჩენი
საქართველოს სასჯელით**

№515აპ-14

16 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე**

განიხილა მსჯავრდებულ ი. ნ-ს საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 18 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 6 ივნისის განაჩენით ი. ნ-ე, – ნასამართლევი, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით, 238¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 273-ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა, შენახვა იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს კოდექსის ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული; ასევე – განზრახი მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ ცივი იარაღის ტარება და ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება, ჩადენილი ასეთი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ.

2. განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ი. ნ-ე თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 4 თებერვლის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე გაუნახევრდა და განესაზღვრა 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა; 273-ე მუხლით – 1000 ლარი ჯარიმა, რომელიც მან არ გადაიხადა.

3. ი. წ-მ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეიძინა და შეინახა 0,0012 გრამი – დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „დეზომორფინი“ და 0,0002 გრამი – დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „მეტამფეტამინი“.

4. 2013 წლის 18 ნოემბერს საქართველოს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა თბილისში, ვარკეთილი-3-ის მე-3ა მიკრორაიონში, 342-ე კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, დააკავეს ი. წ-ე, რომლის პირადი ჩხრეკისას ამოიღეს ერთ მინის ფლაკონში მოთავსებული, 0,0012 გრამი – დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „დეზომორფინი“ და 0,0002 გრამი – დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „მეტამფეტამინი“. მისი პირადი ჩხრეკისას ასევე ამოიღეს დანა, რომელსაც იგი ატარებდა და რომელიც მიეკუთვნება ცივ იარაღთა კატეგორიას. იმავე დღეს ჩატარებული ნარკოლოგიური ექსპერტიზის შედეგად ი. წ-ს დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარების ფაქტი.

5. აღნიშნული ქმედებისათვის ი. წ-ს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით მიესაჯა 7 წლით, 238¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 1 წლითა და 6 თვით, ხოლო 273-ე მუხლით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა; შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, დანაშაულთა ერთობლიობით განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რამაც შთანთქა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 7 აპრილის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 1000 ლარი ჯარიმა და ი. წ-ს საბოლოოდ მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2013 წლის 18 ნოემბრიდან; მასვე 5 წლით ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ჩამოთვლილი უფლებები.

6. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ი. წ-მ და მისმა ადვოკატმა ნ. ქ-მ. მათ ითხოვეს განაჩენის გაუქმება, ი. წ-ს გამართლება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით ნარდგენილ ბრალდებაში, ხოლო სსკ-ის 238¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 273-ე მუხლით მსჯავრდების ნაწილში – განაჩენის უცვლელად დატოვება.

7. პროკურორმა ზ. ქ-მ შესაგებლით ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვება.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 18 ნოემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 6 ივნის-

სის განაჩენში შევიდა ცვლილება: ი. ნ-ე გამართლდა საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში; მასვე სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით მიესაჯა 7 წლით, ხოლო 273-ე მუხლით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა; შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, დანაშაულთა ერთობლიობით განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რამაც შთანთქა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 7 აპრილის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 1000 ლარი ჯარიმა და ი. ნ-ს საბოლოოდ მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაენციო 2013 წლის 18 ნოემბრიდან; მასვე 5 წლით ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ჩამოთვლილი უფლებები.

9. კასატორი – მსჯავრდებული ი. ნ-ე საკასაციო საჩივრებში აღნიშნავს, რომ 25 წლის განმავლობაში არის ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელი, მაგრამ ნარკოტიკი ჯიბით არასოდეს უტარებია, შესაბამისად, მას არ ჩაუდენია საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაული, რის გამოც ბრალდების ამ ნაწილში ითხოვს გამართლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მისი მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. მონმე ბ. მ-მა აჩვენა, რომ იგი უშუალოდ მონაწილეობდა ი. ნ-ს დაკავებასა და პირად ჩხრეკაში, რა დროსაც მსჯავრდებულის შარვლის ჯიბიდან ამოიღეს პატარა ზომის მინის ქილა მასში არსებული მასით და დასაკეცი დანა. მანვე განმარტა, რომ ბრალდებულმა საგამოძიებო მოქმედების ოქმის ხელმოწერაზე უარი განაცხადა. მანვე დაკავების ოქმში დააფიქსირა ი. ნ-ს მარჯვენა მკლავის ქვემოთ აღმოჩენილი მოლურჯო-მოყვითალო სისხლჩაქცევა, რაზეც ბრალდებულმა განუმარტა, რომ დაზიანება მიიღო დაკავებამდე რამდენიმე დღით ადრე.

3. მონმე ა. კ-მ აჩვენა, რომ 2013 წლის 18 ნოემბერს მონაწილეობდა ი. ნ-ს პირად ჩხრეკაში, რა დროსაც უშუალოდ მან ამოიღო ი. ნ-სგან პატარა ზომის მინის ქილა მასში მოთავსებული მოყავისფრო-მოყვითალო ფერის მასით და დასაკეცი დანა.

4. ანალოგიური ჩვენება მისცა და იგივე ფაქტობრივი გარემოებები დაადასტურა მონმე ა. მ-მ.

5. 2013 წლის 19 ნოემბრის ქიმიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ი. წ-ს პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებულ ფლაკონში მოთავსებული სითხე ბამბის ტამპონებთან ერთად ნარმოადგენს კუსტარული წესით დამზადებული ნარკოტიკული საშუალებების „დეზომორფინისა“ და „მეტამფეტამინის“ შემცველ ხსნარს, რომელშიც ნარკოტიკული საშუალება „დეზომორფინის“ რაოდენობა შეადგენს 0,0012 გრამს, ხოლო ნარკოტიკული საშუალება „მეტამფეტამინის“ – 0,0002 გრამს. აღნიშნული დასკვნის სისწორე სასამართლო სხდომაზე დაადასტურეს ექსპერტებმა ი. თ-მ და ს. ც-მ.

6. 2013 წლის 18 ნოემბრის ნარკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ი. წ-ს ნარკოლოგიური კვლევის შედეგად დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალებების „ამფეტამინისა“ და „მეტამფეტამინის“ მოხმარების ფაქტი, რაც სასამართლოში დაადასტურეს ექსპერტებმა მ. ს-მა და თ. თ-მ. პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ი. წ-ს ჩხრეკის შედეგად ამოღებულ მინის ფლაკონში „დეზომორფინთან“ ერთად სწორედ „მეტამფეტამინის“ შემცველი ხსნარი აღმოჩნდა.

7. კასატორის მითითებას, რომ მას ჩაუდეს აღნიშნული ნარკოტიკული საშუალება, საკასაციო პალატა არ იზიარებს უსაფუძვლობის გამო, კერძოდ: დაცვის მხარეს არ წარმოუდგენია ამ ფაქტის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება. ამასთან, ბრალდების მხარის მოწმეების – ბ. მ-ს, ა. კ-სა და ა. მ-ს ჩვენებები არის თანმიმდევრული და ურთიერთშეთავსებადი, რის გამოც საკასაციო პალატას არ გასჩენია მათში ეჭვის შეტანის საფუძველი.

8. პალატა არ იზიარებს ასევე კასატორის პოზიციას, რომ, ვინაიდან მინის ქილაზე ჩატარებული დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის შედეგად არ აღმოჩნდა ი. წ-ს ანაბეჭდები, ეს მეტყველებს იმაზე, რომ მას ქილა არ ჰქონია და აღნიშნავს, რომ ხსენებული გარემოება არც პირდაპირ და არც სხვა დადგენილ გარემოებებთან ერთად არ მიუთითებს მის უდანაშაულობაზე. მინის ქილაზე ი. წ-ს ანაბეჭდების აღმოჩენის შემთხვევაში დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნა იქნებოდა ბრალდების კიდევ ერთი მტკიცებულება, ხოლო ასეთის აღმოუჩენლობა გავლენას არ ახდენს ი. წ-ს ბრალეულობაზე, ვინაიდან ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული სხვა უტყუარი მტკიცებულებები საკმარისია გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად.

9. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პა-

ლატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განაჩენი კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ი. ნ-ს საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 18 ნოემბრის განაჩენი დარჩეს უცვლელად.
3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

ხეების უკანონოდ განიხივა

**განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო**

№429აპ-14

10 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

გ. შავლიაშვილი

ზეპირი მოსმენით განიხილა მსჯავრდებულ ბ. გ-ისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ხ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 23 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 4 ივლისის განაჩენით ბ. გ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 303-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის – ხეების უკანონო ჩეხვისათვის, რამაც მნიშვნე-

ლოვანი ზიანი გამოიწვია.

ბ. გ-ისათვის ბრალად წარდგენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში: 2014 წლის იანვარში (ზუსტი დრო დაუდგენელია) ბ. გ-ემ თერჯოლის რაიონის სოფელ ...-ში უკანონოდ მოჭრა 35 ძირი რცხილისა და 51 ძირი წიფლის ჯიშის ხე, რითაც გარემოს მიაღება 2456,85 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

ბ. გ-ეს საქართველოს სსკ-ის 303-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ზემოაღნიშნული დანაშაულისათვის მიესაჯა ჯარიმა – 1000 ლარი.

ასევე გაუქმდა თერჯოლის მაგისტრი სასამართლოს 2014 წლის 7 აპრილის განჩინება და ყადაღა მოეხსნა თ. ბ-ისა და ე. ჭ-ის თანასაკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას (საკადასტრო კოდი ...).

2. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ბ. გ-ემ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. ხ-ემ. მათ სააპელაციო საჩივრით ითხოვეს საქართველოს სსკ-ის 303-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისთვის გამამართლებელი განაჩენის გამოტანა.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 23 სექტემბრის განაჩენით ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 4 ივლისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 23 სექტემბრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ბ. გ-ემ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. ხ-ემ. მათ ითხოვეს ბ. გ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 303-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში გამართლება შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: სააპელაციო პალატამ კანონის მოთხოვნათა დარღვევით – დაზარალებული ორგანიზაციის მიერ გაცემული დასკვნით დაადგინა გარემოსათვის მიყენებული ზიანის ოდენობა; აღნიშნული მტკიცებულება ვერ აკმაყოფილებს უტყუარობის სტანდარტს; გარემოსთვის მიყენებული ზიანი გამოიანგარიშეს ძალადაკარგულად გამოცხადებული ბრძანების საფუძველზე, რის გამოც მის საფუძველზე გაცემულ დოკუმენტს იურიდიული ძალა არ აქვს; არ არსებობდა საკმარისი მტკიცებულებები გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად; სააპელაციო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი უკანონოა და უნდა გაუქმდეს.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა

და მიაჩნია, რომ მისი მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულ ბ. გ-ისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ხ-ის პოზიციას მსჯავრდებულის გამართლების თაობაზე, ვინაიდან წარდგენილი ბრალდება დასტურდება გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობით, კერძოდ:

3. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ბ. გ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 303-ე მუხლის 1-ლი ნაწილით ბრალად წარდგენილი დანაშაულის შემადგენლობის ერთ-ერთი ნიშანია ხე-ბუჩქნარის გაჩეხვა, რაც გულისხმობს აქტიურ მოქმედებას – ხე-ბუჩქნარის მოჭრას უკანონოდ, ნებართვის (ლიცენზიის) გარეშე. პალატას მიაჩნია, რომ დანაშაულის შემადგენლობის ეს ნიშანი უტყუარად დასტურდება საქმეზე არსებული მტკიცებულებებით, კერძოდ:

4. 2014 წლის 19 თებერვლის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმით დგინდება, რომ თერჯოლის რაიონის სოფელ ...-ში მცხოვრებმა ბ. გ-ემ ზესტაფონის სატყეო უბანში, სოფელ ...ის ტყეში, მოჭრა წვრილი ზომის ხე-ტყე – 35 ძირი რცხილა (8 დმ. სმ.) და 51 ძირი წიფელი (6 დმ. სმ.), რომელიც ესაჭიროებოდა ოჯახისათვის. აღნიშნული ოქმის სისწორეს ხელმონერით ადასტურებენ ოქმის შემდგენი – ბ. ს-ე და სამართალდამრღვევი – ბ. გ-ე.

5. სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა ბ. ს-ემ დაადასტურა მის მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის სისწორე და განმარტა, რომ 2014 წლის 19 თებერვალს ახდენდა მისდამი დაქვემდებარებული სატყეო უბნის შემოვლას თერჯოლის რაიონის სოფელ ...ის საკოლმეურნეო ტყეში, სადაც აღმოაჩინა ხე-ტყის უკანონო ჭრის ფაქტი. მოჭრილი აღმოჩნდა რცხილისა და წიფლის ჯიშის ხეები, რომლებიც გატანილი იყო ჭრის ადგილიდან. იმავე დღეს გაესაუბრა ტყის მახლობლად მცხოვრებ ბ. გ-ეს, რომელმაც აღიარა რომ თავად მოჭრა ტყეში წვრილი ზომის რცხილისა და წიფლის ხეები, რის შემდეგაც ბ. გ-ე გაჰყვა ტყეში და უჩვენა ის ადგილი, სადაც მოჭრა ხეები. ბ. გ-ემ სათითაოდ მიუთითა მის მიერ მოჭრილი ხის ძირებზე, ერთად დათვალეს საერთო რაოდენობა და აღმოჩნდა, რომ მოჭრილი იყო 35 ძირი 8 სმ დიამეტრის მქონე რცხილის ჯიშის ხე და 51 ძირი 6 სმ დიამეტრის მქონე წიფლის ჯიშის ხე, რაც მონიშნა და მისი თანდასწრებით შეადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. სამართალდარღვე-

ვის ოქმში ბ. გ-ემ თავისი ხელით შეიტანა ახსნა-განმარტება, დაადასტურა ოქმის შინაარსი და აღიარა სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი. მოჭრილი ხე-ტყე ტყის მცველმა ვერ ამოიღო, რადგან ბ. გ-ეს იგი უკვე შეშად ჰქონდა გამოყენებული.

6. მოწმის სახით დაკითხული გ. წ-ის ჩვენებით და მის მიერ შედგენილი საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმით დადგენილია, რომ თერჯოლის რაიონული სამმართველოს დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელ ე. პ-სთან ერთად ჩაატარა საგამოძიებო ექსპერიმენტი ბ. გ-ის ჩვენების ადგილზე შემონმების მიზნით. ბ. გ-ემ საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს დაადასტურა მის მიერ ხე-ტყის მოჭრის ფაქტი და თავად მიუთითა ტყის იმ უბანზე, სადაც მოჭრა რცხილისა და ნიფლის ჯიშის ხეები. მოჭრილი ხე-ტყის რაოდენობამ შეადგინა 86 ცალი. გადაჭრილი ხის ძირები მეტყევეის მიერ მონიშნული იყო წითელი ფერის საღებავით. ბ. გ-ის მიერ მითითებული ობიექტები დასურათებულ იქნა ფოტოაპარატით, რის შემდეგაც შედგა სათანადო ოქმი, რომელზეც ხელი მოაწერა ექსპერიმენტში მონაწილე ყველა პირმა. ბ. გ-ეს რაიმე შენიშვნები არ გამოუთქვამს. იგივე ფაქტობრივი გარემოებები დაადასტურებულია მოწმის სახით დაკითხული ე. პ-ის ჩვენებით.

7. მოწმის სახით დაკითხული თ. ბ-ის ჩვენებით დგინდება, რომ ბ. გ-ემ სთხოვა ხარ-ურემი სოფლის მახლობლად არსებული ტყიდან შეშის მოსატანად. სალამოს ტყის მახლობლად მას შეხვდა ბ. გ-ე, რომელსაც მოჰქონდა წვრილი ზომის შეშა.

8. ამდენად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მითითებული მტკიცებულებები ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს ხეების უკანონოდ მოჭრის ფაქტსა და მათ რაოდენობაზე და საკმარისია ამ ფაქტების უტყუარად დასადგენად, რაც სადავოდ არ არის გამხდარი არც საკასაციო საჩივრით და ასევე, არც მსჯავრდებულ ბ. გ-ეს გაუხდია სადავოდ საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს.

9. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს დანაშაულის შემადგენლობის შემდეგ ნიშანზე – მნიშვნელოვან ზიანზე, რომელიც ასევე სავალდებულო ელემენტია ბ. გ-ის ქმედების სსკ-ის 303-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დასაკვალიფიცირებლად, კერძოდ:

10. მოქალაქე ბ. გ-ის მიერ უკანონოდ მოპოვებული 35 ძირი რცხილისა და 51 ძირი ნიფლის ჯიშის მოზარდი ხით გარემოსათვის მიყენებული ზიანის გაანგარიშებით, რომელიც შედგენილია გ. ლ-ის მიერ, დგინდება, რომ ბ. გ-ის მიერ 8 სმ დიამეტრის 35 ძირი რცხილისა და 6 სმ დიამეტრის 51 ცალი ნიფლის ჯიშის მო-

ზარდი ხის უკანონოდ მოპოვებით გარემოსათვის მიყენებული ზიანი შეადგენს 2456,85 ლარს. აღნიშნული გაანგარიშების აქტის სისწორე დაადასტურა მონმის სახით დაკითხულმა გ. ლ-მა, რომელმაც განმარტა, რომ აქტის შედგენისას იხელმძღვანელა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის მონაცემებით, რომლებსაც მხარეები სადავოდ არ ხდიდნენ. შესაბამისად, არც ადგილზე არ გასულა და მოჭრილი ხეების დიამეტრებიც არ გააუმომწებია.

11. მონმის სახით დაკითხული, დაზარალებული ორგანიზაციის – სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს იმერეთის სატყეო სამსახურის წარმომადგენლის ლ. ტ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ 2014 წლის იანვარში ზესტაფონის სატყეო უბნის ტყის მცველმა ბ. ს-ემ შეადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი თერჯოლის რაიონის სოფელ ...-ში მცხოვრები ბ. გ-ის მიმართ ხე-ტყის უკანონოდ ჭრის ფაქტზე, კერძოდ: ბ. გ-ემ ზესტაფონის სატყეო უბნის თერჯოლის რაიონის სოფელ ...-ში, ყოფილ საკოლმეურნეო ტყეში, უკანონოდ მოჭრა 35 ძირი რცხილისა და 51 ძირი წიფლის ჯიშის ხე-ტყე. აღნიშნული ხე-ტყის უკანონო ჭრის შედეგად გარემოსათვის მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 2456,85 ლარი, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან ზიანს. მართალია, გარემოსთვის მიყენებული ზიანი გამოანგარიშებულ იქნა ძალადაკარგულად ცნობილი, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2011 წლის 23 ივნისის №95 ბრძანების საფუძველზე, თუმცა აღნიშნული ბრძანება იდენტურია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №54 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტისა, რომლითაც დადგინდა ზიანის გაანგარიშების ახალი მეთოდიკა, კერძოდ, დანართი №10 არ შეცვლილა და არც ბრალდებულის მდგომარეობა დამძიმებულა.

12. ამდენად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული მტკიცებულებების თანახმად, გარემოსათვის მიყენებული ზიანი აღემატება 1000 ლარს, რაც საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №54 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, წარმოადგენს მნიშვნელოვან ზიანს. შესაბამისად, ასევე სახეზეა საქართველოს სსკ-ის 303-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის ნიშანი – მნიშვნელოვანი ზიანი.

13. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სამართლოს მსჯელობას, რომ გაანგარიშება გარემოსთვის მიყენებული ზიანის ოდენობასთან დაკავშირებით შესრულებუ-

ლია უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ. იგი წარმოადგენს უტყუარ მტკიცებულებას (ნორმატიული აქტის შინაარსი ზიანის გაანგარიშების საკითხზე არ შეცვლილა და იდენტურია ადრე მოქმედი აქტისა), ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ შეიცავს ზიანის მხოლოდ ექსპერტიზის დასკვნით დადგენის სავალდებულო მოთხოვნას. ამდენად, ხსენებულ მტკიცებულებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს, რის გამოც დაცვის მხარის აპელირება ამ გარემოებაზე უსაფუძვლოა.

14. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 23 სექტემბრის განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-2, მე-3 ნაწილებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ბ. გ-ისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ხ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 23 სექტემბრის განაჩენი ბ. გ-ის მიმართ დარჩეს უცვლელად.

3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქმედების გადაკვალიფიცირება ქრთამის აღებიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამიტაცებაზე

განაჩენი საქართველოს სასჯელით

№308აპ-14

23 იანვარი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. ომხარელი,
პ. სილაგაძე

განიხილა მსჯავრდებულ დ. დ-ის ინტერესების დამცველი
ადვოკატების – ჯ. კ-ისა და ე. პ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაის-
სის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა
პალატის 2014 წლის 7 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 6 იანვრის
განჩინებით არ დაკმაყოფილდა აჭარის ავტონომიური რესპუბ-
ლიკის პროკურატურის უფროსი პროკურორის – ვ. თ-ის შუამ-
დგომლობა მხარეებს შორის დადებული საპროცესო შეთანხმე-
ბის დამტკიცებაზე.

2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 8 იანვრის
განაჩენით დ. დ-ე, – ნასამართლობის არმქონე, – გამართლდა
საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ
ბრალდებაში.

3. ბრალდების შესახებ დადგენილებით დ. დ-ეს ბრალი ედე-
ბოდა იმაში, რომ ჩაიდინა ქრთამის აღება, რაც გამოიხატა შემ-
დეგში: 2011 წლის 15 თებერვალს საქართველოს შსს აჭარის ავ-
ტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს უფროსის
№... ბრძანებით დ. დ-ე დაინიშნა შსს აჭარის ა/რ-ის მთავარი სამ-
მართველოს ქალაქ ბათუმის საქალაქო სამმართველოს უბნის
ინსპექტორების განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებ-
ლად და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის
საფუძველზე წარმოადგენდა საჯარო მოხელეს. 2013 წლის 29
მარტს საქართველოს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლი-
ციის დეპარტამენტიდან შსს აჭარის მთავარ სამმართველოში
გადაიგზავნა სამსახურებრივი ბარათი (წერილი), რომელიც შე-
სასრულებლად დაენერა დ. დ-ეს. სამსახურებრივ ბარათში აღ-

ნიშნული იყო, რომ ანკარის ინტერპოლიდან შემოსული ინფორმაციის საფუძველზე თურქეთის რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ეროვნულ დონეზე მიგრანტების ტრეფიკინგის ბრალდებით იძებნებოდა თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 1979 წლის 1 ოქტომბერს დაბადებული შ. ში-ი. ამავე ბარათით მოითხოვდნენ შესაბამისი ღონისძიებების გატარებას ძებნილი პირის ადგილსამყოფლის დასადგენად.

4. დ. დ-ემ დაადგინა შ. ში-ის ავტომანქანა – „ფოლკსვაგენ ჯეტა“, სანომრე ნიშნით ...-, რომელიც მან 2013 წლის 10 აპრილს, დაახლოებით 17 საათზე, შეამჩნია ქ. ბათუმში, ლ-ის ქ. №...ში მდებარე კლუბ „...-ს“ მიმდებარე ტერიტორიაზე. დ. დ-ემ იქვე, ახლოს გააჩერა თავისი „ვაზ-2106“ მარკის ავტომანქანა, სანომრე ნიშნით ...-, თანამშრომელ გ. გ-ესთან ერთად გაემართა „ფოლკსვაგენ ჯეტას“ მარკის ავტომანქანასთან მდგარი პირისაკენ, რომელსაც ისინი გაეცნენ პოლიციელებად, წარუდგინეს სამსახურებრივი მოწმობები და ჰკითხეს სახელი და გვარი. შ. ში-ის ვინაობის დადგენის შემდეგ დ. დ-ემ თურქულად ჰკითხა მას, რაიმე პრობლემა ხომ არ ჰქონდა სამართალდამცავ ორგანოებთან, რაზეც შ. ში-მა უპასუხა, რომ 2013 წლის 18 აპრილს თურქეთის რესპუბლიკაში ჰქონდა სასამართლო პროცესი. ზემოაღნიშნული ინფორმაციის მიღებისა და ანკარის ინტერპოლის მონაცემების საფუძველზე დ. დ-ემ განიზრახა, არამართლზომიერი სარგებლის მიღების მიზნით, გარკვეული გარანტიის მიცემის სანაცვლოდ ფულადი თანხა მოეთხოვა შ. ში-ისათვის. დ. დ-ემ შ. ში-ს მოსთხოვა, ჩამჯდარიყო „ფოლკსვაგენ ჯეტას“ მარკის ავტომანქანაში, რომელშიც ასევე ჩაჯდა გ. გ-ე. დ. დ-ემ შ. ში-ს თურქულ ენაზე მოსთხოვა მისთვის 500 აშშ დოლარის გადაცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში პრობლემებს შეუქმნიდა და არ მისცემდა მშვიდი ცხოვრების საშუალებას. დ. დ-ე ასევე დაჰპირდა, რომ თანხის გადახდის შემთხვევაში გაუნევდა სამსახურებრივ მფარველობას და შ. ში-ს ბათუმში პრობლემები არ შეექმნებოდა. 2013 წლის 12 აპრილს, დაახლოებით 20.50 საათზე, დ. დ-ემ ქრთამის ალბაში საკუთარი თავის შესანიღბად შ. ში-თან თანხის გამოსართმევად გაგზავნა თავისი მეზობელი ქ. დ-ა, რომელსაც ქ. ბათუმში, ი...ის ქუჩაზე მდებარე სუპერმარკეტ „...-“ შ. ში-მა დ. დ-ისათვის გადასაცემად მისცა გამოძიების მიერ წინასწარ გამოყოფილი 500 აშშ დოლარი.

5. გამამართლებელი განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის მთავარმა პროკურორმა ვ. თ-ემ. მან ითხოვა ბათუმის საქალაქო სამართლოს 2014 წლის 8 იანვრის განაჩენის გაუქმება და დ. დ-

ის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ ბრალდებაში.

6. პროკურორმა ვ. თ-ემ ასევე გაასაჩივრა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 6 იანვრის განჩინება და ითხოვა მისი გაუქმება.

7. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 7 ივლისის განაჩენით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა: გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 8 იანვრის განაჩენი; დ. დ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2014 წლის 7 ივლისიდან; მასვე სასჯელის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2013 წლის 15 აპრილიდან 2014 წლის 8 იანვრამდე.

8. კასატორები: მსჯავრდებულ დ. დ-ის ადვოკატები – ჯ. კ-ე და ე. პ-ე საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ შ. შ-ს სასამართლოს არც ერთ სხდომაზე არ განუცხადებია, რომ დ. დ-ემ მას მოსთხოვა ქრთამი და სანაცვლოდ შეჰპირდა რაიმე ქმედების განხორციელებას ან მისგან თავის შეკავებას, სამსახურებრივ მფარველობას, რაიმე გარანტიას ან სამსახურის განევას; შ. შ-ის ჩვენებითა და სატელეფონო საუბრების ფარული აუდიოჩანაწერის მიხედვით დადასტურდა, რომ 2013 წლის 11 აპრილის 18.49 საათზე, სატელეფონო საუბრისას, დ. დ-ემ შ. შ-ს განუცხადა, რომ მას ფული აღარ სჭირდებოდა და აღნიშნულთან დაკავშირებით აღარ დაურეკავდა; მართლაც, ამ საუბრის შემდეგ დ. დ-ეს შ. შ-ისათვის აღარ დაურეკავს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მსჯავრდებულმა ხელი აიღო არაგონივრულ განზრახვაზე – საეჭვო პირისაგან ფულის სესხებაზე; შ. შ-ის განცხადებით, იგი დ. დ-ეს ურეკავდა სამართალდამცავი ორგანოების მუშაკთა ზეწოლითა და მითითებით და ამზადებდა დანაშაულის პროკაციას.

9. გარდა აღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებას, რომ 2013 წლის 12 აპრილს დ. დ-ემ სამსახურში მისვლისთანავე განუცხადა თავის უშუალო უფროსს, რომ დაადგინა შ. შ-ის ვინაობა და საცხოვრებელი ადგილი, ანუ დ. დ-ემ პირნათლად შეასრულა მიცემული დავალება და თანხის მოთხოვნის სანაცვლოდ შ. შ-ის სასარგებლოდ რაიმე ქმედება არ განუხორციელებია.

10. სასამართლომ იგნორირება გაუკეთა ფარულ აუდიო-ვიდეოჩანაწერში იმ ფაქტს, რომ დ. დ-ის მიერ გაგზავნილმა ქ. დ-ამ შ. შ-ს სამჯერ გაუმეორა, რომ დ. დ-ე სესხად ალებულ 500 აშშ დოლარს ერთ თვეში დაუბრუნებდა.

11. დ. დ-ის უდანაშაულობას, გარდა ზემოჩამოთვლილი გარემოებებისა, ადასტურებს მონმე გ. გ-ის ჩვენებაც, რომელიც ადასტურებს, რომ შ. შ-ის ვინაობის დადგენასთან დაკავშირებული ინფორმაცია დ. დ-ემ გადასცა თავის ხელმძღვანელობას და მას თურქისათვის, სამსახურებრივი უფლებამოსილებიდან გამომდინარე, ხელშეუხებლობის გარანტიის მიცემა და მფარველობის განევა არ შეეძლო.

12. კასატორთა აზრით, სააპელაციო სასამართლოს არ ჰქონდა არანაირი არგუმენტი და მტკიცებულება, რომ გაუუქმებინა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი, მეტიც: მან საქართველოს სსსკ-ის 297-ე მუხლის მოთხოვნათა უხეში დარღვევით დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა და დასაშვებად ცნო პროკურატურის მიერ დამატებით წარდგენილი მასალები და უკანონოდ დააკმაყოფილა შუამდგომლობა შ. შ-ის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა დაკითხვის შესახებ. შ. შ-მა სააპელაციო სასამართლოში დაკითხვის დროს მისცა არათანმიმდევრული ჩვენება და განაცხადა, რომ გამოძიებასა და სასამართლოებში დაკითხვების დროს მან მისცა სწორი ჩვენება, თუმცა ეს ჩვენებები თარჯიმნებმა არასწორად თარგმნეს. აღმოჩნდა, რომ შ. შ-ი ტყუილად და ცდილობდა სასამართლოს შეცდომაში შეყვანას, ამიტომ სააპელაციო სასამართლომ ვერ გამოიყენა ეს ჩვენებები, არასწორი ინტერპრეტაცია მისცა შ. შ-ის მიერ პირველ ინსტანციაში მიცემულ ჩვენებას და სწორედ ამ ჩვენების შინაარსის შეცვლის საფუძველზე მისცა დ. დ-ის ქმედებას დაუსაბუთებელი სამართლებრივი შეფასება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საეჭვოა, თუ სასამართლომ მიზანშეწონილად ცნო შ. შ-ის ხელახალი დაკითხვა, მაშინ დ. დ-ის მიმართ გამამტყუნებელ განაჩენს რატომ არ დაუდო საფუძვლად შ. შ-ის სააპელაციო სასამართლოში მიცემული ჩვენება და რატომ იხელმძღვანელა მის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში მიცემული ჩვენებით.

13. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ კორუფციულ სამართალდარღვევაში გადამწყვეტი ფაქტორია არა ის, ჰქონდა თუ არა თანამდებობის პირს ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ მოქმედის განხორციელების უფლებამოსილება, არამედ ის, მოხდა თუ არა ქრთამის მოთხოვნა, შეთავაზება, გაცემა ან დაპირება მისი მხრიდან სამსახურის განევის სანაცვლოდ. პალატის განმარტებით, იმას, თუ რა მოქმედება განახორციელა დ. დ-ემ თანხის მოთხოვნის შემდეგ, კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. ამ მოსაზრებას კასატორები არ ეთანხმებიან და მიაჩნიათ, რომ იგი ყოველგვარ ლოგიკისაა

მოკლებული. საქმეზე შეკრებილი ფაქტობრივი გარემოებებით უდავოდ დადგინდა, რომ დ. დ-ეს არ მოუთხოვია ქრთამი შ. შ-ისათვის; ასევე დადგინდა, რომ დ. დ-ემ მიცემული დავალება პირნათლად შეასრულა და თავის უშუალო უფროსს აცნობა შ. შ-ის ვინაობისა და საცხოვრებელი მისამართის დადგენის თაობაზე.

14. კასატორთა აზრით, შ. შ-ის ჩვენებებში არაერთი არსებითი წინააღმდეგობაა, ამიტომ მათ მტკიცებულების ძალა არ უნდა ჰქონოდა და საქართველოს სსსკ-ის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა ყოფილიყო ცნობილი; სახეზეა საქართველოს სსსკ-ის 303-ე მუხლით გათვალისწინებული პირობები, რის გამოც ადვოკატები – ჯ. კ-ე და ე. პ-ე ითხოვენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 7 ივლისის განაჩენის გაუქმებას და დ. დ-ის გამართლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეყრდნობოდეს ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რაც გონივრულ ეჭვს მიღმა დაადასტურებს პირის ბრალეულობას. ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებები კი არ იძლევა იმის საფუძველს, რომ საკასაციო პალატამ დადგენილად მიიჩნიოს დ. დ-ის მიერ ქრთამის აღების ფაქტი, კერძოდ:

3. საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს არგუმენტაციას იმასთან დაკავშირებით, რომ ქრთამის აღება, როგორც დანაშაული, დამთავრებულია ქრთამის მოთხოვნის მომენტიდან და არ აქვს მნიშვნელობა, შესრულდება თუ არა მიცემული დაპირება. ასევე შემადგენლობის მიღმა ისიც, ჰქონდა თუ არა მოხელეს ქრთამის მიმცემის სასარგებლო მოქმედების განხორციელების უფლებამოსილება. ამასთან, იმისათვის, რათა განხორციელდეს საქართველოს სსსკ-ის 338-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა, მუხლის საკანონმდებლო კონსტრუქციიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ თანხის მოთხოვნას თან ახლდეს ქრთამის მიმცემისათვის სასარგებლო მოქმედების განხორციელების დაპირება, ასეთის გარეშე კი დანაშაულის შემადგენლობის ყველა ელემენტი სახე-

ზე არ იქნება, რაც თავისთავად გამოორიცხავს ამ დანაშაულის შერაცხვის სამართლებრივ შესაძლებლობას.

4. დაზარალებული შ. შ-ი არაერთხელ დაიკითხა როგორც წინასწარ გამოძიებაში, ისე სასამართლოში. პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას შ-მა განმარტა, რომ 2013 წლის 10 აპრილს მასთან ქუჩაში მივიდა ორი პირი (ერთი მათგანი იყო ბრლადებული დ-ე), რომლებმაც უთხრეს, რომ იყვნენ პოლიციელები და მასთან სალაპარაკო ჰქონდათ. სამივე ჩაჯდა შ-ის მანქანაში. დ. დ-ემ, რომელიც თურქულად ესაუბრებოდა და ძირითადად სწორედ ის ეკონტაქტებოდა, აჩვენა რაღაც საქალაქო მისი ფოტოსურათით, თუმცა შ-ისთვის უცნობია, რა ეწერა იმ ქალაქებზე და არც დ-ეს აუხსნია ეს მისთვის. გამოჰკითხა, რას აკეთებდა საქართველოში, სად ცხოვრობდა. უთხრა, რომ იცოდა მისი პრობლემების შესახებ სამართალდამცავებთან და ისიც, რომ თურქეთიდან იყო გამოქცეული. ასევე უთხრა, რომ იცოდა მისი მანქანა, ასევე ისიც, რომ ფლობდა დისკო კლუბს და ჰკითხა, მისთვის რისი მიცემა შეეძლო და თავადვე დაუსახელა თანხა – 500 დოლარი, თუმცა თანხის სანაცვლოდ დ-ე არაფერს დაჰპირებია. არც პოლიციაში გადაყვანით დამუქრებია, არც სამსახურებრივ მფარველობასა თუ რაიმე სხვა სახის გარანტიების მიცემაზე ყოფილა საუბარი მისი მხრიდან, ასევე არ დამუქრებია სიცოცხლის მოსპობით ან ქონების განადგურებით. შ-ი დაჰპირდა, რომ თანხას, რომელიც იმ მომენტში ხელთ არ ჰქონდა, იშოვიდა და მისცემდა. დ-ემ გამოართვა მობილური ტელეფონის ნომერი და თანმხლებ პირთან ერთად დატოვა შ-ის ავტომანქანა. აღნიშნულ პირებთან შეხვედრის შემდეგ დაზარალებულმა, რომელიც შეშინდა იმის გამო, რომ უცხო ქვეყანაში იმყოფებოდა და ვერ გაიგო, რატომ სთხოვდნენ ფულს, ამასთან, იმის გასარკვევად, მართლა პოლიციელებთან ჰქონდა თუ არა საქმე, გადამწყვიტა მიემართა სამართალდამცავი ორგანოებისათვის. ორი დღის შემდეგ პოლიციაში მოხდა მისი აღჭურვა აუდიო-ვიდეო აპარატურით. დ-ეს შეუთანხმდა მარკეტ „...-თან“ შეხვედრაზე, თუმცა იქ დ-ის მიერ გაგზავნილი სხვა პირი მივიდა, რომელსაც შ-მა დ-ისათვის მისაცემად გადასცა 500 აშშ დოლარი.

5. საქართველოს სსსკ-ის 297-ე მუხლის შესაბამისად, დაზარალებული შ. შ-ი ხელახლა დაიკითხა საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვისას, სადაც მან განმარტა, რომ დ. დ-მ მოსთხოვა მას 500 აშშ დოლარი იმის სანაცვლოდ, რომ თავისუფლად „ემოძრავა“ ბათუმის ქუჩებში, ასევე დაემუქრა მანქანის აფეთქებით.

6. იქიდან გამომდინარე, რომ შ. შ-ის მიერ მიცემული ჩვენებები დ-ის მიერ მისთვის ფულის მოთხოვნის მიზნის ნაწილში ურთიერთგამომრიცხავია, პალატა მას ვერ გაიზიარებს, ვინაიდან მიაჩნია, რომ იგი არადადამაჯერებელია, ხოლო სხვა რაიმე მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა დ-ის მიერ შ-ისათვის თანხის სამსახურებრივი მფარველობის სანაცვლოდ მოთხოვნის ფაქტი, ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია.

7. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა აღნიშნავს: იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდების მხარემ ვერ წარმოადგინა ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა იმის დასადასტურებლად, თუ რა პირობით მოსთხოვა დ-ემ შ-ს თანხა, დ. დ-ის ქმედების საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დაკვალიფიცირება მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს.

8. ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ დ. დ-ის ქმედებაში სახეზეა საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, კერძოდ:

9. ბრალდებულმა დ. დ-ემ განმარტა, რომ 2013 წლის 29 მარტს დაენერა კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტიდან შემოსული წერილი, რომ უნდა დაედგინა თურქეთის მოქალაქე შ. შ-ის ადგილსამყოფელი. 5-6 დღის შემდეგ მან დაადგინა შ-ის მფლობელობაში არსებული ავტომანქანა „ფოლცვაგენ ჯეტა“ სახელმწიფო ნომრით ...-. 2013 წლის 10 აპრილს გ. გ-ესთან ერთად ბათუმში, ჭავჭავაძისა და ლერმონტოვის ქუჩების გადაკვეთის ადგილიდან შენიშნა ზემოაღნიშნული ავტომანქანა. ისინი მიუახლოვდნენ შ-ს, წარუდგინეს თავი და ჩასხდნენ მის მანქანაში. მან გამოჰკითხა, თუ რას საქმიანობდა, სად ცხოვრობდა და ა.შ. შემდეგ, იქიდან გამომდინარე, რომ შ-მა თავად შესთავაზა რაიმეში ხომ არ სჭირდებოდა დახმარება, დ-ემ სთხოვა, ესესხებინა მისთვის 500 აშშ დოლარი. თანხის გამოსართმევად წასვლა სთხოვა მეგობარ ქ. დ-ას, ვინაიდან თვითონ არ ეცალა. 2013 წლის 12 აპრილს, სამსახურში მისვლისთანავე განუცხადა თავის უშუალო უფროსს, რომ დაადგინა შ. შ-ის ვინაობა, საცხოვრებელი ადგილი და მოპოვებული ინფორმაცია გადააგზავნა კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში. დ-ემ დაადასტურა ის ფაქტი, რომ შ-თან საუბარი ჰქონდა მის მიმართ თურქეთში არსებულ სასამართლო პროცესზე, ასევე -ბიზნესზე. აღნიშნა ისიც რომ მისი მხრიდან არაგონივრული საქციელი იყო ძებნილი პირისთვის თანხის სესხად გამორთმევა.

10. მონმე გ. გ-ის მიერ საქმის არსებითი განხილვისას მიცემული ჩვენებით დასტურდება, რომ არის ბათუმის საქალაქო

სამმართველოს უზნის ინსპექტორების განყოფილების უზნის ინსპექტორ-გამომძიებელი, დ. დ-ესთან ერთად ჩართული იყო ძებნის ჯგუფში და ევალეზობდა ძებნილი პირების დადგენა და მათ მიმართ შესაბამისი ღონისძიებების გატარება. 2013 წლის 10 აპრილს დ-ესთან ერთად ავტომანქანით გავიდნენ სამსახურიდან. მანქანას დ-ე მართავდა. წავიდნენ ჩვეული გზით, ბენზინგასამართი სადგურის მიმართულებით და იფიქრა კიდევ, რომ საწვავის ჩასასხმელად მიდიოდნენ. „ლუკოილის“ ბენზინგასამართ სადგურთან დაინახეს ვერცხლისფერი მანქანა. დ-მა უთხრა – მე მგონი, იმ პირის მანქანაა, ვისი დადგენის მასალებიც მანერიანო. გააჩერეს მანქანა, გადავიდნენ და მანქანასთან მდგარ შავგვრემან მამაკაცს გაესაუბრნენ, წარუდგინეს თავი, აჩვენეს სამსახურებრივი მოწმობები, მერე სამივენი ჩასხდნენ მის ავტომანქანაში. მძღოლის გვერდით თვითონ დაჯდა, დ-ე კი – უკანა სავარძელზე. საუბარი, რომელიც დაახლოებით 4–5 წუთს გაგრძელდა, მიმდინარეობდა დ-სა და თურქ მამაკაცს შორის თურქულ ენაზე, რომელსაც გ-ე ვერ ფლობს, ამიტომ მისთვის უცნობია საუბრის შინაარსი.

11. მოწმე ქ. დ-ას მიერ საქმის არსებითი განხილვისას მიცემული ჩვენებით დასტურდება, რომ 2013 წლის 11 აპრილს, დ-თან შეხვედრისას, ამ უკანასკნელს რამდენჯერმე დაურეკა თურქმა მამაკაცმა. დ-ემ დ-ას აუხსნა, რომ თურქისთვის სესხად უნდა გამოერთმია თანხა და სთხოვა მისულიყო მასთან ფულის წამოსაღებად. იმ დღეს შეხვედრა ვერ მოხდა, ხოლო მეორე დღეს, დ-ს თხოვნით, მარკეტ „...-თან“ შეხვდა შ-ს, ჩაუჯდა მანქანაში, უთხრა, რომ დ-ს მეგობარი იყო და მან გამოგზავნა ფულის გამოსართმევად. შ-ი დამტვრეული ქართულით ესაუბრებოდა, ქართულ ენაზე გადაუთვალა ფულის კუპიურები და სულ 500 აშშ დოლარი დ-ისათვის მისაცემად გადასცა, დამშვიდობებისას დ-ამ სესხის ერთ თვეში დაბრუნება აღუთქვა.

12. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად მიღებული ინფორმაციით, კერძოდ, ფარული აუდიო-ვიდეოჩანაწერით, რომელიც გამოკვლევულ იქნა საქმის არსებითი განხილვისას, დასტურდება, რომ შ. შ-მა 2013 წლის 12 აპრილს დ-ის მიერ გაგზავნილ პირს გადასცა 500 აშშ დოლარი, ხოლო ეს უკანასკნელი ფულის ერთ თვეში დაბრუნებას დაჰპირდა.

13. ბრალდებულის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმით დასტურდება, რომ 2013 წლის 12 აპრილს, შ. შ-ისთვის თანხის გამორთმევის შემდეგ დააკავეს ქ. დ-ა, რომლისგანაც პირადი ჩხრეკისას ამოიღეს დაზარალებულის მიერ მიცემული 500 აშშ დოლარი.

14. მოწმე მ. კ-ის მიერ გამოძიებისათვის მიცემული ჩვენებით, რომელიც გამოქვეყნდა საქმის არსებითი განხილვისას, ირკვევა, რომ არის ბათუმის საქალაქო სამმართველოს უბნის ინსპექტორების განყოფილების უფროსი. განყოფილებაში შექმნილია ე.წ. ძებნის ჯგუფი, რომელსაც ევალება ძებნილი პირების დადგენა-დაკავება. აღნიშნულ ჯგუფში სულ ოთხი თანამშრომელია, მათ შორის – დ. დ-ე და გ. გ-ე. 2013 წლის 29 მარტს ბათუმის საქალაქო სამმართველოში კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტიდან შევიდა წერილი, რომლის თანახმად: ინტერპოლიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე თურქეთის რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მიერ იძებნებოდა 1979 წლის 1 ოქტომბერს დაბადებული შ. შ-ი. მასალები შესასრულებლად დააწერა დ-ეს, რომელსაც პოლიციის აკადემია თურქეთში აქვს დამთავრებული და კარგად ფლობდა თურქულ ენას. 2013 წლის 12 აპრილს, 11.00 საათზე, დ-ემ აცნობა, რომ დაადგინა შ-ის ადგილსამყოფელი და გააგზავნა შესაბამისი წერილი ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში. ზოგადად, პირის ადგილსამყოფლის დადგენა გულისხმობს, ძირითადად, ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის, ასევე სამუშაო ადგილის დადგენას, მაგრამ ისე, რომ არ უნდა გამჟღავნდეს, რომ სამართალდამცავები დაინტერესებულები არიან კონკრეტული პირით. მ. კ-ემ დაადასტურა, რომ შ. შ-თან იმაზე საუბარი, რომ ჰქონდა პრობლემები სამართალდამცავებთან, ოპერატიული მუშაკის მხრიდან გაუმართლებელი და არასწორია, ვინაიდან შეიძლებოდა შ-ი მიმალულიყო.

15. ზემოაღნიშნული მტკიცებულებების შეფასების შედეგად პალატას დადგენილად მიაჩნია, რომ დ. დ-ემ ჩაიდინა მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, კერძოდ:

16. დ. დ-ე 2011 წლის 15 თებერვალს დაინიშნა უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობაზე და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე წარმოადგენდა საჯარო მოხელეს.

17. ბათუმის საქალაქო სამმართველოში 2013 წლის 29 მარტს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტიდან შესული წერილით და ამ წერილში ასახული დავალების შესრულების შესახებ 2013 წლის 12 აპრილის ბათუმის საქალაქო სამმართველოს უფროსის სახელით გაგზავნილი წერილით დასტურდება, რომ ბათუმის საქალაქო სამმართველოს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის 2013 წლის 29 მარტის მოთხოვნის საფუძველზე დაევალა

თურქეთის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ეროვნულ დონეზე ძებნილი, 1979 წლის 1 ოქტომბერს დაბადებული შ. შ-ის ადგილსამყოფლის დადგენა. აღნიშნული მოთხოვნის შესრულება დაევალა ე.წ. ძებნის ჯგუფის წევრს – დ. დ-ეს.

18. 2013 წლის 10 აპრილს, დაახლოებით 17 საათზე, დ. დ-ე უშუალოდ შეხვდა შ. შ-ს ლ-ის ქ. ...-ში მდებარე დისკო-კლუბის წინ. დ. დ-ემ, რომელსაც „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით და ასევე შიდა უწყებრივი ინსტრუქციებით ევალებოდა, კონსპირაციულობის ნესების დაცვით დაედგინა ძებნილი შ. შ-ის ადგილსამყოფელი და ჩაეყენებინა ხელმძღვანელობა საქმის კურსში, გადაამეტა თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას, დაამყარა ძებნილ პირთან პირადი კონტაქტი, გააგებინა მას, რომ ინფორმირებულნი იყვნენ მისი პრობლემების შესახებ და თანხაც მოსთხოვა. პალატას მიაჩნია, რომ მოხელისათვის შეუფერებელი აღნიშნული საქციელით დ. დ-ემ შელახა პოლიციის პრესტიჟი და ავტორიტეტი, რითიც არსებითად დააზიანა სახელმწიფოს კანონიერი ინტერესი.

19. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ დ. დ-ის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე.

20. რაც შეეხება სასჯელს, საკასაციო პალატამ, საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის შესაბამისად, მხედველობაში მიიღო დ. დ-ის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, კერძოდ: პალატამ გაითვალისწინა მისი წარსული ცხოვრება, პირადი მდგომარეობა – ჰყავს მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი და ისე განუსაზღვრა სამართლიანი სასჯელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ დ. დ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატების – ჯ. კ-ისა და ე. პ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 7 ივლისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. დ. დ-ის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 333-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რისთვისაც სასჯელის სახით განესაზღვროს 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მასვე 1 წლითა და 6 თვით ჩამოერთვას თანამდებობის დაკავების უფლება.

4. მსჯავრდებულ დ. დ-ეს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს 2014 წლის 7 ივლისიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალოს პატიმრობაში ყოფნის დრო – 2013 წლის 15 აპრილიდან 2014 წლის 8 იანვრამდე.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 7 ივლისის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

6. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყალბი ოფიციალური დოკუმენტის შენახვა გამოყენების მიზნით და გამოყენება

განაჩენი საქართველოს სახელით

№412აპ-14

16 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენით განიხილა მსჯავრდებულ ბ. ტ-ისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის – ფ. ა-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 12 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 10 ივლისის განაჩენით ბ. ტ-ე, ნასამართლევ, ცნობილ იქნა დამნა-

შავედ საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ყალბი ოფიციალური დოკუმენტის – მართვის მონუმობის დამზადება, შენახვა გამოყენების მიზნით და გამოყენება).

2. ბ. ტ-ისათვის ბრალად შერაცხული დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ბ. ტ-ემ გამოძიებით დაუდგენელ ვითარებაში შეიძინა სხვა პირზე გაცემული მძღოლის მონუმობა ამის შემდეგ მან გამოყენების მიზნით დაამზადა ყალბი დოკუმენტი და აღნიშნული მძღოლის მონუმობის წინა გვერდს სამრავლებელი ტექნიკის გამოყენებით შეუცვალა მონაცემები, კერძოდ: მიუთითა საკუთარი სახელი, გვარი, დაბადების დრო, მისამართი და ფოტოსურათი. ამ გზით დამზადებულ მძღოლის ყალბ მონუმობას იგი ინახავდა გამოყენების მიზნით.

2014 წლის 19 თებერვალს თერჯოლის რაიონის სოფელ ...-ის საავტომობილო გზაზე ბ. ტ-ე მართავდა „ფორდის“ მოდელის მიკროავტობუსს, სახელმწიფო ნომრით „...“. იგი შეაჩერეს თერჯოლის რაიონული სამმართველოს მუშაკებმა, რომელთაც ბ. ტ-ემ წარუდგინა მის მიერ გამოყენების მიზნით დამზადებული მძღოლის ყალბი მონუმობა ..., კატეგორია B. ვინაიდან მის მიერ წარდგენილი მძღოლის მონუმობის სიყალბის დადგენა სპეციალური საშუალებების გარეშე შეუძლებელი იყო, თერჯოლის შს რაიონული სამმართველოს მუშაკებს მის ნამდვილობაში ეჭვი არ შეუტანიათ და იგი ნამდვილ დოკუმენტად მიიჩნიეს.

ამასთანავე, საქართველოს შს სამინისტროს საინფორმაციო ბაზის მონაცემებით გაირკვა, რომ ბ. ტ-ე თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 30 ივნისის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა ბ. ტ-ის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 16 ივლისის განაჩენით დანიშნული და იმავე სასამართლოს 2013 წლის 2 მარტის განჩინებით „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის საფუძველზე შემცირებული პირობითი მსჯავრი – 3 წელი, 9 თვე. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით, ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს – 1 წელს ნაწილობრივ დაემატა წინა განაჩენით დანიშნული და განჩინებით შემცირებული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან – 3 წელი და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ბ. ტ-ეს სასჯელად განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლაც დაენყო განაჩენის მიღების დღიდან – 2014 წლის 30 ივნისიდან.

მასვე 3 წლით ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განსაზღვრული უფლებები (მათ შორის – სატრანსპორტო საშუალების მართვის).

3. აღნიშნული ქმედებისათვის:

ბ. ტ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

ბ. ტ-ეს სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო 2014 წლის 10 ივლისიდან.

გაუქმდა ბ. ტ-ის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო.

ნივთმტკიცება – ყალბი მართვის მოწმობა, რომელიც ერთვის სისხლის სამართლის საქმეს, შენახულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით.

4. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 10 ივლისის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ბ. ტ-ემ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ფ. ა-მა, რომლებიც სააპელაციო საჩივრით ითხოვდნენ ბ. ტ-ის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას, რასაც ასაბუთებდნენ იმ მოტივებით, რომ ბ. ტ-ემ წარდგენილ ბრალდებაში თავი არ ცნო დამნაშავედ; მან კურსების გავლის შემდეგ ქ. თბილისში, ისნის რაიონის საგზაო პოლიციაში ერთ-ერთ თანამშრომელს გადასცა „დოსაფის“ მიერ გაცემული დოკუმენტი, რის შემდეგაც ამ უკანასკნელისგან მიიღო მართვის მოწმობა; იგი წლების განმავლობაში იყენებდა აღიშნულ მართვის მოწმობას, რამდენჯერმე ადმინისტრაციული წესითაც იყო დაჯარიმებული და მართვის მოწმობაც ჰქონდა ჩამორთმეული, მაგრამ არასდროს ეჭვი არ შეჰპარვიათ მართვის მოწმობის ნამდვილობაში; საქმეში არ არსებობს არც ერთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებს ბ. ტ-ის მიერ მძღოლის ყალბი მოწმობის დამზადებას და რამდენადაც მისთვის ცნობილი იყო, რომ მის სახელზე გაცემული მართვის მოწმობა იყო ნამდვილი, ასევე არ დასტურდება მის მიერ ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გამოყენება.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის განაჩენით ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 10 ივლისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

6. საკასაციო საჩივრის არსი:

სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ბ. ტ-ემ და მისმა ინტერესე-

ბის დამცველმა, ადვოკატმა ფ. ა-მა საკასაციო საჩივრით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას და ითხოვეს ბ. ტ-ის მიმართ გამოტანილი უკანონო და დაუსაბუთებელი გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და გამართლება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. გასაჩივრებული განაჩენის შეცვლის დასაბუთება:

საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მისი მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. სასამართლო ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის პოზიციას წარდგენილ ბრალდებებში ბ. ტ-ის უდანაშაულობისა და გამართლების თაობაზე, უსაფუძვლობის გამო.

3. მოწმის – ა. დ-ის, თერჯოლის შს სამინისტროს რაიონული სამმართველოს ინსპექტორ-გამომძიებლის ჩვენებით დასტურდება, რომ 2014 წლის 19 თებერვალს იმყოფებოდა ოპერატიულ ჯგუფში და ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას ამავე სამმართველოს გამომძიებელ ბ. ს-სთან ერთად. თერჯოლის რაიონის სოფელ ...-ის ტერიტორიაზე მათ შეაჩერეს „ფორდის“ მარკის ავტომანქანა, რომელსაც მართავდა მოქალაქე ბ. ტ-ე. პოლიციის თანამშრომლებმა მძღოლს მოსთხოვეს საბუთები. ბ. ტ-ემ მათ წარუდგინა მართვის მოწმობა და ტექნიკური აღრიცხვის პასპორტი, რაც გადაამოწმეს კომპიუტერულ ბაზაში და აღმოჩნდა, რომ ბ. ტ-ეს სასამართლოს გადანყვეტილებით აკრძალული ჰქონდა მართვის უფლება. შეადგინეს სამართალდარღვევის ოქმი და მართვის მოწმობასთან ერთად გადააგზავნეს საპატრულო პოლიციაში, სადაც შემდგომ გაირკვა, რომ ბ. ტ-ის სახელზე გაცემული მართვის მოწმობა იყო ყალბი, რის საფუძველზეც დაიწყო გამოძიება.

4. აღნიშნული გარემოებები დაადასტურა სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა თერჯოლის შს რაიონული სამმართველოს დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელმა ბ. ს-ემ.

5. მოწმის – დ. ტ-ის (ბ. ტ-ის ბიძაშვილის) ჩვენებით დასტურდება, რომ 2014 წლის 19 თებერვალს კუთვნილი, „ფორდის“ მარკის ავტომანქანით იმყოფებოდა ქუთაისში, საიდანაც ბრუნდებოდა ბ. ტ-სთან ერთად. მისივე თხოვნით, საჭესთან დაჯდა მარ-

თვის მონმობის მქონე ბ. ტ-ე. სოფელ ...-ში ისინი შეაჩერეს პოლიციის თანამშრომლებმა და ბ. ტ-ე გადაიყვანეს პოლიციაში, მოსთხოვეს საბუთები და როგორც შემდგომ პოლიციის თანამშრომლებისგან შეიტყო, ბ-ს პრობლემა ჰქონდა მართვის მონმობასთან დაკავშირებით.

6. საქმეში არსებული, საქართველოს შსს სამინისტროს თბილისის სამმართველოს საგამოცდო განყოფილების უფროსის – ნ. ქ-ის წერილით ირკვევა, რომ თბილისის სამმართველოს საგამოცდო განყოფილების მონაცემთა ელექტრონული ბაზის მიხედვით, ბ. ტ-ეზე მართვის მონმობა არ გაცემულა. მართვის მონმობა, სერიით ... კატეგორიით **B**, გაცემული იყო 1998 წლის 5 აგვისტოს ვ. გ-ის სახელზე, რომელმაც 2010 წლის 3 სექტემბერს შეცვალა აღნიშნული მართვის მონმობა და მასზე გაიცა ახალი მართვის მონმობა, სერია მათივე წერილით ირკვევა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს თბილისის სამმართველოში არსებული, 1999–2010 წლების მართვის მონმობების გაცემასთან დაკავშირებული მასალები, მათ შორის – ვ. გ-ზე მართვის მონმობის ... გაცემის მასალა განადგურებულია ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, დანვის გზით.

7. მონმე ვ. გ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ 1987 წელს სასწავლებლად იმყოფებოდა უკრაინაში, ქალაქ ხ-ში და იქ აიღო მართვის მონმობა. 1990 წელს იგი ჩამოვიდა საქართველოში, შესაბამის ორგანოში ჩააბარა ძველი საბუთები და თბილისში აიღო ახალი მართვის მონმობა, რომელსაც ფლობდა 2003 წლამდე. ბოლოს, როგორც ახსოვს, იგი გამოცვალა 2010 წელს, ჩააბარა ძველი მართვის მონმობა და აიღო ახალი, რაზეც შედგა სათანადო აქტი. ვ. გ-ი აღნიშნავს, რომ ბ. ტ-ეს არ იცნობს. მართვის მონმობა უცხო ადამიანისათვის არასოდეს მიუცია, მხოლოდ ერთხელ ჰქონდა ჩამორთმეული დარღვევისათვის და შეწყალების საფუძველზე დაუბრუნეს 3 თვეში.

8. სასამართლო განხილვისას ბრალდებულმა ბ. ტ-ემ თავი არ ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და განმარტა, რომ 1994-1995 წლებში დ-ის ქუჩაზე მდებარე ა/მოყვარულთა სკოლაში გაიარა შესაბამისი კურსი, რასთან დაკავშირებითაც მისცეს შესაბამისი ცნობა. მან ეს ცნობა 1996 წელს მიიტანა ისნის რაიონში, საგზაო პოლიციის თანამშრომელს გადაუხადა 100 დოლარი და აიღო მართვის მონმობა. აღნიშნული მონმობით სარგებლობდა წლების მანძილზე ისე, რომ მისი ნამდვილობა ეჭვქვეშ არავის დაუყენებია.

9. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი

სამსახურის მონაცემებით, ბ. ტ-ის სახელზე მართვის მონაწილეობა არ გაცემულა. თვით ბრალდებულის ჩვენებითაც დასტურდება, რომ მან მართვის მონაწილეობა მიიღო უკანონოდ, გამოცდის ჩაბარებისა და შესაბამისი პროცედურების გავლის გარეშე, 100 დოლარის გადახდის სანაცვლოდ. ექსპერტიზის დასკვნით დადასტურებულია ის ფაქტი, რომ ბ. ტ-ის სახელზე გაცემული მართვის მონაწილეობა ნამდვილი არ არის. მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითება, რომ 1996 წლიდან ამ დრომდე დოკუმენტის ნამდვილობა ეჭვქვეშ არავის დაუყენებია, ვერ გახდება ბრალდებულის უდანაშაულოდ ცნობის საფუძველი.

10. დოკუმენტის ტექნიკური ექსპერტიზის №... დასკვნით, ექსპერტიზაზე წარდგენილი, ბ. ტ-ის სახელზე შევსებული ... მძღოლის მონაწილეობის წინა გვერდი დამზადებულია სამრავლებელი ტექნიკის გამოყენებით და არ შეესაბამება ანალოგიური სახის ნამდვილ დოკუმენტს, ხოლო ექსპერტიზაზე წარდგენილი მძღოლის მონაწილეობის უკანა გვერდი დამზადებულია სტამბური წესით და შეესაბამება ანალოგიური სახის ნამდვილ დოკუმენტს. დოკუმენტის დასკვნის სისწორე დაადასტურა ექსპერტმა ქ. მ-მა პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმის სახით დაკითხვისას.

მიუხედავად ამისა, აღნიშნული არ წარმოადგენს იმის უტყუარ მტკიცებულებას, რომ დოკუმენტის გაყალბება ჩაიდინა ბ. ტ-ემ.

11. სასამართლომ შეისწავლა რა მონაწილეობა ჩვენებები, გამოიკვლია წერილობითი მტკიცებულებები და შეაფასა თითოეული მათგანი სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობის, უტყუარობის, ამასთან, ბ. ტ-ის დამნაშავედ ცნობისათვის საკმარისობის თვალსაზრისით, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობა უტყუარად არ ადასტურებს ბ. ტ-ის მიერ ყალბი ოფიციალური დოკუმენტის – მართვის მონაწილეობის დამზადების ფაქტს.

12. რაც შეეხება ბ. ტ-ის მიერ ყალბი ოფიციალური დოკუმენტის – მძღოლის მონაწილეობის შენახვას გამოყენების მიზნით და გამოყენებას, იგი საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით უტყუარად არის დადასტურებული. ამასთან, მის მიერ ჩადენილ დანაშაულს აქვს დენადი ხასიათი.

13. საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „...გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს

მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას“. ანალოგიური შინა-არსის შემცველია ამავე კოდექსის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმადაც, „გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა“. სსკ-ის 259-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „სასამართლოს განაჩენი კანონიერია, თუ იგი გამოტანილია საქართველოს კონსტიტუციის, ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა კანონების მოთხოვნათა დაცვით, რომელთა ნორმებიც გამოყენებული იყო სისხლის სამართლის პროცესში“. ამდენად, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ:

14. ბ. ტ-ის მიერ ყალბი ოფიციალური დოკუმენტის – მართვის მოწმობის დამზადება არ დასტურდება გონივრულ ეჭვს მიღმა არსებული, შეთანხმებული მტკიცებულებების ერთობლიობით. მხოლოდ ის ფაქტი, რომ იგი წლების განმავლობაში იყენებდა მართვის მოწმობას, არ ადასტურებს მის მიერ მართვის მოწმობის დამზადების ფაქტს.

ამდენად, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები არ არის საკმარისი ბ. ტ-ის მიერ ზემოაღნიშნული ყალბი მართვის მოწმობის დამზადების ფაქტის დასადგენად და, შესაბამისად, ამ ნაწილში მისი დამნაშავედ ცნობისათვის, რადგან არ აკმაყოფილებს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს.

15. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 12 სექტემბრის განაჩენი უნდა შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

ბ. ტ-ეს განაჩენიდან უნდა ამოერიცხოს მითითება ყალბი ოფიციალური დოკუმენტის – მართვის მოწმობის დამზადების ნაწილში.

ბ. ტ-ე ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ყალბი ოფიციალური დოკუმენტის – მართვის მოწმობის შენახვა გამოყენების მიზნით და გამოყენება), რისთვისაც სასჯელად უნდა განესაზღვროს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ბ. ტ-ეს სასჯელის ვადის ათვლა უნდა დაეწყოს 2014 წლის 10 ივლისიდან.

განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-

ის 301-ე, 303-ე მუხლებით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვე-
პუნქტით, იმავე მუხლის მე-2, მე-3 ნაწილებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. მსჯავრდებულ ბ. ტ-ისა და მისი ინტერესების დამცველი
ადვოკატის – ფ. ა-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნა-
წილობრივ.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატის 2014 წლის 12 სექტემბრის განაჩენი შეიცვა-
ლოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

ბ. ტ-ეს განაჩენიდან ამოერიცხოს მითითება ყალბი ოფიცია-
ლური დოკუმენტის – მართვის მონმობის დამზადების ნაწილ-
ში.

ბ. ტ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 362-
ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ყალბი ოფიციალური დოკუმენტის –
მართვის მონმობის შენახვა გამოყენების მიზნით და გამოყენე-
ბა), რისთვისაც სასჯელად განესაზღვროს 1 წლით თავისუფ-
ლების აღკვეთა.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატის 2014 წლის 12 სექტემბრის განაჩენი სხვა ნა-
წილში დარჩეს უცვლელად.

4. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**მომხმარებლის მიერ არსებითად ურთიერთსაინანაღმდებო
ჩვენების მიცემა**

**განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო**

№385აპ-14

24 თებერვალი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
პ. სილაგაძე,
გ. შავლიაშვილი**

განიხილა ზუგდიდის რაიონული პროკურატურის პროკურორ
ქ. ყ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს
სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 2 სექტემ-
ბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 8 ივლისის
განაჩენით:

დ. კ-ს საქართველოს სსკ-ის 371¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით
წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გა-
მართლდა.

დ. კ-ს მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – გირაო
გაუქმდა და გირაოს სახით გადახდილი ფულადი თანხა – 3000
ლარი სრულად უნდა დაუბრუნდეს მის შემტან ს. კ-ს (პ/წ) განა-
ჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

გამართლებულ დ. კ-ს განემარტა მიყენებული ზიანის ანაზ-
ღაურების უფლების შესახებ.

საქმის მასალების მიხედვით, დ. კ-ს ბრალი დაედო მარ-
თლმსაჯულებისათვის შეგნებულად ხელის შეშლის მიზნით მოწ-
მის მიერ არსებითად ურთიერთსაინანაღმდებო ჩვენების მიცე-
მაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

2014 წლის 20 მარტს ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში მ.
კ-ს ბრალდების საქმეზე დ. კ-მ, როგორც მოწმემ, მისცა გამო-
ძიებაში მოწმის სახით მიცემული ჩვენების არსებითად ურთი-
ერთსაინანაღმდებო ჩვენება.

აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს
სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 2 სექტემ-
ბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

ზუგდიდის რაიონული პროკურატურის პროკურორი ქ. ყ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 2 სექტემბრის განაჩენის გაუქმებასა და დ. კ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 371¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ მხარეთა მონაწილეობით განიხილა ზუგდიდის რაიონული პროკურატურის პროკურორი ქ. ყ-ს საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატას დადგენილად მიაჩნია დ. კ-ს ქმედებაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 371¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის არსებობა, კერძოდ:

დ. კ-ს მიერ 2013 წლის 29 ივლისს მიცემული ჩვენების თანახმად, „ავტოსაგზაო შემთხვევამდე ჩვენს სამოძრაო ზოლში გადმოსული მოპირდაპირედ მოძრავი სატრანსპორტო საშუალება იყო „მერსედესის“ მარკის, მუქი ლურჯი (მელნისფერი). ჩემთვის ცნობილია მძღოლის ვინაობაც, მე შევძელი დამეფიქსირებინა და კარგად მახსოვს, რომ ეს იყო ჩემს მეზობლად მცხოვრები მ. კ-ა, რომელიც ავტოსაგზაო შემთხვევის მერე (დროს) იქ არ მინახია“.

მ. კ-ს მიმართ საქმის სასამართლო განხილვისას სასამართლო სხდომის ოქმში დაფიქსირებული ჩვენებით მოწმე დ. კ-მ განმარტა, რომ მათ გზაზე მოძრაობდა „მერსედესის“ მარკის მანქანა. მათი მანქანა გადავიდა გზიდან და მერე აღარ ახსოვს. მანქანა იყო მელნისფერი მუქი, ვერ მოასწრებდა მისი სანომრე ნიშნის და საჭესთან მჯდომის დანახვას. მძღოლი არ შეუნიშნავს, ვერც შეამჩნევდა. გამოძიებაში ჩვენების მიცემისას იყო სტრესულ მდგომარეობაში.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სასამართლოს შეფასებას იმასთან დაკავშირებით, რომ დ. კ-ს მოწმის სახით დაკითხვის ოქმი, რომელიც შედგენილია 2013 წლის 29 ივლისს, შეიცავს ურთიერთგამომრიცხავი შინაარსის წინადადებებს; ასეთ ვითარებაში, ტექსტის ორაზროვანი აღქმის გამოსარიცხად, გამოძიებულს დამატებითი შეკითხვის დასმით არ აღმოუფხვრია არსებული წინააღმდეგობა, რაც არ იძლევა იმ დასკვნის გაკეთების საფუძველს, რომ დ. კ-მ სასამართლოს მისცა მოწმის სახით გა-

მოძიებაში მიცემული ჩვენების არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენება.

ის ფაქტი, რომ გამოძიების დროს დ. კ-ა მოწმის სახით დაიკითხა კანონის სრული დაცვით, დასტურდება მისივე დაკითხვის ოქმით, სადაც ხელმოწერით ადასტურებს მის მიერ მიცემული ჩვენების სისწორეს. ასევე მან სასამართლოში დაკითხვისას მიუთითა, რომ დაკითხვის დროს რაიმე სახის ზეწოლა ან მუქარა მასზე არ ყოფილა. აღნიშნული დაკითხვის ოქმი ასევე დასაშვებ მტკიცებულებად იქნა მიჩნეული მ. კ-ს ბრალდების საქმეზე წინა სასამართლო სხდომასა და საქმის არსებით განხილვაზე, სადაც მოწმე დ. კ-მ შეცვალა მის მიერ გამოძიებაში მიცემული ჩვენება და უარყო ბრალდებულ მ. კ-ს სასარგებლოდ მისი დანახვის ფაქტი. ის იყო საქმეში ერთ-ერთი პირდაპირი მოწმე, ვინც ამხელდა მ. კ-ს ავტოსაგზაო შემთხვევის ჩადენაში. დ. კ-ა შემთხვევიდან რამდენიმე დღეში მოწმის სახით დაიკითხა. მან აღწერა ავტოსაგზაო შემთხვევის ფაქტობრივი გარემოებები და მ. კ-ა დაასახელა იმ პირად, ვინც შეუქმნა საფრთხე მათ სამოძრაო ზოლში მიმავალ მანქანას, სადაც აშკარად შეამჩნია, რომ მძღოლი იყო მისი მეზობელი მ. კ-ა. ის გაეცნო მისი დაკითხვის ოქმს და რაიმე სახის შენიშვნა ან შესწორების შესახებ სურვილი არ გამოუთქვამს, მათ შორის ფრჩხილებში ჩასმულ სიტყვაზე – „დროს“ და შემდეგ ჩამატებულ სიტყვაზე „მერე“. საკაცაო პალატას მიაჩნია, რომ მითითებული ჩამატება არანაირად არ ცვლის მის მიერ მიცემული ზემოაღნიშნული ჩვენების შინაარსს. ის გარემოება, რომ გამოძიებელს ჩამატებულ სიტყვაზე არანაირი შენიშვნა ოქმის ბოლოს არ გაუკეთებია, მოცემულ შემთხვევაში უნდა ჩაითვლოს არაარსებითი ხასიათის დარღვევად, რაც ამ შემთხვევაში არ არის მის მიერ მოწმის სახით დაკითხვისას მიცემული ჩვენების მიუღებლობის საფუძველი. თავდაპირველად დ. კ-ა ცალსახად აჩვენებს, რომ ავტოსაგზაო შემთხვევამდე მათ სამოძრაო ზოლში გადმოსული, მოპირდაპირედ მოძრავი სატრანსპორტო საშუალება იყო „მერსედესის“ მარკის, მუქი ლურჯი (მელნისფერი) მანქანა. მისთვის ცნობილია მძღოლის ვინაობაც, შეძლო დაეფიქსირებინა და კარგად ახსოვს, რომ ეს იყო მის მეზობლად მცხოვრები მ. კ-ა, ხოლო შემდეგ წინადადებაში მითითებული სიტყვები „დროს“ და „მერე“ არ ცვლის ამ წინადადების შინაარსს, რადგან მას თუნდაც ავტოსაგზაო შემთხვევის დროს ან მერე რომ არ დაენახა მ. კ-ა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ არ დაუნახავს ავტოსაგზაო შემთხვევამდე. დ. კ-ს მიერ გამოძიებაში მიცემული ჩვენება და სასამართლოში მიცემული ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენება პირ-

დაპირ ხაზს უსვამს მოწმის მიერ იმის უარყოფას, თუ ვინ იყო მძღოლი. ის კატეგორიულად უარყოფს სასამართლოში მიცემულ ჩვენებაში მძღოლის შემჩნევის ფაქტს, რაც, თავისთავად, წარმოადგენს ფაქტების დამახინჯებას და მოწმის განზრახვას, ხელი შეუშალოს მართლმსაჯულებას, ხოლო მისი დაკითხვის ოქმში გამოძიებელი სიტყვა „მერეს“ დაწერდა თუ „დროს“, ამას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა მის განზრახვასთან. მთავარი აზრი მისი მოწმის სახით დაკითხვისა, იყო ის, რომ იგი, როგორც მოწმე, ასახელებდა მძღოლის ვინაობას, ხოლო იმას, შემთხვევის დროს თუ მერე არ უნახავს მძღოლი, არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა საქმის ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას დადგენილად მიაჩნია, რომ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეულ, უტყუარ, ურთიერთშეჯერებულ და საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება დ. კ-ს მიერ მართლმსაჯულებისათვის შეგნებულად ხელის შეშლის მიზნით არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემა, რაც გამოიხატა იმაში, რომ მან 2014 წლის 20 მარტს ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში მ. კ-ს ბრალდების საქმეზე, როგორც მოწმემ, მისცა მოწმის სახით გამოძიებაში მიცემული ჩვენების არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენება.

ამრიგად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ დ. კ-ს ქმედებაში სახეზეა საქართველოს სსკ-ის 371¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა, რაც საქართველოს სსსკ-ის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, არის გასაჩივრებული გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის სამართლებრივი საფუძველი.

რაც შეეხება სასჯელს, საკასაციო პალატა, საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის შესაბამისად, ითვალისწინებს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებს და მიაჩნია, რომ დ. კ-ს მიზანშეწონილია ისეთი სასჯელის დანიშვნა, რაც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 308-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

დაადგინა:

ზუგდიდის რაიონული პროკურატურის პროკურორ ქ. ყ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 2 სექტემბრის განაჩენი დ. კ-ს მიმართ.

დ. კ-ა ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 371¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელის სახით დაენიშნოს ჯარიმა – 1000 ლარის ოდენობით.

გაუქმდეს დ. კ-ს მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – გირაო და გირაოს სახით გადახდილი ფულადი თანხა – 3000 ლარი სრულად დაუბრუნდეს მის შემტან ს. კ-ს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

სისხლის სამართლის პროცენი

მონათა მიერ მიცემული ირიბი ჩვენებების,
როგორც მტკიცებულებების, საქმიდან ამორიცხვის
შედეგად პირის უდანაშაულოდ ცნობა

განაჩენი საქართველოს სასჯელით

№321აპ-14

11 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
პ. სილაგაძე,
გ. შავლიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ რ. მ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ჯ-ს, მსჯავრდებულ რ ტ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. მ-ა და მსჯავრდებულ ს. ს-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ვ. მ-ს საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 21 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 1 აპრილის განაჩენით:

რ. ტ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 9 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაენყო 2013 წლის 12 აგვისტოდან.

საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის თანახმად, რ. ტ-ს დამატებითი სასჯელის სახით სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ ჩამოერთვა განზრახი დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული ნივთი – „Yamasakai“-ის მოდელის მოტოციკლეტი, რომელიც გაჩერებულია მარნეულის რაიონული სამმართველოს ეზოში.

საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა გაუქმდეს 2013 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით რ. ტ-ს საკუთრებაში არსებულ მოძრავ ქონებაზე („BMW“-ს მარკის ავტომანქანა (...), გამოშვების წელი – ..., ფერი – შავი, სახ. №) და-

დებულები ყადალა.

ს. ს-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაენყო 2013 წლის 12 აგვისტოდან.

რ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

რ. მ-ი გამოჯანმრთელებამდე, სასჯელის მოხდისა და არანებაცყოფლობითი სტაციონარულ-ფსიქიატრიული დახმარების სათვის უნდა მოთავსდეს შპს „აკად. ბ.ნანიშვილის სახელობის ფსიქიატრიული ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში“ (ხონი – ქუტირი). გამოჯანმრთელების შემდეგ რ. მ-მ სასჯელის მოხდა უნდა გააგრძელოს საერთო წესით. რ. მ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაენყო 2013 წლის 12 აგვისტოდან. მასვე სასჯელის ვადაში უნდა ჩაეთვალოს ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩასატარებლად სტაციონარში ყოფნის პერიოდი.

საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა გაუქმდეს 2013 წლის 18 სექტემბრის განჩინებით რ. მ-ს საკუთრებაში არსებულ მოძრავ ქონებაზე („OPEL ASTRA“-ს მარკის ავტომანქანა (გამოშვების წელი –..., ფერი – ლურჯი 7/8, სახ. №) დადებული ყადალა.

თ. ა-ს სახლიდან ამოღებული ფულადი თანხა, კერძოდ: 54 978 ლარი და 59 თეთრი, 5 005 ევრო, 75 699 აშშ დოლარი და 1 620 რუსული რუბლი, რომელიც ინახება ეროვნულ ბანკში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს სს „PrivatBank“-ს.

რომპეტროლიდან, საქართველოს ბანკიდან, პრივატბანკიდან, სლოტ-კლუბ „777“-დან და კონსტანტა ბანკიდან ამოღებული ვიდეორჩანაწერები, მოთავსებული კომპაქტ დისკებზე, რომლებიც ერთვის სისხლის სამართლის საქმეს, შენახულ უნდა იქნეს საქმის შენახვის ვადით.

მობილური კომპანიებიდან ამოღებული დეტალური ინფორმაციები, მოთავსებული კომპაქტ დისკებზე, რომელიც ერთვის სისხლის სამართლის საქმეს, შენახულ უნდა იქნეს საქმის შენახვის ვადით.

ინფორმაცია ა. ჯ-ს ტაბელირების შესახებ, მოთავსებული კომპაქტ დისკებზე, რომელიც ერთვის სისხლის სამართლის საქმეს, შენახულ უნდა იქნეს საქმის შენახვის ვადით.

ფინანსთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაცია, მოთავსებული კომპაქტ დისკებზე, რომელიც ერთვის სისხლის სამარ-

თლის საქმეს, შენახულ უნდა იქნეს საქმის შენახვის ვადით.

საცხოვრებელი სახლიდან ამოღებული ვიდეოჩანაწერები, მოთავსებული კომპაქტ დისკზე, რომელიც ერთვის სისხლის სამართლის საქმეს, შენახულ უნდა იქნეს საქმის შენახვის ვადით.

სიგარეტის კოლოფი, ჩაფხუტის ნაწილები და ჟაკეტი, რომელიც ინახება მარნეულის შს რაიონულ სამმართველოში, საქმეზე საბოლოო გადანყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს.

მსჯავრდებულების – რ. ტ-ს, ს. ს-ა და რ. მ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

ქ. მ-ი მცხოვრები რ. ტ-ი, ს. ს-ი და რ. მ-ი წინასწარ შეთანხმდნენ დანაშაულის ერთობლივ ჩადენაზე და გადანყვიტეს, ყაჩაღურად თავს დასხმოდნენ ქ. მ-ი, რ-ს ქუჩის №-ში მდებარე სს „პრივატბანკის“ მარნეულის სერვისცენტრს, დიდი ოდენობით ფულადი თანხის გატაცებისა და დაუფლების მიზნით. აღნიშნულის შემდეგ მათ გაინაწილეს როლები, კერძოდ: 2013 წლის 8 აგვისტოს, დილის საათებში, ზუსტი დრო უცნობია, რ. მ-ი გაჩერდა მითითებული ბანკის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქუჩაში არსებული მდგომარეობის გაკონტროლებისა და რ. ტ-ს მიერ წინასწარ, სპეციალურად ამ საქმისათვის შექმნილი მობილური ტელეფონის მეშვეობით რ. ტ-ა და ს. ს-ს ყაჩაღობის დროს ინფორმაციის მუდმივად მიწოდების მიზნით, ხოლო ამ უკანასკნელებმა დაახლოებით 08:00 საათზე უკანონოდ შეაღწიეს ზემოაღნიშნული ბანკის შენობაში, სადაც რ. ტ-ა ამავე ბანკის სალაროს უფროსის – ა. ჯ-ს მიმართ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით განახორციელა სიცოცხლისათვის სახიფათო ძალადობის მუქარა და მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა სს „პრივატბანკის“ კუთვნილ დიდი ოდენობით თანხას, კერძოდ, 107 793 ლარს და 65 თეთრს, 5005 ევროს, 1620 რუსულ რუბლს და 87 839 აშშ დოლარს.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 21 ივლისის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ რ. მ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი ი. ჯ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 21 ივლისის გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და რ. მ-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას. კასატორის მოსაზრებით, განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი; სისხლის სამართლის საქმეში არის მთელი რიგი გადაცდომები; გამამტყუნებელი განაჩენი ემყარება მხოლოდ და მხოლოდ პო-

ლიციის თანამშრომლების მიერ მიცემულ ჩვენებას და საქმეში არ არსებობს სხვა არანაირი მტკიცებულება – არც პირდაპირი და არც ირიბი, რომელიც დაადასტურებდა რ. მ-ს დანაშაულებრივ ქმედებას.

მსჯავრდებულ რ. ტ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი გ. მ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 21 ივლისის გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და რ. ტ-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას. კასატორის მოსაზრებით, განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი; სისხლის სამართლის საქმეში არის მთელი რიგი გადაცდომები; გამამტყუნებელი განაჩენი ემყარება მხოლოდ და მხოლოდ პოლიციის თანამშრომლების მიერ მიცემულ ჩვენებას.

მსჯავრდებულ ს. ს-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი ვ. მ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 21 ივლისის გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და ს. ს-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას. კასატორის მოსაზრებით, განაჩენის არის უკანონო და დაუსაბუთებელი; ფაქტობრივი და ფორმალური გარემოებებით არ დადგინდა ს. ს-ს ბრალეული ქმედება ინკრიმინირებულ დანაშაულში; განაჩენი გამოტანილია ვარაუდებზე დაყრდნობით; გამამტყუნებელი განაჩენი ემყარება მხოლოდ და მხოლოდ პოლიციის თანამშრომლების მიერ მიცემულ ჩვენებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა არ იზიარებს მსჯავრდებულების – რ. ტ-ა და ს. ს-ს ინტერესების დამცველთა საკასაციო საჩივრების მოტივებს იმასთან დაკავშირებით, რომ საქმეში არ არსებობს მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება მსჯავრდებულების – რ. ტ-ა და ს. ს-ს მიერ მათთვის ბრალად შერაცხული დანაშაულების ჩადენა.

მსჯავრდებულების – რ. ტ-ა და ს. ს-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა დასტურდება საქმეში არსებული, ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობით,

კერძოდ:

დაზარალებულ ა. ჯ-ს ჩვენებით, იგი მუშაობდა სს „პრივატ-ბანკის“ მარნეულის სერვისცენტრში, სალაროს უფროს ოპერატორ-მოლარის თანამდებობაზე. 2013 წლის 8 აგვისტოს, ჩვეულებისამებრ დილის 08:00 საათისთვის მივიდა სამსახურში, აიღო ნებართვა უსაფრთხოების სამსახურისგან და გააღო ბანკი. კარის მიხურვისას ბანკის მიმდებარე ტერიტორიაზე არავინ დაუნახავს. დერეფნის გავლით შევიდა საოპერატორო დარბაზში, მივიდა კარის ხელმარცხნივ მდგარ „პრივატბანკის“ ბანკომატთან, რომელშიც მოათავსა პლასტიკური ბარათი და გაიარა რეგისტრაცია, რათა დაედასტურებინა ბანკში გამოცხადება. ბანკომატთან ყოფნისას უკანა მხრიდან, ახლოს შენიშნა შავჩაფხუტიანი პიროვნება, რომელსაც სახე არ უჩანდა. აღნიშნულმა პიროვნებამ ხელი მოკიდა მარჯვენა მკლავზე, რა დროსაც გვერდში იგრძნო რაღაც ნივთის მიბჯენა, რომელიც აღიქვა ცეცხლსასროლ იარაღად. მან რუსულად დაბალ ხმაზე უთხრა, რომ არაფერი არ ეთქვა, არსად არ გაეხედა, სალაროსთან მისულისყენენ და ფული გადაეცა. აღნიშნულ პიროვნებასთან ერთად გაიარა საოპერატორო დარბაზი, მივიდა სალაროს რკინის კარამდე, გააღო გასაღებით, შევიდნენ სალაროს ოთახში, თავდამსხმელმა აანთო შუქი და მივიდნენ სეიფთან. გასაღებით გააღო სეიფის კარი, სადაც მოთავსებული იყო ფულადი თანხა და „პრივატბანკის“ სალაროს შემოსავალ-გასავლის ყურნალი. თავდამსხმელს თან ჰქონდა შავი ნაჭრის ხელჩანთა, რომელშიც მოათავსა აღნიშნული ყურნალი, ასევე თავდამსხმელთან ერთად სეიფიდან გამოიღო ფულადი თანხა და ხელჩანთაში მოათავსა. თანხის აღების შემდეგ გავიდნენ სალაროს ოთახში, სადაც თავდამსხმელის მითითებით პირდაღმა დანვა. თავდამსხმელმა ე.წ „მაუსის“ სადენით ზურგს უკან ხელები შეუკრა და წავიდა. ხელების შეკვრისას დაინახა, რომ თავდამსხმელმა იატაკზე დადო პატარა ზომის, შავი ფერის იარაღი, რომელიც გასვლისას აიღო. ამასთან, თავდამსხმელს ჩანთიდან გადმოუვარდა ფული. მისი წასვლის შემდეგ, შეკოჭილი ხელებით მოახერხა განგაშის ღილაკზე თითის დაჭერა, რომელიც დამონტაჟებულია სამუშაო მაგიდების ქვემოთ. ასევე, გაკოჭილ მდგომარეობაში მყოფმა, ჩანთიდან ამოიღო ტელეფონი, დადო მაგიდაზე და ხელეგაკოჭილმა დაურეკა ბანკის მმართველს – ი. მ-ს, რომელთანაც ვერ მოახერხა დაკავშირება. აღნიშნულის შემდეგ დარეკა თ-ი და შეატყობინა, რომ ბანკში მოხდა ყაჩაღობა და გაიტაცეს ფულადი თანხა. შემდეგ კვლავ დაუკავშირდა ბანკის მმართველს, რომელსაც აცნობა მომხდარის შესახებ. დაყაჩაღები-

დან დაახლოებით 5 წუთში ბანკში შევიდა დამლაგებელი მ. ა-ი, რომელმაც დანის გამოყენებით გადაჭრა „მაუსის“ სადენი და ხელები გაუთავისუფლა, რის შემდეგაც ბანკში მივიდნენ ბანკის მმართველი და პოლიციის თანამშრომლები. ბრალდებული რ. ტ-ი იყო მისი დანიშნული და დაყაჩაღების შემდეგ დაშორდნენ ერთმანეთს. ყაჩაღობის დღეს, 2013 წლის 8 აგვისტოს, იყო წვიმიანი ამინდი, სახლიდან გამოსვლამდე დანიშნულ რ. ტ-ს დაურეკა, რომელმაც არ უპასუხა და ტაქსით წავიდა სამსახურში. დაყაჩაღებიდან დაახლოებით 30 წუთის შემდეგ დაურეკა რ. ტ-ს, რომელსაც მომხდარი ფაქტის შესახებ უამბო. აღნიშნული ჩვენება დადასტურებულია 2013 წლის 10 აგვისტოს DVD დისკის დათვალეერების ოქმით.

მონმე ი. მ-ს ჩვენებით, მუშაობს სს „პრივატბანკის“ მ-ს სერვისცენტრში მმართველის თანამდებობაზე. 2013 წლის 8 აგვისტოს, დილის საათებში, იმყოფებოდა სახლში, რა დროსაც მის ტელეფონზე შევიდა რამდენიმე ზარი, რომლებსაც ვერ უპასუხა, რადგან იმყოფებოდა აბაზანაში. ერთ-ერთი დარეკვისას ტელეფონზე დაენერა პულტი, რომელსაც სასწრაფოდ უპასუხა და უთხრეს, რომ ბანკი გაძარცვეს და სასწრაფოდ უნდა მისულიყო სამსახურში. ბანკში მისვლამდე დაურეკა სალაროს უფროსმა ა. ჯ-მ, რომელმაც ნამტირალევი ხმით შეატყობინა, რომ ბანკი გაძარცვეს. ბანკში მისვლისას საოპერატორო ოთახში დახვდნენ სალაროს უფროსი ა. ჯ-ა, რომელიც ტიროდა და კანკალებდა და დამლაგებელი მ. ა. ჯ-მ უთხრა, რომ ბანკში შესვლისას შეჰყვია ნიღბიანი პიროვნება, რომელმაც იარაღი დაადო, სალაროს კარი გააღებინა და ფული წაიღო. ი. მ-ს განმარტებით, ბანკში ინახებოდა დაახლოებით 100 000 ლარი, 89 000 – 90 000 აშშ დოლარი, 5000 ევრო და 1620 რუსული რუბლი.

მონმე გ. ჰ-ს ჩვენებით, შემთხვევის დროს მუშაობდა სს „პრივატბანკის“ მარნეულის სერვისცენტრში ოპერატორის თანამდებობაზე. 2013 წლის 8 აგვისტოს, დაახლოებით 09:00 საათზე, მივიდა სამსახურში, რომლის ეზოშიც დახვდნენ მოქალაქეები და პოლიციის თანამშრომლები. ამ უკანასკნელებს დაცული ჰქონდათ შემთხვევის ადგილი და სამსახურში შესვლა ვერ შეძლო. დამლაგებელ მ-ნ შეიტყო, რომ სამსახურში მისვლისას ა. ჯ-ა დახვდა ხელებ შეკრული და ბანკი იყო დაყაჩაღებული.

მონმე ი. ქ-ს ჩვენებით, მუშაობს მარნეულის რაიონულ სამმართველოში დეტექტივ-გამომძიებლის თანამდებობაზე. 2013 წლის 8 აგვისტოს მარნეულის რაიონულ სამმართველოში გამოძიება დაიწყო „პრივატბანკის“ დაყაჩაღების ფაქტზე. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, პროკურორის მითითებით, იმყოფე-

ბოდა საგამოძიებო ჯგუფში და მოცემულ საქმეზე ჩაატარა რიგი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, კერძოდ: დაათვალიერა შემთხვევის ადგილი. შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში მონაწილეობდნენ ექსპერტ კრიმინალისტთა ჯგუფი, კინოლოგების სამსახური, რომლებმაც სალაროდან, სამი ადგილიდან აიღეს სუნის ნიმუშები. სუნის საძებნელად გამოყენებულ იქნა ძაღლი, რომელიც ბანკის შენობიდან გავიდა და ძებნა შეწყვიტა. შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ სალაროს იატაკზე დაყრილი იყო ხუთლარიანის რამდენიმე კუპიურა, სეიფის კარი იყო ღია მდგომარეობაში და მასში მოთავსებული იყო ფულადი მონეტები, ამავე სალაროში დამონტაჟებულია კამერები და სიგნალიზაციის ლილაკი. სალაროსთან არსებულ საოპერატორო დარბაზში განთავსებულ ერთ-ერთ მაგიდაზე იდო ენ „მაუსის“ კაბელი, რომლითაც, როგორც შემდგომ გაირკვა, თავდამსხმელმა ა. ჯ-ს გაუკოჭა ხელები. ა. ჯ-ნ ერთად დაათვალიერა ბანკის ვიდეოჩანაწერები, რომლებიც ასახული იყო ყაჩაღობის ფაქტი, კერძოდ, მას შემდეგ, რაც ა. ჯ-ა შედის ბანკში, შემინული კარის მიღმა ჩანს, რომ ბანკთან გამავალ ცენტრალურ ქუჩას კვეთს ორი პირი მოტოციკლეტით. მოტოციკლეტს აჩერებენ ბანკის წინ, ხოლო თვითონ შედიან ბანკში. მათ აცვიათ მუქი ფერის ტანსაცმელი და ახურავთ ჩაფხუტები. ერთ-ერთი ჩერდება ბანკის საოპერაციო დარბაზთან, ხოლო მეორე უახლოვდება ა. ჯ-ს, რომელიც ბანკომატთან გადის რეგისტრაციას. იარაღის დემონსტრირებით მიჰყავს სალაროს ოთახში და უკან გამოდის შავი ზურგჩანთით. ა.ჯ-ს განმარტებით, თავდამსხმელმა სწორედ ამ ზურგჩანთაში ჩაალაგა ბანკის ფული. აღნიშნულის შემდეგ, თავდამსხმელმა მეორე პირს გადასცა ზურგჩანთა, გადაიან შენობიდან, სხდებიან მოტოციკლეტზე და მიემართებიან ბაზრის მიმართულებით. იმავე დღეს მარნეულის შს რაიონულ სამმართველოში მოწმის სახით დაკითხა დაზარალებული ა. ჯ-ა, რომელმაც აღნიშნა, რომ სალაროში ინახებოდა სხვადასხვა ვალუტა, სულ დაახლოებით 250000-ის ეკვივალენტური ლარი.

მოწმე ზ. ბ-ს ჩვენებით, შემთხვევის დროს მუშაობდა მარნეულის რაიონულ სამმართველოში უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობაზე. 2013 წლის 8 აგვისტოს მარნეულის რაიონულ სამმართველოში გამოძიება დაიწყო „პრივატბანკის“ დაყარალების ფაქტზე. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, იმყოფებოდა ოპერატიულ ჯგუფში, რა დროსაც მიიღო ინფორმაცია, რომ ყაჩაღობაში მონაწილე პირები დანაშაულის ჩადენის დროს გადაადგილდებოდნენ მოტოციკლეტით და ყაჩაღობის ჩა-

დენის შემდეგ გაემართნენ მარნეულის ცენტრისკენ. ინფორმაციის თანახმად, თავდამსხმელები შემოვლითი გზით მიემართებოდნენ მარნეულის საკოლმეურნეო ბაზრის მიმართულე-ბით, ვ-ა და დ. ა-ს ქუჩისკენ. ბენზინგასამართ სადგურ „რომპეტროლიდან“ ამოღებული ვიდეოფირებით დადგინდა, რომ შემთხვევის ადგილზე მოტოციკლეტით გაიარა ორმა პიროვნე-ბამ. ბაზრის უკანა მხარეს არის შემოვლითი გზა და მდინარე ა-ს გავლით შესაძლებელია ვ-ს ქუჩაზე გადასვლა. ნანახი იქნა მოტოციკლეტის კვალი, რომელიც წყალზე გადადიოდა და ამოდი-ოდა ვ-ს ქუჩაზე. აღნიშნული კვალი მიდიოდა დ.ა-ს ქუჩაზე არსებულ „გარაჟების“ ტერიტორიაზე. ინფორმაციის თანახმად, დ. ა-ს ქუჩაზე მდებარე „გარაჟების“ ტერიტორიიდან ამოღებულ იქნა ჩაფხუტის ფრაგმენტი, ასევე, საგამოძიებო ექსპერიმენ-ტის დროს, რ. ტ-ს ჩვენების საფუძველზე, დაახლოებით 50-60 მეტრში ა-ი აუზიდან ამოღებულ იქნა მოტოციკლეტი. ბრალდე-ბულები – რ. ტ-ი და ს. ს-ი ცხოვრობენ ერთ უბანში, „გარაჟების“ ტერიტორიასთან ახლოს. ს. ს-ს ჩვენების საფუძველზე გამომ-ძიებელმა ჯ-ს ქუჩაზე მცხოვრები ერთ-ერთი მოქალაქის სახ-ლიდან ამოიღო დაყაჩაღებული თანხა.

მონმე თ. რ-ს ჩვენებით, მუშაობს მარნეულის რაიონულ სამ-მართველოში. 2013 წლის 8 აგვისტოს მარნეულის რაიონულ სამ-მართველოში გამოძიება დაიწყო სს „პრივატბანკის“ დაყაჩაღე-ბის ფაქტზე. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, იმყოფებო-და საგამოძიებო ჯგუფში, კერძოდ, 2013 წლის 12 აგვისტოს მონ-მის სახით დაკითხა და დააკავა ს. ს-ი. ასევე ს. ს-ს ჩვენებისა და ზ. ბ-ს ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე გაჩხრიკა თ. ა-ს საცხოვრებელი სახლი, რა დროსაც ეზოში არსებული საცავი-დან, ხის ყუთიდან ამოღებულ იქნა ჩანთა, რომელშიც მოთავ-სებული იყო ფულადი თანხა. ჩანთაში მოთავსებული თანხის ნა-წილს შემოხვეული ჰქონდა თეთრი ფერის სარტყელი, რომელ-ზეც ფიქსირდებოდა ხელმოწერა და სს „პრივატბანკის“ შტამ-პი, ნაწილი კი გაშლილ მდგომარეობაში იყო.

მონმე ი. ა-ს ჩვენებით, შემთხვევის დროს მუშაობდა მარნე-ულის რაიონულ სამმართველოში დეტექტივის თანაშემწე-გა-მომძიებლის თანამდებობაზე. 2013 წლის 8 აგვისტოს მარნეუ-ლის რაიონულ სამმართველოში გამოძიება დაიწყო „პრივატბა-ნის“ დაყაჩაღების ფაქტზე. 2013 წლის 8 აგვისტოს მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დანაშაული ჩადენი-ლი იყო მოტოციკლეტის გამოყენებით. ამასთან, მარნეულის სა-კოლმეურნეო ბაზრის უკანა მხარეს არსებული მდინარე ალგე-თის ორივე მხრიდან ექსპერტ-კრიმინალისტის მონაწილეობით

აღებულ იქნა მოტოციკლეტის კვალი. ვინაიდან შემთხვევის დღეს ნაწვიმარი იყო, კვალი ნათლად ჩანდა, რომელიც ბრალდებულების საცხოვრებელი სახლის მიმართულებით მიდიოდა. ასევე, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ექსპერტ-კრიმინალისტიკის მონაწილეობით მ-ი, დ. ა-ს ქუჩაზე არსებული ავტოფარეხის ტერიტორიიდან, ბრალდებულების უბნიდან, ამოღებული და დათვალიერებულ იქნა ჩაფხუტის ნაწილები. მოწმის სახით დაკითხა რ. ტ-ი, რომელმაც თავის ჩვენებაში აღიარა ჩადენილი დანაშაული და დაასახელა თანამონაწილეები. რ. ტ-ს ჩვენების საფუძველზე მისი და ექსპერტ-კრიმინალისტიკის მონაწილეობით ქ. მ-ი, დ. ა-ს ქუჩაზე არსებული ავტოფარეხის მიმდებარე ტერიტორიაზე, მოფარებულ ადგილზე მდებარე აუზიდან ამოღებულ იქნა შავი ფერის მოტოციკლეტი, რომელსაც გარეგანი დათვალიერებით ეტყობოდა, რომ იყო წითელი ფერის და შემდგომში მოხდა მისი შავად გადაღებვა. საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შედეგად დადგინდა და თავად რ. ტ-ც აღიარა, რომ აღნიშნული მოტოციკლეტი შეიძინა ქ. რ-ში.

მოწმე შ. ლ-ს ჩვენებით, მუშაობს სს „პრივატბანკში“ უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე. აღნიშნულ საქმეზე წარმოადგენს დაზარალებულის წარმომადგენლის ინტერესებს. სს „პრივატბანკს“ დაყაჩაღების შედეგად მიადგა დაახლოებით 107000 ლარის, 5000 ევროს, 87000 აშშ დოლარისა და 1600 რუსული რუბლის ზიანი. ყაჩაღობის წინა დღეს, საღამოს, დახურეს საღარო და გადათვალეს იქ არსებული თანხა, რის შემდეგაც დანაკლისი არ აღმოჩნდა და საღაროში არსებული თანხა ემთხვეოდა პროგრამულად მითითებულ თანხას. ამასთან, გამოძიებას წარუდგინა პროგრამაში არსებული თანხის ელექტრონული ვერსია ამობეჭდილი სახით. როგორც დაზარალებული ორგანიზაციის წარმომადგენელი, ითხოვს ზიანის ანაზღაურებას.

მოწმე ა. ჩ-ს ჩვენებით, მუშაობს „ალფა მოტორსის“ ფირმაში, მექანიკოსად და აწყობს გასაყიდ მოტოციკლეტებს. 2013 წლის 22 ივლისს მასთან მაღაზიაში მივიდა სამი პიროვნება, რომელთაგან ერთ-ერთმა უთხრა, რომ ქ. რ-ში მდებარე მაღაზიაში ნანახი ჰყავდა მოტოციკლეტი, რომლის შეძენაც სურდა და მათივე ავტომანქანით წაიყვანეს ქ. რ-ი, მოტოციკლეტების მაღაზიაში, სადაც ააწყო „კაიოკის“ მოდელის, ორსაჯდომიანი, წითელი ფერის მოტოციკლეტი.

მოწმე თ. ა-ს ჩვენებით, 2013 წლის 8 აგვისტოს, დილის 08³⁰-09⁰⁰ საათზე, მასთან სახლში მივიდა ს. ს-ი, რომელმაც შესანახად მიუტანა თეთრი ფერის ხელჩანთა, რაზედაც დათანხმდა

და შესთავაზა, რომ ჩანთა სახლში შეეტანა, სადაც შეინახავდა, თუმცა ს. ს-ა ჩანთის სახლში შენახვაზე უარი თქვა და თვითონ შესასვლელ კართან მდგარი ხის ყუთი ასწია, რომელშიც კორმა ინახებოდა და ხელჩანთა შიგ მოათავსა. აღნიშნულის შემდეგ, ს. ს-ა სთხოვა, რომ საკოლმეურნეო ბაზარში გაჰყოლოდა, რათა დ-ს რაიონში გასაგზავნად შეეძინა სხვადასხვა სახის პროდუქტი. 2013 წლის 12 აგვისტოს მასთან სახლში მივიდნენ პოლიციის თანამშრომლები და სთხოვეს ნებაყოფლობით წარედგინა ფულადი თანხა, რაზედაც უარი განაცხადა, ხოლო მას შემდეგ, რაც პოლიციის თანამშრომლებმა დაუსახელეს ს. ს-ი, ნებაყოფლობით წარადგინა ხელჩანთა, რომელიც ს. ს-ა დაუტოვა. ხელჩანთის გახსნისას დაინახა, რომ მასში მოთავსებული იყო დიდი რაოდენობის ფულადი თანხა, კერძოდ, ლარის, აშშ დოლარის, ევროს და რუსული რუბლის კუპიურები, რომელიც პოლიციელებმა დალუქეს და სამმართველოში წაიღეს.

მონმე ა. ი-ს ჩვენებით, მუშაობს მარნეულის დასუფთავების სამსახურში მეეზოვედ, კერძოდ, ასუფთავებს რ-ს ქუჩას, სადაც ასევე მდებარეობს „პრივატბანკი“. 2013 წლის 8 აგვისტოს, 07⁰⁰-08⁰⁰ საათებს შორის შუალედში, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, „პრივატბანკთან“ ახლოს შენიშნა გაჩერებული შავი ფერის მოტოციკლეტი, მოგვიანებით კი დაინახა, რომ „პრივატბანკიდან“ გამოვიდა ორი პიროვნება, რომლებსაც ეცვათ შავი ფერის ტანსაცმელი და სახე არ უჩანდათ, დასხდნენ მოტოციკლეტზე და წავიდნენ ბაზრის მიმართულებით.

მონმე რ. გ-ს ჩვენებით, რ. ტ-ი არის მისი მეზობელი. საკუთრებაში გააჩნია თეთრი ფერის „ოპელ ვექტრას“ მოდელის ავტომანქანა, რომლითაც ტაქსისტობს და ხშირად რ. ტ-ც ემსახურება. 2013 წლის ივლისის თვეში მას დაუკავშირდა რ. ტ-ი და სთხოვა მოტოციკლეტის შეძენის მიზნით წაეყვანა ქ. რ-ში, მოტოციკლეტების მაღაზიაში. იგი ქ. რ-ში გაემგზავრა რ. ტ-ნ და ვინმე შ-ნ ერთად, რომელსაც არ იცნობდა. რ. ტ-ი მიიყვანა მაღაზიაში, სადაც ეს უკანასკნელი ათვალეირებდა მოტოციკლეტებს. რამდენიმე წუთით თვითონაც იყო შესული, ხოლო შემდეგ რ-ა უთხრა, რომ შ-სთან ერთად დაბრუნებულიყო მ-ი, თავად კი მოგვიანებით დაბრუნდებოდა.

აღნიშნული დაადასტურა მონმე შ. მ-ა, რომლის განმარტებით, 2013 წლის ივლისის თვეში რ. ტ-ს გაჰყვა ქ. რ-ში, მოტოციკლეტის შეძენის მიზნით. რ. ტ-ა ქ. რ-ში შეიძინა წითელი ფერის, ორსაგარძლიანი მოტოციკლეტი, რის შემდეგაც რაისმა უთხრა, რომ ტაქსის მძღოლთან ერთად დაბრუნებულიყო მ-ი, ხოლო რ. ტ-ი სად წავიდა, მისთვის უცნობია.

მონმე ე. ჩ-ს ჩვენებით, „პრივატბანკის“ დაყარალებამდე და-ახლოებით 2 თვით ადრე მას დაუკავშირდა მეგობარი რ. ტ-ი, რომელმაც სთხოვა, მისთვის ნაცნობი გამყიდველისგან ნისიად შეეძინა ორი ცალი მობილური ტელეფონი და სიმბარათები. მობილური ტელეფონები ნისიად შეიძინა ნაცნობი პირისგან, სამირისგან, რომლის გვარიც არ იცის. აღნიშნული სიმბარათები ჩართული იყო „ლაი-ლაის“ ქსელში, რომლებიც რეგისტრირებული არ იყო და ტელეფონებთან ერთად გადასცა რ. ტ-ს.

მონმე ს. კ-ს ჩვენებით, ქ. მ-ში, ბაზრის ტერიტორიაზე, აქვს მობილური ტელეფონების გასაყიდი ჯიხური, სადაც თავადვე მუშაობს გამყიდველად. 2013 წლის ივნის-ივლისის თვეში, ზუსტად არ ახსოვს, მასთან მივიდა ე. ჩ-ი, რომელმაც მისგან ნისიად შეიძინა ორი ცალი, თითოეული – 55 ლარად ღირებული „ნოკია-ას“ ფირმის, ფანრიანი მობილური ტელეფონი.

მონმე ო. გ-ს ჩვენებით, ქ. მ-ში, ბაზრის ტერიტორიაზე, აქვს მობილური ტელეფონების გასაყიდი ჯიხური. 2013 წლის ივნის-ივლისის თვეში, ზუსტი თვე არ ახსოვს, მასთან მივიდა ე. ჩ-ი, რომელმაც მისგან შეიძინა ორი „ლაი-ლაის“ ქსელში ჩართული სიმბარათი, ღირებული – 5 ლარად.

მონმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა გ. ხ-ამ დაადასტურა მის მიერ გაცემული ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზის № დასკვნის სისწორე და განმარტა, რომ გამოკვლევაზე წარმოდგენილ DVD-R დისკზე არსებული ვიდეოგრამებიდან, სახელწოდებით „10/33/170/250_05_20130808073000_20130808083059 Time“.avi და „10.33.170.250_07_20130808073000_20130808083000 Time“.avi ამოღებულ ფოტოსურათებზე დაფიქსირებულ პიროვნებას ხელში უჭირავს იარაღის მსგავსი საგანი. ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილ DVD-R დისკზე არსებული ვიდეოგრამებიდან ამოღებული ფოტოსურათები დამუშავდა გრაფიკულ რედაქტორ Adobe Photoshop G55-ში, მათზე ასახული მოქმედებების, მათი თანმიმდევრობისა და შინაარსობრივი სახიათის სახეცვლილების გარეშე, ამოიბეჭდა ფერად პრინტერზე და წარმოდგენილია დანართის სახით.

მონმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა თ. გ-მ დაადასტურა მის მიერ გაცემული გენეტიკური ექსპერტიზის № დასკვნის სისწორე და განმარტა, რომ პაკეტი, წარწერით: „ჩაფხუტის ნაწილი შემთხვევის ადგილიდან ... სამკუთხედის ფორმის...“ მოთავსებულ შავი ფერის კუთხოვან საგანზე აღმოჩნდა ადამიანის ბიოლოგიური მასალა (ობ. №1 და ობ. №2) ობ. №1-ის გენეტიკური პროფილი შერეულია, ეკუთვნის სულ მცირე ორ პირს და განსხვავდება პაკეტი, წარწერით: „ს. ს-ს სისხლის ნიმუში...“ მო-

თავსებულის სისხლის (ობ. №6) და პაკეტში, წარწერით: „რ. ტ-ს სისხლის ნიმუში...“ მოთავსებული სისხლის (ობ. №7) გენეტიკური პროფილებისაგან. ობ. №2-ის გენეტიკური პროფილი შერეულია და ეკუთვნის სულ მცირე სამ პირს. გამოვლენილი საერთო ალელების მიხედვით, ობ. №2-ის პროფილში, ს. ს-ს (ობ. №6, პაკეტი, წარწერით: „ს. ს-ს სისხლის ნიმუში...“) და რ. ტ-ს (ობ. №7, პაკეტი, წარწერით: „რ. ტ-ს სისხლის ნიმუში...“) გენეტიკური თანამონაწილეობა გამორიცხული არაა; – პაკეტში, წარწერით: „...031080813001 ... მუქი ფერის რკალისებრი. ობიექტი ... მოთავსებულ შავი ფერის რკალისებრ საგანზე (ობ. №3, 4) და პაკეტში, წარწერით: „...სიგარეტის კოლოფი წარწერით „winston“, რომელშიც არის 14 ლერი წვრილი სიგარეტი...“ მოთავსებულ სიგარეტის კოლოფზე (ობ. №5), არ აღმოჩნდა ადამიანის ბირთვული დნმ-ის, გენოტიპირებისათვის საჭირო, მინიმალური კონცენტრაცია.

ანალოგიური ჩვენება მისცა სასამართლოს მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა ი. მ-მ და დაადასტურა მის მიერ გაცემული გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნის სისწორე.

მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა ე. კ-მ დაადასტურა მის მიერ გაცემული ფონოსკოპიური და ვიდეო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის სისწორე და განმარტა, რომ ექსპერტიზაზე წარდგენილ DVD-R დისკზე არსებული ვიდეოგრამები ერთი მთლიანია; მათში არ დაფიქსირებულა ჩანაწერის მთლიანობის დარღვევის რაიმე ნიშანი: წყვეტა, შერჩევითი ჩანწერა, ხარვეზები, გამოსახულების შეყოვნებები, კადრის გაუმართლებელი ცვლილებები, კადრების გადაფარვა სხვა გამოსახულებებით და ასე შემდეგ.

მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა თ. კ-მ დაადასტურა მის მიერ გაცემული გრაფიკული ექსპერტიზის დასკვნის სისწორე და განმარტა, რომ თეთრი ფერის, სარტყლის ფორმის ქაღალდის ნაჭერზე არსებული ხელმოწერები (გარდა იმ ხელმოწერებისა, რომლებიც განთავსებულია ოთხკუთხაშტამპიან ქაღალდის სარტყელებზე) შესრულებულია ა. ჯ-ს მიერ. ხელმოწერები, განთავსებული ოთხკუთხაშტამპიანი ქაღალდის სარტყელებზე, შესრულებულია არა ა. ჯ-ს, არამედ სხვა პირის მიერ. ორ ცალ თეთრი ფერის ქაღალდის სარტყელზე, რომლებზეც განთავსებულია ოთხკუთხაშტამპის ანაბეჭდები, ხელმოწერები დაფიქსირებული არ არის. თეთრი ფერის, სარტყლის ფორმის ქაღალდის ნაჭრებზე არსებული ციფრობრივი ჩანაწერები (გარდა იმ ციფრობრივი ჩანაწერებისა, რომლებიც განთავსებულია ოთხკუთხაშტამპიანი ქაღალდის სარტყელებზე) შესრულებუ-

ლია ა. ჯ-ს მიერ. ციფრობრივი ჩანაწერები, განთავსებული ოთხკუთხაშტამპიანი ქალაქის სარტყლებზე, სავარაუდოდ, შესრულებულია ა. ჯ-ს მიერ. სამი ცალი თეთრი ფერის ქალაქის სარტყელზე, რომლებზეც განთავსებულია ოთხკუთხა შტამპის ანაბეჭდები, ციფრობრივი ჩანაწერები დაფიქსირებული არ არის (იხ. ფოტო №20-21). დადგენა საკითხისა: „შესრულებულია თუ არა ხელმოწერები და ციფრები ერთი და იმავე პირის მიერ“, შეუძლებელია, სხვადასხვა გრაფიკული გამოსახულების გამო.

მონმის სახით დაკითხული ექსპერტის – გ. ტ-ს ჩვენებით, რომელმაც დაადასტურა მის მიერ ჩატარებული ოდოროლოგიური ექსპერტიზის № დასკვნის სისწორე, დადგენილია, რომ 2013 წლის 8 აგვისტოს ქ. მ-ში, რ-ს ქუჩის №-ში მდებარე სს „პრივატბანკის“ სერვისცენტრზე განხორციელებული ყაჩაღური თავდასხმის ფაქტთან დაკავშირებით, შემთხვევის ადგილიდან ამოღებული 3 სუნის კვალის ნიმუში მოთავსდა ოდოროლოგიური ექსპერტიზის განყოფილების ლაბორატორიაში არსებულ კონტინერებში სხვადასხვა სუნის კვალის ნიმუშებთან ერთად და სამჯერ, სპეციალურად განვრთნილი სამსახურებრივი ძალების მეშვეობით მოხდა მათი შედარება მონმეებისაგან – ვ. ფ-ნ, რ. ტ-ნ, ს. ს-ა და გ. ე-ნ აღებული სუნის კვალის ნიმუშებთან. ოდოროლოგიური ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ, შემთხვევის ადგილიდან და პიროვნებებისაგან აღებული სუნის კვალის ნიმუშები – 7 ცალი 0.5 ლ. მინის ქილა დაილუქა საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს კინოლოგიის სამსახურის №... ლუქით და მოთავსდა 2 ცალ პაკეტში. (პაკეტი №1-SPD060824, პაკეტი №2-SPD060825). ჩატარებული ოდოროლოგიური ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ 2013 წლის 8 აგვისტოს ქ. მ-ში, რ-ს ქუჩის №-ში მდებარე სს „პრივატბანკის“ სერვისცენტრზე განხორციელებული ყაჩაღური თავდასხმის ფაქტთან დაკავშირებით, შემთხვევის ადგილიდან, კერძოდ, სერვისცენტრის სალაროს ოთახში უჯრებიანი ტუმბოს წინ, სეიფის წინა და ამავე ოთახში მდგარი კარადის წინ, ლამინატის იატაკის ზედაპირიდან ამოღებული 3 სუნის კვალის ნიმუში იდენტურია მონმეებისაგან: რ. ტ-ა და ს. ს-ნ აღებული სუნის კვალის ნიმუშებისა, ხოლო არაიდენტურია ვ. ფ-ა და გ. ე-ნ აღებული სუნის კვალის ნიმუშებისა.

2013 წლის 8 აგვისტოს მოტოციკლეტის საბურავის კვალის დათვალიერების ოქმით დადგენილია, რომ დათვალიერების ობიექტი მდებარეობს ქ. მ-ში, ბაზრის უკანა მხარეს მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ს-ს ქუჩაზე შემავალი გზის მარცხენა მხარეს არის ამაღლებული ადგილი, სადაც ემჩნევა მოტოციკ-

ლექტის საბურავის ერთი კვალი, რომელიც მიდის 40 მეტრის სიგრძეზე, შემდეგ გადადის წვრილბილიკიან მდინარე ა-ს ხიდზე, ბეტონის საფარიანი ხიდით. ხიდზე გადასვლის შემდგომ ავდივართ აღმართზე, რკინის წყლის მილებზე, საიდანაც კიდევ არის მოტოციკლექტის საბურავის ერთი კვალი, რომელიც მიდის ვ-ს ქუჩის შესასვლელამდე და მთავრდება ასფალტის საფარის დასაწყისთან. საბურავის კვალის სიგრძე არის 35 მეტრის, სიგანე – 6 სმ-ის, ხოლო სიმაღლე – 0,4 სმ-ის. საბურავის კვალზე აღნიშნება სხვადასხვა ფორმის ორნამენტები.

ნიმუშის აღების ოქმით დადგენილია, რომ 2013 წლის 9 აგვისტოს მარნეულის რაიონულ სამმართველოში ექთან ე. ს-ს მიერ რ. ტ-ნ მისი წერილობითი თანხმობით საინექციო შპრიცით აღებულ იქნა 5 მგ სისხლის ნიმუში, რომელიც მოთავსდა პოლიეთილენის პარკში და დაილუქა №30/11 ლუქით. ლუქზე შესრულებულია მონაწილეთა ხელმოწერები.

ნიმუშის აღების ოქმით დადგენილია, რომ 2013 წლის 9 აგვისტოს მარნეულის რაიონულ სამმართველოში კინოლოგ ნ. ბ-ს მიერ რ. ტ-ნ მისი წერილობითი თანხმობით აღებულ იქნა სუნის ნიმუში, ერთ ცალ მინის ქილაში, რომელიც დაილუქა შსს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს №30 ლუქით. ლუქზე შესრულებულია მონაწილეთა ხელმოწერები.

ნიმუშის აღების ოქმით დადგენილია, რომ 2013 წლის 9 აგვისტოს მარნეულის რაიონულ სამმართველოში ექსპერტ ზ. ბ-ს მიერ რ. ტ-ნ მისი წერილობითი თანხმობით აღებულ იქნა ხელის კვალის ნიმუშები, გადატანილი დაქტილობარათზე, რომელიც მოთავსდა ქალაქის პაკეტში და დაილუქა საექსპერტო კრიმინალისტიკური სამსახურის №46/30 ლუქით.

2013 წლის 9 აგვისტოს საბურავის კვალის დათვალიერების ოქმით დადგენილია, რომ დათვალიერება მიმდინარეობდა დღის ბუნებრივი განათების პირობებში, მზიან ამინდში. დათვალიერების ობიექტი მდებარეობს ქ. მ-ში, ა-ს ქუჩაზე მდებარე შპს ავტოსერვისის მარნეულის ფილიალის შენობის ეზოში და მისი მიმდებარე ტერიტორიაა. შენობის ეზოში შესასვლელია ორფრთიანი რკინის ჭიშკრით, რომელიც არის ღია მდგომარეობაში. ეზო არის მოასფალტებული, ეზოში შესასვლელი კარიდან მარცხნივ არის აშენებული საამქროები და საწყობები, რომლებიც არ ფუნქციონირებენ, ხოლო შესასვლელი კარიდან მარჯვნივ აშენებულია ავტომობილების შესასვლელები, ე.წ. „ბოქსები“. ეზოს უკან, ჭიშკრიდან 100 მეტრის მოშორებით, ავტომანქანის შესაკეთებელი ე.წ. „ბოქსების“ შენობიდან 5 მეტრში მიწაზე აღენიშნება საბურავის კვალი, რომელიც არის 3.20 მ.

სიგრძეზე, ხოლო 10.1 მ სიგანეზე. აღნიშნული საბურავის კვალზე თაბაშირით დამზადდა საბურავების პროტექტორების ანაბეჭდის კვალი. როდესაც თაბაშირის საბურავის კვალი გაშრა და გამყარდა, ამოღებულ იქნა ექსპერტის მიერ.

2013 წლის 12 აგვისტოს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის ოქმით დადგენილია, რომ ჩხრეკა ჩატარებულია ქ. მ-ში, ჯ-ს ქუჩა №-ში არსებულ თ. ა-ს საცხოვრებელ სახლში და დამხმარე ნაგებობებში. ჩხრეკა ჩატარდა თ. ა-ს თანდასწრებით და ჩხრეკის დროს თ. ა-ა დამხმარე შენობიდან წარმოადგინა თეთრი ფერის ნაჭრის ჩანთა, რომლის გახსნის შემდეგ მასში აღმოჩნდა რამდენიმე პარკი და ამ პარკებში მოთავსებული ფულადი თანხა. ვიზუალური დათვალიერებით, პარკში მოთავსებული იყო 100 აშშ დოლარიანი კუპიურებისა და ლარების შეკვრები. აღნიშნულის შემდეგ მითითებული პარკები, რომლებშიც მოთავსებული იყო ფულადი თანხა, მოთავსდა თ.ალიევის მიერ წარმოდგენილ თეთრი ფერის ნაჭრის ჩანთაში, რომელიც დაილუქა მარნეულის შს რაიონული სამმართველოს 30/11 ლუქით, მასზე გაკეთდა ხელმოწერები.

2013 წლის 12 აგვისტოს ნივთიერი მტკიცებულების გახსნისა და დათვალიერების ოქმით დადგენილია, რომ დათვალიერებულ იქნა თ. ა-ს სახლიდან ამოღებული და დალუქული თეთრი ფერის ხელჩანთა, რომელშიც მოთავსებული იყო ცელოფანის პარკები და ფულადი თანხა. მტკიცებულების გახსნამდე ლუქის მთლიანობა დარღვეული არ ყოფილა. ლუქი გაიხსნა მონაწილეთა თანდასწრებით. თეთრი ფერის ნაჭრის ჩანთაში აღმოჩნდა რამდენიმე ცელოფანი, რომლებშიც მოთავსებულია სხვადასხვა კუპიურები და სხვადასხვა ნომინალების ბანკნოტები, კერძოდ: 100-ლარიანი კუპიურა არის 267 ცალი, 26000 ლარის ოდენობით; ორმოცდაათლარიანი ორი ცალი შეკვრა, ბანკნოტებს შემოხვეული აქვს თეთრი ფერის ქალაქის სარტყელი, რომელზედაც არის მითითებული თანხა 5000 და ხელმოწერა. სულ 50 ლარიანი კუპიურა არის 278 ცალი, 13900 ლარის ოდენობით; ათლარიანი ერთი ცალი შეკვრა, ბანკნოტებს შემოხვეული აქვს თეთრი ფერის ქალაქის სარტყელი, რომელზედაც არის მითითებული თანხა 1000 და ხელმოწერა. 10 ლარიანი კუპიურა არის 390 ცალი, 3900 ლარის ოდენობით; 20 ლარიანი ერთი ცალი შეკვრა, ბანკნოტებს შემოხვეული აქვს თეთრი ფერის ქალაქის სარტყელი, რომელზედაც არის მითითებული თანხა 2000 და ხელმოწერა. 20 ლარიანი კუპიურა არის 368 ცალი, 7 360 ლარის ოდენობით; 5 ლარიანი 4 ცალი შეკვრა, ბანკნოტებს შემოხვეული აქვს თეთრი ფერის ქალაქის სარტყელი, რომელზე-

დაც არის მითითებული თანხა 500 და ხელმოწერა. 5 ლარიანი კუპიურა არის 620 ცალი, 3100 ლარის ოდენობით; 200 ლარიანი ბანკნოტები, 4 ცალი კუპიურა 800 ლარის ოდენობით; 100 ევროიანი კუპიურა არის 40 ცალი, 4000 ევროს ოდენობით; 50 ევროიანი კუპიურა არის 12 ცალი, 1100 ევროს ოდენობით; 20 ევროიანი კუპიურა არის 8 ცალი, 160 ევროს ოდენობით; 10 ევროიანი კუპიურა არის 19 ცალი, 190 ევროს ოდენობით; 5 ევროიანი კუპიურები არის 11 ცალი, 55 ევროს ოდენობით; 1000 რუსული რუბლის ბანკნოტი; მისი 100 რუბლიანი კუპიურები; 100 აშშ დოლარიანი კუპიურა; 1 დოლარიანი 14 ცალი შეკვრა, 5 შეკვრას შემოხვეული აქვს თეთრი ფერის ქალაქის სარტყელი, რომელზედაც არის შტამპი წარწერით სააქციო საზოგადოება პრივატბანკი, ხოლო დანარჩენი კუპიურები შეკრულია ყვითელი რეზინით. დარჩენილი კუპიურები ერთმანეთშია არეული, სულ დოლარიანი კუპიურა არის 1568 ცალი, 1568 დოლარის ოდენობით; 2 დოლარიანი კუპიურები არის 18 ცალი, 36 დოლარის ოდენობით; 5 დოლარიანი კუპიურები არის 19 ცალი, 95 დოლარის ოდენობით; 10 დოლარიანი კუპიურა არის 49 ცალი, 490 დოლარის ოდენობით; 20 დოლარიანი კუპიურა არის 23 ცალი, 460 დოლარის ოდენობით; 50 დოლარიანი კუპიურა არის 41 ცალი, 2050 დოლარის ოდენობით; 1 ცალი 1000 რუბლი; 4 ცალი 100 რუბლი; 4 ცალი 50 რუბლი; 2 ცალი 10 რუბლი; ერთ ცალ გამჭვირვალე პოლიეთილენის პარკში დალუქულია ერთდოლარიანები, რომელსაც აქვს „პრივატბანკის“ დამლა, კუპიურები დაყოფილია 10 ნაწილად, გამჭვირვალე ცელოფნიდან ჩანს შიგნით მოთავსებული თეთრი ქალაქი, სადაც ლურჯი კალმით აწერია აშშ დოლარი $1 \times 1000 = 1000$, ერთიათას აშშ დოლარი, აქვს თარიღი 13.06.13 ხელმოწერა და არტყია ბეჭდის ასლი, რომელზედაც იკითხება, სააქციო საზოგადოება „პრივატბანკი“ კოდი cavoge22 ნ.მ-ი. ხურდა ფული: 2ლარიანი 1 ცალი; 1 ლარიანი 11 ცალი; 50 თეთრიანი 3 ცალი; 20 თეთრი 1 ცალი; 10 თეთრი 14 ცალი; 5 თეთრი 44 ცალი; 1 თეთრი 9 ცალი; ჩანთში მოთავსებულმა ფულადმა თანხამ შეადგინა: 54 978 ლარი და 59 თეთრი, 5 005 ევრო, 75 699 აშშ დოლარი და 1 620 რუსული რუბლი. დათვალიერების შემდეგ ზემოაღნიშნული კუპიურები დაილუქა 1 ფუთად №30/11 ლუქით.

2013 წლის 13 აგვისტოს ამოცნობის ოქმით დადგენილია, რომ ამომცნობმა პირმა ა. ჩ-ა წარდგენილი სამი პიროვნებიდან ამოიცნო რიგით მესამე პიროვნება, რომელსაც 2013 წლის 22 ივლისს ქ.რ-ი მიჰყიდეს მოტოციკლეტი.

2013 წლის 13 აგვისტოს ამოცნობის ოქმით დადგენილია, რომ

ამომცნობმა პირმა – ბ. გ-ა მისთვის წარდგენილი სამი პიროვნე-ბიდან მან მიამსგავსა რიგით მე-2 და მე-3 პიროვნებები, რომელმაც მისგან 2013 წლის 22 ივლისს შეიძინა ქ.რ-ი მოტოციკ-ლეტი, თუმცა ზუსტად ვერ იხსენებს, მაგრამ ამსგავსებს.

2013 წლის 15 აგვისტოს საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქ-მით დადგენილია, რომ საგამოძიებო ექსპერიმენტი ჩატარდა ე. რ-ნ. საგამოძიებო ექსპერიმენტი დაიწყო მარნეულის რაიონუ-ლი სამმართველოს შენობიდან, ე-ს ქუჩიდან ბაზრის მიმართუ-ლებით. ე.ჩ-ს მითითებით მივიდნენ ბაზართან, ა-ს ქუჩაზე გა-ჩერდა ა/მანქანა ბაზრის წინა მხარეს და მონმე ე.ჩ-ს მითითე-ბით მივიდნენ ბაზრის წინ მდებარე სამირის მობილური ტელე-ფონების ჯიხურთან, სადაც ე.ჩ-ა მიუთითა ს. კ-ს მობილური ტე-ლეფონების ჯიხურზე, სადაც მან შეიძინა 2 ცალი „ნოკიას“ მო-დელის მობილური ტელეფონი. ასევე, ბაზრის მიმდებარე ტე-რიტორიაზე ე. რ-ს მითითებით მივიდნენ ა-ს ქუჩაზე და ფეხით გაემართნენ ბაზრის უკანა მხარეს. ე.ჩ-ს მითითებით მივიდნენ ბაზრის უკან განლაგებულ მწვანე ფერის მობილური ტელეფო-ნების გასაყიდ ჯიხურებთან, სადაც ე.ჩ-ა შეიძინა 2 ცალი „ლაი-ლაის“ ქსელში ჩართული სიმბარათები. ე.ჩ-ს მითითებით მივიდ-ნენ ბაზრის უკან განლაგებულ ბოლოდან მესამე ჯიხურში, მარ-ცხნიდან მარჯვნივ მდებარეზე და ე.ჩ-ა მიუთითა აღნიშნულ ჯიხურზე, სადაც შეიძინა ორი ცალი „ლაი-ლაის“ ქსელში ჩარ-თული სიმბარათები. ჯიხურში შესვლისას დახვდათ გამყიდვე-ლი ო. გ-ი, რომელზეც ე. ჩ-ზე მიუთითა, რომ მისგან შეიძინა 2 ცალი „ლაი-ლაის“ ქსელში ჩართული სიმბარათები.

2013 წლის 28 აგვისტოს დათვალიერების ოქმით დადგენი-ლია, რომ ქ. მ-ში, დ.ა-ს ქუჩაზე განლაგებული „რომპეტროლის“ ბენზინგასამართი სადგურიდან ამოღებული გარე პერიმეტრის სათვალთვალო №2-ე კამერის, 2013 წლის 8 აგვისტოს DVD დის-კზე გადატანილი ჩანაწერის დათვალიერება მიმდინარეობდა შს მარნეულის რაიონული სამმართველოს შენობაში, კომპიუტე-რის საშუალებით. ქ. მ-ში, დ.ა-ს ქუჩაზე, საკოლმეურნეო ბაზ-რის შესასვლელის მოპირდაპირედ, საავტომობილო გზის განა-პირა მხარეს განლაგებულ „რომპეტროლის“ ბენზინგასამართი სადგურიდან DVD დისკზე გადმონერული სადგურის გარე სათ-ვალთვალო №2-ე კამერის 2013 წლის 8 აგვისტოს ჩანაწერი იწ-ყება 06:00:45 საათზე. №2-ე კამერა მიმართულია ბაზრის წინ გამავალ საავტომობილო გზის მიმართულებით. კამერის ხედ-ვის სივრცეში მოცულია მარცხნიდან რ-ს ქუჩის ნაწილი, ქ.მ-ს №5-ე საჯარო სკოლის შენობის ნაწილი და დ.ა-ს საავტომობი-ლო გზის მონაკვეთი, რომელიც მოემართება რ-ს ქუჩიდან. კა-

მერის გამოსახულება ფერადია. ჩანანერში ასახულია ავტომანქანების და მოქალაქეების გადაადგილება. მოცემულ პერიოდში ამინდი წვიმიანია. 08:01:29 საათზე კამერის ხედვის სივრცეში მარცხენა მხრიდან საავტომობილო გზაზე ჩნდება ორსაბურავიანი მოტოციკლეტი, რომელზეც ზის შავი ფერის ტანსაცმლიანი, ჩაფხუტებიანი ორი პიროვნება, რომლებიც ავტომანქანების ნაკადში მოტოციკლეტით მიემართებიან დ. ა-ს ქუჩის გავლით, რ-ა და ა-ს ქუჩის გადაკვეთის მხრიდან, ბაზრის მიმართულებით. მოტოციკლეტის წინა მოყვითალო ფერის საგაბარითე სანათები ანთებულია. მოტოციკლეტი მოცემული მიმართულებით მოძრაობს კამერის ხედვის სივრციდან, მარჯვნივ სცდება 08:01:32 საათზე. კამერის ჩანანერი წყდება 08:59:49 საათზე. კამერის ხედვის სივრციდან მოტოციკლეტზე მჯდარი პირების გასვლის შემდეგ, კამერის ჩანანერის ბოლომდე მათი მოძრაობა არ ფიქსირდება.

2013 წლის 24 ოქტომბრის დათვალიერების ოქმით დადგენილია, რომ DVD დისკის დათვალიერება მიმდინარეობდა შს მარნეულის რაიონული სამმართველოს შენობაში, კომპიუტერის საშუალებით. მოცემულ ორ DVD დისკზე დაფიქსირებულია ქ.მ-ი, რ-ს ქუჩაზე მდებარე სლოტკლუბ „777“-ის წინა პერიმეტრის სათვალთვლო კამერის ჩანანერი. ტექნიკური მიზეზების გამო ჩანანერზე არ აისახება კალენდარული თარიღი და დროის მაჩვენებელი. დისკზე ცალ-ცალკე ჩანერილია მარცხენა და მარჯვენა მხარეს განლაგებული ტერიტორია. №1DVD დისკზე ჩანერილი ვიდეოგრამა mx 10-9-75-141-ის ჩანანერი ფიქსირდება სლოტკლუბის წინა მხარეს დამონტაჟებული კამერით. კამერა მიმართულია ამავე ქუჩაზე განლაგებული „პრევატბანკის“ მარნეულის სერვისცენტრის მიმართულებით. ჩანანერი იწყება 00:00 დროის მაჩვენებლით. კამერის ხედვის სივრცეში მოცემულია სლოტკლუბ „777“-ის წინ განლაგებული ტროტუარი, წინ გამავალი რ-ს ქუჩის საავტომობილო გზის ნაწილი, რ-ს ცენტრალური საავტომობილო გზა და გზის მეორე მხარეს განლაგებული ტერიტორიის ნაწილი, სადაც რ-ს ქუჩიდან მარჯვნივ შედის №1-ლი ჩიხის გზა. აღნიშნულ პერიოდში ამინდი არის წვიმიანი. საავტომობილო გზაზე ფიქსირდება ავტოსატრანსპორტო საშუალებების ორმხრივი მოძრაობა. ჩანანერის 01:00:12 დროს მაჩვენებლის მიხედვით კამერის ხედვის სივრცეში მოცულ, რ-ს ქუჩის №1 ჩიხის გამოსასვლელში ფიქსირდება ჩაფხუტიანი ორი პიროვნება (როგორც გამოძიებით დადგენილია, აღნიშნული პიროვნებები არიან რ. ტ-ი და ს. ს-ი), რომლებსაც ხელის მიწოლით რ-ს ცენტრალური გზის მიმართულებით გამოყავთ ორ-

თვალა მოტოციკლეტი, ჩიხიდან გამოსვლის შემდეგ მოტოციკლეტის ხელის მიწოლით კვეთავენ რ-ს ცენტრალურ საავტომობილო გზას, გზის მეორე მხარეს მოტოციკლეტი აჰყავთ „პრივატბანკის“ წინ არსებულ ტროტუარზე. ჩანანერის 01:00:35 დროს მაჩვენებლის მიხედვით გადიან კადრის ხედვიდან. ჩანანერის 01:04:14 დროს მაჩვენებლის მიხედვით იმ ადგილიდან, სადაც მოეფარა კამერის ხედვის სივრციდან ჩაფხუტ ჩამოცმული (რ. ტ-ი და ს. ს-ი) ხელით გადმოყვანილ მოტოციკლეტთან ერთად, ფიქსირდება მოტოციკლეტის მოძრაობა რომელზედაც (როგორც გამოძიებით დადგენილია სხედან რ. ტ-ი და ს. ს-ი) მოტოციკლეტი დაფიქსირებისთანავე მოძრაობს „პრივატბანკის“ წინ არსებულ ტროტუარზე. პრივატბანკის მარცხნივ შემავალი გზით გამოდის რ-ს ქუჩის საავტომობილო გზის სავალ ნაწილზე და მიემართება მარნეულის ბაზრის მიმართულებით, სლოტკლუბ „777“-ის წინ ჩავლით, კამერის კადრის მარჯვენა მხარეს და ჩანანერის 01:04:19 დროს მაჩვენებლის მიხედვით გადიან კამერის ხედვის სივრციდან. ჩანანერი სრულდება ჩანანერის 03:41:59 დროს მაჩვენებლის მიხედვით. №2 DVD დისკზე ჩანერილი ვიდეოგრამა mx 10-9-76-189-ის ჩანანერი ფიქსირდება სლოტკლუბის წინა მხარეს დამონტაჟებული კამერით. კამერა მიმართულია მარნეულის ბაზრის მიმართულებით. ჩანანერი იწყება 00:00 დროის მაჩვენებლის მიხედვით. კამერის ხედვის სივრცეში მოცემულია სლოტკლუბ „777“-ის წინ განლაგებული ტროტუარი, წინ განლაგებული რ-ს ქუჩის საავტომობილო გზის ნაწილი, რ-ს ცენტრალური საავტომობილო გზა და გზის მეორე მხარეს განლაგებული ტერიტორიის ნაწილი. ჩანანერის 01:04:16 დროს მაჩვენებლის მიხედვით კამერის ხედვის სივრცეში ფიქსირდება რ-ს ქუჩის ცენტრალურ საავტომობილო გზაზე მოძრავი შავი ფერის ორთავალა მოტოციკლეტი, რომელზეც ზის ჩაფხუტებიანი ორი პიროვნება. მოტოციკლეტი მოძრაობს მარნეულის ბაზრის მიმართულებით, კადრში მარცხნიდან მარჯვნივ. მოტოციკლეტზე უკან მჯდომ პიროვნებას ზურგზე ჩამოკიდებული აქვს მუქი ფერის ზურგჩანთა. ჩანანერის 01:04:24 დროს მაჩვენებლის მიხედვით, მოტოციკლეტი გადის კამერის ხედვის სივრციდან. ჩანანერი სრულდება ჩანანერის 03:41:59 დროს მაჩვენებლის მიხედვით. ამასთან, სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული იქნა DVD დისკები.

ოღოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად დადგენილია, რომ შემთხვევის ადგილიდან, კერძოდ, სერვისცენტრის სალაროს ოთახში უჯრებიანი ტუმბოს წინ, სეიფის წინა და ამავე ოთახში მდგარი კარადის წინ ლამინატის იატაკის ზე-

დაპირიდან ამოღებული 3 სუნის კვალის ნიმუში იდენტურია მონემებისაგან: რ. ტ-ა და ს. ს-ნ აღებული სუნის კვალის ნიმუშებისა.

მსჯავრდებულების – რ. ტ-ა და ს. ს-ს მიერ ზემოაღნიშნული დანაშაულის ჩადენა დადასტურებულია ასევე შემთხვევის ადგილის დათვალეირების ოქმებითა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების ერთობლიობით.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულების – რ. ტ-ა და ს. ს-ს მიმართ დანიშნული სასჯელები შეესაბამება მათ პიროვნებასა და ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.

ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ რ. მ-ი უნდა გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში შემდეგ გარემოებათა გამო:

ბოლნისის რაიონული და თბილისის სააპელაციო სასამართლოების მიერ რ. მ-ს მიმართ გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედო გამომძიებელთა განმარტებები ბრალდებულებისგან აღიარებითი ჩვენებების მიღების შესახებ, მათ შორის – გ. ქ-ს ჩვენება, საქართველოს ბანკის მარნეულის ფილიალის შენობისგარეთა ხედვის კამერებიდან ამოღებული ჩანაწერები, სადაც ჩანს ფეხით მოსიარულე მამაკაცი, მონმე რ. დ-ს ჩვენება, რომელიც ადასტურებს რ. მ-ს დანაშაულის ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე ყოფნის ფაქტს. საკასაციო პალატამ შეისწავლა ხსენებული მტკიცებულებები და მათი კავშირი ერთმანეთთან, ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილების საფუძველზე შეამონმა მონმეთა მიერ მიცემული ირიბი ჩვენებების მტკიცებულებად გამოყენებისა და მათი საქმიდან ამორიცხვის საკითხი და მივიდა შემდეგ დასკვნამდე:

მონმე გ. ქ-ს ჩვენება, რომელიც განმარტავს რ. მ-ს მიერ გამოძიებაში მიცემული აღიარებითი ჩვენების დეტალებს, წარმოადგენს ირობ ჩვენებას და იგი საქმიდან უნდა ამოირიცხოს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად; ანალოგიურად საქმიდან უნდა ამოირიცხოს გამომძიებელთა მიერ მიცემული ირიბი ჩვენებების ის ნაწილი, სადაც ისინი აღწერენ რ. ტ-ა და ს. ს-ნ მიღებული აღიარებითი ჩვენებების შინაარსს. რაც შეეხება საქართველოს ბანკის მარნეულის ფილიალის შენობისგარეთა ხედვის ჩა-

ნაწერებს, საკასაციო პალატის შეფასებით, აღნიშნული არ წარმოადგენს უტყუარ მტკიცებულებას რ. მ-ს წინააღმდეგ, კერძოდ, ხსენებულ ჩანაწერთა დათვალიერების ოქმებით დადგენილია, რომ 2013 წლის 8 აგვისტოს, დაახლოებით 07.34 საათზე, კამერის ჩანაწერებში ჩნდება მამაკაცი, რომელიც ფეხით მოძრაობს გ-ს ქუჩიდან რ-ს ქუჩის მიმართულებით, თუმცა ეს პირი არის თუ არა ნამდვილად რ. მ-ი, არ არის დადასტურებული ჰაბიდოსკოპიური ექსპერტიზით ან იმ მოწმის ჩვენებით, რომელიც ჩანაწერების დათვალიერების დროს უტყუარად დაადასტურებდა ამ ფაქტს. ერთადერთი მოწმე, რომელიც ადასტურებს რ. მ-ს ყოფნას დანაშაულის ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე, მაგრამ არა გ-ა და რ-ს ქუჩაზე, არამედ მ-ს ქუჩაზე, არის რ. დ-ი. იგი განმარტავს, რომ არის ტაქსის მძღოლი და მფლობელობაში ჰყავს „ოპელის“ მარკის ავტომანქანა (სახ. №). 2013 წლის 8 აგვისტოს, დაახლოებით 07 საათზე, მასთან მივიდა ნაცნობი – რ. მ-ი და სთხოვა ქ. მ-ში, პარკთან ახლოს მიყვანა, რაც შეასრულა კიდეც და მიიყვანა მ-ს ქუჩის ბოლოში. აღნიშნული ჩვენებით არ დასტურდება, რომ ტაქსიდან ჩამოსვლის შემდეგ რ. მ-ი გ-ს ქუჩის გავლით გადაადგილდა რ-ს ქუჩის მიმართულებით და საქართველოს ბანკის კამერებზე დაფიქსირებული მამაკაცი ნამდვილად რ. მ-ა. ასეც რომ იყოს, ეს გარემოება არ ადასტურებს მის ყაჩაღობაში თანამონაწილეობას, მით უმეტეს, როცა გამოძიებითა და სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებებით ვერ დადგინდა დანაშაულის ჩადენის დროს ამ უკანასკნელის სატელეფონო ან სხვა სახის კავშირები ს. ს-სა და რ. ტ-თან.

ამდენად, საქმეში არ არსებობს ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც დაამტკიცებდა რ. მ-ს ყაჩაღობაში თანამონაწილეობას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით, 308-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ რ. ტ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. მ-ა და მსჯავრდებულ ს. ს-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ვ. მ-ს საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

მსჯავრდებულ რ. მ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი.

ჯ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 21 ივლისის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

მსჯავრდებული რ. მ-ი გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვე-პუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში.

გამართლებულ რ. მ-ს განემარტოს, რომ უფლება აქვს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი წესით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

რ. მ-ი დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

გირაოს უზრუნველყოფის მიზნით ფულადი თანხის შემტანი პირისათვის თანხის უკან დაბრუნება

განჩინება საქართველოს სახელით

№ 149აპ-14

5 თებერვალი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

მ. ომხარელი (თავმჯდომარე),

პ. სილაგაძე,

გ. შავლიაშვილი

განიხილა გამართლებულ ბ. ი-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 3 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 26 ივლისის განაჩენით:

ბ. ი-ი გამართლდა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

ბ. ი-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო „ამნისტიის შესახებ“ საქართვე-

ლოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-8 მუხლის თანახმად, გათავისუფლდა სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

ბ. ი-ს მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმდა.

საქართველოს სსსკ-ის 168-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, გირაოს სახით გადახდილი თანხა უნდა გადაირიცხოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

განაჩენის მიხედვით, ბ. ი-ს მიერ ჩადენილი დანაშაული განაშაულებად შეამდეგა:

ბ. ი-ამ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 8,598 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰერონი“, რასაც ასევე უკანონოდ ინახავდა.

2006 წლის 27 ივლისს, 19.00 საათზე, შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა თ. ი., ა-ს ქ. №...-ის ეზოში დააკავეს ბ. ი-ი, რომელსაც ჩატარებული პირადი ჩხრეკის დროს პერანგის მარცხენა ჯიბიდან ამოუღეს უკანონოდ შეძენილი და შენახული, ერთ წონაკად დაფასოებული, პოლიეთილენის პარკში მოთავსებული 8,598 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰერონი“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 3 აპრილის განაჩენით გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 26 ივლისის გამამტყუნებელი განაჩენი ბ. ი-ს მიმართ. იგი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და გამართლდა.

საქართველოს სსსკ-ის 168-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, გირაოს სახით გადახდილი თანხა უნდა გადაირიცხოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

მასვე განემარტა, რომ უფლება აქვს, მოითხოვოს მიყენებული ქონებრივი და მორალური ზიანის ანაზღაურება საქართველოს სსსკ-ის 219ე–228-ე მუხლებით დადგენილი წესით.

გამართლებული ბ. ი-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს მის მიერ გირაოს სახით გადახდილი თანხის – 100000 ლარის დაბრუნებას. კასატორი აღნიშნავს, რომ მის მიმართ იმთავითვე უკანონოდ იქნა გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებები – პატიმრობა და გირაო – 100000 ლარის ოდენობით, მითუმეტეს, რომ გირაოს პირობები მას არ დაურღვევია: ქ. მ-ი ყოფნისას, 2007 წლის 10 იანვარს, შეიტანა გირაოს თანხის ნახევარი – 50000

ლარი. საქმეში არსებული მასალების შესაბამისად, სასამართლო პროცესი დანიშნული იყო 2007 წლის 15 იანვარს, რომელზეც იგი ვერ გამოცხადდა, ვინაიდან მკურნალობის კურსს გადიოდა მ-ს სამედიცინო კლინიკაში. შესაბამისი ცნობა გამოაგზავნა თ-ი, რომელიც ადვოკატმა წარადგინა სასამართლოში. პროკურორმა მოითხოვა ვადა ცნობაში მითითებული მონაცემების დასადასტურებლად, კერძოდ, ნამდვილად იმყოფებოდა თუ არა საქართველოდან გასული. სხდომა გადაიდო მეორე დღისათვის – 16 იანვრისათვის. აღნიშნულ სხდომაზე მის მიერ საქართველოს საზღვრების დატოვება და მკურნალობა მიჩნეულ იქნა გირაოს პირობების დარღვევად, რის გამოც აღკვეთის ღონისძიება – გირაო შეეცვალა პატიმრობით და გამოცხადდა მისი ძებნა. 2006 წლის 29 დეკემბერს, აღკვეთის ღონისძიების შეცვლის სასამართლო პროცესზე, მან განაცხადა, რომ საპატიმროდან გასვლისთანავე უნდა გამგზავრებულიყო მ-ი სამკურნალოდ, ვინაიდან არის რ-ს მოქალაქე და ცხოვრობს მ-ი. სასამართლოს მითითებული აქტით აშკარად დადასტურდა მის მიმართ არაობიექტური დამოკიდებულება: სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, ბრალდებულის ავადმყოფობა (სტაციონარული მკურნალობა) მიიჩნევა პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიო გარემოებად. მისი აზრით, სასამართლო სხდომა მეორე დღისათვის იმიტომ გადაიდო, რომ არ ჰქონდა შესაძლებლობა პროცესს დასწრებოდა და ამით მოესპო საშუალება პროკურატურისა და სასამართლოსთვის გამოეყენებინათ მის მიმართ პატიმრობა. აღნიშნულის შემდეგ მისი ბრალდების საქმეზე მხოლოდ 2013 წელს დაინიშნა სასამართლო პროცესები. 2007 წლის 15 იანვარს სასამართლოს რეალური ვადა რომ მიეცა მისთვის, რათა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისად, შეძლებოდა თ-ი ჩამოსვლა, იგი აუცილებლად დაესწრებოდა სასამართლო პროცესს. კასატორის განმარტებით, დაპატიმრების მომენტისათვის დაავადებული იყო შაქრიანი დიაბეტით, უკანონო დაკავებისას მიაყენეს ფიზიკური დაზიანება, ნარკოტიკული ნივთიერების ჩადებისას, ფიზიკური წინააღმდეგობის განევისას გაუწყდა მყესი, პატიმრობის შემდეგ გაუჟკეთდა ერთი თირკმლის ამპუტაცია, ჩაუდგეს გულის სტიმულატორი, დაავადებულია სარკომით. ამდენად, მ-ს კლინიკაში სასამართლოსათვის თავის არიდების სურვილის გამო არ იწვა.

საკასაციო პალატის სხდომაზე ბ. ი-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ი. ბ-მ ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები, მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლა მისი დაკმაყოფილება, რასაც დაეთანხმა ბ. ი-ი.

საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა დ. მ-ა იშუამდგომლა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 3 აპრილის განაჩენის უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეამონწა საქმის მასალები გამართლებულ ბ. ი-ს მიმართ, მოუსმინა მხარეებს და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა სამართლებრივად ვერ შეაფასებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 15 იანვრის დადგენილების კანონიერებას საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოებების საფუძველზე, ვინაიდან კასატორ ბ. ი-ს ეს დადგენილება არ გაუსაჩივრებია კანონით დადგენილ ვადაში.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 329-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის ამოქმედებამდე დაწყებულ სისხლისსამართლებრივი დევნის საქმეებზე სისხლის სამართლის პროცესი გრძელდება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. ბ. ი-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 2006 წლის 27 ივლისიდან – ახალი კოდექსის ამოქმედებამდე, შესაბამისად, მასზე ვრცელდება 2010 წლის 1 ოქტომბრამდე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დებულებები. სსკ-ის 523-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ შეიტანონ სააპელაციო საჩივარი პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში იმავე სასამართლოში; ხოლო ამავე კოდექსის 526-ე მუხლის მიხედვით, სააპელაციო გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილ ვადაში ძირითადი საჩივრის ხარვეზის შესავსებად შეიძლება დამატებითი სააპელაციო საჩივრის შეტანა 524-ე მუხლში აღნიშნული პირობების დაცვით; სსკ-ის 525-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განჩინება (დადგენილება), რომელიც გამოტანილია საქმის განხილვისას და არ არის შემაჯამებელი ხასიათისა, შეიძლება სააპელაციო წესით სასამართლოს განაჩენთან ერთად გასაჩივრდეს. ამდენად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 15 იანვრის დადგენილების გასაჩივრება შეიძლებოდა ამ საქმეზე გამოტანილ განაჩენთან ერთად კანონით დადგენილ 1-თვიან ვადაში განა-

ჩენის გამოცხადებიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ ბ. ი-ს მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა 2013 წლის 26 ივლისს. მსჯავრდებულმა ბ. ი-ა აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა 2013 წლის 22 აგვისტოს, კანონით დადგენილ ვადაში. იგი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა მის მიმართ გამოტანილი განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 15 იანვრის დადგენილებას არ ხდიდა სადავოდ. 2013 წლის 6 სექტემბერს ბ. ი-ა შეიტანა დამატებითი სააპელაციო საჩივარი, რომლითაც სადავოდ ხდიდა მის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების – გირაოს პატიმრობით შეცვლას და ითხოვდა აღნიშნული საკითხის შეფასებით მისთვის გირაოს სახით გადახდილი თანხის დაბრუნებას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ბ. ი-ა დამატებითი სააპელაციო საჩივარი შეიტანა 2013 წლის 6 სექტემბერს, რითაც დაარღვია სსსკ-ის 526-ე მუხლის მოთხოვნა. მას დამატებითი სააპელაციო საჩივარი უნდა შეეტანა განაჩენის გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში ანუ 2013 წლის 26 აგვისტომდე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ვერ იმსჯელებს და, შესაბამისად, სამართლებრივად ვერ შეაფასებს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 15 იანვრის დადგენილების კანონიერებას.

საქმის მასალების მიხედვით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 15 იანვრის დადგენილების სარეზოლუციო ნაწილში არ არის მითითება გირაოს სახით შეტანილი თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვის თაობაზე. პირველი ინსტანციის გამამტყუნებელი განაჩენით, საქართველოს სსსკ-ის 168-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა გადაირიცხა სახელმწიფო ბიუჯეტში, რაც უცვლელად დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ.

ამავე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო ინსტანციის სასამართლო არ იზღუდება საჩივარში ჩამოყალიბებული დასკვნებით და ვალდებულია, საქმე სრული მოცულობით შეამოწმოს, მათ შორის იმ მსჯავრდებულთა მიმართ, რომლებსაც საკასაციო საჩივარი არ შეუტანიათ.

საკასაციო პალატამ სრული მოცულობით შეამოწმა საქმის მასალები და მიაჩნია, რომ ბ. ი-ს მიმართ გირაოს სახით შეტანი-

ლი 100 000 ლარის სახელმწიფოსათვის გადაცემის ნაწილში განაჩენის დადგენისას როგორც 1-ლი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლოებმა დაარღვიეს საქართველოს სსსკ-ის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნა (2005 წლის 16 დეკემბრის რედაქცია). მითითებული რედაქციის კანონის ცვლილებით, კანონმდებელმა დამატებით შექმნა მკაფიოდ ფორმულირებული ნორმა და სათანადო პროცესუალური გარანტიებით უზრუნველყო გირაოს შემტანი პირის დაცვის მექანიზმი. ცვლილების თანახმად, „გირაოს შეტანის წინ შემტანს აფრთხილებენ წერილობითი ვალდებულებებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის იმ შესაძლო შედეგების შესახებ, რომლებიც მითითებულია ამ მუხლის მე-7 ნაწილში“.

მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება ოქმი (ან სხვა დოკუმენტი), რომელიც ადასტურებს ბ. ი-ს სისხლის სამართლის საქმეზე გირაოს უზრუნველყოფის მიზნით ფულადი თანხის – 100 000 ლარის შემტანი პირის წერილობით გაფრთხილებას იმის თაობაზე, რომ თუ ბრალდებულმა ან განსასჯელმა, რომლის მიმართაც აღკვეთის ღონისძიებად შერჩეულია გირაო, არასაპატიო მიზეზით თავი აარიდა გამომძიებელთან, პროკურორთან ან სასამართლოში გამოცხადებას, ჩაიდინა ახალი დანაშაული, განახორციელა ზენოლა პროცესის მონაწილეზე ან/და საფრთხე შეუქმნა საქმეზე არსებულ მტკიცებულებებს, პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე, მოსამართლის გადანყვეტილებით გირაო შეიცვლება უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით, ხოლო გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღნიშნულ მოთხოვნათა დარღვევის გამო, ბ. ი-ს სისხლის სამართლის საქმეზე გირაოს უზრუნველყოფის მიზნით ფულადი თანხის შემტან პირს – ბ. ი-ს უნდა დაუბრუნდეს გირაოს თანხა – 100 000 ლარი.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს ერთიანი სასამართლო პრაქტიკა (იხ.უზენაესი სასამართლოს გადანყვეტილებები №311აპ-09; №175აპ-09; №375აპ-09).

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში კანონიერია, რის გამოც უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-

ის 168-ე მუხლის მე-10 ნაწილით, 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეკუთხედით, 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

გამართლებულ ბ. ი-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 3 აპრილის განაჩენიდან ამოირიცხოს მითითება ბ. ი-ს მიმართ გირაოს სახით შეტანილი 100 000 ლარის სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვის შესახებ და აღნიშნული თანხა დაუბრუნდეს მის შემტანს – ბ. ი-ს.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ბრალდებულის სასარგებლოდ გირაოს შემტანი პირის მიერ დაკისრებული მოვალეობისაგან გათავისუფლების მოთხოვნა

განაჩენი საქართველოს სახელით

№386აპ-14

3 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე**

განიხილა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის უფროსი პროკურორის – ვ. თ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 9 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 4 ივნისის განაჩენით მ. ლ-ა, –ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილი-

თა და 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა, შენახვა და ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანა, რაც გამოიხატა შემდეგში:

2. 2014 წლის 5 თებერვალს მ. ლ-მ ხელვაჩაურის რაიონის სოფელ სარფის საბაჟო გამშვები პუნქტის – „სარფის“ გავლით თურქეთის რესპუბლიკიდან საქართველოში უკანონოდ შემოიტანა უკანონოდ შექმნილი და შენახული 20 აბი, რომელთა საერთო რაოდენობრივი შემცველობა შეადგენს 0,6 გრამ ნარკოტიკულ საშუალება „მეთადონს“.

3. აღნიშნული ქმედებისათვის მ. ლ-ს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიესაჯა 1 წლითა და 6 თვით, ხოლო 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 6 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა; შთანთქმის პრინციპის გამოყენებით მ. ლ-ს საბოლოოდ განესაზღვრა 6 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა; მასვე სასჯელის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2014 წლის 5 თებერვლიდან იმავე წლის 12 თებერვლამდე და 5 წლით ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ჩამოთვლილი უფლებები.

4. გაუქმდა მ. ლ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო და ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 11 თებერვლის განჩინებით გირაოს უზრუნველყოფის მიზნით დადებული ყადაღა მოეხსნა გ. ლ-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქ. ზუგდიდში, გურამიშვილის ქ. №...ში (ზონა – ზუგდიდი ..., სექტორი – ..., კვარტალი – ..., ნაკვეთი – ...) 10000 ლარის ღირებულების წილს.

5. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა ვ. თ-მ. მან ითხოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 4 ივნისის განაჩენის შეცვლა: აღკვეთის ღონისძიების პირობების დარღვევის გამო, გირაოს უზრუნველყოფის მიზნით დაყადაღებული უძრავი ქონების, მდებარე ქ. ზუგდიდში, გურამიშვილის ქ. №...-ში, 10000 ლარის წილის სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვა.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 9 სექტემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 4 ივნისის განაჩენი მ. ლ-ს მიმართ დარჩა უცვლელად. მსჯავრდებულს სასჯელის მოხდა დაენცი 2014 წლის 14 ივლისიდან.

7. კასატორი – პროკურორი ვ. თ-ე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ ბრალდებული და მისი ახლო ნათესავი გ. ლ-ა გაფ-

რთხილებულები იყვნენ ბრალდებულის მხრიდან აღკვეთის ღონისძიების პირობის ან კანონის დარღვევის შემთხვევაში მოსალოდნელი ნეგატიური სამართლებრივი შედეგების შესახებ; ბრალდების მხარემ საინფორმაციო ცენტრში გადაამონმა მ. ლ-ს მიერ საზღვრის კვეთისა და საპასპორტო მონაცემები, რომელთა მიხედვით დადგინდა, რომ მას შემდეგ, რაც მ. ლ-ს აღკვეთი ღონისძიების შერჩევის განჩინებით დაევალა პასპორტისა და პირადობის მოწმობის გამომძიებლისათვის ჩაბარება, მან მიმართა სახ. სერვისების განვითარების სააგენტოს ზუგდიდის სამოქალაქო რეესტრის სამსახურს პასპორტის მიღების მიზნით და დაამზადა ახალი ბიომეტრიული პასპორტი №...-, რომლითაც საგამომძიებო ორგანოსა და სასამართლოს გაუფრთხილებლად გადაკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი 2014 წლის 19 მაისიდან 24 მაისის ჩათვლით პერიოდში; ასევე მ. ლ-ა არ გამოცხადდა 2014 წლის 4 ივნისს გამართულ სასამართლო სხდომაზე. სწორედ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, გირაოს პირობების დარღვევის გამო, ბრალდების მხარემ 2014 წლის 4 ივნისს დააყენა შუამდგომლობა ბრალდებულ მ. ლ-სათვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების – გირაოს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების – პატიმრობით შეცვლისა და გირაოს უზრუნველსაყოფად დაყადაღებული უძრავი ქონების 10000 ლარის წილის სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვის შესახებ.

8. რაც შეეხება გ. ლ-ს, მან დაკისრებული მოვალეობისაგან განთავისუფლების განცხადებით სასამართლოს მიმართა 2014 წლის 28 მაისს, ხოლო მ. ლ-მ უფრო ადრე – 2014 წლის 19 მაისიდან 24 მაისის პერიოდში გადაკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი, რაც კარგად იყო ცნობილი ბრალდებულის შვილის – გ. ლ-სათვის მის მიერ განცხადების დაწერამდე; ამდენად, გ. ლ-ს განცხადება ვერ ჩაითვლება, როგორც გირაოს შემტანის წინასწარი ინფორმირება; შესაბამისად, გირაოს უზრუნველყოფის მიზნით დაყადაღებული უძრავი ქონების წილი უნდა გადაირიცხოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

9. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორი ვ. თ-ე ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 9 სექტემბრის განაჩენის შეცვლას, მ. ლ-ს მიერ აღკვეთის ღონისძიების პირობების დარღვევის გამო, გირაოს უზრუნველყოფის მიზნით, 2014 წლის 11 თებერვლის განჩინებით დაყადაღებული უძრავი ქონების, მდებარე ქ. ზუგდიდში, გურამიშვილის ქ. №...-ში – 10000 ლარის წილის სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. უპირველეს ყოვლისა, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრის ფარგლებში. ამიტომ, რადგან ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი პროკურორის მიერ გასაჩივრებულია მხოლოდ აღკვეთის ღონისძიების ნაწილში, პალატა იმსჯელებს მხოლოდ აღნიშნულ საკითხზე და არ შეაფასებს გასაჩივრებული განაჩენის კანონიერებას მ. ლ-ს საქართველოს სსკ-ის 260-ე და 262-ე მუხლებით მსჯავრდების ნაწილში.

2. საკასაციო პალატამ მხარეთა მონაწილეობით განიხილა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის უფროსი პროკურორის – ვ. თ-ს საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

3. პალატა არ იზიარებს მსჯავრდებულ მ. ლ-ს განმარტებას იმის შესახებ, თითქოს მისთვის ქვეყნიდან გასვლა არავის აუკრძალავს და მიუთითებს, რომ მოსამართლის მიერ დამატებითი ვალდებულებების დაკისრება – ბრალდებულმა დროებით ჩააბაროს პასპორტი და პირადობის მოწმობა, სწორედ იმ მიზანს ემსახურება, რომ მან არ დატოვოს ქვეყნის ტერიტორია და არ მიიმალოს. მართალია, მ. ლ-მ მოახერხა და აიღო ახალი ბიომეტრიული პასპორტი, გადაკვეთა ქვეყნის საზღვარი, თუმცა, მორიგ სასამართლო სხდომამდე იგი უკან დაბრუნდა, რის გამოც პალატა ვერ გაიზიარებს სახელმწიფო ბრალმდებლის არგუმენტს იმის თაობაზე, რომ ბრალდებულის აღნიშნული მოქმედებით (პასპორტის აღება, საზღვრის გადაკვეთა) დაირღვა აღკვეთის ღონისძიების პირობა, რადგან ბრალდებულის მიერ პასპორტის აღება და საზღვრის კვეთა არ ყოფილა ფორმა და საშუალება მისი მიმალვისა.

4. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ არასაპატიო მიზეზით მ. ლ-ს მორიგ (2014 წლის 4 ივნისის) სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა, ცალსახად წარმოადგენს გირაოს პირობის დარღვევას და მისი გაუქმების საფუძველს, მაგრამ არ იზიარებს საკასაციო საჩივრის არგუმენტს გირაოს შემტანის (გ. ლ-ს) პასუხისმგებლობის შესახებ, ვინაიდან მას შემდეგ, რაც დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ბრალდებულის მონაწილეობით ჩატარებული სასამართლო პროცესი გადაიდო, მომდევნო სხდომის გამართვამდე (2014 წლის 4 ივნისამდე),

2014 წლის 28 მაისს სასამართლოში (და ასევე – პროკურატურაში) გ. ლ-მ წარადგინა განცხადება, რომ მისთვის წინა ღამიდან მოყოლებული უცნობი იყო მამის ადგილსამყოფელი, იგი ვერ ახერხებდა მასთან დაკავშირებას და ამის გამო არ იყო რა დარწმუნებული იმაში, რომ მამა – ბრალდებული მ. ლ-ა გამოცხადებოდა 4 ივნისს დანიშნულ მორიგ სასამართლო პროცესზე, ითხოვა დაკისრებული მოვალეობისგან გათავისუფლება. საგულისხმოა, რომ გ. ლ-მ აღნიშნული მოიმოქმედა მაშინვე, როგორც კი დაეჭვდა მ. ლ-ს მიერ აღკვეთის ღონისძიების პირობის დარღვევის შესაძლებლობაში.

5. ამასთან, რადგან ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მ. და გ. ლ-ბი შეთანხმებულად მოქმედებდნენ, საკასაციო პალატას არ გასჩენია გ. ლ-ს კეთილსინდისიერებაში ეჭვის შეტანის საფუძველი.

6. მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა არ იზიარებს საკასაციო საჩივრის მეორე არგუმენტს – გირაოს შემტანის პასუხისმგებლობის შესახებ.

7. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონიერი და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის უფროსი პროკურორის – ვ. თ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 9 სექტემბრის განაჩენი დარჩეს უცვლელად.

3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საქმის არსებითი განხილვის გარეშე ბრალდებულის
მიმართ განაჩენის გამოტანის თაობაზე
პროკურორის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე
უარის თქმის შესახებ**

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№133აპ-15

16 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის პროკურორ ი. ჩ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 24 თებერვლის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2014 წლის 30 დეკემბრის დადგენილებით მ. რ-ეს წარედგინა ბრალდება, რომლის მიხედვითაც, მას ბრალი დაედო ძარცვაში, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლებაში მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; ყაჩაღობაში, ე.ი. თავდასხმაში სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით; ასევე ძარცვაში, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლებაში მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი ისეთი ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 31 დეკემბრის განჩინებით მოსამართლემ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე განიხილა მხარეებს შორის მიღწეული საპროცესო შეთანხმების დამტკიცების საკითხი (2014 წლის 31 დეკემბერს მხარეებს შორის დაიდო საპროცესო შეთანხმება, რომლის საფუძველზეც მ. რ-ეს სსკ-ის 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2014 წლის 26 დე-

კემბრის ეპიზოდი) უნდა განსაზღვროდა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის საფუძველზე 3 წელი უნდა დანიშნოდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი – 4 წელი ჩათვლოდა პირობით; სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2014 წლის 25 დეკემბრის ეპიზოდი) სსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე უნდა განსაზღვროდა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2014 წლის 15 ნოემბრის ეპიზოდი) სსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტებით (2014 წლის 14 ნოემბრის ეპიზოდი), სსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით (2014 წლის 4 ნოემბრის ეპიზოდი) სსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა;

სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, მ. რ-ეს დანაშაულთა ერთობლიობით უნდა განსაზღვროდა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის საფუძველზე 3 წელი უნდა მოეხადა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ხოლო დარჩენილი – 4 წელი, სსკ-ის 63-ე–64-ე მუხლების გამოყენებით, უნდა ჩათვლიდა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით) და განჩინებით უარი განაცხადა საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე, ხოლო სისხლის სამართლის საქმე დაუბრუნა ბრალდების მხარეს.

განჩინებით: ბრალდებულ მ. რ-ის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულ იქნა პატიმრობა, რომლის ათვლაც დაეწყო დაკავების მომენტიდან – 2014 წლის 30 დეკემბრიდან; წინასასამართლო სხდომა დაინიშნა 2015 წლის 23 თებერვალს.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება პროკურორმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით. აპელანტმა ი. ჩ-მა სააპელაციო საჩივრით ითხოვა საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 31 დეკემბრის განჩინების გაუქმება და მხარეებს შორის 2014 წლის 31 დეკემბერს მიღწეული საპროცესო შეთანხმების დამტკიცება შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, ბრალდებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს, სადავოდ არ ხდის წარმოდგენილ მტკიცებულებებს და უარს ამბობს საქმის არსებითი განხილვის უფლებაზე. მისი განმარტებით, ბრალდებულის მიერ განხორციელებული ყაჩაღობა (2014 წლის 26 დეკემბრის ეპიზოდი) დადასტურებულია

არა მარტო მ. რ-ის აღიარებითი ჩვენებით, არამედ მისი ამოცნობის ოქმით, ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებული ვიდეოჩანაწერთა და ვიდეოჩანაწერის დათვალიერების ოქმით.

აპელანტი მიუთითებს, რომ მ. რ-ე აღიარებს მის მიმართ ბრალად შერაცხულ ოთხ ეპიზოდსაც. მან ამომწურავად მისცა ჩვენება მის მიერ განხორციელებული კანონსაწინააღმდეგო ქმედებების შესახებ, რაც სრულ თანხვედრაში მოდის საქმეში დაკითხული მოწმეებისა და დაზარალებულების ჩვენებებთან. ამასთან, აპელანტი მიუთითებს, რომ ბრალდების მხარემ მოიპოვა ვიდეოჩანაწერი, რომელზეც აღბეჭდილია მ. რ-ის მიერ განხორციელებული ყველა ქმედება. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობა კი ადასტურებს ბრალდებულ მ. რ-ის მიერ ხუთივე ეპიზოდის ჩადენის ფაქტს.

4. 2015 წლის 13 თებერვალს ბრალდების მხარის შუამდგომლობის საფუძველზე წინასასამართლო სხდომის თარიღი გაგრძელდა 30 დღით და განისაზღვრა 2015 წლის 25 მარტით.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 24 თებერვლის განჩინებით ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის პროკურორ ი. ჩ-ის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 31 დეკემბრის განჩინება საქმის არსებითი განხილვის გარეშე მ. რ-ის მიმართ განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ დარჩა უცვლელად.

6. სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე პროკურორმა ი. ჩ-მა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორმა ითხოვა საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 24 თებერვლის განჩინების გაუქმება და 2014 წლის 31 დეკემბერს მხარეთა შორის მიღწეული საპროცესო შეთანხმების დამტკიცება.

7. 2015 წლის 18 მარტს ბრალდების მხარის შუამდგომლობის საფუძველზე წინასასამართლო სხდომის თარიღი გაგრძელდა 30 დღით და განისაზღვრა 2015 წლის 23 აპრილით.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი და მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 24 თებერვლის განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

2. პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სსსკ-ის 213-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად: „სასამართლო საქმის მასალებისა და ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარების საფუძველზე ამონ-მებს, დასაბუთებულია თუ არა ბრალდება, არსებობს თუ არა ამ კოდექსით გათვალისწინებული გარემოებები და არის თუ არა კანონიერი და სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობაში მითითებული სასჯელი“. ამასთან, ამავე კოდექსის 212-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად: „მოსამართლე საპროცესო შეთანხმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კანონის საფუძველზე და არ არის ვალდებული, დაამტკიცოს ბრალდებულსა და პროკურორს შორის მიღწეული შეთანხმება.

3. მოცემულ შემთხვევაში პალატა იზიარებს საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებებს და თვლის, რომ საქმეში არ არსებობს სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-11¹ ნაწილით გათვალისწინებული საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად ის საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც დაარწმუნებდა ობიექტურ პირს, რომ ბრალდებულმა ჩაინდინა დანაშაული.

4. ამდენად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 24 თებერვლის განჩინება საქმის არსებითი განხილვის გარეშე მ. რ-ის მიმართ განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-11¹ ნაწილით, 301-ე მუხლით, 303-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 213-214-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის პროკურორ ი. ჩ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 24 თებერვლის განჩინება საქმის არსებითი განხილვის გარეშე მ. რ-ის მიმართ განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ დარჩეს უცვლელად.

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის
ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა**

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№448აპ-14

3 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენით განიხილა მსჯავრდებულ ფ. მ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 15 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 2 მაისის განაჩენით ფ. მ-ი, ნასამართლევი, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – ქურდობისათვის, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლებისათვის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

2. ფ. მ-ისათვის ბრალად წარდგენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2012 წლის სექტემბრის ბოლოს საგარეჯოს რაიონის სოფელ ი-ოს სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიიდან ფ. მ-ი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა ბ. ვ-ის კუთვნილ, 2000 ლარად ღირებულ ოთხ სულ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს.

3. აღნიშნული ქმედებისათვის:

ფ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 მუხლის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 25 აგვისტოს განაჩენით დანიშნული და იმავე სასამართლოს 2013 წლის 6 მარტის განჩინებით შემცირებული პირობი-

თი მსჯავრი. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა წინა განაჩენით დანიშნული და განჩინებით შემცირებული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 1 წელი, 6 თვე და ფ. მ-ს განაჩენთა ერთობლიობით საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან – 2013 წლის 12 აგვისტოდან.

4. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ფ. მ-მა და ითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 15 ოქტომბრის განაჩენით სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 2 მაისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

6. საკასაციო საჩივრის არსი:

სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 15 ოქტომბრის განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ფ. მ-მა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორმა აღნიშნა, რომ საქმეზე არ იყო დაკითხული მთავარი მოწმე – ზ. მ-ი, რის გამოც დადგა უკანონო განაჩენი. ამდენად, მსჯავრდებულმა ითხოვა მის მიმართ გამოტანილი უკანონო და დაუსაბუთებელი გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და გამართლება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. გასაჩივრებული განაჩენის შეცვლის დასაბუთება:

საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მისი მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. მოწმეების – ბ. ვ-ისა (დაზარალებული) და მ. ვ-ის ჩვენებებით დადგენილია, რომ 2012 წლის სექტემბრის ბოლოს კუთვნილი პირუტყვი ჩამოიყვანეს ნალკის რაიონიდან. ვიდრე საქონელს დააბინავებდნენ, შეჩერდნენ საგარეჯოს რაიონის სოფელი-ოს სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც პირუტყვიდან გამოარჩიეს მათი ახლობლის – ო-ის კუთვნილი პირუტყვი. ბ. ვ-ი და მ. ვ-ი დაეხმარნენ ო-ს პირუტყვის გადავენაში, საკუთარი კი დატოვეს მეთვალყურეობის გარეშე. რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ, ვინაიდან უკვე ბნელდებოდა, მიბრუნდნენ უკან, სადაც საქონელი ჰყავდათ დატოვებული. მათ გადათვალეს საქონელი და აღმოაჩინეს, რომ ბ. ვ-ის კუთვნილი, 4

სული მსხვილფეხა მოზარდი რქოსანი პირუტყვი აკლდა. დაზარალებულის ჩვენებით, დაკარგული საქონლის ფასი 2012 წლის სექტემბრისთვის შეადგენდა 2000 ლარს.

3. მონმის – ბრალდებულის მეუღლის ნ. მ-ას ჩვენებით დადგენილია, რომ 2012 წლის სექტემბრის ბოლოს, გვიან ღამით, მისმა მეუღლემ ფ. მ-მა სახლში მიიყვანა ოთხი სული მოზარდი საქონელი, საიდანაც ორი სული მალევე მოკვდა, ხოლო ორი სული საქონელი ვალის სანაცვლოდ ფ. მ-მა მისცა ნ. მ-ას მამას, ა. მ-ს. მონმემ განმარტა, რომ ეს საქონელი, ფ. მ-ის განცხადებით, ნაყიდი იყო.

4. მონმის – ა. მ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ 2012 წლის ოქტომბერში სიძის – ფ. მ-საგან ვალის სანაცვლოდ წამოიყვანა ორი სული მოზარდი პირუტყვი. მონმემ განმარტა, რომ ეს საქონელი, როგორც მას მისმა შვილმა – ნ. მ-ამ უთხრა, ფ. მ-ის მიერ იყო ნაყიდი.

5. 2013 წლის 12 აგვისტოს დაზარალებულმა ბ. ვ-მა ამოიცნო ა. მ-ის სახლიდან ამოღებული, თავისი ორი სული საქონელი, რომელიც მან დაკარგა 2012 წლის სექტემბრის ბოლოს.

6. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ გამოკვლეული მტკიცებულებებით დგინდება მხოლოდ ბ. ვ-ის ოთხი სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქურდობასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაცია, თუმცა მონმეთა ჩვენებებით, თუ ვის შეეძლო მოეპარა აღნიშნული რქოსანი პირუტყვი, არ არის განმარტებული. აღნიშნულ ინფორმაციას არ შეიცავს ასევე სხვა წერილობითი მტკიცებულებები.

7. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება პირდაპირი მონმის ჩვენება, რომელიც ქურდობის ფაქტის უშუალო შემსწრე იქნებოდა, მაგრამ დადგენილად მიაჩნია და სადავო არ არის, რომ ბ. ვ-ის ოთხი სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვიდან ორი ამოღებულ იქნა ბრალდებულ ფ. მ-ის სიმამრის – ა. მ-ის სახლიდან, თუმცა სადავოა ფ. მ-ის მიერ ხსენებული რქოსანი პირუტყვის მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლების ფაქტი.

8. საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „...გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, ამკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას“. ანალოგიური შინაარსის შემცველია ამავე კოდექსის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმადაც, „გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა“. სსსკ-ის

259-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „სასამართლოს განაჩენი კანონიერია, თუ იგი გამოტანილია საქართველოს კონსტიტუციის, ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა კანონების მოთხოვნათა დაცვით, რომელთა ნორმებიც გამოყენებული იყო სისხლის სამართლის პროცესში“. ამდენად, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ

9. ფ. მ-ის მიერ ბ. ვ-ის ოთხი სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოპარვა არ დასტურდება გონივრულ ეჭვს მიღმა არსებული, შეთანხმებული მტკიცებულებების ერთობლიობით. მხოლოდ ის ფაქტი, რომ აღნიშნული პირუტყვიდან ორი მათგანი ამოღებულ იქნა ბრალდებულ ფ. მ-ის სიმამრის – ა. მ-ის სახლიდან, არ ადასტურებს მის მიერ ნივთის ფარულად დაუფლების ფაქტს, ვინაიდან ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი არც ერთი პირდაპირი მტკიცებულებით არ დგინდება, რა გარემოებებში და ვინ დაეუფლა საქონელს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რაც სსკ-ის 177-ე მუხლის შემადგენლობის სავალდებულო ნიშანია. ამდენად, პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არსებული მტკიცებულებებით შეუძლებელია იმის დადგენა, ფ. მ-ი ნამდვილად დაეუფლა თუ არა ფარულად ბ. ვ-ის ოთხ სულ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს, ან მართლაც კანონიერად ან უკანონოდ (წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შექენა) ხომ არ შეიძინა მან მოპარული ნივთი. წარმოდგენილი მტკიცებულებები არ არის საკმარისი ფ. მ-ის მიერ ზემოაღნიშნული საქონლის ფარულად დაუფლების ფაქტის დასადგენად და, შესაბამისად, მისი დამნაშავედ ცნობისათვის, ვინაიდან არ აკმაყოფილებს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს.

10. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ფ. მ-ი, მტკიცებულებათა არასაკმარისობის გამო, უნდა გამართლდეს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-2, მე-3 ნაწილებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ფ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილ-

დეს.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 15 ოქტომბრის განაჩენი ფ. მ-ის მიმართ.

ფ. მ-ი ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

3. ფ. მ-ი დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

4. ფ. მ-ის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმებულია.

5. გამართლებულ ფ. მ-ს განემართოს, რომ უფლება აქვს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი წესით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

6. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა

განაჩენი საქართველოს სახელით

№510აპ-14

16 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ომხარელი (თავმჯდომარე),

პ. სილაგაძე,

გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ გ. მ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 6 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 8 მაისის განაჩენით გ. მ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, მესამე ნაწილის „ა“ და მეოთხე ნაწი-

ლის „გ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 22 აგვისტოს განაჩენით გ. მ-ს მიმართ დანიშნული პირობითი მსჯავრი და სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე ახლად დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ დაემატა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 22 აგვისტოს განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან – 2 წლით თავისუფლების აღკვეთიდან – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. გ. მ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2013 წლის 3 სექტემბრიდან.

2. გ. ძ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, მესამე ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე ახლად დანიშნულ სასჯელს სრულად დაემატა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 11 ივნისის განაჩენით გ. ძ-ს მიმართ დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 5000 ლარის ოდენობით. გ. ძ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2013 წლის 3 სექტემბრიდან.

3. განაჩენით მსჯავრდებულების – გ. მ-ა და გ. ძ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: 2013 წლის 3 სექტემბერს, შუადღისას, ქ. თ-ი, წ-ს გამზირზე, სამთო ქიმიის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, სამარშრუტო ტაქსით მგზავრობისას, გ. მ-ე და გ. ძ-ი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაეუფლნენ ა. ა-ს კუთვნილ საფულეს, მასში არსებული 160 ლარით და პირადი ნივთებით, რითაც დაზარალებულს მიადგა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 25 მაისის განაჩენით გ. მ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 14 აპრილის განაჩენით გ. მ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კო-

დექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდის ათვლა დაენყო 2009 წლის 11 თებერვლიდან.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 14 ივლისის განაჩენით გ. მ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია), 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისის შემდგომ მოქმედი რედაქცია) და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 88-ე მუხლისა და „ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის გამოყენებით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო განაჩენთა ერთობლიობით საბოლოოდ განესაზღვრა 3 წლით, 6 თვითა და 27 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდის ათვლა დაენყო განაჩენის მიღების დღიდან – 2010 წლის 14 ივლისიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა 1999 წლის 4 დეკემბრიდან 1999 წლის 6 დეკემბრის ჩათვლით, ასევე 2000 წლის 14 ივნისიდან 2000 წლის 16 ივნისის ჩათვლით და 2000 წლის 31 მაისს დაკავებაში ყოფნის პერიოდი, ანუ სულ 7 დღე.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 4 თებერვლის განჩინებით „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე გ. მ-ს 1/4-ით შეუმცირდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 14 ივლისის განაჩენითა და 2009 წლის 14 აპრილის განაჩენით დანიშნული სასჯელები და საბოლოოდ გ. მ-ს მოსახდელად განესაზღვრა 2 წლით, 8 თვითა და 5 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდის ათვლა დაენყო 2010 წლის 14 ივლისიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა 1999 წლის 4 დეკემბრიდან 1999 წლის 6 დეკემბრის ჩათვლით, ასევე 2000 წლის 14 ივნისიდან 2000 წლის 16 ივნისის ჩათვლით და 2000 წლის 31 მაისს დაკავებაში ყოფნის პერიოდი, ანუ 7 დღე.

8. მსჯავრდებული გ. მ-ე „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე შემცირებული სასჯელის მოხდის შედეგად სასჯელალსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლდა 2013 წლის 11 მარტს.

9. მიუხედავად ამისა, სასჯელალსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდეგ რამდენიმე თვეში თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგი-

ის 2013 წლის 22 აგვისტოს განაჩენით გ. მ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 238¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით.

10. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 11 ივნისის განაჩენით გ. ძ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი), 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის და დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 5000 ლარის ოდენობით. მსჯავრდებულ გ. ძ-ს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო 2008 წლის 28 იანვრიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2008 წლის 26 იანვრიდან 2008 წლის 28 იანვრის ჩათვლით.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 სექტემბრის განაჩენითა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 18 ნოემბრის განჩინებით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 11 ივნისის განაჩენი გ. ძ-ს მიმართ დარჩა უცვლელად.

12. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 23 იანვრის განჩინებით „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე გ. ძ-ი გათავისუფლდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 11 ივნისის განაჩენით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა (ორი ეპიზოდი) და 273-ე მუხლით თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელისაგან. ამასთან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ 2013 წლის 15 ოქტომბერს მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2008 წლის 27 ნოემბერს გაცემულია № სააღსრულებო ფურცელი, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ გ. ძ-ს დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 5000 ლარი, ხოლო მისი გადახდის დამადასტურებელი ქვითარი მას თბილისის სააღსრულებო ბიუროში არ წარუდგენია და მიმდინარეობს იძულებითი აღსრულება.

13. აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 6 ნოემბრის განაჩენით მსჯავრდებულ გ. ძ-ს მიმართ დარჩა უცვლელად, ხოლო მსჯავრდებულ გ. მ-ს მიმართ შეიცვალა, კერძოდ:

14. გ. მ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „ა“ და მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაენყო 2013 წლის 3 სექტემბრიდან.

15. გ. ძ-ი ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე ახლად დანიშნულ სასჯელს სრულად დაემატა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 11 ივნისის განაჩენით გ. ძ-ს მიმართ დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 5000 ლარის ოდენობით. გ. ძ-ს სასჯელის მოხდა დაენყო 2013 წლის 3 სექტემბრიდან.

16. გ. ძ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული სამი ათლარიანი და ორი ხუთლარიანი კუპიურები, ასევე ერთი ორლარიანი, ერთი ერთლარიანი და ერთი ორმოცდაათთეთრიანი მონეტები (ინახება ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პირველ განყოფილებაში) საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს მსჯავრდებულ გ. ძ-ს ოჯახის წევრებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

17. გ. მ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული შავი ფერის ტყავის საფულე, მასში მოთავსებული მეტრომანის პლასტიკური ბარათით, ნომრით ..., სს „საქართველოს ბანკის“ პლასტიკური ბარათით – „express card“, ერთი ათ თეთრიანი მონეტით, ერთი აზერბაიჯანული მონეტით, წარწერით „...“, ერთი თურქული მონეტით, წარწერით „...“, ერთი თურქული მონეტით, წარწერით „...“, ასევე, „სამსუნგის“ ფირმის შავი ფერის მობილური ტელეფონი, იმეი კოდით - ..., მასში მოთავსებული „ჯეოსელის“ სიმბარათით, ნომრით: „ნოკიას“ ფირმის მობილური ტელეფონი, იმეი კოდებით – და, მასში მოთავსებული სიმბარათით, ნომრით: მოთეთრო ფერის პლასტმასის წამლის აბების სათავსი, ეტიკეტზე წარწერით „...“, მასში მოთავსებული 12 ცალი თეთრი ფერის აბით (ინახება ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამ-

მართველოს პირველ განყოფილებაში) საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს მსჯავრდებულ გ. მ-ს ოჯახის წევრებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

18. მსჯავრდებული გ. მ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 6 ნოემბრის განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას.

19. საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულმა გ. მ-მ მხარი დაუჭირა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლა მისი დაკმაყოფილება.

20. საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა ლ. კ-ა ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები და იშუამდგომლა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 6 ნოემბრის განაჩენის უცვლელად დტოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. 1-ლი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების სხდომებზე მსჯავრდებულებმა – გ. ძ-ამ და გ. მ-მ თავი არ ცნეს დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და ითხოვეს მათ მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

3. სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი სადავოდ არ გახადა მსჯავრდებულმა გ. ძ-ამ.

4. რაც შეეხება მსჯავრდებულ გ. მ-ს საკასაციო საჩივრის მოსაზრებას, რომ მოცემულ საქმეში არ მოიპოვება მისი ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებები, მას არ აღმოაჩნდა არანაირი ნივთმტკიცება, რის გამოც უნდა გამართლდეს, საკასაციო პალატა ეთანხმება მას საქმეში არსებული მასალების ერთობლივი ურთიერთანალიზისა და შეფასების საფუძველზე.

5. მსჯავრდებულ გ. მ-ს მსჯავრდებას 1-ლი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების განაჩენებით საფუძვლად დაედო შემდეგი მტკიცებულებები: დაზარალებულ ა. ა-ს ჩვენება, მონწიეების – ზ. ს-ს, ზ. ლ-ს, ე. ჯ-ს, ბ. გ-ს, გ. ქ-ა და ვ. ო-ს ჩვენებები, მონწიის სახით დაკითხული ექსპერტ მ. ს-ს ჩვენება, პირადი ჩხრეკის ოქმები.

6. დაზარალებულ ა. ა-ს ჩვენებით დადგენილია მხოლოდ ის გარემოება, რომ ის 2013 წლის 3 სექტემბერს ნამდვილად მგზავრობდა ქ. თ-ი, №117 მიკროავტობუსით, სადაც იყო ხალხმრავლობა. მიკროავტობუსში ყოფნის გარკვეულ პერიოდში მოისინჯა საფულე, მაგრამ იგი ვერ აღმოაჩინა.

7. მოწმე ზ. ს-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2013 წლის 3 სექტემბერს პირად საქმესთან დაკავშირებით მგზავრობდა №117 მიკროავტობუსით, სადაც სხვა მგზავრებთან ერთად იმყოფებოდნენ მსჯავრდებულებიც. მან დაინახა, რომ გ. მ-მ მისთვის უცნობ მოქალაქეს ჯიბიდან ფარულად ამოაცალა საფულე და გადასცა გ. დ-ს. შემდეგ ორივენი მალევე ჩავიდნენ მიკროავტობუსიდან წ-ს გამზირზე, სამთო ქიმიის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე. თვითონ, იყო რა პოლიციის თანამშრომელი, მომხდარი ფაქტი არ დატოვა რეაგირების გარეშე, ჩაჰყვა მათ და იმის გამო, რომ მარტო ვერ შეძლებდა ორივეს ადგილზე დაკავებას, აედევნა და თან პარალელურად მომხდარის შესახებ აცნობა პოლიციას, რომლის თანამშრომლები მალევე მოვიდნენ შემთხვევის ადგილზე და უშუალოდ მისი მითითების საფუძველზე ორივე პირი დააკავეს. მოწმემ აღნიშნა, რომ ბოროტმოქმედები არ გასულან მისი თვალთახედვის არედან. ორივე მათგანს ადგილზევე ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა და გ. დ-მ ამოღებულ იქნა დაზარალებულის საფულე მასში მოთავსებული ნივთებით.

8. მოწმეების – ზ. ლ-ს, ე. ჯ-ას და ბ. გ-ს ჩვენებებით დადგენილია, რომ 2013 წლის 3 სექტემბერს ასრულებდნენ სამსახურებრივ მოვალეობას, რა დროსაც დაუკავშირდათ ხელმძღვანელი და აცნობათ, რომ წ-ს გამზირზე, სამთო ქიმიის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, მომხდარი იყო ქურდობა. ისინი მაშინვე ჩავიდნენ შემთხვევის ადგილზე, სადაც ზ. ს-მ მიუთითა ორ პირზე და უთხრა, რომ ერთმა მათგანმა მოქალაქეს ფარულად ამოაცალა საფულე და გადასცა მეორეს. ზ. ს-ს მითითების საფუძველზე დააკავეს გ. მ-ე და გ. დ-ი. მათ ადგილზევე ჩაუტარდათ პირადი ჩხრეკა, რა დროსაც გ. დ-გან ამოღებულ იქნა დაზარალებულის კუთვნილი საფულე მასში მოთავსებული ნივთებით.

9. მოწმეების – გ. ქ-ას და ვ. ო-ს ჩვენებებით დადგენილია, რომ 2013 წლის 3 სექტემბერს ზ. ს-მ დაურეკა მათ თანამშრომელს და აცნობა, რომ შეესწრო ქურდობის ფაქტს და ითხოვდა დახმარებას. ისინი თავიანთ თანამშრომლებთან ერთად გავიდნენ შემთხვევის ადგილზე, სადაც დახვდათ ვაკე-საბურთალოს პოლიციის თანამშრომელი ზ. ს-ე, რომლის უშუალო მითითების საფუძველზე დააკავეს გ. მ-ა და გ. დ-ი. უშუალოდ მათ დააკავეს

გ. დ-ი, რომელსაც პირადი ჩხრეკისას აღმოაჩნდა დაზარალებულის კუთვნილი საფულე მასში მოთავსებული ა. ა-ს სახელზე გაცემული პირადობის მოწმობითა და სხვა ნივთებით. დაკავებული გადაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, სადაც შედგა დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმი.

10. გ. დ-ს პირადი ჩხრეკის ოქმით დადგენილია, რომ გ. დ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებულ იქნა ყავისფერი ტყავის საფულე, მასში მოთავსებული ერთი ასლარიანი, ერთი ორმოცდაათლარიანი, ორი ხუთლარიანი, ორი ერთდოლარიანი და ერთი ათრუბლიანი კუპიურებით, ორი ოცთეთრიანი მონეტით, ა. ა-ს სახელზე გაცემული პირადობის მოწმობით, ა. ა-ს სახელზე გაცემული ლიბერთი ბანკის VISA ბარათით, მეტრომანითა და ორი სურათით. ამოღებულ იქნა სამი ათლარიანი და ორი ხუთლარიანი კუპიურები, ასევე ერთი ორლარიანი, ერთი ერთლარიანი და ერთი ორმოცდაათეთრიანი მონეტები.

11. გ. მ-ს პირადი ჩხრეკის ოქმით დადგენილია, რომ გ. მ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებულ იქნა შავი ფერის ტყავის საფულე მასში მოთავსებული მეტრომანის პლასტიკური ბარათით, სს „საქართველოს ბანკის“ პლასტიკური ბარათით – „express card“, ერთი ათეთრიანი მონეტით, ერთი აზერბაიჯანული მონეტით, წარწერით „...“, ერთი თურქული მონეტით, წარწერით „...“, ერთი თურქული მონეტით, წარწერით „...“, ასევე, „სამსუნგის“ ფირმის შავი ფერის მობილური ტელეფონი, იმეი კოდით – ..., მასში მოთავსებული ჯეოსელის სიმბარათით, ნომრით: „ნოკიას“ ფირმის მობილური ტელეფონი, იმეი კოდებით – და მასში მოთავსებული სიმბარათით, ნომრით: მოთეთრო ფერის პლასტმასის წამლის აბების სათავსი, ეტიკეტზე წარწერით „...“, მასში მოთავსებული 12 ცალი თეთრი ფერის აბით.

12. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გ. მ-ს ბრალეულობის დასადასტურებლად ბრალდების მხარეს წარმოდგენილი აქვს მხოლოდ ერთი პირდაპირი მტკიცებულება მონმე ზ. ს-ს ჩვენების სახით. მხოლოდ ამ მტკიცებულებით დასტურდება ის გარემოება, რომ გ. მ-მ მისთვის უცნობ მოქალაქეს ჯიბიდან ფარულად ამოაცალა საფულე და გადასცა გ. დ-ს.

13. თავად მსჯავრდებული გ. დ-ი როგორც 1-ლი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლოების სხდომებზე უარყოფს არათუ გ. მ-საგან რაიმე ნივთის მიღებას, არამედ საერთოდ მასთან ნაცნობობასაც კი.

14. მონმე ზ. ს-ს ჩვენება იმ ნაწილში, რომ მან დაინახა გ. მ-ს მიერ ჩადენილი ქურდობა, რომელმაც ფარულად ამოაცალა მისთვის უცნობ მოქალაქეს ჯიბიდან საფულე და გადასცა გ. დ-ს,

არ დასტურდება საქმეზე წარმოდგენილი სხვა მონმეთა ჩვენებებით, კერძოდ:

15. მონმეების – ზ. ლ-ს, ე. ჯ-ს, ბ. გ-ს, გ. ქ-ას და ვ. ო-ს ჩვენებებით დასტურდება მხოლოდ ის გარემოება, თუ როდის გამოიძახა ისინი ზ. ს-მ და რა მოქმედებები განხორციელდა შემდეგ.

16. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მონმეების – ზ. ლ-ს, ე. ჯ-ს, ბ. გ-ს, გ. ქ-სა და ვ. ო-ს ჩვენებებზე სასამართლო ვერ იმსჯელებს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილების (ირიბ ჩვენებათა გამოყენების შესახებ) გათვალისწინებით.

17. რაც შეეხება გ. ძ-ს პირადი ჩხრეკის ოქმს, ოქმით დასტურდება მხოლოდ დაზარალებულ ა. ა-ს საფულის ამოღების ფაქტი გ. ძ-ს ჩხრეკის შედეგად და ეს მტკიცებულება პირდაპირ ვერ ადასტურებს გ. მ-ს მიერ საფულის ქურდობის ფაქტს.

18. თავად გ. მ-ს პირადი ჩხრეკის ოქმი არ შეიცავს ისეთი ხასიათის ინფორმაციას, რაც შეიძლება გ. მ-ს მიერ ქურდობის ჩადენის ფაქტის დადგენის საშუალება იყოს. პირადი ჩხრეკის დროს მისგან არ ამოღებულა არანაირი სახის საეჭვო ნივთმტკიცება ქურდობაში მისი ბრალეულობის დასადასტურებლად.

19. საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „...გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, ამკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას“. ანალოგიური შინაარსის შემცველია ამავე კოდექსის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმადაც, „გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა“. სსსკ-ის 259-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „სასამართლოს განაჩენი კანონიერია, თუ იგი გამოტანილია საქართველოს კონსტიტუციის, ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა კანონების მოთხოვნათა დაცვით, რომელთა ნორმებიც გამოყენებული იყო სისხლის სამართლის პროცესში“.

20. გ. მ-ს მიერ ჩადენილი ქურდობის დასადასტურებლად საქმეში წარმოდგენილია მხოლოდ ერთი პირდაპირი მტკიცებულება მონმე ზ. ს-ა ჩვენების სახით.

21. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გ. მ-ს დამნაშავედ ცნობისათვის მხოლოდ ერთი პირდაპირი მტკიცებულების არსებობა არ აკმაყოფილებს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს, რის გამოც ის უნდა გამართლდეს.

22. ამასთან, საქმეში არსებული მასალების მიხედვით, გ. მ-ს მსჯავრი დაედო წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ქურდობის ჩადენაში, ჯგუფში მეორე თანაამსრულებელია მსჯავრდებული გ. ძ-ი.

23. საქართველოს სსსკ-ის 309-ე მუხლის თანახმად, თუ საკასაციო სასამართლო მსჯავრდებულის საჩივრის საფუძველზე მის სასარგებლოდ აუქმებს ან ცვლის განაჩენს იმ საფუძველით, რომ სისხლის სამართლის კანონის გამოყენებისას დაირღვა კანონი და ეს სამართლებრივი შეცდომა განაჩენით ამ საქმეში მსჯავრდებულ სხვა პირსაც ეხება, რომელსაც საკასაციო საჩივარი არ შეუტანია, საკასაციო სასამართლო ვალდებულია, იმსჯელოს ამ მსჯავრდებულის მიმართაც.

24. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ვინაიდან გ. მ-ე გამართლდა წარდგენილ ბრალდებაში და მას გასაჩივრებელი განაჩენით მსჯავრი დაედო ქურდობის ჩადენაში ჯგუფურად, შესაბამისად, მსჯავრდებულ გ. ძ-ს მიმართ გამოტანილ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება იმ მიმართებით, რომ მას უნდა ამოერიცხოს ჯგუფურად ქურდობის ჩადენის ბრალდება, ხოლო განაჩენი დანარჩენ ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით, 309-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ გ. მ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 6 ნოემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

3. გ. მ-ე გამართლდეს საქართველოს სსსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „ა“ და მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში.

4. გ. მ-ე დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

5. გამართლებულ გ. მ-ს განემარტოს, რომ უფლება აქვს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი წესით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

6. გ. ძ-ს ამოერიცხოს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება.
7. განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად.
8. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა

განაჩენი საქართველოს სახელით

№397აპ-14

21 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენით განიხილა მსჯავრდებულ ც. ზ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ნ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 25 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების არსი:

1.1. 2013 წლის 12 სექტემბერს ქ. მ-ში, ა-ის ქუჩაზე, ...-ის საკათედრო ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე, ც. ზ-ემ ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე დ. მ-ს ჯერ მუშტი ჩაარტყა ხელში, ხოლო შემდეგ ჩანთა თავსა და გულმკერდის არეში, რის შედეგადაც მიაყენა ჯანმრთელობის მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის მოუშლელად, რითაც დაზარალებულმა დ. მ-მა განიცადა ფიზიკური ტკივილი.

1.2. ც. ზ-ის ზემოაღნიშნული ქმედება დაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 125-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

2. პირველი და სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებები:

2.1. მცხეთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 5 მაისის განაჩენით ც. ზ-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 125-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ

ბრალდებაში.

2.2. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა, რომელმაც ითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და ც. ზ-ის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 125-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

2.3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 25 სექტემბრის განაჩენით გაუქმდა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 5 მაისის გამამართლებელი განაჩენი. ც. ზ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 125-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რისთვისაც სასჯელად დაეკისრა ჯარიმა – 500 ლარი.

3. საკასაციო საჩივრის არსი:

3.1. სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 25 სექტემბრის განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ც. ზ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. ნ-მა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორმა ითხოვა მსჯავრდებულის მიმართ გამოტანილი უკანონო და დაუსაბუთებელი გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და გამართლება შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: განაჩენი ეფუძნება ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცებულებებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს უტყუარობის სტანდარტს; ბრალდების მხარის ყველა მოწმე არის დაინტერესებული პირი და მხოლოდ მათი რაოდენობა არ იძლევა საფუძველს გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად; დაზარალებულისა და ფაქტის თვითმხილველი მოწმის მ. ხ-ის ჩვენებებს შორის არის არსებითი ხასიათის წინააღმდეგობები, რაც სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა; ც. ზ-ე არის დაზარალებულისა და მისი მეგობარი მოწმეების შეთქმულების მსხვერპლი.

3.2. პროკურორმა შესაგებლით ითხოვა მსჯავრდებულ ც. ზ-ის მიმართ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 25 სექტემბრის გამამტყუნებელი განაჩენის უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მისი მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონმდებლის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლით სისხლისსამარ-

თლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია ცემის ან სხვაგვარი ძალადობისათვის, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ამ კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი (ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება, რამაც მისი ხანმოკლე მოშლა ან საერთო შრომისუნარიანობის უმნიშვნელო ან არამყარ დაკარგვა გამოიწვია). ძალადობრივ ქმედებას ცემის სტატუსი ენიჭება იმ შემთხვევაში, როდესაც მოძალადე მსხვერპლს სხეულზე ერთდროულად რამდენიმე დარტყმას აყენებს, ხოლო სხვაგვარი ძალადობა გამოიხატება ერთჯერად ძალადობრივ აქტში, მაგ: ხელის ერთხელ დარტყმაში, თმებით თრევაში. დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია ფიზიკური ტკივილის გამოწვევა, ამასთან, სავალდებულოა მიზეზობრივი კავშირის დადგენა ძალადობრივ მოქმედებასა და დამდგარ შედეგს – ფიზიკურ ტკივილს შორის.

3. პალატა მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში სადავო არ არის დ. მ-ის ხელზე – მარჯვენა იდაყვის სახსრის შიგნითა ზედაპირზე ნაწილობრივ გარდამავალი დაზიანების არსებობა (დაზიანებათა მსუბუქი ხარისხი, ჯანმრთელობის მოუშლელად), რაც დასტურდება საქმეზე არსებული სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნითაც. სადავოა და საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით უნდა დადგინდეს ის ფაქტები, თუ რა ვითარებაში მიიღო დ. მ-მა მკლავზე დაზიანება და ეს დაზიანება მიაყენა თუ არა ც. ზ-ემ. ამასთან, უნდა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს – არსებულ ჯანმრთელობის დაზიანებას შორის.

4. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განაჩენში ასახულ ზედაპირულ მსჯელობაზე, რომელიც ეხება მოწმეთა ჩვენებებს შორის არსებულ წინააღმდეგობებს. პალატა აღნიშნავს, რომ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების დასადგენად აუცილებელია შეფასდეს თითოეული მტკიცებულების უტყუარობა, დამაჯერებლობა, რაც საქართველოს სსსკ-ის 82-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ყველა შემთხვევაში სავალდებულოა განაჩენის გამოტანის დროს. მტკიცებულებათა უტყუარობა უნდა შეფასდეს რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით: 1. თითოეული მტკიცებულება, მათ შორის მოწმის ჩვენება, შინაარსობრივად ხომ არ შეიცავს ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას; 2. თითოეული მტკიცებულება ამყარებს სხვა მტკიცებულებებს, თუ მათ შორის არის სხვადასხვა წინააღმდეგობა, რომელთა ხარისხის შეფასება ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში სასამართლოს კომპეტენციაა; 3. რამდენად

გულწრფელი და მიუხედავად მისი მოწმე, ხომ არ აქვს ფიზიკური ნაკლი, რომელიც ნეგატიურ გავლენას ახდენს მოვლენების ადეკვატურ აღქმაზე; 4. როგორ პირობებში მოხდა მტკიცებულებების ფორმირება, მაგ: გარემო პირობები – ცუდი ხილვადობა (ნისლი), ხალხმრავალი ადგილი, მანძილი მოწმესა და შემთხვევის ადგილს შორის და სხვა. მტკიცებულებების ამ კრიტერიუმებით შეფასებისა და მათზე განაჩენში სათანადო მსჯელობის გარეშე მტკიცებულებათა უტყუარობის სიღრმისეული შეფასება ფაქტობრივად შეუძლებელია. მოცემულ შემთხვევაშიც ამ საკითხზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 25 სექტემბრის განაჩენში ასახული ზედაპირული მსჯელობა მტკიცებულებებს შორის არსებული წინააღმდეგობების არაარსებით ხასიათზე არ არის არგუმენტიებული, ატარებს ტრაფარეტულ ხასიათს და არ პასუხობს კანონის მოთხოვნას მტკიცებულებათა უტყუარობის შეფასების სავალდებულობის შესახებ.

5. საქმის არსებითად განხილვის დროს გამოკვლეული მტკიცებულებებით დასტურდება შემდეგი გარემოებები:

ბრალდებულმა ც. ზ-ემ თავი არ ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და განმარტა, რომ არის უდანაშაულო. დ. მ-ს იცნობს მ-ის არქეოლოგიურ მუზეუმში თანამშრომლობის პერიოდიდან, რაც 2010 წლიდან გაგრძელდა მ-ის საკათედრო ტაძარში, სადაც ისინი, როგორც გიდეები (ექსკურსიის წინამძღოლები), მომსახურებას უწევენ სტუმრებს. არასდროს, მათ შორის არც 2013 წლის 12 სექტემბერს, დ. მ-ისათვის მას ფიზიკური შეურაცხყოფა არ მიუყენებია. მითითებულ დღეს ...-ის საკათედრო ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე, ა-ის ქუჩაზე არსებული კერძო სასტუმროს წინ, დაახლოებით 16 საათზე, დ. მ-მა იგი მოულოდნელად, შეძახილით, თუ როდის დატოვებდა ს-ს და როდის მოეშვებოდა მათ, ავტომანქანებს შორის მოიქცია. დ. მ-ი ხელით შეეხო მას, შეაჯანჯღარა და იმავდროულად ქუდზეც მოკიდა ხელი. ამის გამო იგი დაემუქრა დ. მ-ს, უთხრა, რომ პოლიციაში უჩივლებდა და დასცილდა მას. ც. ზ-ეს მიაჩნია, რომ დ. მ-ის საჩივარი მის წინააღმდეგ ჯგუფური შეთქმულების (პროვოკაციის) შედეგია, რამდენადაც მას წლების განმავლობაში დაძაბული ურთიერთობა აქვს ს-ის ადმინისტრაციასთან. იგი არ დაემორჩილა ადმინისტრაციის მოთხოვნას საკუთარი შემოსავლიდან ტაძრის შემოსავალში შესატანის შეტანის თაობაზე, რის გამოც მას უნდა შეენეციტა ს-ში გიდის საქმიანობა. იმავდროულად, ს-ის ადმინისტრაციას განზრახული ჰქონდა სერტიფიცირებული გიდების მოწვევა. ამ ნიადაგზე წარმოშობილმა დაძა-

ბულობამ იმატა 2010 წლის შემდეგ, როდესაც ს-ის ადმინისტრაციის ინიციატივით გიდეზად მიიწვიეს დ. მ-ი და სხვები, რომლებიც ადმინისტრაციასთან შეთანხმებით მას არ აძლევენ ნორმალური საქმიანობის საშუალებას. ისინი პერიოდულად, სრულიად უსაფუძვლოდ, მისთვის მუშაობაში ხელის შეშლის მიზნით იძახებენ პოლიციას, ამჯერად კი დანაშაულის ჩადენის ცრუ ბრალდებით ცდილობენ ტაძრიდან მის გაძევებას.

6. დაზარალებულმა დ. მ-მა მოწმის სტატუსით მიცემულ ჩვენებაში მის მიმართ განხორციელებულ ძალადობრივ ქმედებაში – ფიზიკურ ანგარიშსწორებაში ამხილა ც. ზ-ე. დაზარალებულმა განმარტა, რომ ს-ის გალავნის მიმდებარე ტერიტორიაზე, ა-ის ქუჩაზე, „საქართველოს ბანკის“ ბანკომატის მახლობლად, დახვდა ც. ზ-ე, გადაუდგა წინ, დაუწყო წყევლა, სახისკენ მოუქნია ხელჩანთა, რაც ხელის სახეზე აფარებით შეაჩერა, რის შემდეგაც მეორე ხელით მუშტი ამოარტყა იდაყვში, სახსართან, შიდა მხარეს, რაც ძალიან ეტკინა და გაუნითლდა. ჩანთა კიდევ რამდენჯერმე, ორჯერ ან სამჯერ, მოხვდა მხრისა და გულმკერდის არეში. დ. მ-მა ზემოაღნიშნული კონფლიქტის ძირითად მიზეზად მიუთითა მათ შორის 2010 წლიდან მკვეთრად დაძაბულ ურთიერთობაზე, როდესაც მ-ის მუნიციპალიტეტისა და ტურიზმის დეპარტამენტის ინიციატივით, გადამზადების პროგრამის გავლის შემდეგ სხვა ქალბატონებთან ერთად მან სერტიფიცირებული გიდის სტატუსით დაიწყო მუშაობა ...-ის საკათედრო ტაძარში, სადაც მანამდე ამ საქმიანობას მხოლოდ ც. ზ-ე ეწეოდა. ც. ზ-ესა და ახლადმისულ გიდებს შორის ურთიერთობა დაიძაბა პროფესიული კონკურენციის ნიადაგზე. ც. ზ-ეს აღიზიანებდა ის ფაქტი, რომ სერტიფიცირებული გიდების მისვლით მან დაკარგა გიდის მომსახურების მსურველ ტურისტთა დიდი ნაწილი. ახალგაზრდა, უცხო ენების მცოდნე კოლეგებში იგი ხედავდა სერიოზულ კონკურენტებს, რის გამოც მათ და ზოგჯერ მათი ოჯახის წევრებსაც ექცეოდა აგრესიულად, წყევლიდა და უქმნიდა კონფლიქტურ სიტუაციებს.

7. ძალადობის ფაქტის ერთადერთმა თვითმხილველმა, მოწმე მ. ხ-მა ფაქტობრივად დაადასტურა ც. ზ-ის მხრიდან დ. მ-ზე ფიზიკური ძალადობის – ხელისა და ჩანთის არაერთჯერადი დარტყმის ფაქტი. მან განმარტა, რომ შემთხვევის დღეს გაიგონა ლანძღვის ხმა – „სატანა, სატანა“, გაიხვდა იმ მიმართულებით, საიდანაც ხმა მოდიოდა და შენიშნა, რომ მისგან დაახლოებით 5-6 მეტრში, კ-ის კუთვნილი კერძო სასტუმროს წინ, „საქართველოს ბანკის“ ბანკომატის მახლობლად, ც. ზ-ე ხელებსა და ჩანთას უქნევდა დ. მ-ს, რომელმაც შეძახილით – „თავი დამანე-

ბე“, სახეზე აიფარა ხელი და ამ გზით შეაკავა მოქნეული ჩანთა, თუმცა შემდეგ ც. ზ-ემ ამჯერად მეორე ხელი მოუქნია ქვემო-დან და იდაყვში მოარტყა, შემდეგ კი ხელებსა და ჩანთას უქნევდა: მოქნეული ჩანთა დ-ას მოარტყა თავში, ასევე – მკერდის არეში. ც. ზ-ეს ხან ერთ ხელში ეჭირა ჩანთა, ხან – მეორეში, დ-ას ხან ჩანთას ურტყამდა, ხანაც – ხელებს. მხოლოდ მას შემდეგ, რაც დ. მ-ი პოლიციაში დარეკვით დაემუქრა, ც. ზ-ემ შეწყვიტა მასზე ძალადობა და სიტყვებით, რომ პოლიციის არ ეშინოდა, განერიდა მითითებულ ადგილს. მოწმე მ. ხ-მა დაადასტურა დაზარალებულ დ. მ-ის ჩვენება იმ ნაწილში, რომ ც. ზ-ესთან პროფესიული კონკურენციის გამო ჰქონდათ დაძაბული ურთიერთობა. ც. ზ-ე სისტემატურად აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას მას და სხვა გიდეებს, ხოლო 2013 წლის ზაფხულში ასევე კონკურენციის ნიადაგზე მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა – გაშლილი ხელი ჩაარტყა თავში, თუმცა ვინაიდან ფიზიკური ტკივილი არ განუცდია, ფაქტზე იმჟამად გამოძიება არ დაწყებულა.

8. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დაზარალებულ დ. მ-ისა და მოწმე მ. ხ-ის ჩვენებებს შორის არის არსებითი ხასიათის წინააღმდეგობები, რაც მათ ჩვენებებს უკარგავს სანდოობასა და დამაჯერებლობას. ქრონოლოგიურად გავყვეთ შემთხვევის ადგილზე და მის მიმდებარედ განვითარებულ მოვლენებს:

ა. დ. მ-მა განმარტა, რომ ც. ზ-ესთან კონფლიქტამდე ესაუბრებოდა მ. ხ-ს, დასცილდა მოედნის კუთხეში და წავიდა სახელში, ა-ის ქუჩის მიმართულებით, ხოლო ხუთიოდე მეტრის გავლის შემდეგ წინ მოულოდნელად გადაუდგა ც. ზ-ე. მ. ხ-მა სანინაალმდეგოდ განმარტა, რომ დ. მ-ს დასცილდა მოედნის შუაში, რომელსაც უკან გაყვა ც. ზ-ე;

ბ. არარეალურია მ. ხ-ის განმარტება იმის თობაზე, რომ დაშორებიდან რამდენიმე წუთში გაიგონა ლანძღვის ხმა იმ პირობებში, როდესაც იგი უთითებს, რომ მოვლენები განვითარდა მისგან ხუთი-ექვსი მეტრის მოშორებით. დ. მ-მაც დაადასტურა, რომ ოთხი-ხუთი მეტრის გავლის შემდეგ გადაუდგა წინ ც. ზ-ე და დაუწყო წყევლა. გაურკვეველია, ხუთი-ექვსი მეტრის გავლას როგორ დასჭირდა რამდენიმე, თუნდაც ერთი წუთი, რაც მ. ხ-ის ამ განმარტებას სარწმუნოობას უკარგავს;

გ. არათანმიმდევრულია დაზარალებულ დ. მ-ისა და მოწმე მ. ხ-ის ჩვენებები ჩანთისა და ხელის მოქნევისთან მიმართებით. დ. მ-ის ჩვენებით ც. ზ-ემ მუშტი (ხელი) ერთხელ დაარტყა, ხოლო მუშტის (ხელის) ამორტყმამდე, რითაც დაზიანება მიიღო, მას სახეში მოუქნია ჩანთა, რაც ხელით შეაჩერა. მ. ხ-ის განმარ-

ტებით, დ. მ-ს მუშტის ამორტყმამდე ც. ზ-ემ არაერთხელ მოუქნია ჩანთა და ხელები;

დ. მ. ხ-მა განმარტა, რომ ც. ზ-ე ჩანთას ხან ერთი და ხან მეორე ხელით ურტყამდა, რაც არ მიუთითებია დაზარალებულ დ. მ-ს. მან ვერ გაიხსენა, ც. ზ-ემ, რომელი ხელი მოუქნია და რომელი ხელით ურტყამდა ჩანთას;

ე. დაზარალებულმა დ. მ-მა განმარტა, რომ ცემის შემდეგ ც. ზ-ე წავიდა ს-ის შესასვლელისაკენ, ხოლო მ. ხ-ის განმარტებით, იგი გაემართა საპირისპირო მიმართულებით – ა-ის ქუჩაზე, ავტოსადგომის მიმართულებით;

ვ. დ. მ-ის განმარტებით, ცემის შემდეგ მას უცხო პირებმა მისცეს დამამშვიდებელი წამალი, ხოლო მ. ხ-ის განმარტებით, დამამშვიდებელი წამალი დ. მ-ს თავად ჰქონდა და სხვისგან არ მიუღია.

9. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დაზარალებულ დ. მ-ისა და მოწმე მ. ხ-ის ჩვენებებში არსებული წინააღმდეგობები უკავშირდება უშუალოდ სავარაუდოდ განხორციელებული ძალადობრივი ქმედებების დაწყებიდან დასრულებამდე დროის მონაკვეთს და განხორციელებული ქმედების აღწერას, რაც არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს უმნიშვნელოდ. დ. მ-ი და მ. ხ-ი მათ მიერ მითითებულ ფაქტებზე საუბრობენ დარწმუნებით და არ უთითებენ, რომ შეიძლება ესა თუ ის გარემოება კარგად არ ახსოვდეთ სხვადასხვა ობიექტური მიზეზის გამო, რითაც შეიძლება და ახსნილიყო ჩვენებებს შორის არსებული წინააღმდეგობა. დამოუკიდებლად აღებული რომელიმე წინააღმდეგობა, შესაძლოა, არ აკნინებს ამ ორი ჩვენების სანდოობას, თუმცა ეს წინააღმდეგობები, ერთობლივად აღებული, დამაჯერებლობა-სა და სანდოობას უკარგავს მათ ჩვენებებს და ვერ აკმაყოფილებს უტყუარობის სტანდარტს, რის გამოც საკასაციო პალატა არ იზიარებს.

10. რაც შეეხება მოწმეების – ს. ბ-ის, მ. გ-ისა და სხვათა ჩვენებებს, ისინი არ არიან ცემის ფაქტის თვითმხილველნი, შესაბამისად, მათი ჩვენებები ამ გარემოებასთან მიმართებით არის ირიბი და ვერ გამოდგება ცემის ფაქტის უტყუარად დასადგენად. შესაბამისად, მიუხედავად ჩვენებებს შორის გარკვეული წინააღმდეგობებისა და საეჭვო გარემოებებისა, საკასაციო პალატა არ მსჯელობს მათ ხასიათსა და შინაარსობრივ მხარეზე.

11. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განაჩენში არსებულ მსჯელობაზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად მიუთითა ბრალდების მხარის მიერ სასამართლოსათვის მიუკერ-

ძობელი მოწმეების წარდგენისა და დაკითხვის აუცილებლობაზე, რომლებიც, სავარაუდოდ, შეესწრნენ ცემის ფაქტს და დაადასტურებდნენ ამ გარემოებას. პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ აღნიშნული ცალსახად მხარეთა კომპეტენციაა, თუმცა მიუთითებს, რომ იმ პირობებში, როდესაც ბრალდებულსა და დაზარალებულს, ასევე ბრალდების მხარის მოწმეებს შორის არსებობდა რამდენიმენილიანი დაძაბული და კონფლიქტური ურთიერთობა, რაც საქმეზე არსებული მტკიცებულებებით დადგენილია, ამასთან, დაზარალებულ დ. მ-ისა და მოწმე მ. ხ-ის ჩვენებებს შორის არის არსებითი ხასიათის წინააღმდეგობები და ცემის ფაქტი არ დასტურდება სხვა უტყუარი მტკიცებულებით, ამ მოცემულობაში, ნეიტრალური და საქმის შედეგებით დაუინტერესებელი მოწმის ჩვენება მაღალი ალბათობით პასუხს გასცემდა არსებული მტკიცებულებების გამოკვლევის შედეგად დარჩენილ ბუნდოვან გარემოებებსა და კითხვებს.

12. საქართველოს სსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „...გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას“. იმავე შინაარსის მატარებელია ამავე კოდექსის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმადაც, „გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა“. სსკ-ის 259-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „სასამართლოს განაჩენი კანონიერი, თუ იგი გამოტანილია საქართველოს კონსტიტუციის, ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა კანონების მოთხოვნათა დაცვით, რომელთა ნორებიც გამოყენებული იყო სისხლის სამართლის პროცესში“. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ც. ზ-ის მიერ დ. მ-ის ცემა არ დასტურდება გონივრულ ეჭვს მიღმა არსებული, შეთანხმებული მტკიცებულებების ერთობლიობით, რის გამოც პალატა იზიარებს მსჯავრდებულისა და მისი ინტერესების დამცველის პოზიციას ც. ზ-ის წარდგენილ ბრალდებაში გამართლების შესახებ. შესაბამისად, მტკიცებულებათა არასაკმარისობის გამო, ც. ზ-ე ცნობილ უნდა იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 125-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-

ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-2, მე-3 ნაწილებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ც. ზ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ნ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 25 სექტემბრის განაჩენი ც. ზ-ის მიმართ. ც. ზ-ე ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 125-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.
3. გამართლებულ ც. ზ-ძეს განემარტოს, რომ უფლება აქვს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი წესით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.
4. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა

განაჩენი საქართველოს სახელით

№483აპ-14

23 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენით განიხილა მსჯავრდებულ ო. თ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 30 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების არსი:

1.1. 2014 წლის 8 იანვარს, წყალტუბოს რაიონის სოფელ ...-ში

მდებარე შპს „გ. XX...-ის“ ეზოდან ქურდობისათვის ნასამართლევი ო. თ-ე ფარულად დაეუფლა ხსენებული სანარმოს კუთვნილი ელექტრომედულელებელი აპარატის 50 ლარად ღირებულ ელექტროსადენს.

1.2. ო. თ-ის ქმედება დაკვალიფიცირდა ქურდობად, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარულ დაუფლებად მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი არაერთგზის – საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

2. პირველი და სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებები:

2.1. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 30 მაისის განაჩენით ო. თ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა ო. თ-ის მიმართ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 22 ნოემბრის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი – 3 წელი. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა და ო. თ-ეს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ვადა აეთვალა 2014 წლის 2 თებერვლიდან.

2.2. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ო. თ-ემ, რომელმაც ითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და გამამართლებელი განაჩენის გამოტანა.

2.3. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 30 მაისის განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 30 სექტემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

3. საკასაციო საჩივრის არსი:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 30 სექტემბრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ო. თ-ემ, რომელმაც ითხოვა მის მიმართ გამოტანილი სააპელაციო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და გამართლება შემდეგი საფუძვლებით: განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი; მას ელექტროსადენი არ მოუპარავს, იგი პირველად ნახა პოლიციის განყოფილებაში, სადაც აჩვენეს რამდენიმე ელექტროსადენი და ჰკითხეს, რომელიმე ხომ არ ეცნობოდა, რაზეც უპასუხა, რომ ერთ-ერთი ჰგავდა იმ სადენს, რომელსაც სამსახურში იყენებდა; როდესაც წაიყვანეს პოლიციის გან-

ყოფილებაში, თან არ ჰქონია არანაირი ელექტროსადენი; ეგონა, რომ ეხმარებოდა პოლიციას დაკარგული ნივთის ძებნაში და სწორედ ამიტომ, ისე რომ არ ნაუკითხავს ოქმი, მოაწერა ხელი, სწორედ ეს არის მისი შეცდომა, რითაც ისარგებლეს პოლიციის თანამშრომლებმა და უკანონოდ წაუყენეს ბრალი; სასამართლო პროცესზე ითხოვდა, რომ დაედგინათ და დაეკითხათ ის პოლიციელები, რომლებმაც იგი გააჩერეს ქ. სამტრედიისში, მაგრამ ასე არ მოხდა, არც ერთი მათგანი არ დაკითხულა და საქმეში არ ფიგურირებენ. საქმის მასალებიდან გამომდინარეობს, რომ თითქოსდა მან მოიპარა აღნიშნული ელექტროსადენი და თავისი ნებით მიიტანა სამტრედიის პოლიციაში, რაც არარეალურია.

სამოტივაციო ნაწილი:

გასაჩივრებული განაჩენის გაუქმების დასაბუთება:

1. საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მისი მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ო. თ-ის მიერ ქურდობის, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი არაერთგზის, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, არ დასტურდება გონივრულ ეჭვს მიღმა არსებული, შეთანხმებული მტკიცებულებების ერთობლიობით, კერძოდ:

3. ბრალდებულმა ო. თ-ემ თავი არ ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და განმარტა, რომ სასამართლომდე მას არავინ აცნობა და განუმარტა, თუ რაში ან რატომ ედებოდა ბრალი. საგამოძიებო მოქმედების ყველა ოქმს – ჩვენებას, დათვალიერებისა და საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმებს ისე მოაწერა ხელი, რომ არც ნაუკითხავს, რადგან პოლიციის თანამშრომლებს ენდობოდა და ეგონა, რომ მათ ეხმარებოდა დაკარგული ნივთის ამოცნობაში, რომელიც სამტრედიის პოლიციის მუშაკებმა მას წარუდგინეს. ო. თ-ემ ასევე განმარტა, რომ მაშინ, როდესაც ის მოძრაობდა ქალაქ სამტრედიისში და შეაჩერეს პოლიციის მუშაკებმა, ხელში რაიმე ნივთი არ ეკავა. ამიტომ როგორ აღმოჩნდა ასფალტბეტონის ქარხნის კუთვნილი ელექტროსადენი ამ პოლიციელებთან, მისთვის უცნობია.

4. ვ. ხ-ის 2014 წლის 9 იანვრის მიმართვის (პატაკის) თანახმად, ოპერატიული ინფორმაციის შესაბამისად, ქ. სამტრედიისში, ...-ის ქუჩაზე მოძრაობდა სამტრედიის რაიონის სოფელ ...-ში

მცხოვრები ო. თ-ე, რომელსაც თან უნდა ჰქონოდა წყალტუბოს რაიონის სოფელ ...-ის ასფალტის ქარხნიდან ფარულად დაუფლებული ელექტროშესადღებელი აპარატის სადენი.

5. გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათის – ფორმა №1-ის მიხედვით, 2014 წლის 9 იანვარს დაიწყო გამოძიება წყალტუბოს რაიონის ს. ...-ის ასფალტის ქარხნიდან შესადღებელი აპარატის სადენის ქურდობის ფაქტზე – სსკ-ის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

6. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ქრონოლოგიურად, გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათის – ფორმა №1-ისა და ვ. ხ-ის მიმართვის (პატაკის) შემდეგ ბრალდების მხარის მიერ ნაწარმოებ სისხლის სამართლის საქმის მასალებში მოთავსებულია 2014 წლის 9 იანვრით დათარიღებული (დაკითხვის დაწყების დრო – 03:15, დასრულების დრო – 03:50, დაკითხვის ადგილი – საგამოძიებო ორგანო) ო. თ-ის მოწმის სახით დაკითხვის ოქმი. ოქმში მითითებულია, რომ ო. თ-ემ დაკითხვისას წარადგინა წყალტუბოს რაიონის სოფელ ...-ში მდებარე ასფალტის საამქროდან მოპარული ელექტროსადენი, სიგრძით 16 მეტრი და 50 სანტიმეტრი, რომელიც მოთავსებულია პოლიეთილენის ტომარაში. ბრალდებულ ო. თ-ის ჩვენების თანახმად, ქ. სამტრედიის შუაჩერეს პოლიციის თანამშრომლებმა და გადაიყვანეს პოლიციაში. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის მასალებში არ მოიპოვება რაიმე მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, თუ ვინ შეაჩერა (პოლიციელთა ვინაობა) ო. თ-ე და ვინ გადაიყვანა პოლიციაში, როგორც ამას თავად ბრალდებული უთითებდა. ჰქონდა თუ არა მას ხელში რაიმე ნივთი, რომლის არსებობა/არარსებობის ფაქტის დადგენა სწორედ მათი დაკითხვით იქნებოდა შესაძლებელი. იმ მოცემულობაში, როდესაც პოლიციელებმა იცოდნენ, რომ ქ. სამტრედიის, ...-ის ქუჩაზე მოძრაობდა ო. თ-ე, რომელსაც თან ჰქონდა მოპარული ელექტროსადენი (დასტურდება ვ. ხ-ის მიმართვით – პატაკით), რასაც ისინი, ნივთის მოცულობიდან გამომდინარე, ადგილზე მისვლისასაც მარტივად შეამჩნიებდნენ, პასუხგაუცემელია კითხვა – რატომ ადგილზევე, გადაუდებელი აუცილებლობის გამო, არ ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა ო. თ-ეს და არ იქნა მისგან ამოღებული მოპარული ნივთი – ელექტროსადენი – ასეთის არსებობის შემთხვევაში, რის საშუალებასაც პოლიციელებს აძლევდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არსებული რეგულაცია. თუ პოლიციელებმა გადაიყვანეს ო. თ-ე პოლიციაში, რა სამართლებრივი რეგულაციის საფუძველზე განხორციელდა ეს მოქმედება და აღნიშნული ხომ

არ წარმოადგენდა მის ფაქტობრივ დაკავებას. ეს კითხვები ფაქტობრივად პასუხგაუცემელია, თუმცა ფაქტია და საქმის მასალები ცხადყოფს, რომ ო. თ-ე ნებაყოფლობით, ბრალის აღიარებით, მოპარული ელექტროსადენით ხელში, პოლიციაში თვითონ არ გამოცხადებულა. შესაბამისად, დასაწყისშივე მთლიანობაში ეს გარემოებები დასაბუთებულ ეჭვს აღძრავს ო. თ-ის ხელში მოპარული კაბელის არსებობა-არარსებობის თაობაზე, რაზეც თავად კასატორიც არაერთხელ მიუთითებს.

7. მონწე ტ. გ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ იგი არის სამტრედიის რაიონის სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებელი. მან ბრალდებული ო. თ-ე გაიცინო 2014 წლის 9 იანვარს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, როდესაც გამოცხადდა პოლიციის მუშაკებთან ერთად მის სამუშაო კაბინეტში და წარმოადგინა პოლიეთილენის ტომარა, რომელშიც მოთავსებული იყო 16 მეტრი სიგრძის ელექტროსადენი. მონწის განმარტებით, დაკითხვისას და საგამომძიებო ექსპერიმენტის მიმდინარეობისას ო. თ-ემ დაადასტურა ელექტროსადენის მოპარვის ფაქტი.

8. 2014 წლის 9 იანვრის ნივთის დათვალიერების ოქმით დადგენილია, რომ სამტრედიის რაიონული სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებელმა ტ. გ-ემ ო. თ-ის მონაწილეობით ჩაატარა ამავე სამმართველოში ო. თ-ის მიერ წარმოდგენილი შესადულებელი აპარატის ელექტროსადენის დათვალიერება, რომელიც არის შავი ფერის, სპილენძის, 16 მეტრი და 50 სანტიმეტრი სიგრძის, თავში აქვს ელექტროშესადულებელი ჩარხის დასამაგრებელი და შესადულებელ აპარატთან მისამაგრებელი.

9. 2014 წლის 9 იანვრის საგამომძიებო ექსპერიმენტის ოქმით დადგენილია, რომ ო. თ-ემ მიუთითა შპს „...-ის“ ასფალტის დამამზადებელი აგრეგატის უკან დაყრილ ქვის ღორღზე და განაცხადა, რომ ამ ღორღზე იდო ელექტროშესადულებელი აპარატის ელექტროსადენი, რასაც ფარულად, უნებართვოდ დაეუფლა.

10. მონწის სახით დაკითხული დაზარალებულის – თ. კ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ ის არის შპს „გ. XX...-ის“ ასფალტბეტონის საამქროს ხელმძღვანელი. მან დაახლოებით 3-4 წლის წინ შეიძინა ელექტროსადენი, რომელიც დაიკარგა სანარმოს ტერიტორიიდან. მოგვიანებით, მასთან მისული პოლიციის თანამშრომლებისგან შეიტყო, რომ ქალაქ სამტრედიის დააკავეს ო. თ-ე, რომლისგანაც ამოიღეს ელექტროსადენი. მონწის განმარტებით, მან ამოიცნო დაკარგული ელექტროსადენი ფერით, სიგრძით, ხელმოსაჭიდი დგარით, სპილენძის მრავალწვერიანი გამტარით, რის შემდეგაც დაუბრუნდა კუთვნილი ნივთი და

ბრალდებულის მიმართ პრეტენზია არ გააჩნია.

11. 2014 წლის 13 იანვრის საგნის ამოცნობის ოქმის თანახმად, თ. კ-ს ამოსაცნობად წარედგინა ელ. შესადუღებელი აპარატის სამი ერთეული ელექტროსადენი №1. შავი ფერის, სპილენძის, შესადუღებელი ჩარხის დგარით და აპარატზე დასამაგრებელი ალუმინის დგარით; №2 ელ. სადენი თეთრი ფერის შესადუღებელი დგარით; №3 ელ. სადენი ყვითელი ფერის შესადუღებელი დგარით, რომელთაგან მან ფერით, სიგრძით, ხელმოსაჭიდი დგარითა და სპილენძის მრავალწვერიანი გამტარით ამოიცნო №1 ელექტროსადენი. საქართველოს სსსკ-ის 131-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ამომცნობს ამოსაცნობი ობიექტი უნდა წარედგინოს არანაკლებ 2 სხვა ერთგვაროვან საგანთან ერთად. ამომცნობს სთავაზობენ, მიუთითოს ობიექტი, რომლის ამოცნობაც შეუძლია და განმარტოს, რა ნიშან-თვისებებით ამოიცნო იგი. ამავე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, ამოცნობა არ ტარდება, ხოლო ჩატარებული ამოცნობა დაუშვებელი მტკიცებულებაა, თუ ამომცნობი მიუთითებს ისეთ ნიშან-თვისებებზე, რომლებიც საკმარისი არ არის ამოსაცნობი ობიექტის იდენტიფიკაციისათვის, ან თუ ამომცნობს მიანიშნეს ამოსაცნობ ობიექტზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საგამოძიებო მოქმედების – საგნის ამოცნობისას არსებითად დაირღვა სსსკ-ის 131-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნა, ამომცნობისათვის ამოსაცნობი ობიექტის არანაკლებ 2 სხვა ერთგვაროვან საგანთან ერთად წარედგინოს თაობაზე, კერძოდ: თ. კ-ს შავი ფერის ელექტროსადენთან, შესადუღებელი ჩარხის დგარსა და აპარატზე დასამაგრებელ ალუმინის დგართან ერთად (№1) ამოსაცნობად წარედგინა მისგან ფერით განსხვავებული – თეთრი და ყვითელი ელექტროსადენები, მხოლოდ შესადუღებელი დგარით, იმ პირობებში, როდესაც შავი ფერის ელექტროსადენს ასევე ჰქონდა აპარატზე დასამაგრებელი ალუმინის დგარი. პალატას მიაჩნია, რომ ამოსაცნობად წარედგინილი ნივთები ვერ მიიჩნევა ერთგვაროვან საგნებად, ვინაიდან ამომცნობის განმარტებით, მოპარეს შავი ფერის ელექტროსადენი, ხოლო წარედგინილ ამოსაცნობ ობიექტებს შორის მხოლოდ ერთი იყო შავი ფერის, დანარჩენი ორი კი მისგან მკვეთრად განსხვავებული – თეთრი და ყვითელი. ამასთან, ამომცნობს არ მიუთითებია ამოსაცნობი საგნის ისეთ ინდივიდუალურ ნიშან-თვისებებზე, რომლებიც მის იდენტიფიკაციას დამაჯერებელს გახდიდა. მოცემულ შემთხვევაში ნივთის ამოცნობა მხოლოდ ფერით, სიგრძით, ხელმოსაჭიდი დგარითა და სპილენძის მრავალწვერიანი გამტარით არ მიუ-

თითებს მისთვის დამახასიათებელ განსაკუთრებულ ნიშან-თვისებებზე, რომლებიც გამოარჩევს მას სხვა ასეთივე ელექტროსადენებისაგან, რიგორიც არაერთი არსებობს. ამდენად, საგამოძიებო მოქმედება – ნივთის ამოცნობა ჩატარებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა არსებითი დარღვევით, რის გამოც შეუძლებელია უტყუარად დადგინდეს, ამოცნობილი ელექტროსადენი ნამდვილად ეკუთვნის თუ არა დაზარალებულ ორგანიზაციას. შესაბამისად, ამ ფორმით ჩატარებული ნივთის ამოცნობა ვერ დაედება საფუძვლად სასამართლოს განაჩენს, ვინაიდან ვერ აკმაყოფილებს უტყუარობის სტანდარტს.

12. ბრალდების მხარეს სხვა მტკიცებულება, რომელიც დადასტურებდა ო. თ-ის მიერ შპს „...-ის“ კუთვნილი ელექტროსადენის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაუფლების ფაქტს, სასამართლოსთვის არ წარუდგენია.

13. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ო. თ-ის მიერ მოპარული ელექტროსადენის ნებაყოფლობით წარდგენა დასტურდება მხოლოდ მოწმე ტ. გ-ის ჩვენებით და მის მიერ ნაწარმოები საგამოძიებო მოქმედების ოქმებით. მათ სისწორეს, გარდა თავად ტ. გ-ისა, არ ადასტურებს ბრალდებული ო. თ-იც. სხვა პირდაპირი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ო. თ-ის მიერ მოპარული ელექტროსადენის პოლიციისათვის წარდგენას, საქმის მასალებში არ მოიპოვება. ამდენად, მოწმე ტ. გ-ის ჩვენება ელექტროსადენის ფარულად დაუფლების ფაქტის დასადგენად არის ირიბი ჩვენება და არ არის საკმარისი ამ ფაქტის უტყუარად დასადგენად. ამასთან, პალატა აღნიშნავს, რომ გამოკვლეული არც ერთი პირდაპირი მტკიცებულებით არ დასტურდება ო. თ-ის მიერ შპს „...-ის“ კუთვნილი ელექტროსადენის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაუფლების ფაქტი.

14. საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „...გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას“. იმავე შინაარსის მატარებელია ამავე კოდექსის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმადაც, „გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა“. სსსკ-ის 259-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „სასამართლოს განაჩენი კანონიერი, თუ იგი გამოტანილია საქართველოს კონსტიტუცი-

ის, ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა კანონების მოთხოვნათა დაცვით, რომელთა ნორმებიც გამოყენებული იყო სისხლის სამართლის პროცესში“. ამდენად, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ო. თ-ის მიერ ელექტროსადენის მოპარვა არ დასტურდება გონივრულ ეჭვს მიღმა არსებული, შეთანხმებული მტკიცებულებების ერთობლიობით. მხოლოდ ის ფაქტი, რომ მოპარული ელექტრო სადენი ო. თ-ემ თითქოსდა ნებაყოფლობით წარუდგინა პოლიციას, რაც თავის მხრივ, ვერ დგინდება უტყუარი, ურთიერთშეთანხმებული და საკმარისი მტკიცებულებების ერთობლიობით, არ ადასტურებს მის მიერ სხვისი ნივთის ფარულად დაუფლების ფაქტს, რაც სსკ-ის 177-ე მუხლის შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია. ამდენად, პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებები არ არის საკმარისი დანაშაულის – ქურდობის შემადგენლობის ყველა ნიშნის დასადგენად და, შესაბამისად, მისი დამნაშავედ ცნობისათვის, ვინაიდან არ აკმაყოფილებს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს.

15. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ო. თ-ე, მტკიცებულებათა არასაკმარისობის გამო, უნდა გამართლდეს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

16. გამართლებულ ო. თ-ეს უნდა განემარტოს, რომ უფლება აქვს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი წესით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-2, მე-3 ნაწილებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ო. თ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 30 სექტემბრის განაჩენი ო. თ-ის მიმართ; ო. თ-ე ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

3. ო. თ-ე დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

4. გამართლებულ ო. თ-ეს განემარტოს, რომ უფლება აქვს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი წესით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

6. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

საკიეპელი

სისხლის სამართალი

ზოგადი ნაწილი

ქონების ჩამორთმევა	3
სასჯელის საკითხის გადაწყვეტისას გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობის მხედველობაში	
მიღების დაუშვებლობა	21
სასჯელის შემსუბუქება	24

კერძო ნაწილი

განზრახ მკვლელობის მცდელობა	28
განზრახ მკვლელობა ჯგუფურად	47
ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ჩადენილი არაერთგზის	60
ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ჩადენილი ხულიგნური ქვენაგრძნობით	69
ქმედების გადაკვალიფიცირება ძარცვიდან იძულებაზე	82
ქურდობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ	88
ქურდობა, ჩადენილი არაერთგზის	94
თაღლითობა	100
დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა, შენახვა იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს ამ კოდექსის ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული	105
ხეების უკანონოდ გაჩეხვა	109
ქმედების გადაკვალიფიცირება ქრთამის აღებიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაზე	115
ყალბი ოფიციალური დოკუმენტის შენახვა გამოყენების მიზნით და გამოყენება	125
მონმის მიერ არსებითად ურთიერთსანიანაღმდეგო ჩვენების მიცემა	133

სისხლის სამართლის პროცესი

მონმეთა მიერ მიცემული ირიბი ჩვენებების, როგორც მტკიცებულებების, საქმიდან ამორიცხვის შედეგად პირის უდანაშაულოდ ცნობა	138
---	-----

გირაოს უზრუნველყოფის მიზნით ფულადი თანხის შემტანი პირისათვის თანხის უკან დაბრუნება	159
ბრალდებულის სასარგებლოდ გირაოს შემტანი პირის მიერ დაკისრებული მოვალეობისაგან გათავისუფლების მოთხოვნა	165
საქმის არსებითი განხილვის გარეშე ბრალდებულის მიმართ განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ	170
გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა	174; 178; 188; 196